

114  
1961/5

საქართველოს  
საბჭოთავო  
ენის ინსტიტუტი

# მეტეორი



7

1 9 6 1

# გნათობი



ქრისტიანული ლიტერატურული-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლმედიაციური შუამდგომლობის

წელიწადი 38-ე

№ 7

ივლისი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრობის კავშირის ორგანო

## შინაარსი

ვაჟა-ფშაველას უცნობი ლექსები	3
კონსტანტინე გამსახურდია — ტკბილზმოვანი ორფეოსი	6
ნაყოლოზ ტახონოვი — ვაჟა-ფშაველა. ლექსი. თარგმანი აჩილ სულაქაურიძისა	13
ირაკლი ანდრონიკაშვილი — ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა	11
აღიი ადამია — ლექსები	13
კორნელი ზელინსკი — ზირალდანი მთებში	14
ლადო სულაბერიძე — ვაჟა მისმობდა და მიქეზებდა. ლექსი	16
კამილ იაშენი — ვაჟა ზვენთვისაც ახლობელი და ძვირფასია	17
ვახტანგ გორგანელი — მთაწი მალაღრო. ლექსი	19
ზურაბ ლორთქიფანიძე — შემოდიოდა ვაჟა თბილისში. ლექსი	20
გიორგი ლეონიძე — ჩორუხი. მოთხრობა	21
ოსკარ უაილდი — რედინგის ციხის ბაღადა. პოემა. თარგმანი ინგლისურიდან. გივი გაჩეჩილაძისა	31
ჯერომ სელიჯერი — თამაში კვავის ყანაში. რომანი გაგრძელება. თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ კელიძისა	39

### შვიდწლადის მოწინავენი

ილია მუხაძე — მსოფლიოში საუკეთესო	65
შალვა ამისულაშვილი — ბოდბელებთან	73
ბ. შატბერაშვილი — მწიგნობრობის კავშირის ორგანო	78

(იხ. მეორე გვ.)



8746



ვახტანგ რაზიკაშვილი — მამაჩემი — ვაჟა-ფშაველა. დასასრული	81
ბაბილინა ხოსიტაშვილი — ნიკო კერძღელაშვილის („ნარკანის“) შეხვედრები ვაჟა-ფშაველასთან	97
ეპერ რაზიკაშვილი — ცოტა რამ მამაჩემ-ბიძაჩემებზე	101
სიმ. ხხირტლაძე — უცნობი ფურცლები ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური ნაბრუნებიდან	109
შალვა მარკოზაშვილი — ერთი დღე ვაჟას ქალებთან	128

**კრიტიკა და კავშირისკენ**

აკაკი ვაწერელია — ქართული პოეზიის დიდება	133
პ. გუგუშვილი — ვაჟა-ფშაველა, როგორც პეზიციისტი	143
თამაზ ჩხენკელი — აღუდა ქეთელაური	154
ანა ლენინაშვილი — ვაჟა-ფშაველა და საბავშვო ლიტერატურა	159
ბენო დობოჯგანიძე — ბუნების ესთეტიკური აღქმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	165
ვალერიან ითონიშვილი — ვაჟა-ფშაველას წინაპრები	173
ს. ზუციშვილი — დიდი ბრძოლების კარიბჭესთან	179

**წიგნების მიმოხილვა**

გ. მესხიშვილი — ოტია იოსელიანის ნოველები	183
ილია შისურაძე — ნაშრომი ზევსურულ დიალექტზე	185
რ. კვიციანიძე — სასურაღლებო ნაშრომი ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე	197
მამისა ბერძენიშვილი — ჰეროდოტეს ცნობები საქართველოზე	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

ს ა რ ე დ ა ქ ე ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. შალვაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბელმოწერილი დასაბეჭდად 15/V111-61 წ. ქალაქის ზომა 70x108. ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12 1/2 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უფ 02601. ტირაჟი 5.600. შეკვეთა № 1104.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზოპოლიგრაფიკომპლექსების ბეჭდვათა სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ



## ვაჟა-ფშაველას უცნობი ღმკვები

ვაჟა-ფშაველას ღმკვების ასი წლისთავისათვის გამოცემილია „საბჭოთა საქართველო“ ზეთ ტომად სცემს მწერლის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა. კრებულში შედის ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი დღემდე უცნობი ნაწარმოები.

გვექვით ვაჟას დღემდე უცნობ რამდენიმე ლექსს თხზულებათა პირველი ტომიდან, რომელიც დასასტამბავად მოამზადებულია ზურაბ კუშმურთიძის მიერ. ამ ლექსების ავტორგრაფებია დატული სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (№ 15655, 15641, 15653).

• •  
•

გულზე წყლულები გამრავლდა,  
თავში ფიქრები ღელავენ;  
ზოგებს ჩაუცვამ შავები,  
ზოგნი ისევა ელავენ,  
ლაფიანს სინამდვილესა  
ია-ვარდითა ჰფერავენ.  
დაფლეთილს ობლის კაბასა  
ფერად ნაჭრებით ჰკერავენ...  
მიყვარს ნათელი ფიქრები,  
არ მტანჯვენ, არა მთელავენ.  
მტირალო შავო ფიქრებო,  
არ მამწონ თქვენი გოდება.  
დამწვარს და გაოხრებულსა  
კრემლის-ლა მინდა მოდება?!  
უსასოებას მიმოდღერებთ,  
ცოცხალს სულსა მხდით ძალადა.  
ჯერ ცოცხალი ვარ ისევა —  
ძალ-ლონეცა მაქვს მრავლადა.  
მომესიენით, წყეულნო,  
რა მნახეთ, გავხდი ავადა?  
დღეს ავადმყოფი, არ უწყით,  
ხვალ შევიქნები კარგადა!  
მოგიგდებიანებთ, არ გზიდავთ  
უსიამოვნო ბარგადა.  
შორს ჩემგან, შავო ფიქრებო,  
გამშორდით, დაიკარგენით,!  
იმით ეწყვიეთ, ქვეყანას,  
ვინც სტანჯავს ავის ჩადენით.  
თქვენ ჩემთან ხელი არა გაქვთ, —  
შემოსილი ვარ ნათელით.

საქართველოს  
ლიტერატურის  
ინსტიტუტი

ზღვა დამდგარიყო ცრემლისა,  
შიგა ჰყვაოდენ იანი.  
ნეტავი არ გამაგონა,  
ტურთავ, მე შენი ზიანი.  
შენკენ იტაცებს თვალ-გულსა  
ლალი ოცნება, ფრთიანი  
როცა ვერ გხედავთ თვალითა,  
დღე მილამდება მზიანი.  
მზეთუნახავის ნახვაცა  
უშენოდ ჩალა-ბზე არი.  
უშენოდ დღე მიბნელებდა,  
შენგნით კი ღამეც დღე არი.  
მე კი მიყვარდე. შენ-არა,  
ეს სადაური ზნე არი?!

ნეტავი როგორც მიწასა  
დაამშვენებენ იანი  
გაზაფხულზედა, ისე მე  
დღე გაიითენა მზიანი.  
სულს ობოლს, უპატრონოსა  
ალარა ჰღრღნიდენ ჭიანი,  
მისა შიდაშოც ჰშვენიოდეს  
თავ-ბოლოს ყვევილიანი,  
დასტრიალებდენ მერცხლები,  
ეხა აქვთ ჭიკჭიკიანი.  
ობოლის სულის ბალშია  
ბუღბუღის სტვენა მსძენოდა,  
იჩია ყეფით და „ტია-ტიო“  
თუნდა მრავალიც მწყენოდა.  
დავრდომილს, დაკუტებულსა  
ფეხზე ადგომა ჰშვენიოდა.  
მეც გულზე იმის პატრონსა  
სილადე გადამფენოდა.  
გამოლამებულს თვალეში  
ნათელი გადამფენოდა.

ანკარა წყარო მთიდანა  
 ეშურებოდა ბარადა —  
 გადადიოდა ლოდებზე  
 წვრილ მარგალიტის თვალადა,  
 თან ამას მოიმღეროდა,  
 ვით საპატარძლო ქალია:  
 — ნეტავ სულ ია-ვარდს ვრწყავდე,  
 იმდენი მომცა ძალია...  
 ნეტავ არავინ მამღვრევდეს,  
 არა მქელავდენ ღორები,  
 რაც ღმერთმა მომცა ბუნება,  
 იმას ნუმც გავეშორები.



კონსტანტინე გამსახურია

ტკბილხმოვანი ორფეოსი

სიყრმეში ვაჟა-ფშაველა წარმოდგენილი მყავდა როგორც ჩოხიანი დევკაცი, ფანდურით ხელში. უფრო მეტი: იგი თავჩაჩქნიან და თორიან ვაჟაკად მეოცნებებოდა. როგორ გავოცდი, როცა ქუთაისს ეწვია ვაჟა, საკმაოდ გახუნებულ ჩოხაში გამოწყობილი, არც მისი საკმაოდ დაბალი შუბლი და არც თვალეზი გენიოსობის ნიშატს არ ატარებდნენ.

მერმე ის იყო, მე უცხოეთს წავედი და სამშობლოდან მომესმოდა მისი გოლიათური ბუბუნი.

ჯერ კიდევ ძველ რომაელებსა და კელტებს, ფრანკებსა და გერმანელებს. სკანდინავიელებსა, ბრიტანელებსა და ირლანდელებს ჰყავდათ ხალხური მომღერლები, რომელნიც მეფეთა მიერ გამართულ საზეიმო სუფრაზე უმღეროდნენ ღმერთებისა და გმირების სიქველს.

ვაჟა ძველი საქართველოს რაინდული სიქველის წარსულის ბარდია. ხმალი და ლირა, ჩაჩქანი და რკინის პერანგი შეეძლო ეტარებინა მხოლოდ ვაჟას.

მსოფლიო პოეზიაში მე არ შეგულება ვაჟას ბადალი პოეტი, ასეთი თავისთავადი ორიგინალობით მოსილი. მისი გამოჩენა ქართული პოეზიის ვარსკვლავებზე იწვევს ჩვენს გულში აღტაცებასა და განცვიფრებას.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ ევროპის პოეზიაში უკვე დრომოკმულად ითვლებოდა ეპიკა.

ვაჟამ გააბათილა ლიტერატურის

კრიტიკოსების, მათ შორის უპირატესად ბრუნეტერის თეორია მწერლობის ევოლუციის შესახებ. გააბათილა იმის მტკიცებაც, თითქოს ჩვენს ეპოქაში, ეპიური ჟანრის პოეზია, სახელდობრ პოემა, ნონსენსიაო.

რუსთაველმა და გურამიშვილმა დაანათლეს ვაჟას დიდი მადლი.

პოეტის შეფასებაში ჩემთვის ერთი უმთავრესთაგანია ენობრივი პოზიცია ავტორისა, რადგან ენა იგივეა მწერლისათვის, რაც კომპოზიტორისათვის სამუსიკო ინსტრუმენტი. აქ ბევრი რამ ჰქონდათ სადავო აკაკი წერეთელსა და სილოვან ხუნდაძეს. მე სიყრმიდანვე ვაჟას მომხრე ვიყავი, და გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში მერხიდან ვუწვევდი ოპოზიციას ჩემს მასწავლებელს, სილოვან ხუნდაძეს.

იმ დროიდან მე არ შემცვლია შეხედულებანი ვაჟას ენისმიერი პოზიციების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად მუდამ აგრე მიმაჩნდა: ქართული ენის გენერალური ხაზი ეს არის ის მაგნიტური ველი, რომელსაც მწერალი არ უნდა გადასცდეს.

ვაჟა შუში გენიოსი იყო და, როგორც ცნობილია, გენიოსთათვის კანონი არ დაწერილა. როგორც პროვანსის, ისე გერმანიის პოეზიაში ზოგ-ზოგნი ვერ გადაცდებოდნენ ხოლმე კუთხურ მეტყველებას. ასე მოუვიდა გერმანელ პოეტს როიტერს. შედეგი ის იყო, რომ გერმანულ ენაზე მეტყველთა სამ მოთხელს მისი ენა აღარ ესმით.



ზოგს აგრე ჰგონია: ვაჟას კუთხური— ფშაე-ხევესურული დიალექტი რომ ვერ მოეშველებინა, ასეთ სიმალღეზე ვერ ასწევდაო თავის პოემებსა და ლექსებს.

მე კი ვფიქრობ: ვაჟა განზრახ გაემიჯნა ტრივიალურ პროვინციალიზმში გადაჭრილი მწერლების ენას.

ჩვენ ვიქსებით უსამართლო განმსჯელნი, თუ დიალექტიზმის ცოდვებს მოვხსნით ჩვენს კლასიკოსებს, ილიასა და აკაკის, მით უმეტეს დავით კლდიაშვილს, ე. ნინოშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, გიორგი წერეთელს, რომელნიც არ იყვნენ უცოდველნი ამ საქმეში.

ვაჟას ბარდული შემართება პოეზიაში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მან არც კი იცოდა თავისი დიდი ტალანტის ფასი.

უცნაური იყო ზოგ-ზოგი კრიტიკოსის მიერ იმის მტკიცება. თითქოს ვაჟა ველური, გაურანდავი ტალანტი ყოფილიყოს. საკმარისია გადაათვალიეროთ მისი კრიტიკული წერილები, რათა დარწმუნდეთ, რომ ვაჟა დიდად განათლებული ადამიანი იყო.



მსოფლიო მწერლობაში ორი საწყისი ებრძოდა ურთიერთს — მთისა და ბარისა. ამას ვაკვირდებით როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთისა და იტალიის ლიტერატურაში.

არსებითად ვაჟა-ფშაველა განერიდა არსიციზმებითა და ბარბარისმებით დაზიანებულ ქართულ ენას და, კემშარიტად „მარგალიტების მთესველმა“, ქართულ ენაში შემოუშვა მთაში გახიზნული ქართული ლექსიკური მარაგი და მისი მითოლოგია.

ვინ არ იცის, რომ მსოფლიო პოეზიის ფუძე ეგ არის სწორედ მითოლოგია. პინდური მახაბპარატას დიდი ციკლი, ჰომეროსის ორივე პოემა, სამხრეთ საფრანგეთის პოეზიის დიდი მესიტყვე-

ნი — ეს ყოველივე იყო საფუძვარი დიდი მასშტაბის ლიტერატურათა და პოეზიისა.

საგანგებო შესწავლას მოითხოვს ვაჟა-ფშაველას ბუნებისადმი დამოკიდებულება. ძველ ბერძნებს ბუნებაში ეგულებოდათ კეთილი და ავი ღმერთები. ფრანჩესკო ასიზელი ღვთისშვილებს უწოდებდა ცხოველებსა და ფრინველებს, ხოლო ვაჟა ბუნების ყოველ არსებაში ჰხედავს თავისი განუსაზღვრელი სიყვარულის საგანს. თვით იუბიკ მისი „წაწლებია“. ეს თავჩაჩქნიანი მთები, ხეები, ნადირები და ფრინველები მისი სიყვარულის საგანია. ამ დიდ სიყვარულს უძღვნა მან თავისი მინდია: მინდია თვით ხეებსაც არა „ჰკლავს“, ბოლოს, ოჯახისა და თემის მიერ შევიწროებული, იგი იძულებული ხდება ხე მოკვეთოს — აქედან იწყება შეცოდება.



ვაჟას პატრიოტიზმი უფრო მაღალია, ვიდრე მთის ტომების მეშუღლეობა. იგი მუდამ თავდაცვითი პატრიოტიზმის ბაირახტარი იყო:

სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყროთ,  
მკედარსაც კი ვაეცილება.

ეს არის პატრიოტიზმი ილიასი და აკაკის, ყოველი ჩვენთაგანისა.



ერთი და უდიდესი საქმე გააკეთა ვაჟამ: მან ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის დაუღო საფუძვლად თავის პოემებს. მერმე როდის? ისეთ დროს, როცა პოემებს აღარავინ სწერდა ევროპაში, როცა „პატარა ქუთის დიდი კოლოფები“

ამტიცებდნენ ყველა ხალხის ლიტერატურათმცოდნეობაში, თითქოს პოეტური ეპიკა მოკვდა და პოემების წერა საჭირო აღარ არისო.

ვაეას პოემებში მე განსაკუთრებით ვაფასებ მის „ბახტრიონს“.

თუ ადრინდელ ქართველ მწერალთა ნაწერებში ძეგლები და სარდლები წინ უძღოდნენ ხალხს, „ბახტრიონში“ თავად ხალხია მეთაური იმ ბრძოლისა და გამარჯვებისა, რომელიც თუშებმა, ფშაველებმა, ხევსურებმა და კახელებმა მოიპოვეს შამაბას პირველის ჯარებზე.

გოეტეს ექვსმარცვლიანი ლექსის დინამიკითა და ოსტატობითა დაწერილი ყვავე-ყორნებთან ბრძოლაში დაკოდილი მისი არწივი.

უახლეს საუკუნეებში არც ერთ ქართველ პოეტს ისე ომახიანად არ უმღერია თამარისათვის:

ქალო, ქართველთა სულისდგამე,  
ქალო, ქართველთა დედაო,  
ტუთილად ვამბობა შენს სიკვილს,  
თამარს ცოცხალსა გხედავო.

შენს და შოთაის მარჯვენას

ვემთხვიე ზედიზედაო.

შენა ხარ ერის სიცოცხლე,

თავი არ მამიკვდებო.

მოწყალედ გვექმენ ქართველთა,

ჩვენო ლამაზო დედაო.

ვინ იყო ეს „ჩვენი ლამაზი დედა?“ დიდი თამარი დავით აღმაშენებლის შვილისშვილისშვილი, რომელმაც ბრწყინვალედ განაგრძო გზა დავითისა, გზა დეფენსიური, თავდაცვითი პატრიოტიზმისა. თამარმა არამც თუ შეინარჩუნა განთავისუფლებული საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, არა ერთგზის შეაფიწროვა არაქსის გადამღელი სელჯუკები. თურქებმა კიდევ ერთხელ სინჯეს ანისის იავარქმნა, მაგრამ თამარმა აღდგომა დღეს წარგზავნა ანისს თავისი მამაცი სარდლები და ჯარი და განთავისუფლა მრავალტანჯუ-

ლი სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი.

დასავლეთ ევროპის ისტორიას ჯეროვანად არა აქვს შეფასებული ის დიდი დეაწლი, რომელიც დავით ქრისტიანულ ცივილიზაციას ქართველებმა, სომხებმა და ბერძნებმა. ქართველმა ერმა გასწია სამკედრო-სასიციოცხოლო ომი ისლამური რეაქციის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში ზედიზედ დაამარცხეს ევროპელი ჯვაროსნები სელჯუკებმა. რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი ამ აურაცხელი ურღოების გამკლავება. დავითის დიდი საქმე განაგრძეს მისმა ვაჟმა დემეტრემ, დემეტრეს ძემ გიორგი III და ბოლოს თამარმა.

მსოფლიო ისტორიაში არ მეგულება ასეთი დეფიციტობა ქალისა. თამარი ერთგვარ ათინა პალადად წარმოდგენილია ჩვენს ხალხურ პოეზიაში, მისი კულტი დღესაც არსებობს მთაში, ხოლო მისადმი უჭკნობი სიყვარული გვასხივოსნებს ჩვენ ყველას, დიდსა და გინდა მცირეთა.

საგანგებო მონოგრაფიების ღირსია ვაეას ლირიკა. იგი განსხვავებულია როგორც ქართული ისე ევროპული პოეზიის უბრწყინვალესს ნიმუშებისაგან.

ბრწყინვალეა მისი გამიჯნულება ქალისადმი, მისი გამიჯნულება ბუნების მიმართ.

თუ მეცხრამეტე საუკუნის პოეტები, როგორც საქართველოსა და რუსეთში, ისე ევროპაში, უმღეროდნენ დედოფლებს, თავადის ქალებს, პერცოგებისა და გრაფების მეუღლეებს და ასულებს, ვაჟამ უმღერა მთიელ წაწალ გოგონებს, „ფხვშიშველა ქალებს“, რომელნიც კაკაბივით დაგოგავენ ეროებში. აქ კიდევ ერთხელ თავს იჩენს მისი ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი.

თითქმის გასაოცარ სიფაქიზეს იჩენს ვაეა ქალისადმი.

ვაჟა-ფშაველა უბრალო ფშაველის ფეხშიშველა გოგონას უმღერის, როგორც „ფერდობში მოგოგმანე“ კაკაბს. ასეთივე სინატიფით მიმართავს იგი სატრფოს:


მინდა ვაკოცო, ვაკოცო,  
შენს თვალებს ვხედავ მღიპარეს,  
მაგრამ ვერსაით ვადმოვედ  
ამ სატილო მდინარეს.

მოიგონეთ ფშაველი ქალი ლელაი, რომელიც ბახტრიონის აჯანყებაში თავს დასდებს საშშობლოსათვის.

• •  
•

თავისებურია და განუმეორებელი ვაჟას პატრიოტული ლირიკა. მისი დაჭრი-

ლი არწივი ნამდვილი შედეგებია. შეუღარებელია ვაჟას მიერ, აპოლოგია, როგორც თავის „გველის-მჭამელში“, ისე სხვა პოემებსა და ლექსებში. უნატიფესი გრძნობებით უმღერის პოეტი მთების დიდებულებას, ღვიას და ქუჩს, ჯიხვებსა და არჩევს, ყოველ არსს, ყოველ ქმნილებას, დედა ბუნებას. მისი არწივები, მისი ჯიხვები და ჯეირნები მუდამ იარსებებენ ქართულ პოეზიის პანთეონში, როგორც მისივე ადამიანები, გმირები. ამიტომაც გვიყვარს ჩვენ ვაჟა-ფშაველა როგორც ტაბილზმოვანი ორფეოსი ქართული პოეზიისა.



## ნიკოლოზ ზინოვოვი

### ვაჟა-ფშაველა

უბრალოდ ცხოვრობს ის სხვებთან  
ერთად  
და არასოდეს ჩამოდის მთიდან,  
მაგრამ უეცრად გაჩნდება შენთან,  
თუკი მოუხმობ და გულით გინდა.

და მე მეცნობა, ასე მოსული  
აქ, ჩრდილოეთში, ზმანება იგი:  
შორი ჩარგალი, ბნელით მოცული,  
და დანისლული პოეტი ფიქრით.

იგი ზის მარტო ცეცხლთან დახრილი,  
მასში,  
მის გარეთ ღამის ხმა ისმის  
და უცებ, როგორც ელვის მახვილი,  
წყვილიადს გააპობს ტკივილი მისი.

რა ტკივილია, რა ნაღველია,  
რას ფიქრობს ნეტა ეს მარტოსული?  
იქნებ წარსულმა გადუხსნა წყლული,  
იქნებ იღუმალ რასმე მღერიან  
მთები და წამლად ვაჟას ელიან?

მთები არ არის ყორე ლოდების,  
ფიქრი ეხვევა შუბლზე ღრუბლებად...  
ის კი კაცია, ვისთანაც მოდის  
თვით ბუნება და გასაუბრება.

ფიქრებმა ღამე ასე შელეწეს,  
წყვილიადი გაპქრა და ლექსი დარჩა...  
ის წერდა: ვინმე მესხი შელექსე,  
ხოლო ეს დაწერს: ფშაველი ვაჟა.

მე ახლა ვფიქრობ მშვიდად და წყნარად  
და ვხედავ, რასაც ვერავინ ნახავს:  
ხეობას ღამის წყვილიადი ფარავს  
და ჩანს ქვეყანა ქედების გაღმა.

ჩვენთან გმირების მშვიდი მხარეა,  
იქ სულს სხვა ზარი აგუგუნებდა,  
იქ გრიგალია და ილეწება  
ქარში ვნებანი საუკუნეთა,  
ეს მთლიანობა არის ნისლევის,  
ადამიანის, ღამის და ცეცხლის,  
ბედნიერების, ტანჯვის, სიზმრების!

თარგმანი არჩილ სულაბაძისა.



ირაკლი ანდრონიკაშვილი

## ვაქა-ფშავედას შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა

როცა მშობლიური ფშავეთიდან თბილისის ესტუმრებოდა ცხენით ჩამოსული ახალგაზრდა ვაქა, მაღალ-მაღალი, ტანადი, ნათელთვალემა, წაბლისფერ-წვერულეაშიანი, შალის ჩოხიანი, წელზე — შავქარქაშიანი ხანჯლით, შედგებოდა ჩერქეზოვის ქუჩაზე „ივერიის“ რედაქციასთან და ამოალაგებდა ხურჯინიდან ჩარგალში ბუხართან ნაწერ ლექსებსა და პოემებს. — განა რომელი გამვლელთაგანი იფიქრებდა მაშინ, ეს მთიელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტია — გენიალური ნიჭისა და უზარმაზარი კულტურის მქონე ადამიანიო?! ადამიანი, რომლის თანამოსაუბრენი ჩარგალში იყვნენ რუსთაველისა და დანტეს, პლატონისა და სოკრატეს, სერვანტისის, შექსპირისა და გოეთეს, პუშკინისა და ბელინსკის, ნეკრასოვისა და ლევ ტოლსტოის წიგნები.

ამბობენ ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა ვაქა-ფშაველას ლექსები და წამოიძახაო:

— დროა, ჩვენ ბებერმა პოეტებმა, კალამი ძირს დავდოთ და გზა ვაქა-ფშაველას დაველოცოთო!

ილიამ განსჭვრიტა ფშაველი პოეტის განსაკუთრებული გზა, მან გაიგონა თავისებური ახალი ხმა. XVII — XIX საუკუნეებში საქართველოში ცოტა როდი იყო შესანიშნავი ლირიკოსი პოეტი, რომელთა ქმნილებანი გამსჭვალული იყო მოქალაქეობრივი მგზნებარებით, მაგრამ ასეთი ეპიკური გაქანების პოეტი არ ახსოვს საქართველოს რუსთაველის შემდეგ!

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ აქურ-

თხა ილია ჭავჭავაძემ ვაქა-ფშაველას მუზა — ეს იყო ოთხმოციან წლებში, მას შემდეგ სულ გავიდა ერთი ადამიანის სიცოცხლის ოდენი ხანი. ხოლო ვაქას ქმნილებები ამ ხნის მანძილზე ცნობილი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ გაცდა მის ფარგლებსაც. მას კითხულობენ და პატივს სცემენ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები. წელს კი მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიიღო დადგენილება ყველა ქვეყანაში ფართოდ აღინიშნოს ვაქა-ფშაველას იუბილე. და თავდაბალი ჩოხოსანი მხედარი დააქროლებს თავის მერანს ქვეყნებსა და კონტინენტებში და მას თან დაყვებიან მისი გენით შექმნილი დევგმირები — ზეზვა, ლუხუმი, ალუდა, მინდია, ჯოჯოლა, და ზვიადაური, რომელთა გულს აღანთებს და აღაფრთოვანებს გმირობა. კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული და ხალხთა შორის მშობისა და მშვიდობის მგზნებარე მოწოდება.

შექმნეს დიდმა პოეტებმა მრავალი გენიალური ქმნილება, რომელთაც ხოტბას ასხამს და პატივს ცემს მთელი კაცობრიობა. მაგრამ ამ ქმნილებებში ვერ ნახავთ ვაქა-ფშაველას ბუმბერაზთა მსგავს გმირებს. რადგან ღრმად ნაციონალურმა და თვითმყოფადმა პოეტმა მთელ მსოფლიოს ამცნო თავისი განსაკუთრებული, განუმეორებელი სიტყვა და ჩაღვა მსოფლიოს უდიდეს პოეტთა რიგებში.

როცა ახსენებენ ვაქა-ფშაველას შემოქმედებას, ხშირად ივონებენ შექსპირის სახელს და ლაპარაკობენ შექსპირსებურ მასშტაბზე. ვაქას გმირთა შექს-

პირისებურ ძლიერებაზე. დიან, ვეას ქმნილებებს ბევრი რამ ანათესავებს დიდი ბრიტანელის ტრაგედიებთან—ტრაგიკული შეჯახებები, სადაც წყდება სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემები, მძლავრი ხასიათები, სადაც გახსნილია ადამიანურ გრძობათა მთელი სამყარო, რაც მოცემულია ისეთ განზოგადებაში, რომ, თავისი ქვეყნისა და ფარგლების გადალახვისას, ისინი ზღებიან ყოველი ხალხის კუთვნილება, ყოველი კულტურის განუყრელი ნაწილი, ადამიანური ღირსებებისა და ბიწიერების საზომი. ფილოსოფიური სიღრმე ვეას ანათესავებს შექსპირის შემოქმედებასთან, ვნებათა შექსპირული გაქანება, რომელიც მთლიანად დაუფლებია გმირებს, სხვანაირად რომ ვთქვათ — შექსპირისა და ვეა-ფშაველას პოეზიის მასშტაბები ანათესავებენ მათ ერთმანეთთან. თვითონ ვეა მაღალ შეფასებას აძლევდა შექსპირის ქმნილებებს, მის სიღიადეს ხსნიდა ცხოვრებისადმი ერთგულებით ანდა, როგორც თვითონ ამბობდა, ბუნებისადმი ერთგულებით. „შექსპირი დიდია, — ამბობდა ის, — რადგან თვით ბუნება უდიდესი სისავსით მკადუნდება მის ქმნილებებში“. დღეს ჩვენ მსოფლიოს უდიდეს პოეტთა რიგებში ვაყენებთ თვით ვეას, რომელმაც ასე ზუსტად და გენიალურად ასახა თავისი ხალხის ცხოვრება, მისი ხასიათი და თქმულებადმოცემები. ასეთ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის უილიამ შექსპირი და შოთა რუსთაველი.


როცა ვლაპარაკობთ ვეა-ფშაველას მსოფლიო მნიშვნელობაზე, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ სახელები მისი

მთარგმნელებისა — შესანიშნავი რუსი პოეტებისა რომელთაც გამოიჩინეს პოეზიისადმი მეგობრობის ნამდვილი გმირობა. არ შეგვიძლია არ დავასახელოთ ნიკოლოზ ტიხინოვი, ბორის პასტერნაკი, მარინა ცვეტაევა, ვლადიმერ დერკავინი, სერგეი სპასკი, ვერა ზეიაგინცევა, არსენ ტარკოვსკი, და, განსაკუთრებით, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, რომელმაც ხელახლა სთარგმნა ვეა-ფშაველას ლექსებისა და პოემების საგრძნობი უმრავლესობა. ამ პოეტებმა რუსი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადეს ვეას ქმნილებანი, რუსული ენის მეშვეობით ის ცნობილი გახდა მსოფლიო მკითხველისათვისაც...

ვეა-ფშაველა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრობდა და სუნთქავდა ხალხის ცხოვრებით — იარაღს ისხამდა, როცა საქმე ეხებოდა სამშობლოს თავისუფლებას, ხნავდა მიწას, მოკყავდა მოსავალი, ნადირობდა. სახალხო პოეტის ნიჰს იგი ზომავდა იმით, რამდენადაც პოეტს ესმის თავისი ხალხისა და ქვეყნის გაჭირვება, მისი სიღუპიერე.

ვეას სწამდა ხალხის მომავალი, თავისი მშობლიური საქართველოს მომავალი და როცა მოგვემართედა ჩვენ, თავის შთამომავლობას, წერდა, „ანდერძში“:

რად უნდა დარჩეს ტილად  
 ცრემლით მორწყული მღერანი?  
 მინდოდა, ჩამოგვასხებდით  
 საფლავში ერთად ყველანი:  
 „შვილთ აგისრულეთ ნანატრი,  
 აწ განისვენეთ ტუბილდა,  
 ჩვენაცა დაიწერინით  
 ქართველ მამულიშვილდა“.



## ალიო ალაიო



ლობისკენ წახრილი ჯარგვალი.  
შელის ნუკრი. ზღაპრული ეთერი.  
პატარა წისქვილი. ჩარგალი.  
ქედებზე ღრუბლები თეთრები.

საფქვავე დილამდი კმაროდის.  
თენდება,  
ხევებში ნისლია.  
წისქვილში კვამლი რომ ამოდის  
ვაჟასი,  
ვაჟაისია.



მეავე წყალთან ღრუბლით დაუფარავი  
არაგვის ცა, — იისფერი სარკე.  
ქალებს ცალკე გაუმართავთ კარავი,  
მამაკაცი დაუდულან ცალკე!

შელამდება.  
შემუქდება ბორცვები.  
ბნელს ყინელილად შეენთება კვარი!  
და ვაჟას სულს რიგრიგობით ლოცავენ  
შელის ნუკრი და დაქანცული  
მგზავრი...

## სიზმარი

ფშავის გზაზე, შეღამების ბინდში,  
არაგვისპირს ავადევენე ცხენი.  
და ჩემს თვალწინ აღიმართა ნიში —  
ხალიანი პატარძალი ხევის.

ლოცვად იდგა მარიამი წმინდა,  
ხელში ეპყრა უჩვილესი ბავშვი;

და ვარსკვლავი ჩამოსული ციდან  
ანათებდა მარტოდმარტო ფშავში.

მერე შუქად მოეფინა დილას,  
ნათლის სვეტი შეუყენა ლაქვარდს! —  
მოდრიოდნენ ფშავის გზაზე წყვილად  
შელის ნუკრი და ფეხშიშველი ვაჟა...



## კონკრეტი ზალინსკი

### ჩირალღანი მთებში

ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი და აღამიანი, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი მოვლენა იყო. ასეთი პიროვნება არასოდეს არ გაიზრდებოდა დასავლეთ ევროპასა, ანდა ამერიკაში. ეს იყო მთელი, რომელიც დაეწაფა გრაალის საეხე თასს, სწავლობდა კანტსა და ჰეგელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში და ზურგი შეაქცია ცივილიზაციის მომხიბვლელ დოვლათსა და ბარაქსს, რათა მთებში დაბრუნებოდა თავის წინაპართა პატრიარქალურ ცხოვრებას. მას სულს უხუთავდა კაპიტალისტური ქალაქი, ისე როგორც აშოთბდა იგი დოსტოევსკისა და ტოლსტოის. და ვაჟა-ფშაველამაც უარი თქვა ცივილიზაციით დამახინჯებულ ქალაქზე, რომელიც ამახინჯებდა ადამიანსაც.

მაგრამ მას ჰქონდა ის, რაც არ გააჩნდა არც ტოლსტოის, არც დოსტოევსკის, არც ბალზაკს, არც უოლტ უიტმენს და თვით ესენინსაც კი.

მის ზურგს უკან იყო კაპიტალისტური ცივილიზაციისაგან ხელშეუხებელი, პარველყოფილი სიმშვენიერით თითქმის პომეროსისებური პატრიარქალური ცხოვრება თავისი მშობლიური მთების სიღრმეში. და იგი დაუბრუნდა მას, თან ჩაიტანა ფილოსოფოსთა წიგნები, პოეტთა თხზულებები, რათა შეეტანა ყოველივე ეს ქვეებისაგან აგებულ სახლის სახურავქვეშ.

მე ვიყავი ლეკა რაზიკაშვილის თანამედროვე. მაგრამ იგი არასოდეს არ მი-

ნახავს და წინათ არ მიფიქრია მის არსებობაზე. შორეული საქართველოს დიდი პოეტის ლექსები, მისი სახელი, ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა მოსკოვში ყველა ჩვენგანს. ეს რევოლუცია წარმოადგენდა იმ გასაღებს, რომელმაც ყველა ჩვენგანს მოგვცა საშუალება მიეწვდომოდით საბჭოთა ხალხების გასაოცარ საგანძურს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას გავეცანი რუსული თარგმანებით ოცდაათიან წლებში. იმ დღიდან ამ პოეტის სახე ჩემს ცხოვრებაში დამყვება როგორც მშვენიერი ზმანება. ის წარმომიდგება უბრალო ტანსაცმელში, გარშემორტყმული მეგობრებითა და ქალიშვილებით. იგი უკითხავს მათ ლექსებს, მექანიკურად აწნავს თითებს ცხვრის ხუჭუჭსაწმისში. აქ ყველაფერი დიდია, ნიჟის ძალაცა და თვალთახედვის სიღრმეც. მის მთლიან გარეგნობაში მოჩანს ეპიური სიდიადე. მისი პოემები სუნთქავს ხალხური სიმართლით, ლეგენდების სიმშვენიერით, — მსგავსად იმისა, როგორც მდინარე გვანიჭებს სივრცის თვადახრილი ხეების ჩრდილში.

ვის შეეძლო მისი „გველისმკამელის“ სიუჟეტის მოფიქრება? ამ და სხვა მისი პოემებშიაც არის ბუნების ის მთლიანობა, რაც უკვე დავკარგეთ ჩვენ, დიდ ქალაქებში მცხოვრებლებმა. ალბათ ფრინველები მართლაც ასხდებოდნენ მას მხრებზე და მასაც შეეძლო მათთან საუბარი ფრთოსანთა ანდა ხეების ენაზე. მის პოეზიაში ყველაფერი გაცოც-

ხლებულია. ყველაფერს თავისი ხმა აქვს. და, ვაჟა-ფშაველას კითხვისას, გრძნობ, რომ ადამიანი არა თუ მარტოა ამ ქვეყანაზე, არამედ მისი ხმა ერწყმის ყველა სულდგმულის გუნდს, რაც ადიდებს მშვენიერებას და აგრეთვე სიკეთეს. მასშია პატრიარქალური სიკეთე, და წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო ვაფასებ ადამიანთა ამ თვისებას. ვაჟა-ფშაველა ხანდახან გამოჩნდებოდა თბილისში, დაეშვებოდა მთებიდან, რათა რომელიმე რედაქციის მაგიდაზე დაედო თავისი ხელნაწერები. არ ვიცი, ესმოდათ თუ არა მისი მაშინ? ვაჟა-ფშაველა არ იყო ლიტერატორი.

იგი იყო რაღაც უფრო დიდი. ეს იყო ადამიანის ხმით მომღერალი ბუნება. ეს იყო ხალხი, რომელიც მისი პირით აღმოთქვამდა თავის ეპოსს, თავისი სულის უმშვენიერეს სიმღერას. დაბოლოს, ეს იყო ჩირალდანი იმ კოცონიდან, რომელსაც აღანთებს პოეტი. მასთან იკრიბებიან ადამიანები. და ეს ჩირალდანი სულ უფრო და უფრო მალლა მიიწევს. მას ახლა ყოველი მხრიდან ხედავენ. მას—ვაჟა-ფშაველას — ვხედავთ ჩვენც, მოსკოვიდან. და მე ვიწვდი მისკენ ხელს, რათა ვიგრძნო დიდი ეპიკოსი პოეტის სულის სილამაზე და სიბზო.

მოსკოვი  
ივნისი 1961 წ.

ღამო სუბაბიძე

ვაჟა მიხმოზდა და მაქეზეზდა

მე ისე, მართლაც

ვაჟას არწივის  
მსგავსად, დაპრილი ვეგდე ველზედა.  
ყორნები ფრენდნენ და ხელგაწვდილი  
ვაჟა მიხმოზდა, ვაჟა მეძებდა.

მე ისე, მართლაც, —

მოსისხლის მსგავსი,  
გზაზე ვილაცა შემომხვედრია.  
მოსისხლეს ცივი ლუდიც კი ვასვი,  
კაცნი ვართ, ჰოდა, ეგეც ხვედრია.

ვერ მოვჭერ ხე და

გაანჩხლდა ცოლი,  
„ბაღთ შემცივდა“, შემომიტია.

დეკას და ღვიას ფესვებთან მწოლი,  
მე მართლაც ისე ვგავარ მინდიას.

მე ისე, მართლაც,

ცალთვალა დევი  
მხარში მედგა და ღონეს მმატებდა.  
თუ შემხვდებოდა უღრანი ხევი,  
გზას მიკვალავდა და მინათებდა.

მე ვინ ვარ, აბა

რას დავეწერ კვართან,  
მწერიც არა ვარ ცალთვალა დევთან,  
და მაინც ისე, მეც შემიყვარდა  
ჩემი პატარა ლხენა და სევდა.

მე ისე, მართლაც,

ვაჟას არწივის  
ფრთაზე ვიწევი ტრიალ ველზედა,  
ყორნები ფრენდნენ და ხელგაწვდილი  
ვაჟა მიხმოზდა და მაქეზებდა.



კამილ იაშენი

ვაჟა ფშაველას ახლოგედი და ძვირფასია

უზბეკეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი

94

ქართველ ხალხს, რომელმაც მთელ მსოფლიოს მისცა გენიალური შოთა რუსთაველი, შეუძლია იამაყოს აგრეთვე დიდი პოეტით — ვაჟა-ფშაველათი. ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლის-თანეს მოძმე ქართველებთან ერთად აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

ვაჟა-ფშაველა, ანუ როგორც მას ეძახდნენ — ფშავეთის მამა, ავტორია მრავალი ეპიური პოემის, ასეული ლექსისა და მოთხრობის, მრავალრიცხოვანი პიესების, ნარკვევებისა და სტატიების. მისი ნაწარმოებები ფართოდაა ცნობილი ჩვენშიაც — უზბეკეთში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ღრმად ხალხურია. ეს მხოლოდ იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ცხოვრობდა მშობლიურ მთებში, მდელოებსა და ტყეებში და კეთილსინდისიერად შრომობდა, მან პირველყოფილსა თავისი ცხოვრება და შემდეგ თავისი გენიალური შემოქმედება დაუკავშირა მშობლიურ ხალხს.

ვაჟა-ფშაველაზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც მან პუშკინის შესახებ გამოთქვა:

„მან შეისისხლხორცა ერის საუნჯენი და სწორედ ამაში გამოიხატება მთელი მისი დიდებულება“.


აი, სწორედ ამიტომ არის, რომ ვაჟა-ფშაველას ღრმა ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესს ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ იჩენდნენ როგორც ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელი, ისე რიგითი უზბეკი მკითხველები.

ახლა ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი: შუქრულო, საიარი, აზიზ აბდურაზაკოვი და სხვანი სიყვარულით კითხულობენ და სწავლობენ ვაჟა-ფშაველას პოემებს.

ვაჟა-ფშაველა ოსტატურად იყენებდა გადმოცემებსა და ხალხური შემოქმედების ლეგენდებს, კმნიდა მრავალფეროვან მონუმენტურ ეპიკურ ნაწარმოებებს.

თავის პოემებში გენიალური პოეტი უმღერის სამშობლოს განუმეორებელ სილამაზეს, გმირ მებრძოლთა სიმამაცესა და ვაჟაყობას, ძლიერებასა და გონიერებას. მაგრამ მთიელთა მკაცრი და სასტიკი კანონები ხშირად ეღობებოდნენ ადამიანობისა და სიკეთის გამოვლენას. ამის გამო იყო, რომ ვაჟა-ფშაველა მთელ თავის სიმპათიებს ავლენდა ადამიანურობისადმი და იბრძოდა სამართლიანობისათვის. თავის ნაწარმოებებში ის ხშირად ილაშქრებდა მთიელთა ჩამორჩენილი და მკაცრი ადათწესების წინააღმდეგ. მაგალითად, პოემა „აღუდა ქეთელაურის“ მთავარი გმირი აღუდა აღტაცებულია მტრის ვაჟაკობით და კეთილშობილებას იჩენს მის მიმართ. ადათის თანახმად აღუდას მოკლული მტერი აბუჩად უნდა აეგდო, მარჯვენა მკლავი უნდა მოეპრა მისთვის. აღუდა ამას არ აკეთებს. ამის გამო მას თანასოფლელები სჯიან, სოფლიდან აძევებენ მოხუც დედასთან, ცოლთან და წერილშვილთან ერთად.

გენიალურმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ უკრდავი სახელი და დიდება მოიხვეჭა არა მარტო თავისი პოემების პატარა-პატარა პეროიკით, კიდევ იმით, რომ



გაილაშქრა უსამართლობის წინააღმდეგ.

პოეტი დარწმუნებულია იმაში, რომ კეთილი მოღვაწეობა და ხალხთა კეთილდღეობა შრომასთან და მშვიდობიან ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. დიდი პოეტი ასე ასკვნის პოემა „გოგოთურ და აფშინაში“:

ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,  
არად — ვიწნოთ ცელია,  
ნადავლით, ნაყაჩაღართ,  
კაცის დარწმობა მწელია!“

უზბეკ ხალხს ვაქა-ფშაველას შემოქმედებაში მის ნაწარმოებთა პეროიკასთან ერთად იზიდავს, მის მიერ შექმნილი გმირთა რთული სახეები, ღრმა ლი-

რიზმი და თვით ავტორის ადამიანური გრძნობიერება.

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა ვაქა-ფშაველას გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი ხსოვნა საუკუნეების მანძილზე არ გაქრება, ხალხში სამარადისოდ იცოცხლებს მისი სახელი, რადგან გენიალური პოეტი ახლობელი და ძვირფასია ყველა ხალხისათვის, ახლობელი და ძვირფასია ჩვენთვისაც — უზბეკებისათვის!

ვაქა-ფშაველას შემოქმედებამ მოიპოვა მსოფლიო მნიშვნელობა. თავისი ნაწარმოებებით ის დღესაც ჩვენთან ერთად იბრძვის მშვიდობისა და სიკეთისათვის, ნათელი მომავლისა და სიმართლისათვის.



## უახლესი მომენტები

### მთაწმო მალაქაძე

ფშავეთის მთაწმო მალაქაძე,  
რა ელვა მოგიხურიათ?  
ხომ იცით, თქვენი ალერსი  
და სიყვარული მწყურია?

მოველ, რომ გითხრათ მალაქაძე,  
გრძნობა გრძნობაზე დავწურო  
და კალმანივით ეს გული  
არაგეში გადავაცურო.

ეგრე აუშვით აფრები,  
ეგრე ცას ღიმი შევფინეთ,  
ერთსა გთხოვთ, ვაჟას საკადრი  
სიმღერა გამაბედვინეთ.

თქვენი ნაყურით გაზრდილა,  
თქვენი დეკა და ლვიანით,  
მიტომაც ვაჟას აზრი აქვს  
ლალიან-ბარაქიანი.

თქვენ რამდენჯერაც ვეფხვებმა  
ქარივით გადაგიჭროლეს,  
სუყველა შემორჩენია  
ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს.

თუ სადმე გედმა გიმღერათ,  
დალის ცვარ-ნამმა ინათა,

შვლის ნუკრის ცრემლს და წყაროს  
ფიქრს  
ვაჟას ლექსები ინახავს.

დღისით გუგუნებთ, ღამით კი  
ცეცხლის სვეტივით ბურბურებთ,  
მაგ თქვენს კალთებზე ირემი  
თუ ვაჟას ლექსი ბუბუნებს?

ის სხივი, მთაწმო მალაქაძე,  
თქვენ რომ ლექსებში უკმეფდით,  
სამშობლოს ცის ლაქვარდებში  
ყველა ჩახჩახებს უკლებლივ.

სადაც არ უნდა წაიდე,  
თავი როგორ არ დაეხარო?  
ვაჟას წიგნს გავეშლი და უცებ  
იქა ხართ, მთაწმო მალაქაძე.

მესმის არწივთა ყივილი,  
ჯიხვთა და ვეფხვთა ბუხუნი,  
ვაჟა-ფშაველა თქვენს მალაქა  
დამდგარა როგორც ლუხუმი.

ისევეც ეალერსება  
დეკას, ლვიას და გვირილებს,  
ისევეც გულის შუქს აფენს  
სამშობლოს გზებს და ბილიკებს!

ზარაბ ღოთქიშანიძე

შემოდირდა ვაჟა თბილისში...

მთიდან ბარამდის მებ-მეხად სქექდა,  
დანატრულები მის გვერდით ისხდნენ.  
და თუ სიკედელი ვერ დაიპერდა,  
პირს იბრუნებდა ორ დღეში მთისკენ.  
ვაჟა თბილისში შემოდირდა,  
ფეხთ მწვანე ქუჩის ეცვა ბანდული,  
ხელთ უქანგავი ეპყრა ფანდური  
და ამ ზევს მთისას გული სტკიოდა.  
ბარში ელოდნენ ერის კაცები:  
გულით ილია, გულით აკაკი.  
ვაჟა მისდევდა გზას აღტაცებით,  
ვაჟას მისდევდა გზაში არაგვი.  
ვაჟას მხარს ედგნენ,  
მოსდევდნენ ვაჟას  
შავი დეეები, ტან-თაე-შიშვლები.  
წინ ეშლებოდათ ბუნების ფარჩა  
და ზედ დახტოდნენ სათუთი შვლები.  
შველი,  
შელის ნუკრი,  
ხეობის ფარჩა  
იყო ვაჟაკის მშველელ-მკურნელი...  
შემოდირდა თბილსში ვაჟა,  
შემოდირდნენ საუკუნენი.  
სულის მხურვალე თაქარებაში  
სტიქიონებთან ჰქონდა ჭიდილი.  
თაქარა მზეზე ეხურა ბარში  
წამოყოლილი წიფლების ჩრდილი.  
ქალაქის კარებს მოადგა ნელა  
ქალაქის კართან მუხლზე დაეცა,

იის პერანგის ამარა ლელა  
ვეება ხელის გულზე დაესვა.  
ვაჟა თბილისში შემოდირდა,  
ფეხთ მწვანე ქუჩის ეცვა ბანდული,  
ხელთ ბიბლიური ეპყრა ფანდური  
და მუდამ, მუდამ გული სტკიოდა.  
იყო რაინდულ სულთა თაობა,  
მტრებს ღირსეული მხნეობით შეხვდა.  
სისხლ-ზორციანად ნათესაობა  
მას ჰქონდა კლდესთან, გრიგალთან,  
მებთან.

ეცოდებოდა ია სეტყვაში,  
ბუდე ნაგლეხი ტალახ-ბალახით.  
იამხანაგა ცხოვრების ზღვაში  
მთანი მაღალნი, შლეგი არაგვი.  
ახსოვთ ასეთი ვაჟა-ფშაველა...  
წაჩოქებულეც ახსოვთ ამ ქუჩებს.  
სარკმლიდან ფოთლებს სურდათ ჩაბ-  
ვივნა,  
გარედან შესვლა უნდოდათ ბუჩქებს.  
შემოდირდა...

შემოდის დღესაც,  
ფეხთ მწვანე ქუჩის შეენის ბანდული.  
გრძნეულს უპყრია ხელში ფანდური,  
მარადისობით გადარჩენილი.  
შემოდის დღეთა თაქარებაში,  
სტიქიონებთან ბრძოლით, ჭიდილით.  
თაქარა მზეზე ახურავს ბარში  
ჩამოყოლილი წიფლების ჩრდილი.

## ბიოგრაფიული

# ჩ რ მ ხ ი

სკოლიდან მზიარულად გამოცევი-  
ნულ ბავშვებს სოფლის დიდ ცაცხვ-  
თან დაგვხვდებოდა ჩორები და რო-  
გორც ბატონებს მწყემსი, ისე გადაგვა-  
ჩხევდა რამდენიმეს, და გემოძღვრიდა,  
გვწვრთნიდა, გვრჯულავდა, გვასწავ-  
ლიდა...

ჩვენი ნამდვილი მასწავლებელი,  
მართლა, ჩორები იყო და არა ჭროლა  
ლონგო, რომელმაც თავისი გაკვეთილ-  
ების მეტი არაფერი არ იცოდა!

დარბაისელი ჩორების საგანი ერთად-  
ერთი იყო — საქართველო და მისი სიყ-  
ვარული!

და აი, ახლაც, ცაცხვის ქვეშ, გვიკით-  
ხავს „ქართლის ცხოვრებიდან“ თევდო-  
რე ღვდღის თავდადებას და ბოლოს,  
ლოცვისათვის ჩაგვიკითხავს ზეპირად,  
როგორც გულში ვადამდნარ საკუთარ  
გულსიტყვას: და ჩვენ ხმამაღლა ვაგვა-  
მეორებინებს „კალმასობიდან“:

— „ქართველნი წინაპარნი ჩვენნი  
იყვნენ თუმცა კირთებასა შინა სხვათა  
და სხვათა მპყრობელთა მიერ — მაკე-  
დონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთა-  
გან, ეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვი-  
თთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან,  
მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმა-  
გრე სულისა ვერა დაატოვებინეს, იძ-  
ღევენენ და სძლიეს, იღვევენ და გან-  
ღვენეს და ესრეთ მოიგეს უკვადავებისა  
სახელი!“

ამ სიტყვებზე ჩვენ ვბორგავდით, ვბო-  
ბოქრობდით, აღარ ვიცოდით, სად წა-  
გველო ხელები.

რა გვაწრთობდა მაშინდელ ქართველ  
ბავშვებს: — „ღედა ენა“, „ჯეჯილი“ და  
ცარიზმის სიძულვილი!

მამულის თავისუფლების აზრის ცე-  
ცხლი იძვროდა ჩვენს სულში, მან და-  
აალმურა ჩვენი გონებაც და უკვე მო-  
ზარდები, მამულის სევდით სახეშეკომ-  
ლილები დავდიოდით. ეს სევდა გვაკა-  
ეებდა მაშინაც, უღვაშის გინგლი რომ  
დაგვეტყო, როცა „ყოველივე ფერმკრ-  
თალდებოდა ოცნების წინაშე“!

თუ აქამდე ჩვენ გვწამდა „წმინდანნი  
ზეცისანნი“, ახლა შემოგვესიგნენ „წმი-  
ნდანნი ქვეყნისანნი“, — ჩვენი ქვეყნის  
მამულიშვილები, ვახტანგ გორგასალი,  
დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი  
ბრწყინვალე და, როგორც ჩორები იტ-  
ყოდა, „ხმალშეუხსნელი ერეკლე“!

ერეკლეს სახელს ჩორები უსათუოდ  
ოხვრით დაატანდა: — ა, ბეჩავ, ბაგრა-  
ტიონი!

ბაზალეთის ლერწმოვანები ჩვენთვის  
საიმედოს მღეროდნენ და ყურიც კარ-  
გად არჩევდა შორეულ მუსიკას.

„უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ,  
დაივიწყენ მარჯვენე ჩვენი!“ — ეს იყო  
ჩვენი პირველი აღთქმა მამულისადმი,  
აღთქმის საყვარელი გამოთქმა!

— ემთხვეინით ქართულ მიწას! —  
და ჩვენც ვემთხვევოდით.

— აეოცეთ წარსულის ნაშთებს! —  
ჩვენც ვასრულებდით ჩორების ბრძანე-  
ბას და ძველი ტაძრის თუ კოშკის ხავ-  
სიან ქვებს დაჩოქილები ვეამბორებო-  
დით.

ბავშვი ისე არ გაეტირება თავის ღე-  
დას, როგორც ჩორები მისტიროდა სა-  
ქართველოს ძველ დიდებას.

გაშლიდა რუკას, შემოგვისხამდა  
გარს, დაადებდა თითს რუკაზე:

— მესხეთი, — შეეალერსებოდა, თან

ღიმილით იტყოდა, — ჩემი გვარიც იქიდან არი! იქიდან ვართ წამოსულები!

— სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო. ერუშეთი, სრულიად ქანეთი, — აი, ძველი საქართველოს ნატამალი! იქ გამოიგონეს ქართველებმა პირველი ფოლადი; იქ დაარტყა პირველად ურო თუბალაურმა!

„აწ მტვრად აღგვიღან იგი ძალი და იგი ღანე“!

ჩორჯი თვალნათლივ ჰხედავდა საქართველოს კრილობებს, თითქოს ხელს ურევს ამ წყულულში და იქიდგან იღებს გამოუღვევლ ძალას ბრძოლისას, სიყვარულისას!

ეს იყო მისი გულის ნაღარი. უცბად დაეცემოდა გულის სიღამე:

— ვაი, ნოხრობას, დაქცეულობას! არ გესმით ნანგრევების ღაღადისი?

— ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შეფერხებული ისტორია, მოგვეცე განახლების ძალთა ღონიერება! ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი.

— აღსდგე, საქართველო! — თან ფეხს ღონიერად დაარტყამდა მიწას.

— აღსდგე, ღმერთო და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდენ მოძულენი მისნი, პირისაგან მისისა!

— ესე არის დღე იგი, რომელი ქმნა უფალმა! ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა! — თითქოს წინასწარ ზეიმობდა ჩორჯის სული! — მალე გავიგონებთ მომავლის ხმას, მალე!

მაგრამ უეცრივ მოიღუშებოდა მისი შავი და შკაცრი სახე:

— შეე ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! რაღა ამოიყვანს?

— რამ შეგადარდა, ჩორჯხო?

— რად დაჩუმებულა საქართველოს წიაღი, რად? მესია რად აგვიანებს? — გმინავდა ჩორჯი.

— პატარა ხალხი ვართ! ეპ, რაც მკლავზე სისხლი დაგვდენია! სულ სისხლმა იავდრა ჩვენს მიწაზე! აი, ეს მარწყვიც კი, ჩვენი წინაპრების სისხლის წვეთია. — იტყოდა ჩორჯი, როცა მარწყვს მოსწყვეტდა.

— ქალღმერთო მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა საქმე, საქმე! — და თვლებში რომ სევდას შეგვატყობდა, გავამხნევებდა: — ისევ დაისხავს ჩვენი ვენახი, ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი ნუ გეშინიათ!

იმედის დაოქრობაც კარგია! რა ვქნა, რა ვუყო ამ სიყვარულს, სათქმელად რომ დულდებდა გულში...

— ქულზე კაცი! ქულზე კაცი გამოვიდეს და დაეხსნათ მამული! — შესძახებდა უცბად აგზნებული ჩორჯი და თვალეში ცეცხლით ევსებოდა.

— ქულზე კაცი! — ყვიროდა ჩორჯი და ცოლი ორივე ხელს პირზე აფარებდა:

— დაჩუმდი, კაცო, არ გაგიგონ, არ დაგვლუპო!

და ჩორჯი უღონოდ მიეშვებოდა ტახტზე.

— ო, ყური მომიგდეთ, რა არის თქვენი სამშობლო და კარგად დაიხსომეთ! — გვეტყოდა ბავშვობაში და თვითვე მიუგებდა — „გარნა არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ“!

— „ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახილითა, თესლმარცვლითა, ფრინველნი მრავალნი, გარეულნი და შინაურნი, ზამთარ თბილი და მშვენი, ზაფხულს შეზავებული. წყარონი ციენი, მშვენი, ქალატყენი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი“ — ო, აი, ჩვენი სამშობლო!

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ.

ღამაზად მორთულ და მოკაზმულ.

მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,

იმდენად უფრო მიყვლება გული!

ჩამარცვლით დააყოლებდა ლექსს და იქვე შეგვასწავლიდა...

— დიდი მშრომელი ხალხი ყოფილა ჩვენი წინაპარი ქართველობა! შეხედეთ, ჩვენ სამშობლოში, პატარა გორაკიც კი არ არის, რომ ზედ არ იყოს აგებული ტაძარი, ციხე-კოშკი, სიმაგრე! დიდი ოფლია დაღვრილი, დიდი! ეს უნდა გვახსოვდეს. მარტო ყანწის ტრიალი კი არ ვიცოდით!

სამაგალითოდ გვაჩვენებდა ძველ, სა-

გვარეულო ხელნაწერს, მისი პაპის პაპის — მამამზეს მიერ ერთი კალმით გადაწერილს.

წიგნის ბოლოს მართლაც ეწერა:

„მოიხსენეთ, რომელ, ერთის გამოქრისის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი და ჩვენ შემდგომ ვინც ეს ასე მწერლობა ეცადნოს, საქმებელ იყავნ“.

ჩორეხი ხელს დაკრავდა წიგნს და იტყოდა:

— აი, ვინ იყო ჩემი პაპა! მათი სული კიდევ მუშაობს, — ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი დადგეს და არწევენ ახლაც, ამ წამს, შიგ ოქროს ხუტუქთმინი ყრმა წევს, ჩვენი მომავალი, ის ყრმა გაიზრდება და გაანთავისუფლებს საქართველოს!

ასე სწამდა ჩორეხს, სასწაული, ზელგაუნძრევლად თავისუფლების მოპოვება. გაიზრდება და გაანთავისუფლებსო! ჩაგვიკითხავდა ლექსს ბაზალეთის აკვანზე და შემპარავი სიტყბოთი მოგვიყვებოდა: ბაზალეთის ტბის ძირას, ძვირფასი ოქროს სახლია, თურმე! ჰერი ვარსკვლავებისა არის, იატაკი თვალმარგალიტით არის მოჭედული, შუა იატაკზე ოქროს აკვანი სდგას, თვლებითვე მოჭედული. ზედ მტრედი ზის და არწევს აკვანს... ის მტრედი, თამარ დედოფლის სულია!

დღევანდელ ცხოვრებისა ჩორეხს ბევრი არა გაეგებოდა რა, „არა შეესმოდა“, შოთას თქმისა არ იყოს, „სოფლის გაღმა გაებიჯა“. იგი მხოლოდ წარსულში იყო შეღებოლილი და იყოცა მისი მძევალი!

თვით მისი მეზობელი სოფლის ღვდელი ზირაქი, — სულის კაცი, — ისიც კი დასძენდა: — არც მეტის მეტი განტევა უნდა ცხოვრებისაგან. ნათქვამია, ეშმაკი რომ სახლს აგებდეს, ერთი ქვა შენც დაადეო!

მაგრამ ჩორეხი მხოლოდ წარსულით სუნთქავდა.

როცა წარსულზე ჩამოვარდებოდა საუბარი, პირველად თამარი უნდა ეხსენებინა. — გზნებით აღიგზნებოდა: —

ჯერ გული გავიწმინდოთ, სიტყვა მოვილაპარაკოთ, მერე ისე ვახსენებთ ჩვენი ლამაზი დედაო, და დაატანდა მამია გურიელის ლექსს:

თამარი — ვინ იტყვის რა იყო, —  
მეთათხედსა ნაწილსა!

თან დაადიდებდა: „დიდი თამარი, საქართველოს დედათა პირის წყალი“!

თამარის ნაწილმართვეი საქართველოს ყველა გორაკსა და მწვერვალზეა დარჩენილიო, აბა, შეხედეთო! არ ასვენებდა თამარის ახივებული დიდება:

— სიცოცხლითვე დედამიწას არ ეკარებოდა! ერთ აღლზე მალა დადიოდა მიწიდგან.

— მაშ, შეილი როგორ ეყოლა?

— როგორ არ იცი, მზის სხივის მიერ ეყოლა ვაეი! — ისეთი დარწმუნებით გეტყოდა, რომ შეუძლებელი იყო, არ დაგეჯერებინათ. ძალიანაც აწყენინებდით.

თუ რამეს დაეაშავებდით, ბავშვები, დაგვაშინებდა, — დიდი პირიმზე გაჯავრდება, თამარ მეფეო!

ერთხელ, ერთ მორჩილს, საფქვილე გულაში ბლომად ფქვილი რომ ჩაუყარა, ჰკითხა:

— რომელ წმინდანს ემსახურები?

— თამარ ღვთის სწორის სამლოცველოს!

— სად არი ეგ საყდარი?

— გომარეთში, ხეე-გალმა, დვალეთთან!

აღარ გაუშო მორჩილი. მთელ დღეს დასვა, ასადილა, პატივი სცა. ფულიც აჩუქა და ბევრიც ელაპარაკა თამარ მეფეზე. მეორე კვირას, შეჯდა თავის კავშა ცხენზე და გაემგზავრა გომარეთს, თამარის ხატის სანახავად და დიდათაც კმაყოფილი დაბრუნდა.

— შინგაზდილი მწიგნობარი ჩორეხი „ვეფხისტყაოსანს“ „შოთას ძღვენს“ უწოდებდა.

— ნეტა ჩემს გახარებასა! — და გაშლიდა რუსთველის წიგნს:

— შენ პირს შაქარი, ოქროს ნისკარ-

ტო! — შეეღბინებოდა, თითქოს ოქროს ბულბულს იჭერს წიგნის თითოეულ კაბადონზეო! კვირამალზე შოთას სურათს სანთელს უნთებდა, როგორც წმინდანს და ოთახში ჩაკეტილი, მარტო, ხელაპყრობით აედრებდა საქართველოს.

— დიდო რუსთველო, ლექსთა მამაო!

— ოდეს ენანი დადუმდეს და არავინ ლაღებდეს, მაშინაც რუსთველის სიტყვა იედრებს მხოლოდ! შოთას ლექსის წინაშე ყოველი საქმე დადუმდება!

დიდათ მონდომებულ იყო ჩორეხი წასულიყო რუსთავს და ჩოქით თაყვანისცემით შემოველო რუსთავის მიწა-წყალი!

— რა წიგნია! რა მალლად და მშვენიერად თქმულია! საქართველოსი კი არა, მარტო, სამთელქვეყნოა! ტყუილად არ უთქვამს თვითონ შოთას:

სხვა ჩემებრავ ვერა კოვო,

ცათამდისცა ხელი ახყო!

ნეტავ, რა გული-ღა უნდა შერჩენოდა შოთას, როცა თავისი გული ასე მძლავრად ვადადნო თავის ნაწერში?

ტკბილად ჩაიკითხავდა:

„ანუ არის ბრძენი ვინმე,

მალღი და მალღად მხედი,

არცა ღვინი ღვინად უჩანს,

არცა კიბა ზედა-ზედი,

ვით ზღაპარი, ასე ესმის,

უბედობა, თუნდა ბედი,

სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს,

გონება უძს, ვითა ტრეღი!“

შოთას ამ ლექსში ჩორეხი უპირველესად თავის თავს ჰგულისხმობდა, დღიურ საქმეთაგან განდგომილსა და შორეულ ოცნებაში გარდასულ საკუთარ პიროვნებას. და მისთვისაც საგანგებოდ მოსწონდა შოთას პოემის ეს ადგილი. შოთას კითხვით დამტკბარი, აღფრთოვანებული ხელს მალღა იშვევრდა და იტყობდა:

— რათ არის სახარებაზე ნაკლები?

— მიაჩნრდებოდა ღვდელს და თან დასძენდა: — შემრისხენ და შემიწყალენ, მამაო, ვითხოვ მეოხებას!

მაგრამ ღვდელს არცა სწყინდა, არც ეცბლა რუსთველისათვის. ის მეტად მი-

წიერი კაცი იყო და ხვევაში გართული.

— ვკითხულობ და გულს ძვეტრავმატება! — განაგრძობდა *ს. ჩორეხის* *შეგანა* ასეთი თაყვანისმცემელი და ტრფიალი სხვა კიდევ იქნებოდა რუსთველისა?

— მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები! — ტყუილად კი არ უთქვამს დალოცვილს!

მაგრამ რუსთველის ლექსის გარდა, მამულიშვილ ჩორეხს კიდევ უყვარდა ბიბლიიდან ეს ადგილი.

„მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დაესხედით და ესტიროდით,

რადამს მოვისხენეთ ჩვენ სიონი!

... ძეწნთა ზედა შორის მისთა დაგვიდენით საგალობელნი ჩვენნი.

... უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენე-ცა ჩემი!“

დადიოდა ქედ-დადრეკილი, გულშემძრული მამულიშვილი, მისი გულის ბავუნი და გმინავნი შორს ისმოდა:

— ვაი, ძუძუ უწოველო!

— ვაი, ფრთამოტეხილო არწივო! მორწმუნე ჩორეხს სრულიადაც არ სჯეროდა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი იყო.

— ღვთისშობელო, თუ შენი წილი ვართ, შენი წილდებული და ხელდებული- რაღათ ააოხრებინე ლექსა და თათარს საქართველო, ეს ვერ გამიგიაო!

— არა, ძმებო, თუ ღვთისშობლისა იყო საქართველო, განა თავისს მამულს ვერ მოუვლიდაო?!

სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაგზაზე უნდა გენახათ, ან ტყე-ღრეში იარებოდა აწოწილი, წვერულვაშიანი, სათვალეზიანი, გამხდარი, ახოვანი ჩორეხი. მკაცრი შესახედობისა, თმაგაბურძენული, უქუდო, მტერიანი, გაოფლიანებული, ძველებურ მასრებიან ჩოხაში, ხარაზულ წულემაში.

ყოველღიური ხეტიალისა და წანწალისათვის, მუდამ ჩანთითა, წერაქვით და კოვრით მავალს, წანწალოსანს უწოდებდნენ:

— მოდის ჩვენი წანწალოსანი!

სოფელში აღმაცერად უყურებდნენ,

თუმცა პატივს სცემდნენ უანგარობისათვის.

— ნეტავი, დღეს რა გათხარა, სად რა ხაზინა იპოვა? — ჰკითხულობდნენ მეზობლები, მეგობრები, დასცინოდნენ. მაგრამ, როცა მოახლოვდებოდა, პატივისცემით შეეგებებოდნენ ჩორებს, ისიც გააცნობდა თავის ახალ აღმოჩენებს, წყნარად, დამაჯერებლად.

ლამეობით ჩორებს ერთთავად ვახუშტის ისტორია თუ გეოგრაფია ედო წინ და მისს შემოწმება-შესწავლაში ათენებდა ღამეს. ერთი სიტყვით, წარსულით იყო ჩორები დამწვარი.

— ვეფო, ნუ მისცემიხარ უქმსა და უსიცოცხლო არქეოლოგიურ ოცნებებს! გეყო გუნდრუჯის კმევა წარსულისადმი, სულს ნუ იჭუჭყიანებ წარსულის მტვერით! — შესძახებდა მეგობარი.

— ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა! — უბასუხებდა ჩორები და განაგრძობდა: — ჩემი გონების მანათობელი ჩემი ქვეყნის წარსულია! მისი შუქი მესხივთელა! იცი, რა ტკბილია წარსულზე ოცნება!

მართლაც, წარსულზე ფიქრით იყო დაფერფლილი და მით სამშობლოს მტლეთ შემოდებული ჩორები.

— აფსუს, რა ბიჭი იღუპება ქვეყნისათვის! — გულმტკივნეულად დასძენდნენ მეზობლები.

დიდი ფიქრი ჰქონდა ჩორებს ნატვირთავი, დიდ სევდას ატარებდა; მისი არავის ესმოდა და ასეთ განდგომასა და ხეშიადის კრძალულებას ზოგი ზვიადობაში ართმევდა.

დილით გასწევდა ტყისკენ, მთისკენ, ახალ-ახალი ისტორიული ნაშთების საძებრად. ხელით გადასწევდა დაბურულ შინდსა თუ თხილსა, კუნელსა თუ წითელ ასკილის ტოტებს, ტაძარს რომ გარსმოჰხვეოდა. გულმოდგინედ ეძიებდა ფრესკებს და უსურვაზიან ქვებზე ამოკვეთილ წარწერებს. სევდით იცხებოდა, გული ეტირებოდა, როცა ნანგრევებთან იხილავდა გადაჯიშებულ, ველურ კრიკინას, ზოგჯერ, მხარს რომ ძლივს

შემოატევედი. ჩორები ქართველთა ალგვილ ცხოვრებას მისტიროდა.

შინგანსწავლული ახნაური ჩორები უშვილ-უძირო იყო.

მაგი გურანა თითქმის ძალით შერთეს ჩორებს, რომ გვარი არ ამოვარდნილიყო. უსწავლელი იყო გურანა, მხოლოდ, ძლივს იცოდა ყვავისფრჩხილოვანი წერა.

უმეცარი და უწყინარი პატარძალმა გურანამ მალე გამოაჩინა მიმალული ქანგები. ტყე-ღრეში მოსიარულე ჩორებს უსაფუძვლო ეჭვებით სტანჯავდა, ფიქრობდა, საყვარელთან პაემანზე ხომ არ დადის ტყეში! ბევრი დღე უსამართლოდ გაუმწარებია ჩორებისათვის, მაგრამ რომელ ქმარს არ გადაჰხედია „ესე ამბავი“ მგრძნობიარე ცოლისაგან?

ჩორებმა ძილში ლაპარაკი იცოდა, და პირველ ხანებში, ალქატი გურანა ჩუმად ხაშხაშს აპარებდა, აძინებდა და მთელი ღამეობით სულ თავთ ეჯდა ქმარს, ეგებ, საყვარელის სახელი, ანუ საქმე წამოსცდესო! გაფაციცებით ეკვირა გულისყური! გათენებამდე ფხიზელსა და ღამენათევს, მხოლოდ დილით ჩაეძინებოდა. ასე ნებაყოფლობით აწამებდა თავისთავს ბედკრული ქსანტიპა, ახალმა სოკრატემ კი არაფერი იცოდა.

რა უნდა წამოსცდნოდა ხეტსა და ოლოლოს? თუ არა—ნადარბაზვევი, ნაპალატვევი, ნაქალაქარი, ნაკოშკარი, ნარუჯები, ნაოხრები, ნალეწიანი... ბევრი ღამე უთია მძვინვარე ცოლმა მშვიდად მძინარე ქმარს და ბოლოს დაანება თავი. ახლა კი, ჩორებს, გინდაც ათი საყვარელი მოეყვანა, სულაც აღარ ენადვლებოდა გურანას. ერთი კი სჭირდა, საღამოობით, ნაშთების ძიებიდან დაღლილი, ტყე-ღრეში ნახეტილები ჩორები შინ რომ დაბრუნდებოდა, გურანა უსათუოდ ცეცხლზე წყალს დაასხამდა, ეგონა, რომ ძველ კოშკებიდან, ეკლესიებიდან, აკლდამებიდან, ჩორებს უსათუოდ ქაჯები, ეშმაკები და ავი სულელები მოჰყვებიანო და შემოყოლილ ეშმაკებს ოშხივარი გარეკსო! ახლა იმათ ებრძოდა გამწარებული, ქმარი არ მომი-

ზიბლონო, არ წამართვანო! აი, ასეთი თანამოაზრე მეგობარი ჰყავდა საბრალო ჩორეხს...

ერთხელ, ნაქალაქარის ტყის ნატაძრადიდან ძველი ხატი ჩამოიტანა. ზედ იყო გამოსახული წმ. გიორგი, ხუჭუჭთმიანი, ალისფერ ტანისამოსში, თავზე ჩაქქანი უელავდა, ხელთ შუბი და ფარი ებყრა. ძირს, წმინდანის ფერხთა ქვეშე ხმლით დასისხლული, კბილდაღრქენილი ვეშაპი გართხმულიყო.

— ერთხელ ვეშაპი დაამარცხა, ახლა კი წვიმის წვეთებს დაუჯანბნიათ! — შეშფურებული ხმით იტყოდა ჩორეხი წმინდანზე და თან დასძენდა:

— ნაწვეთს უდენია ზედ ხატზე! ეპ, რამდენი ძველი დახატულება ილუპება. წვეთი რო დასდით, თვითეული წვეთი მე გულს მიღარავს, გულს მიხვრეტს, დამეებით არ მეძინება, ტანჯვაში ვარ, გამოუთქმელ ტანჯვაში! ილუპებიან ჩვენი სიძველეები ყოველწამიერ, შეიძლება ჩემს სიცოცხლეში სულაც წაიშალონ! ილუპება, ჩემს თვალწინ ილუპება! — გმინავდა ჩორეხი, გულთ ეყრებოდა და წამალი ვერსით ეპოვნა.

— რათ გინდა დაობებული ხატები? — შეკრებილებაში შეეკითხა ახლაგაზრდა კნენია. სჯობდა კი, რომ არ ეთქვა, ისე მრისხანედ შეჰხედა ჩორეხმა.

მახსოვს, იმავე შეყრილობაში ამბობდა გულმობრუნებული ჩორეხი:

— ვენაცვალე საქართველოს! რა მომცემი მიწაა! რძეც წასდის და თაფლიც! ჩვენი ბუნება ერთი ხელით ოქროსაა პურის, მეორეთი — ვერცხლსა! დალიანი მიწაა, მაგრამ თვითონ ჩვენ, ქართველობა, რათა ვართ ვადამწირული? — და თვითონვე მისცა პასუხი:

— მონობით, რასაკვირველია, მონობით! ამიტომ, ობოლ მშეს ველით ქართველები! — ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარებაც აფიქრებდა წანწალოსანს. ამიტომაც, ძველი ნაშთების და ხეტიალის დროს, ღელეებსა და ხევებში მადნებსაც ეძებდა. დიდი სისათუთით ჰქონდა პარკებში შენახული ოქრო-ნა-

რევი ქეიშა, მომბზინავი რიყის ქვეები და სხვა მინერალები, <sup>283</sup>როგორც დიდი მადნების ნიშნები და დიდ იმედებსაც ამყარებდა მათზე, — მომავალი მოღვმისათვის.

ნაღვლიანი ჩორეხი მთლად იმედინი გახდა მას მერე, რაც ერთხელ, ნანახი სიზმრის შემდეგ, უცნაური ქვა აღმოაჩინა საჩვენოში. უჯარმის ნანგრევებში, სწორედ იმ ადგილას, სადაც სიზმარში ეჩვენა, ქვემო კოშკის ლიბოში.

მეც თვითონ მსმენია ხალხში, რომ უჯარმის მფლობელი ვახტანგ გორგასალი, ხელთ ოქროს ბურთს ათამაშებდაო. აი, ამ ბურთად მიიჩნია ოცნებით დამთვრალმა ჩორეხმა ეს მართლა ბურთივით მრგვალი ქვა, სხივნარა, ოქროს ზოდივით მომბზინვარე. ზედმიწევნით სჯეროდა; სწორედ ის ოქროს ბურთია, გორგასალი რომ ხელთ ათამაშებდაო! რაკი სიზმარმა უთხრა, რომ ეს ქვა კარგი ნიშანიაო, ჩორეხმა დიდ იმედების ნიშნად, პირდაპირ ეროვნების სალოცველოდ გაიხადა ეს ქვა. ხან უჩოქებდა, ხან ემთხვეოდა, ხან გულში იყრავდა, მართლაც, სწორედ აგზნებულ ქადაგს ჰგავდა მაშინ ჩვენი ჩორეხი!

სულ გამოიცვალა ჩორეხი, რაც მოიპოვა ელვასავით გამოშკრათალი. ბრწყინვალეობით აელვებული ქვა; ნათელმფლობელი. მას ეგონა, ქვის ოქროს კრთომა თავისუფლების ღვთის კრთომა იყო. არც ერთ მპყრობელს არ ჰქონდა ამ ქვეყნად ასე დანიეტებული სიმდიდრე, როგორც მეოცნებე ჩორეხს.

— ნეტავ, სადმე კიდევ იმეჭონება ასეთი განძი და შესამკობელი? — იტყოდა გულში სახემტკბარი.

ახლა კი ეშველა საქართველოს! გულში გალობა და ზატეობა უნდოდა...

ეს ყოველივე მისი ფიცხელი ოცნების ნაგონარი იყო და მეტი არაფერი! ჩორეხს ნამდვილ ეგონა, რომ ეს პატარა ქვა უცილოდ ზეგარდმო ნიშანი იყო სიკეთის.

ერთ ღამეს იხმო ღვდელი, დიდი საიდუმლოებით სახარების ფიცით გაენდო, ქვაც უჩვენა, თუმცა ხელი არ ახლებინა.

როგორც სიწმინდეს, და ფიცის ჩამორთმევის შემდეგ დავედრა ღვთისს, წმინდა ქვა ტრაპეზში დაეკრძალა, მთავრობისაგან ფარულად, შთამომავლობისათვის გადასაცემად. მხოლოდ წელიწადში ერთხელ უნდა ეხილა ეს ქვა თვით ჩორეხს, — სახელდობრ, აღდგომა ღამეს, ლიტანიის შემდეგ.

გორგასალის ქვა დაგულისგულებული ჰქონდა ჩორეხს, — მისი დარდების მოსაფონარი.

ახლა მის გონებას დაეუფლა კიდევ ერთი მოუსვენარი საკითხი: თუ წარდენის უწინარეს ვინა სცხოვრობდა საქართველოში?

თანაც ქართლოსის საფლავი და ქართლოსის ძეგლის ოქროს თავი აიყინა.

— უნდა ვიპოვოთ!

— წმინდა ნინოს ლოცვით, სეტყვამ არმაზი კი არ დაამსხვრია, არამედ ქართლოსის ოქროს ძეგლი ქართლოსის ოქროს თავი ჰქონდა გამოქანდაკებული, ბრწყინვალე! სეტყვის და ქარიშხლის მერე, ის თავი იქვე, ხევებში ჩაგორებულა, იქ უნდა ვეძიოთ, იქ არის სადღაც ჩამარხული, უნდა ვიპოვოთ და ისევ იქ დავედგოთ ქართლოსის ძეგლი, სადაც უწინ იდგა!

მსმენელები იღიმებოდნენ — მოზლაბრე გახდაო!

ჩორეხი კი, შეუპოვრად მისდევდა თავის ოცნებას. ვიდრე, ერთხელ, ჩვენდა საოცრად, სრულიად არ გამოიცვალა, რაღაც დარდმა მოიქვეშია, მაგრამ ვინ იყო მისი ახალი დარდის თანამხილველი?

ოდესღაც მტკიცე და ლალი, ახლა რაღაც შესეტყველი, მოღვედილი გეგონებოდათ.

— რა დემართა, რა ჩაქრა ჩორეხის გულში ან საიდან გაჩნდა ამ კაცის გულში ნაცარი? რა სევდის ზღვა შემოადგა გულზე? ვერავე ვერა სთქვა იყო სიტყვების გადაკოწიწება, ნართაული სიტყვები, ჰირელებისა, ფართული გაღიმებაც, მაგრამ კვანძი ვერ გაიხსნა, ვერა და ვერა.

— რა მოხდა? — საიდუმლო მერე

ძლივს შევიტყვეთ, როცა მოგისმინეთ ჩორეხის აფთოებული ლაპარაკი. წარვის შემდეგ ვეება ცაცხვთან, ცეცხლმოკიდებული შეეძგერა ზირაქ ღვთისს, პირში წყრომის ალი ამოსდიოდა.

— ქვა მოუპარიათ, გორგასალის ქვა! მოიპარა ღვთისს, რათა დაწინაურებულიყო მთავრობაში, ანგარმა, უძველეს ტაძარში ძველიდანვე დაბინძვული ნივთიერი, ხელნაწერები, საძნე ურმით ჩაუტანა თბილისში რუს ექსარხოსს, ზედ გორგასალის ქვაც მიაცოლა, ტრაპეზში ჩამალული!

— ერის ქვა! ინდოეთიდან მოტანილი სხივნარა ქვა!

— რა პასუხს გასცემ ერს, შე უკეთურო, შენ ზომ გასძარცვე ქართველი ერი მზეზე გაშავდა შენი სახელი! დილუპა დიდი განძი, გორგასალის ქვა! საოცარი, იმედის ქვა, რომელსაც სითბოცა ჰქონდა, ცეცხლივით შუქსაც იძლეოდა. განა ოქრო სჯობდა? უოქროესი ქვა იყო, წმინდა ქვა, დალოცვილი, შელოცვილი, გორგასალის ხელით! — ჩორეხმა ზომ ღვთისს ჩააბარა შესანახად, ვიდრე „მამულის გამოხსნის დღე“ დადგებოდა.

ახლა კი...

გულაზავთებული, ტვინამღვრეული, გულდამსხვრეული, ცეცხლმოკიდებული ეძგერა ღვთისს:

— რა უყავ ჩემი დიდებული ქვა—საქართველოს სიმტკიცე, წმინდა ქვა! ფესვი მოათალე ჩვენს სიმაგრეს და მტერს მიართვი, შენივე ხელით ჩააბარე! — ღვთისს კი არაფერი ესმოდა, — რა გესაწყენარა? — ჰკითხავდა ღვთისი.

— და ნუთუ არ იცი, რა მნიშვნელობა ჰქონდა გორგასალის ქვას ანუ, ვინ იყო გორგასალი? — შე ღვთის გარეგანო, ურჯულო, უკეთურო, მწარედ ცოდვილო, გაქსუებულო, საქართველოს დამშლელი, დამაქცეველო! ჩემი ცოდვის პასუხი შენ გაეცი! — თითქმის თავზე ნაცარი ვადაიყარა...

ზირაქ ღვთისს გამტერებული იყურებოდა; სად ჰქონდა შესაქციელი, შესაგებარი სიტყვა? მას ჩორეხის რისხვისა არც ეშინოდა, მხოლოდ ენანებოდა,

რომ სცდებოდა, საქმეზე მიმავალს უგვიანდებოდა და ჩორეხის პატივისცემით იდგა მის წინაშე, მეტი არაფერი!

მაღალი, ქერა აწითლებული, ამოგანგლული, მუდამ ანაფორაშემოკეცილი, სოფლის ამოებაში გართული ქვრივი ზირაქ ღვდელი, მეტად მიწიერი ადამიანი იყო, თუმცა სულის მხედრობას ეკუთვნოდა. მას წირვა-ლოცვისათვის არ ეცალა, ერთგულად მუშაობდა თავის საოჯახო საქმეებზე და სხვასაც ამუშავებდა თავის გასამდიდრებლად. სად ეცალა გორგასალის ქვისათვის? ჰყვანდა მოჯამაგირეები, მწყემსები, მღორეები, მეჯოგეები. ჰქონდა საკუთარი წისქვილი, ჰყავდა ცხვრისა და ღორის ფარები, ვაჭრობდა ტყით, ჯონჯოლით, თაფლით, სანთლით, პურით, ღვინით, სინდისით; ჰქონდა საკუთარი ეტლი ანუ „დილიჯანი“. თბილისში რომ დაჰყავდა მგზავრები, ჩუმად ჰხდიდა არაყს და ფულს ასესხებდა დიდი სარგებლით. ჰყავდა საყვარლები და ჩუმჩუმადვე კიდევ მაჰანკლობდა.

აბა, ასეთ მოუცლელ კაცს, სად ეცალა გორგასალის ქვაზე საოცნებოდ?

დიდი და პატარა ღვდელს ემორჩილებოდა სოფელში. უიმისოდ არც ერთი საქმე არ ისკენებოდა: არც მამულის სყიდვა-გასყიდვა, არც საძირკვლის ჩაყრა და მით უფრო, არც ქორწილქობა-ნათლობა, სახლის განათვა, სიკვდილი, საღვთო და საერო საქმე, სულისა თუ ხორცისა!

ყოველივე და ყოველიფერი ზირაქ ღვდელს უნდა დაელოცა.

მრავალი ქორწილი ჩაშლილა მხოლოდ მისთვის, რომ ღვდელს სასიძო ან საპატარძლო არ მოსწონებია. მრავალი გონჯი ქალი გათხოვილა კობათ შეღერებულ ბიჭზე და მრავალი უსახური, მაგრამ შეძლებული ვაჟი, ღვდლის იმედით, ლამაზი ქალის პატრონი ხდებოდა! ამ ნიადაგზე ღვდელს მრავალი მომღურავიც ჰყავდა სოფლის მზეთუნახავებში. მაგრამ ვინ შეაბამდა „სულქონიან“ კატას ეყვანს? ხშირად, ქრთამადებული ღვდელი ასე ჰლო-

ცავდა შებერებულ, შემეკნარ პატარაძალს: „გამრავლოთ, ვიფარცა ვაბტამ და სარა, ვითარცა იაკობ და ანანიასაო!

სრულიადაც არ უყვარდა ღვდელს ბერწი, უშვილო, უნაშენო ხალხი, რომელთა საგულისხმოდ წამოიტყოდა ფსალმუნიდან: „ნეტარ არს კაცი, ვითარცა ხე დანერგული. თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ნაყოფი მისი ეამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცივივნ“!

აივანის დაპირისპირებით, ეზოს ყურეში, შემოწნული იყო საქონლის ბაჟი, იქ ღვდლის საქონელი ება. ბაჟი სავეს იყო ნეხეთა და ყვითელი, ჩაგუბებული წუმბით. შებინდებისას დაეყრდნობოდნენ ნახირიდან მოზრუნებული კამეჩები, ხარები, ძროხები, განარებული შავი ბულა. ისმოდა თქერა, დგრიალი, ხენეშა. ქვრივი ღვდელი იჯდა აივანზე, სვამდა ჩაის და თან პურის-მცხობელ მარინეს ეაშვიებოდა.

აბა, მითხარით, სად ეცალა ზირაქ ღვდელს გორგასალის ქვისათვის?

გავიდა დრო, ღვდელმა არ აპატია და ჩორეხი დაასმინა. გაფითრებული ჩორეხი ჩუმად იდგა განრისხებული ექსარხოსის წინაშე, როგორც მთავრობის წინააღმდეგ დაბეზღებული მემამბოხე. ჩორეხს ხმაც არ ამოუღია... ციხეში ჩასვეს, რამდენიმე თვის შემდეგ გამოუშვეს, რადგან ხელმოსაკიდი ვერა უპოვნეს რა.

დაბრუნდა შინ ჩორეხი, მაგრამ მოტეხილი, მობერებულო, მომჩვარებულო, თითქმის არავის არ სცემდა ხმას. მხოლოდ ჩიოდა, იმდენად ციხემ არ მომტეხა, რამდენადაც ქართველი კაცის ღალატმაო! მას ვერ წარმოედგინა ზირაქ ღვდლის საქციელი! ამიტომ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული დადიოდა... ბოლოს ლოგინში ჩაწვა. სულის დროშა დაეცა... ჩუმად დნებოდა, ჩაწვა, ჩაჩუმდა. ვერ შეებრძოლა უცნაურ სენს. არც უნდოდა...

\* \* \*

შემოდგომის წვიმიან დღეს, სოფლის ტუქანში რამდენიმე კაცი „შესანდობარს“ სვამდა.

— რას წვლობდა, წანწალობდა ამდენს საწყალი?

— რა წაიღო, არაფერი! — სთქვა აზნაურმა დოლამ და თვალი შემოატარა სავსე სუფრას და კიდევ დასძინა:

— პურის მადლმა, არაფერი!

— რა უნდა წავიღოთ წუთისოფლიდან?

— არაფერი! თქვენმა დღეგრძელობამ! — დაიძახა ძველიფამ.

— არაფერი! მამი თქვენის მზემ, არაფერი! — სთქვა კაპლომ და კვერი დაუტარა წვერიკმაზიამ.

— მაშ, დავლიოთ, — და აზნაურმა დოლამ დიდი ჯამი გაავსო ღვინით და ჩამოარბია: — ღმერთმა შეიწყალოს ჩორები და სულით გაანათლოს!

— რა უნდოდა საწყალ ჩორებს, არც ჩვენ გვიდებდა თავს მთელი სიცოცხლე ნანგრევებსა და ხაზინის ძიებაში გაატარა! ეცხოვრა, ჩვენსავით ღვინო მანც ესვა, არ ერჩივნა? ღმერთო, შეუნდე!

— ეპ, იაროს ირმის ნატერფალზე, ახლა იქ ეძებოს ჭარიფანტიამ ხაზინები, თამარ დედოფლის ნაქოშარი!... — და ჩორები გულით შეიწყალეს, თუმცა ორიოდღე შხამური სიტყვაც დაადვენეს...

ზირაქ ღვდელმა დამარხა. სიტყვაც კი შეაწია.

— უსყიდი კაცი იყო, გარდაუწვევლი მოსამართლეო, თუმცა ფიცები და ექვიანიო! მშვიდობის ანგელოზმა დაამშვიდოსო იმ ქვეყნად. მადლი და მშვიდობა ეუსურვოთ ჩორების სულსაო, თუ ოაც უსჯულოებანი და ცოდვანი ჰქონია, მაღალმა ღმერთმა აპატიოსო! — ეს იყო და ეს!

სოფელი არ შეძრულა... კუბოს გარშემო არ ისმოდა საღმობა, სულთქმამწუხარება... თმები არავის გაუწეწია... პირი არავის არ ჩამოუხვია სისხლიანი თითებით. დასაკლისი ვერ გაიგეს. გურა-

ნა დაღვრემილი იდგა — ამდენი ჭირდებულემა გამოვიარეთ ერთად, ახლა მართოს რად მტოვებო.

ანდერძის მიხედვით, ჩორებსმა კოტმანის წმინდა გიორგის სამრეკლოს ქვეშ დაიმკვიდრა საფლავი.

ასე წავიდა ამ სოფლიდან კეთილი, თუმცა ძველმანი ადამიანი, დახავსებული თვალებით, დაღამებული გუნების კაცი, რომელიც მხოლოდ წარსულის დამეში ცხოვრობდა, რადგან არ ჰქონდა აწმყოს მხედრობა; იყო ცალმაგი, ერთმაგად ნაქსოვი ადამიანი, ერთის თვალით მხედდავი!

— ახლა შენ გაიხარე, ჩორების მემკვიდრევი!

— ჩორების ნებაწადილობით შენ დაგრაჩა მისი მამული — სახლი, კარი, მთაბარი, წისქვილი, ვენახი, სახნავი, სათიბი, მარანი, ბაღი, კალო, საბძელი, კარმიდამო, — მიჰმართა დიდი ჯამით წვერიკმაზიამ ახალმოზარდ ოფიცერ მამრიკა ჩაღლადაძეს — გურანას ძმისწულს, — ჩორების კეთილი სახსოვარი, შენ — კარგად ყოფნის სიხარული! შენ იცი, დღეიდან, როგორ კარგი მეზობელი გვეყოლებიო!

მამრიკა იღიმებოდა, თითონაც არ იყო ჯერ გამორკვეული, რომ ასე უცბად ხელთ ჩაუვარდა ამოდენა მამული და დაბნეულიყო.

— ტომბახი ჩამოგვისხი, შენც მოილხინე, ხუმრობა ხომ არ არის ამოდენი მამული მოიგდე ხელთაო! — მიჰმართა დენენ ღვინის ნათლულები და მამრიკაც უხვად იხარჯებოდა მიცვლილი ჩორების ხარჯზე...

\* \* \*

მთელი სიცოცხლე ჩორებსმა ვახუშტის შესწავლასა და სიყვარულში გაატარა! რამდენი ღამე დასთენებია ზედ, ვახუშტის გამო, რამდენი წყრომა გაუგონია ცოლისაგან! ისე მოკვდა ჩორები, რომ ცოლმა ვერ შეიტყო, თუ ვინ იყო ვახუშტი, ან რა ფასი ჰქონდა მის ნალავას.

ჩორეხის სიკვდილის შემდეგ გურანამ მოკრიფა მისი მონაპოვარი თუ შენაძენი ძველი არქეოლოგიური ნივთები: ქოთნები, სურები, მძივები, სამაჯურები, ქანგშეკმული ხანჯლები, მახვილები, მათთან ერთად სამადნე პარკები და მთლად გადაყარა, — „ნასაფლავარი-აო!“ — ეზიზღებოდა, ეშინოდა. გოგობებშიც კი არ წაიკარეს მისაჩუქრებული ნამკვდრევი მძივები.

ხოლო ვახუშტის წიგნები, თვითონ ჩორეხის ნაწერები და წერილები გურანამ ხელიერთბირწმინდად გასახვევ ქალღაღად მიჰყიდა ისაკა ებრაელს. დარჩა მხოლოდ ვახუშტის სურათი, თვით ჩორეხის მიერ ფერადი საღებავით დახატული.

გურანამ სცადა სურათის გაყიდვაც. მაგრამ არავინ იყიდა, როგორც იყო, ჩარჩო გაასაღა, მაშინ გაძარცვული სურათი ვატეხილი მინის მაგიერ ჩასვა სარკმელში!

ჭუჭყიან ფანჯრიდან სევდიანად იყურებოდა დაღვრემილი ბატონიშვილი ვახუშტი... თითქოს ჩორეხის დაკარგვასა და თავისს ბედს დასტიროდა გურანას ხელში!

გურანას კი უკვირდა, რომ მისი მეუღლისაგან არავითარი საქმე და დოვლათი არ დარჩა. მართლაც, — აბა რას უჯდა მისი კაცი მთელი სიცოცხლე?

გურანას, ამ წიგნების იქით, ამ ძველ-

მანების გადაღმა, კიდევ რაღაც დიდი ეგულეებოდა და ეს „რაღაცა“ რომ ვერ აღმოაჩინა, რომ მას ხელი ვერ შეახო, — ეს ძალზე უკვირდა...

ალარ არის ჩორეხი—სამშობლოს ბედით მუდამ კმუნეარე, კირნანახი, სევდით გულდაღამებული, მხოლოდ წარსულის ტრფიალი, კეთილშობილი, თუმც უღვაწი კაცი, მაინც დიდი მოწადინე და სევდით ნაჯაფარი...

გულჭირიანს და ფესვმოკვეთილს, ღრმა ძილით სძინავს თავისს შავ სევდასთან ერთად...

მის ვარშემო ალარ ტრიალებს ეჭვები და ჭორები თავისნათქვამობის და მოუდრეკლობის შესახებ.

რატომღაც მგონია, რომ ჩორეხი არ არის მკვდარი; და რომ საღდაც, შავს ტყეში თუ ძველ ნანგრევში არის შეხიზნული! თითქოს მისი ხმაც კი მომესმის მკაფიოდ; ხან ბინდისას, ვხედავ შარაგზაზე აჩქარებით მიმავალს, თმადაბურღულს, აქეთ-იქით თვალის მამკერებელს.

და ისევ ისე წრიალებს ჩემს ფიქრებში პირაკვამლებული, ჩანაცრული, მწირი ჩორეხი, სამშობლოს დარდით მოავადე.

არ ეღირსა ნასურვილარის გაცხადება; ვერ იხილა ჩვენი დღევანდელი სამშობლო—გაცისკროვნებული; არ ეღირსა თავისი ქვეყნისა და ხალხის კარგადყოფნის სიხარული...



## ოსკარ უაილდი

### რეღინგის ციხის ბაღადა

#### I

მას წითლად აღარ ემოსა:  
ღვინით და სისხლით სველი  
ის ნახეს მოკლულ სატრფოსთან;  
შესვრილი ჰქონდა ხელი,  
ღვინით და სისხლით შესვრილი  
ხელი, საყვარლის მკვლეელი.

ტუსაღთა წრეში მიმავალს  
რუხი ძველმანი ეცვა,  
მძლეოსნის ქუდი ეხურა,  
მსუბუქად დგამდა ფეხსაც,  
მაგრამ ასეთი წუხილით  
არეინ უმზერდა ზეცას.

არ შევხვედრივარ აროდეს  
ამგვარი სევდით ნზირალს  
იმ ნაგლეჯისთვის, ტუსაღი  
ცას რომ უწოდებს ხზირად,  
და ღრუბელისთვის, რომელიც  
ცურავს ლაევარდის ძირას.

ტუსაღთა სხვა წრეს მივდევედი,  
ნაბიჯი მქონდა წელი;  
ეფიქრობდი, რა დაამავა,  
მსუბუქი რამ თუ ძნელი,  
რომ ჩამჩურჩულა ვიღაცამ:  
„მას სახრჩობელა ელის!“.

ოჰ, ღმერთო! ციხის კედელმა  
უცებ ტრიალი იწყო,  
ცხელ ნუზარადად ცა თავზე  
გაღმომეხურა თითქოს,  
გამიქრა ჩემი ტკივილი,  
თითქოს აღარსად იყო.

ნაბიჯს რაც უმსუბუქებდა,  
იმ წამს უეცრად მივხვდი,

რად იტაცებდა დღის შუქი  
მის თვალებს სასომიხილს:  
მან მოჰკლა ის, ვინც უყვარდა,  
და ვერ ასცდებდა სიკვდილს.

\* \* \*

მაგრამ ყველა ჰკლავს საყვარელს, —  
ყველა ისმენდეს ამას! —  
ერთი პირქუში მზერით ჰკლავს,  
სხვა სიტყვას ხმარობს ლამაზს,  
ლაჩარი კოცნას მიმართავს,  
ხმალი უჭირავს მამაცს!

ზოგი ჰკლავს ჭაბუკობის ეამს,  
ზოგი სიბერის ხანად,  
ერთი მას ახრჩობს ვნებაში,  
სხვა ოქროს იხმარს თანაც,  
მაგრამ ყველაზე კეთილი  
დაატრიალებს დანას.

ზოგს ნაკლებ უყვარს, ზოგს მეტად,  
ზოგი ყიდულობს, ჰყიდის,  
ზოგი წარბსაც არ შეარხევს,  
ზოგს მოთქმა უყვარს დიდი, —  
სახრჩობელაზე ამისთვის  
მაინც არავინ მიდის.

ამ სამარცხვინო სიკვდილით  
ბევრი არ კვდება მართლაც,  
კისერზე მარყუჟს არ იგრძნობს,  
თავზე — ჩამოცმულ ზალთას,  
და არც ცარიელ სივრცეში  
იწყებს ფეხების ფართხალს.

\* \* \*

არ უდარაჯებს მღუმარე  
ნცველი ლამით და დღისით;  
რომ ვერც იტიროს, ილოცოს

ყარაულების შიშით,  
თითქოს ვინმეს სურს წაართვას  
ციხეს ნადავლი მისი.

მას არ აღვიძებს რიკრაეზე  
საშინელების მგვრელი  
მკაცრად მზირალი შერიფი,  
თეთრად მოსილი მღვდელი,  
სამსჯავროს სახე ყვითელი —  
ციხის უფროსი ბნელი.

არ იცვამს ქურთუქს საჩქაროდ,  
არ სწყვეტს მშფოთვარე თვლემას,  
არც ციხის მხეცი ექიმი  
მისი ცახცახით თვრება,  
და არც საათის წიკწიკი  
ესმის ჩაქუჩის ცემად.

იგი არ იცნობს იმ წყურვილს,  
ყელს რომ გაუშრობს ურვილს,  
არც ჯალათს, ხელთათმანებით  
და დილის ნისლით ბურვილს,  
სამი თასმით რომ გაგკოჭავს,  
რათა არ გრძნობდე წყურვილს.

არც თავდახრილი მოისმენს  
მისი სულისთვის ლოცვას,  
არც ეზოლოდ ძრწოლა საზარი  
თავს მოაგონებს ცოცხალს,  
არც თავის კუბოს წაჰკრავს ფეხს,  
ეზოს გაივლის როცა.

არ ხგრძნობს, როგორ გასცქერის  
ჭერს იქით ზეცის ტატნობს,  
არც ლოცვას აღსასრულისას  
მის უნებურად ამბობს,  
არც მოცახცახე ლოყაზე  
გრძნობს კაიფას ამბორს.

## II

ექვს კვირას ეზოს უარა,  
რუხი ძველმანი ეცვა,  
მძლეონის ქუდი ეხურა,  
მსუბუქად დგამდა ფეხსაც,  
მაგრამ ასეთი წუხილით  
არვინ უმზერდა ზეცას.

არ შევხედრივარ აროდეს  
ამგვარი სევდით მზირალს

იმ ნაგლეჯისთვის, ტუსალი  
ცას რომ უწოდებს ხშირად,  
და ღრუბელისთვის, რომელიც  
მოსჩანს ლაქვარდის ძირას.

არც შიშით ხელებს იმტვრევდა  
და არც ეძახდა იმედს,  
რათა აენთო შავბნელი  
სასოწარკვეთის მღვიმე.  
ის შესცქეროდა მხოლოდ მზეს  
და ჰაერს სვამდა მძიმედ.

იგი არც ხელებს იმტვრევდა, —  
არას ნანობდა ალბათ, —  
და როგორც ღვინოს, ტკივილის  
გამაყუჩებელ შარბათს,  
მზესა და ჰაერს ეწყურვალ  
ეწაფებოდა ხარბად.

ტუსალთა სხვა წრეს ვუვლიდით,  
ნაბიჯი გვექონდა ნელი;  
აღარ გვახსოვდა, რა ვქენით,  
მსუბუქი რამ თუ ძნელი,  
გამტვრეებული ვუმზერდით,  
ვისაც სიკვდილი ელის.

მის ლალ და მსუბუქ სიარულს  
ვერ მოვაშორეთ თვალი,  
და გვაკვირვებდა მის თვალში  
ღრმა მწუხარების კვალი  
მისი, ვინც უნდა ასეთი  
გადაიხადოს ვალი.

• • •

მუხა და თელა ფოთლებით  
გაზაფხულის ჟამს ლაღობს,  
სახრჩობელის ხე—თუ კაცი  
თავს ღის ბაწარში გაყოფს,  
რ- მხოლოდ მაშინ გვთავაზობს  
თავის საზარელ ნაყოფს.

კაცი ამქვეყნის ოცნებად  
უმილლეს ადგილს სახავს,  
მაგრამ არავინ აირჩევს  
მისთვის ეშაფოტს მალალს  
და ცას ჯალათის საბელით  
უკანასკნელად ნახავს.



კარგია ცეკვა-თამაში,  
როცა სიხარულს ჩემობ.  
პიანურში და ქნარშია  
ხშირად სიცოცხლის გემო,  
მაგრამ ვის უნდა ფეხების  
ქნევა ჰაერში, ზემოთ!

ცნობისმოყვარედ ყველანი  
ფოთვალთვალეზებით მდუმარს,  
ვინ იცის, ეგებ ჩვენი-მისებრ  
გზა დავამთავროთ ჩუმად  
და ჩვენი სულიც მარადის  
შერჩეს უოჯოხეთს სტუმრად.

ერთ დღეს ის აღარ მოვიდა;  
ის აღარ მოვა ხვალაც,  
და მივხვდი, რომ დღეს იხმარა  
შავმა სიკვდილმა ძალა,  
რომ მას ვერასდროს შევხვდებო  
ამ ქვეყანაზე კვალად.

ვით ხომალდებმა ღელვაში  
ურთერთს ვუქციეთ გვერდი,  
არ მიგვიცია ნიშანი,  
სიტყვაც არ გვიოქვამს ერთი,  
წმინდა ღამეში კი არა,  
სამარცხენო დღეს შევხვდით.

ორმა დევნილმა ციხეში  
ერთი მეორე ვნახეთ,  
ქვეყანამ ზურგი გვაქცია,  
ღმერთმა იბრუნა სახე,  
და ციხემა რკინამ ცოდვისთვის  
მარჯვედ დაგვიგო მახე.

III

ციხეში ქვეები მტკიცეა  
და კედლებია სველი,  
თავზე დაყურებს პატიმარს  
ცა ტყვიისფერი, ვრცელი,  
და რათა კაცი არ მოკვდეს,  
ტუსაღს დარაჯობს მცველი.

ტუსაღის ტანჯვა-წამებას  
იცავს ღამით და დღისით,  
ვერც ტირილს ბედავს, ვერც ლოცვას  
კაცი დარაჯის შიშით,  
რათა არავინ წაართვას  
ციხეს ნადავლი მისი.

ციხის უფროსი დადგენილ  
წესრიგს სასტიკად იცავს,

ექიმი ხედავს სიკვდილში  
მეცნიერების მიზანს,  
და დღეში ორჯერ ხუცვს  
უფლის სახელსა ჰფიცავს.

იგი ლუღს სვანდა და დღეში  
ორჯერ ჩიბუხსა სწევდა,  
და მის მტკიცე ხელს სიკვდილის  
არ აწუხებდა სევდა.  
„მოხარული ვარ, ამბობდა,  
ხილვას უკალათის ხელთა“.

ვერაფერს ჰკითხავს დარაჯი  
ტუსაღს გისოსის მიღმა;  
ვისაც ტუსაღთა მცველობა  
ბედმა არგუნა იღბლად,  
პირს უნდა კლიტეს ადებდეს,  
სახეს იქცევდეს ნიღბად.

ან და რას არგებს განწირულს  
ნუგეშის ცემა, კითხვა!  
გაჭრის კი მკვლელთა სოროში  
მცველის მოწყალე სიტყვა,  
ან იხსნის უბედურის სულს,  
რაც სიბრალუღით ითქვა?



მივჩანალეზდით მოხრილნი  
ჩვენი მსგავსების რიგთან,  
ეშმაკის რაზმი ვყოფილვართ, —  
ყველა ჩვენგანი მიხვდა, —  
თავდაპარსულთა აღლუნი,  
ბერიკაობა ბრიყვთა.

კუპრით გაყდენითილ თოქს ვგლეჯდით,  
სისხლიან ფრჩხილით ვშლიდით,  
ვაბრიალებდით გისოსებს,  
კარებსა ვფხეკდით თითით,  
იატაკს ვრეცხდით და კასრებს  
ვყრდით ხმაურით დიდით.

ტომრებს ვკერავდით, ქვას ვხეთქდით,  
ქსოვილს ვახვევდით გორგლად,  
ლოცვებს ვამბობდით ღრიალით,  
მთლად ვიღვრებოდით ოფლად,  
მაგრამ შიში ვერ ჩავახშეთ  
გულში შთენილი ოზლად.

დღე დღეს მისდევდა ზოზინით,  
ყველას ეგონა — ჩაკლავს  
გულში იმ ძრწოლას, რომელიც  
ყველა ავაზაკს ახლავს, —

რომ წავადექით უეცრად  
ახლად ამოჭრილ საფლავს.

პირდაღებული, ყვითელი  
თხრილი ცოცხალ მსხვერპლს ითხოვს,  
სისხლი წყურია მშრალ მიწას,  
ტალახიც ყვირის თითქოს,  
და მისი მსხვერპლი რიყრაყზე,  
მივხვდით, ვინც უნდა იყოს.

ჩვენს თვალწინ შიში, სიკვდილც  
და ბედისწერა ჩანდა;  
ჯალათმა ჩამოგვიარა,  
ხელში ეჭირა ჩანთა.  
და ჩვენს დანიშნულ საკანში  
ყველა შევბობდით ზანტად.

ლამით ცარიელ დერეფნებს  
შიში ავსებდა მხოლოდ,  
დაკარგულ ფეხის ნაბიჯებს  
ალარ უჩანდა ბოლო,  
და რკინის იქით სახეებს  
გვკრებდით ფერმკრთალს და ბოროტს.

მას ისე ტკბილად ეძინა,  
თითქოს ქვეშ ეგო ველი,  
მის ტკბილ ძილს უდარაჯებდა  
გაოცებული მცველი;  
ეძინა ღანით მას, ვისაც  
დილით სიკვდილი ელის!

ყველა ტიროდა, ტირილი  
ვინც არასოდეს იცის,  
ჭურდიც, ყაჩაღიც მიეცა  
დაუსრულებელ ღვიძილს,  
შეძრწუნდა ყველა ტუსადი,  
სხვისი ვაებით იწვის.

შართლაც რომ სხვისი ბრალისა  
განცდა ყოფილა ძნელი;  
ვადამდე დაგვცა მახვილი  
ცოდვამ თავისი ხელით,  
და სხვისი ხელით დაღვრილ სისხლს  
ცრემლი ვაყარეთ ცხელი.

ზარი დაეცათ დარაჯებს,  
ბნელ დერეფანში მცოცავთ,  
შიშით ჰკვირობდნენ საკანში  
იმზირებოდნენ როცა,  
მუხლმოდრეკილი ლოცულობს  
ვინც არ იცოდა ლოცვა.

მუხლმოყრილები მთელ ღამეს  
ჩვენ ვლოცულობდით ცხარედ,  
და როგორც შავი სულდარა,  
ღამე ფრთას შლიდა გარეთ,  
უმწარეს ღვინოდ მიგვაჩნდა  
ეს სინანული მწარე.

\* \* \*

იუმცა მამალმაც იყვილა,  
ვერ გათენდა და ვერა,  
საშინელების თვალეში  
ყველა კუთხიდან გვხვერავს,  
ღამის ბოროტი სულეები  
გარს ტრიალებენ ჯერაც.

აქეთ და იქით სსლტებიან,  
ნისლის მოუსხამთ თეჟა,  
ზოგი დაბრუნავს წყვილ-წყვილად,  
ზოგი მთუარის სხივს შეყვია,  
ზოგს გაუმართავს წყვილიადში  
გულისამრევი ცეკვა.

მახინჯ არსებებს მიეცათ  
ერთმანეთისთვის მხარი  
და გაემართათ ფერხული,  
ორომტრიალი ჩქარი,  
ჰაერში სახეს ხატავდნენ,  
როგორც ქვიშაზე ქარი.

გადადიოდნენ ყირაზე,  
ერთსაც არ ედო ფერი,  
ვამაყრუებელ ღრიალით  
ღამის აგვხადეს ჰერი,  
ისე ხმამალლა მღეროდნენ,  
მკვდრებს აღვიძებდნენ მღერით.

„ჰეი, ქვეყანა დიდია“  
სულ გაჰკიოდნენ ამას,  
„ბედის კამათლის გორება  
ცხოვრებასა ზღის ღამაზს;  
ვინც ცოდვას ეთანაშება,  
ის კი წააგებს თამაშს“.

და ქმნილებანი, რომელნიც  
მხიარულობდნენ ამდენს,  
ცოცხლებად გვეჩვენებოდა  
ბოროტიდადებულ ღანდებს.  
ოჰ, ქრისტე ღმერთო! მართლაც რომ  
ცოცხალ ქმნილებებს ჰგვანდნენ!

დაგეტრიალებდნენ, წრეს ჰკრავდნენ,  
ზოგი დაჰქროდა წყვილად,



ზოგი როსკიების მიმოხრით  
ტანს გვაჩვენებდა წვრილად.  
ზოგი დაცინებით ლოცვაში  
გვეხმარებოდა ფრთხილად.

ოიფრახზე ქარი აკუნესდა,  
მაგრამ არც დილა იშვა,  
ბოლო არ უჩნდა არც წყვილადს,  
არც ორონტრიალს გიყმაყს;  
ლოცვის ეამს უფრო შეგვიპყრო  
შისს სამსჯავროის შიშმა.

ქარი ქვეთინით დაჰქროდა,  
ეხეთქებოდა კედლებს,  
და აბრუნებდნენ წამები  
ბედის უბედურ ეტლებს.  
ქარო, როდემდე ვიქნებით  
ასე? გვითხარი, გვედრებ!

ბოლოს კედელზე გისოსის  
ანარეკლს მოვკარ თვალი,  
ჩემს საწოლს ზემოთ სინათლე  
გამოისახა მკრთალი  
და მივხვდი, ღმერთმა დაანთო  
ქვეყნად რიყრავის ალი.

ექვსზე საკანი დავგავეთ,  
შვიდზე ხნაური მიწყდა,  
მაგრამ მთელ ციხეს ესმოდა  
რალაც ძლიერი ფრთის ხმა, —  
სუსხიან სუნთქვით სიკვდილმა  
კვლავ გვაგრძნობინა რისხვა.

არც მეწამული ემოსა,  
არც მთვარის ჰყავდა ცხენი,  
თოკით და ფიცკრით ჯალათმა  
შესძრა გულეები ჩვენი,  
სიკვდილის მაცნე ვიცანით,  
ფარული საქმის მჩენი.

იმ ხალხსა ვგავდით, რომელიც  
კაობში არის მდგარი;  
ველარც ლოცვა ვთქვით, ვერც მომდგარ  
ბოლმას გავუღეთ კარი;  
რალაცა მოკვდა და მივხვდით,  
რომ იმედია მკვდარი.

თავისი გზა აქვს სამართალს,  
არ გადაუხვევს განზე,  
ძალუქს უღონო მოაშთოს,  
გინდა ჯანღონით სავსე,  
აველაფერს თელავს ქუსლებით  
და წინ მიიწევს ასე!

რვა საათამდე ვიცადეთ,  
პირში გაგვიშრა ენა,  
რვას რომ დარეკავს — ერთმსოვის  
წყდება წუთების დენა,  
წერას ვერავინ წაუვა,  
წერას არ უნდა რბენა.

სხვა რა შეგვეძლო, — ველოდით,  
ენას ვერ ვძრავდით პირში,  
როგორც კერპები ვისხედით  
გაქვავებულნი შიშით,  
და გული ისე გვიცენდა,  
როგორც დოლსა სცემს გიყი.

ციხის საათმა ცახცახით  
რვაჯერ დარეკა დღესაც  
და უცებ სუსტად გაისმა  
უიმედობის კვნესა,  
ვით კეთროვანის ძახილი,  
ველსაც რომ აფრთხობს, ტყესაც.

ზოგჯერ გონების წინაშე  
დგება საზარი სახე,  
კონების თვალთ მეც ასე  
ქერელის თოკი ვნახე  
და გმინვად როგორ აქცია  
ლოცვა ჯალათის მახემ.

ის სინანული, რომელსაც  
ეს სისხლის ოფლი მოსდევს,  
რა ნაცნობია, კვლავ ვიგრძენ.  
მწარე ხმა მესმა ოდეს:  
ბევრი სიცოცხლის პატრონი  
უნდა მრავალჯერ მოკვდეს.

#### IV

იუ ვინმეს სჯიან სიკვდილით,  
იმ დღეს არ არის წირვა;  
მღვდლის გული დააავადა  
ჯავრმა და ძგერამ ხშირმა;  
რაც მის სახეზე სწერია,  
ვერ თქვას კაციისა პირმა.

შუადღე იყო მოსული,  
როცა ჩაწოჰკრეს ზარი,  
და სათითაოდ გაგვიღეს  
ყველას საკანის კარი,  
და ჯოჯობებით ჩვენ-ჩვენი  
გამოვიტანეთ მხარით.

სუფთა პაერზე გავედით,  
ჯავრი თუმც ყველას კეცავს,  
ფერდაკარგული სახენი

თვალში მაშინვე მეცა,  
გამოუთქმელი წუხილით  
ხველა უმზერდა ზეცას.

არ შევხვედრივარ აროდეს  
ამგვარი სევდით მზირალთ  
იმ ნაგლეჯისთვის, ტუსალი  
ცას რომ უწოდებს ხშირად  
და ღრუბელისთვის, რომ ცურავს  
ლალად ლაქვარდის ძირას.

ჩვენს შორის იყენენ ისეთნიც,  
მიხვედრილიყვენენ თავად, —  
მათაც იგივე რომ ექნათ,  
გათენდებოდა შავად:  
იმ კაცმა მოჰკლა ცოცხალი, —  
მკვდარი მოუკლავთ ამათ.

მკვდრის გაღვიძება ბრალდება  
მეორე ცოდვის ჩამდენს,  
იგი მკვდარსა ჰხდის სუდარას  
და სისხლს მეორედ ადენს,  
ამაოდ კი ღვრის იგი სისხლს,  
ანაოდ ცოდავს ამდენს.

\*\*\*

ნახსრულად შემოსილები,  
ასფალტზე ფეხის სსლეთით,  
მივჩანჩალებდით მოხრილნი,  
ერთი მეორის გვერდით,  
წრეს წრეზე ვკრავდით მდუმარედ,  
სიტყვაც არ გვიოქვამს ერთი.

ჩვენს წინ არ იხურებოდა  
მოგონებათა კარი,  
ცარიელ გულში საზარლად  
დაგრიალებდა ქარი,  
წინ განსაცდელი გვიცდიდა,  
შიში—ზურგს უკან მდგარი.

\*\*\*

მკაცრად გვიმზერდნენ მცველები,  
ოთქოს მწყემსავდნენ ფარას  
და საზეიმოდ მოსულნი  
ნიმოდითოდნენ. წყნარად,  
თუმც კირით მოსვრილ ფეხსაცმელს  
ვერ იფარებდნენ ფარად.

ალარსად სჩანდა საფლავი,  
გუშინ რომ ელო პირი.  
ტალახს და ქვიშას დაეპურო  
იქ ციხის კედლის ძირი,

და ვით სუდარის ნახვევი  
ოდნავ მოსჩანდა კირნიშნულში  
გინჯილიყოთქას  
მართლაც ამგვარი სუდარა  
ცოტას ერგება რჩეულს,  
სინავეს მას ციხის მიწაში,  
შიშველს, თოკებით ზვეულს,  
ფეხებზე ადევს ბორკილი  
და ცეცხლი უწავს სხეულს.

\*\*\*

ცეცხლად ქცეული დღედაღამ  
კირი ვერ ძღვება ჭამით,  
ნაზ ხორცს ის დღისით მიირთნევს,  
ძვლებს შეექცევა ღამით,  
ხორცს და ძვალს რიგრიგობით ჭამს,  
გულს კი — ყოველი წამით.

აქ სამ წელს ვერავენ ნახავს  
მწვანე ბალახის ფესვსაც,  
დაწყველილ ადგილს ამ სამ წელს  
მწვანე არ უნდა ეცვას  
და მორჩილებით უმზერდეს  
ის განცვიფრებულ ზეცას.

ჰგონია ნათესს დაღუპავს  
მკვლელის სხეული კრული,  
ვიცე არ იცის, რომ მიწას აქვს  
უფრო კეთილი გული, —  
უფრო ხარობენ ვარდები  
მკვლელის საფლავზე რგული.

წითელ ვარდს მკვლელის ბაგე ზრდის,  
თეთრ ვარდს — მისივე მკერდით!  
არავენ იცის, თვის ნებას  
რა გზით გვაუწყებს ღმერთი,  
იმ დროის შემდგომ, რაც მწირის  
ხელთ გაიფოთლა კვერთხი.

მაგრამ დაღვრემილ ციხეში  
ვარდი აროდეს ჰყვავის!  
ეზოში ხრეში ჰფენია  
და ზედ ასფალტი შავი,  
რომ მწუხარებას ტუსალმა  
ვეღარ გაართვას თავი.

არც ღვინისფერი, არც თეთრი  
ვარდი დაცვივა ფოთლად  
ქვიშას და ტალახს, რომელიც  
წვეს კედლის ძირში ობლად,  
რათა ხალხს უთხრას, უფლის ძე  
თქვენთვის მოკვდაო სოფლად.

\* \* \*

თუმც სატუსაღოს კედელი  
მას გარს არტყია მკიდროდ,  
და სულიც ღამით ვერ ივლის,  
ქვეშ ვერ დაარღვევს დიდრონს,  
და შებორკილი იტირებს  
იგი სამარეს ვიწროს, —

მინც მან ჰპოვა მშვიდობა,  
ან და იპოვის მალე,  
ვერც შიში შეშლის, ვერც ზარი,  
ვერც უსინათლო მხარე;  
სადაც წევს, იგი, საბრალო,  
იქ არც მზეა და მთვარე.

დააღრჩეს როგორც ცხოველს,  
კნუტად აქციეს ღამის,  
არც წირვა გადაიხადეს,  
არც დაიცადეს წამი,  
თხრილში მიმალეს საჩქაროდ  
მისი საწყალი გვამი.

გააძვრეს ტილოს სამოსი,  
ბუზებს საკმელად მისცეს,  
მკვდრის ასაგდებად სიტყვები  
არ დაიშურეს მჭისე,  
კირს რომ აყრიდნენ, — ხედავდნენ  
აქაც სიცილის მიზეზს.

ამ სამარცხვინო საფლავთან  
არ დაჩოქილა მღვდელი,  
არც ჯვარის განომსახველად  
არ აღუმართავს ხელი,  
თუმც თვითონ იყო უფალი  
ამგვარ ცოდვილთა მხსნელი.

მინც სიცოცხლის საზღვარი  
ხომ გაიარა წყნარად;  
მის დასატირად დევნილთა  
უცხო ცრემლებიც კმარა,  
მას იგლოვებენ ტუსაღნი,  
ვინცა გლოვობენ მარად.

\* \* \*

არ ვიცი, ტყუის თუ არა  
კაცი, კანონის მცველი,  
ვიცი, რომ ციხე მტკიცეა  
და პატივრობა—ძნელი,  
რომ ყოველი დღე გრძელა,  
წელიწადივით გრძელა.

ვიცი, რომ ყველა კანონი,  
რაც კაცს შეუქმნა კაცმა,  
რაც ეს ქვეყანა დაიწყო  
და შემოაკვდა მმას მმა, —  
მარცვალს კარგავს და ბზეს არჩენს,  
თითქოს ბზეს უნდა დაცვა.

ვიცი და მინდა ყველასთვის  
ესეც ცნობილი იყვეს:  
სირცხვილის ქვეებით ნაშენი  
არის ყოველი ციხე,  
ის დახშულია, რომ ტანჯავს  
ვერც უფლის თვალი მიყვეს.

მალვა მზისგან და ნთვარისგან  
ციხის ყოფილა ვალი,  
რათა გარედან არ ჩანდეს  
ამ ჯოჯოხეთის კვალი,  
რათა არც ღმერთმა, არც კაცმა  
ზედ არ შეასწროს თვალი.

\* \* \*

აქ არაფერი არ ხარობს  
უკეთურობის გარდა,  
კაცის სიკეთე აქ ჰქნება,  
ზედ ეფარება ფარდა,  
ტანჯვა და სასოწარკვეთა  
დგანან დააჯად კართან.

ნაცემი ბავშვი მშვიერი  
ტირის ღამით და დღისით,  
აქ სცემენ სუსტს და მოხუციც  
ხდება დაციწვის ღირსი,  
ზოგი გიჟდება, მაგრამ კრინტს  
მინც ვერა სძრავს შიშით.

ყოველი ვიწრო საკანი  
არის სინყრალის ბუდე,  
სიკვდილის სუნში ჩამხრჩველა  
რკინის ყოველი ზღუდე,  
და ავხორცობის გარდა კაცს  
გულში აღარა უღვეს.

ლორწოიან წყალს, საზიზღარს,  
ძლივს ეკარება პირი,  
აწონილ პურში ერევა  
მწარე ცარცი და კირი,  
აქ ძილი დაბლა არ წევბა,  
სულ დროს უძახის, ყვირის.



შემშლილი წყურვილს არ ებრძვის,  
როგორც გველი გველს, მტრულად,  
ხველაზე მეტად ეს გეტანჯავს  
და ესღა ვიციტ სრულად:  
კაცი რომ დღისით ქვასა სწევს,  
ღამით ის უდევს გულად.

აქ ყველას გულში ღამეა,  
ბინდი, საკანში მდგარი;  
შრომობს და ოფლს ღერის, რაც  
ძალუმს,  
ამ ჯოჯოხეთის ჯარი;  
სიხუმე უფრო ზარსა გვემს,  
ვიდრე ბრინჯაოს ზარი.

აქ კაცი სიტყვას არ გეტყვის,  
რომ გაგრძნობინოს შვება,  
კარს იქით თვალუფრს გადავენებს  
მცველის თვალი და ნება.  
აქ ყველა დავიწყებული  
სულით და ხორციტ ღება.

სიცოცხლის ჯაჭვიც ეანგდება,  
უცხად არ წყდება მხოლოდ;  
ზოგი სდუმს, ზოგი ქვითინებს,  
სხვა წყველას ამბობს ბოროტს,  
მაგრამ ღმერთთა მოწყალე, —  
ქვის გულიც სკდება ბოლოს.

ყოველი გული გამსკდარი  
ვისაც ეს ციხე ღუპავს,  
გატეხილ კოლოფს მაგონებს,  
განძს რომ სთავაზობს უფალს,  
და ძვირფას სურნელს რომ აფრქვევს  
კეთროვანთა სახლს მწუხარს.

ნეტაეი მას, ვინც მშვიდობა  
გულის გასკდომით ჰპოვა,  
კოდვისგან სული გასწმინდა,  
მძიმე შესწყვიტა გლოვა,  
რადგან უფალი სწორედ მის  
გამობილ გულში მოვა.

თვალეზი გადმოცევენია,  
დასივებია ყელი;  
ვინც ქურდს სამოთხე გაულო,  
იმის წმიდა ხელს ელის:  
გატეხილ, მონანიე გულს  
არ უყუაგდებს მხსნელი.

წითლად მოსიღმა მსაჯულმა  
მისი სიცოცხლის ხანად  
და სულის დასაყუჩებლად  
სულ სამი კვირა ბრძანა,  
რომ მოწმენდოდა სისხლი ხელს,  
რასაც ეჭირა დანა.

სისხლის ცრემლებმა მოსწმინდეს  
მას სისხლიანი ხელი,  
სისხლს მხოლოდ სისხლი თუ  
მოსწმენდს,  
მხოლოდ ცრემლები ცხელი,  
კენის ნიშანს მეწამულს  
თეთრ ნიშნად აქცევს მხსნელი.

## VI

რედინგის ახლოს ციხეა  
და სამარცხვინო თხრილი,  
იქ საბრალო გვამს ეცეხლი სჭამს.  
მიწაც არა აქვს გრილი,  
წევს უსახელო საფლავში  
ადამიანის შვილი.

ვიდრე მკედარს ღმერთი აღადგენს,  
იქ უნდა იწვეს მუღამ,  
მის ღუმელს ოხტა არ აკრთობს,  
ცრემლი, დაღვრილი ცუდად;  
მან მოჰკლა სატრფო თავისი  
და მომკედარიყო უნდა.

მაგრამ ყველა ჰკლავს საყვარელს, —  
ყველა ისმენდეს ამას, —  
ერთი პირქუში მზერით ჰკლავს,  
სხვა სიტყვას ხმარობს ღამაზს,  
ღამარი კოცნას ნიშართავს,  
ხმალი უჭირავს მამაცს!

## თავაზი ჰვავის ყანაში\*

15

დიდხანს არ მძინებია. ათ საათზე მეტი არ იქნებოდა, როცა გამოვიღვიძე, სიგარეტი მოვწიე და მაშინვე ვიგრძენი, რომ მაგრად მომწიებოდა. უკანასკნელად ეკლისა და ბრასართან ერთად ვქამე ორი კატლეტი, ეგერსტაუნში რომ ვიყავი კინოს საყურებლად. ეს დიდი ხნის წინათ იყო, თითქოს ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. ტელეფონი იქვე, სასთუმალთან მდგა და, ერთი პირობა დარეკა დაეპირე, საუბრეს ამოვატანინებ-მეთქი. მაგრამ შემეშინდა: ხომ შეიძლებოდა იმ ოხერი მორიხისთვის გამოეტანებინათ. თუ გგონიათ, ერთი სული მქონდა იმ ვაჟბატონის ნახვამდე, ძალიან შემცდარი ბრძანდებით. ისევ საბანში გავეხვიე და ერთი სიგარეტი კიდევ გავაბოლე. ჯეინთან დარეკა დაეპირე, გავიგებდი შინ თუ იყო. მაგრამ გუნებაზე არ ვიყავი.

ისევ სალი ჰეისს დაფურეკე. მერი ელდროფის პანსიონში სწავლობდა, და ვიცოდი, რომ ახლა შინ იქნებოდა, სწორედ ორი კვირის წინ მივიღე მისი წერილი. ჰუუსს კი არ ვკარგავდი მასზე, მაგრამ კარგა ხნის ნაცნობები ვიყავით. დიდი ჰუუსისკოლოფი მეგონა. სულელი ვიყავი. ჰუუსისკოლოფი იმიტომ მეგონა, რომ თეატრების ამბები, პიესებისა, ლიტერატურისა და ამისთანები, სულ ზეპირად იცოდა. ამდენი რამე რომ იცის კაცმა, უცებ ვერ შეატყობ—სულელია თუ ჰკვიანი. სალის, მაგალითად, რამდენი წელიწადია ვიცნობ და

მაინც ვერაფერი გავუგე. ანკი რას გავუგებდი, იმდენს ვკოცნიდით ერთმანეთს! ჩემი უბედურება ის არის, რომ როცა ვინმეს ვკოცნი, დიდი განათლებული გოგო მგონია. სად განათლება და სად ამისთანა საქმე, მაგრამ მე მაინც ასე მგონია.

ერთი სიტყვით, დაფურეკე. ჯერ მოსამსახურე გოგომ მიპასუხა. მერე მამამ. ბოლოს თვითონ მოვიდა ტელეფონთან.

— სალი ხარ? — ვკითხე მე.

— დიახ... ვინ არის? — ჰოი, რა თვალთმაქცია! მამამისს უკვე ვუთხარი, ვინც ვიყავი.

— პოლდენ კოლფილდი ვარ. როგორა ხარ?

— პოლდენ! კარგად ვარ. შენ თვითონ როგორ ხარ?

— მეც კარგადა ვარ. მოიხედე, იცი რაზე დაგირეკე? იქნებ თავისუფალი იყოს-მეთქი. დღეს კვირაა, მაგრამ ალბათ კვირაობითაც აჩვენებენ დილის სპექტაკლებს. ან საქველმოქმედოს, ან ამნაირ რამეს. არ წამოხვალ?

— დიდი სიამოვნებით. რა დიდებულა!

„დიდებულა!“ ვერ ვიტან ამ სიტყვას. რაღაც ქლესურია. კინაღამ გულმა არ მომიტმინა და არ მივახალე, არსადაც არ წავალთ-მეთქი. მაგრამ თავი შევიკავე და ლაყბობას მოვყევით. ესე იგი, იმან ილაყბა. შენ რას ამოგაღებინებდა ხმას! ჯერ ვილაც პარვარდელ ვაჟბატონზე ილაქლავა — ალბათ ახალი გამოჩეკილი იქნებოდა, პირველკურსელი. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ უთ-

\* ვაგბრძელება. იხ. „მნათობი“ № 4, 5, 6.

ქვამს — ჩემზე ჰკუთას კარგავსო. დღე და დამე მირეკავსო. დღე და დამე! მომს-  
პო და გამათავა. მერე სხვა ვაქბატონის  
ამბავს მოჰყვა, ვიღაც ვესტ-პოინტელი  
კადეტი ყოფილა, რომელიც ლამის  
ყელს ილადრავდა თურმე მისი გულის-  
თვის. ამაზე დიდი უბედურება იქნება!  
ორი საათისთვის ბილტმორის საათის  
ქვეშ დაგელოდები-მეთქი, ვუთხარი და  
გავაფრთხილე, არ დაეგვიანა, რადგან  
დრლის სპექტაკლები ალბათ სამის ნახე-  
ვარზე იწყება. ის კი მუდამ იგვიანებდა.  
მერე მილი დაეკიდე. გაბეზრებული ვი-  
ყავი იმისგან, მაგრამ ძალიან ლამაზი  
გოგო კი იყო.

სალის რომ ჰქმნა დავუნიშნე, ავ-  
ღეკი, ჩავიციე და ჩემოდანი ჩავალაგე.  
მანამ ოთახიდან გამოვიდოდი, ფანჯარა-  
ში გადავიხედე, ის გაფუჭებული ხალხი  
რას აკეთებს-მეთქი. მაგრამ ფარდები  
ჰქონდათ ჩამოშვებული. დილდობით  
წესიერების განსახიერება იყო ყველანი.  
მერე ლიფტით დავეშვი და ქირა გა-  
დავიხადე. იმ ნაბიჯვარ მორისს არსად  
გადავყრივარ. რაღა თქმა უნდა, კისერი  
არ მომიტეხია მის საძებრად.

სასტუმროდან გამოვედი და მაშინვე  
ტაქსი დავიკირე, მაგრამ წარმოდგენა არ  
მქონდა, საით უნდა წასულიყავი. ჯერ  
კვირა იყო, შინ კი ოთხშაბათამდე არ  
მიმესვლებოდა, ყოველშემთხვევაში  
სამშაბათამდე მაინც ვერ გამოვჩნდებო-  
დი. არა და სხვა სასტუმროში წასული-  
სა და გამოტყინების ხალისიც აღარ  
მქონდა. ასე რომ, ჩავგეკი ტაქსი და  
შოფერს ვუთხარი, ცენტრალური სად-  
გურისკენ წასულიყო. გზა მაინც იქით  
მქონდა — ეს სადგური სწორედ ბალტ-  
მორის გვერდზე იყო, საცა უფრო მოგ-  
ვიანებით სალის უნდა შევხედროდი.  
გადავწყვიტე, რომ ბარგი შესანახად  
მიმებარებინა — იქ დიდ ყუთებში ჩააგ-  
დებენ ხოლმე და გასაღებს შენ გაძლე-  
ვენ, — მერე კი ვისაუზმებდი. ცოტა არ  
იყოს მომშივედა. მანამ ტაქსი ვიკეკი,  
საფულე ამოვიღე და ფული დაეთვალე.  
კარგად აღარ მახსოვს, რამდენი აღმო-  
ჩნდა, მაგრამ დიდი ფულიანი არ ყო-

ფილვარ. ამ ორ ქეციან კვირაში გვეყენის  
ფული გავფლანგე. კაი გვარყანი ბედოე-  
ლათი ვარ. რის დახარჯვასაც ვერ ვას-  
წრებ, ისე ვკარგავ. ხურდის აღებაც კი  
მაგიწყდება ხოლმე სანახევროდ რესტო-  
რანებსა და ღამის კლუბებში. ამაზე  
გიძღებინა დედაჩემი და მამაჩემი. ვერც  
გამტყუნებ. თუმცა მამაჩემი მდიდარი  
კაცი. დანამდვილებით არ ვიცი, რა შე-  
მოსავალი აქვს — არასოდეს არა გვეჭო-  
ნია ამაზე ლაპარაკი — მაგრამ მე შგონი  
ბევრს აკეთებს. კორპორაციის იურის-  
ტია. მაგისი ხელობის ხალხი ხვეტავს და  
ხვეტავს ფულს. ფულიანი რომაა, იმი-  
თაც ვიცი, რომ მუდამ აბანდებს ხოლმე  
თანხას ბროდვეის დადგმებზე. მერე ეს  
დადგმები ფლავდება და დედაჩემი ჰკუ-  
თას კარგავს. საერთოდ, ელის სიყვდილის  
შემდეგ ძალიან მოტყდა დედაჩემი. სულ  
მოეშალა ნერვები. იმიტომაცაა, რომ  
ქირის დღესავით მეზარება შინ გამოპან-  
ჩურებული დაბრუნება.

მივედი სადგურზე, ბარგი დიდ ყუთ-  
ში შესანახად მივაბარე და იქვე სასან-  
დვიჩე ბარში შევედი. კარგა გვარიანად  
დავნაყრდი — ფორთოხლის წვენი, ლო-  
რი კვერცხით, ხრაშუნა პური და ყა-  
ვა. ჩვეულებრივ, მარტო ფორთოხლის  
წვენსა ვსვამ ხოლმე დილით. ცუდი  
მქამელი ვარ. ღმერთმანი. იმიტომაც  
ჩამოვხში ასე საცოდავად. ეჭიმებმა  
მირჩიეს, გასუქება თუ გინდა, ბევრი  
პურეული უნდა ჰკამოო, და ათასი ამის-  
თან სისულელე, მაგრამ ჩემს დღეში  
არ მითხოვებია ყური. როცა სადმე ვარ,  
შვეიცარული ყველის სანდვიჩისა და  
რძის ფაფას ვკამ ხოლმე. თითქოს ბევრი  
არაფერია, მაგრამ ფაფაში ვიტამინებია.  
პ. ვ. კოლფილდი. ჰოლდენ ვიტამინ  
კოლფილდი.

ერბოკვერცხსა ვქამდი, ბარში ორი  
მონაზონი რომ შემოვიდა. ხელში ჩემო-  
დნები ეჭირათ. მაშინვე მივხვდი, რომ  
სხვა შონასტერში მიემგზავრებოდნენ,  
და ახლა მატარებელს უცდიდნენ. შე-  
მოვიდნენ და ჩემს მეზობლად ჩამო-  
სხდნენ, დახლთან. აღარ იცოდნენ, რა  
ჯანდაბა ექნათ ამ ჩემოდნებისათვის, და



შე მივეშველე. უბრალო ჩემოდნები ჰქონდათ, ტყავისა კი არა—ისე. რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ საშინლად მეჯავრება, უბრალო ჩემოდნები რომ უჭირავთ ხელში. ვიცი, რომ სირცხვილია ამისი თქმა, მაგრამ მარტო იმისათვისაც კი შემძულდება კაცი, ხელში უბრალო ჩემოდანი თუ დეფენახე. ერთხელ ასეთი რამე მოხდა. ელქტონ ჰილში ვსწავლობ და ერთ ბიჭთან ვარ ოთახში, დიკ ლეგლთან, რომელსაც უბადრუკი ჩემოდნები ჰქონდა. საწოლქვეშ ინახავდა ხოლმე ამ თავის ჩემოდნებს, თაროზე არ ღებდა—რათა ჩემი ჩემოდნების გვერდით არავის დაენახა. საშინლად ვდუღდებოდი ამაზე. ვფიქრობდი, ან გადავყრი ჩემს ჩემოდნებს, ან არადა მაგას გაუუცვლი-მეთქი. ჩემი ჩემოდნები მარჯ კროსის ფირმისა იყო. ნამდვილი ძროხის ტყავი და ყველაფერი, კი ძალი ფულიც იქნებოდა მიცემული. მაგრამ ახლა ნახეთ, რა სასაცილო ამბავი მოხდა. ერთ დღეს ავდექი და ეს ჩემი ჩემოდნები ჩემივე საწოლის ქვეშ შევაწყე, რომ იმ უბედურ ლეგლს ძალიან დამცირებულად არ ეგრძნო თავი. მაგრამ ესეც ნახეთ, იმან რა ქნა. იმავე დღეს ადგა და ჩემი ჩემოდნები ისევე თაროზე შეაღება. დიდხანს ვერ ამოვხსენი მიზეზი. და ბოლოს მივხვდი როგორც იქნა—სხვებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, თითქოს მისი ჩემოდნები იყო. ნამდვილად. ახირებული კაცი იყო. ჩემს ჩემოდნებს, მაგალითად, მუდამ სასაცილოდ ივდებდა. მეტიცმეტად ახალი და მეშინაურიყო, მეტუნებოდა. ეს იყო მისი საყვარელი გამოთქმა. ეტყობა, სადმე წაეკითხა ან გაეგონა. რაც არ უნდა გამეკეთებინა, ყველაფერი მეშინაური იყო. ჩემი ავტომატური კალამიც კი მეშინაური გამოდგა. ხელში არ მიჩერებდა, წარამარა ნათხოვრობდა, მაგრამ მაინც მეშინაური იყო. ორი თვე ძლივს ვაძვლილი ერთად. მერე იმანაც ითხოვა—და მეც, რომ ერთმანეთისთვის დავეშორებინეთ. სასაცილო ისაა, რომ მომეწუინა უიმისოდ, რადგან საოცარი ხუმარა იყო და ხში-

რად კარგადაც ვერთობოდიო. დარწმუნებული ვარ, ისიც მოიწყენდა. თანაც პირველად მადუღებდა, მეშინაური წიქთები გაქვსო, და მეც არ მიმიქცევია ყურადღება. პირიქით, ვერთობოდი კიდევც ამ ხუმრობაზე. მერე და მერე, შეგატყვე, რომ ეს უბრალო აღუღება არ იყო. ეტყობა, მართლაც ძნელია იმისთანა კაცთან ერთად იცხოვრო ოთახში, რომლის ჩემოდნებიც შენსას ვერაფრით ვერ შეედრება—შენი დიდებულია, იმისი კი უბადრუკი. ალბათ იტყვიო, თუკი განათლებული კაცია და იუმორის გრძნობაც აქვს, ფეხებზე უნდა ეკიდოს, ვისი ჩემოდნები სჯობსო, მაგრამ ნამდვილად ასეა. იმიტომაც ავირჩიე ოთახის მეზობლად ის შტერი და ნაბიჭვარი სტრედლიეტერი. ყოველ შემთხვევაში, ჩემოდნები მასაც კარგი ჰქონდა.

ერთი სიტყვით, მონაზნები ჩემს მეზობლად ჩამოსხდნენ და რალაციონირად ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ერთ მათგანს, ჩემკენ რომ იჯდა იმას, ჭილის ჩანთა ჰქონდა. ამისთანა ჩანთებში მონაზნები და გათავისუფლების არმიის გოგოები საშობაოდ საქველმოქმედო ფულს აგროვებენ. კუთხეებში დგანან ხოლმე, განსაკუთრებით მეხუთე ავენიუზე, დიდრონი მალაზიების შესასვლელებთან. ჰოდა, უცებ ჩანთა იატაკზე დაუვარდა. მე გადავწყვდი, ავიღე და მივაწოდე. საქველმოქმედო ფულს ხომ არ აგროვებთ-მეთქი, ვკითხე. არაო, მიპასუხა. ჩანთა ჩემოდანში ვერ ჩავტეი და ხელში იმიტომ მიჭირავსო. ღიმილი ძალიან შევწოდა, როცა შემოგხედავდა. დიდცხვირა იყო, სათვალეც ულაზათორკინის ჩარჩოიანი ეკეთა, მაგრამ ძალიან სანდომიანი სახე ჰქონდა.

— საქველმოქმედო ფულს თუ აგროვებენ, ცოტაოდენი იქნებ მეც შემეწირა-მეთქი, ვიფიქრე, — ვუთხარი მე, — შეგეძლოთ შეგენახათ და შეგროვებას რომ დაიწყებდით, მაშინ მიგვმატებინათ.

— ო, დიდ სიკეთეს იჩინო, — მითხრა მან. ამ დროს მისმა მეგობარმაც გადმომხედა. პატარა შავ წრგნს კითხუ-

ლობდა ის მეორე და თან ყავას სვამდა. ბიბლიას ჩამოგავდა ეს წიგნი, მაგრამ მეტისმეტად თხელი იყო. ალბათ ბიბლიისნაირი რამე იქნებოდა. საუზმედ მხოლოდ ყავა და ხრაშუნა პურები დაეკეთათ. ამან გუნება გამიფუჭა. საძაგლობაა — შენ ლორიან ერბო-კვერცხსა და ამისთანა რალაკებს შიირთმევედ და შენს გვერდით კი ცარიელა ყავასა და ხრაშუნა პურსა სვამდეს კაცი!

ათი დოლარი მიიღეს ჩემგან შეწირულებად. ჩამაცივდნენ, ნამდვილად შეგიძლიათ კი ამდენის გამოშვებაო. ფული თავსაყარი მაჭეს-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მგონი, არ დაიჯერეს. ბოლოს მაინც გამოშაროვეს. იმდენი მადლობა მიხადეს სათითაოდ, რომ უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. საუბარი საერთო თემაზე გადავიტანე და ვკითხე, საით მიბრძანდებოდნენ. მასწავლებლები გამოდგნენ, ის იყო ჩიკაგოდან ჩამოსულიყვენ და რომელიღაც სკოლაში მასწავლებლობას აპირებდნენ — არ ვიცი ასსამოცდამერვე ქუჩაზე და არ ვიცი ასოთხმოცდამეექვსეზე, თუ სადღაც იმ უბანში. ჩემკენ რომელიც იჯდა, — აი რკინის ჩარჩოიანი სათვალე რომ ეკეთა, — ინგლისურის მასწავლებელი აღმოჩნდა, მისი მეგობარი კი ისტორიასა და ამერიკის კონსტიტუციას ასწავლიდა. იდიოტივით ამეკვიტა ერთი აზრი და ველარც ამოვიგდე თავიდან — ეს ჩემი მეზობელი, ინგლისურს რომ ასწავლის, თუკი მართლა მონაზონია და ყველაფერი, ნეტა რას ფიქრობს, ზოგიერთ ინგლისურ წიგნს რომ კითხულობს-მეთქი. მაინცადამაინც უხამსსა და უგვან წიგნებზე კი არ მოგახსენებთ, არამედ ისეთ წიგნებზე, სადაც სიყვარული და ამისთანობაა აღწერილი. ჯერ მარტო იუსტასია ვეი რად ღირს — თომას პარდის „სამშობლოში დაბრუნება“ ხომ გახსოვთ? არც იმდენი ზვეენა-კოცნაა შიგ და არც არაფერი, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობს ხოლმე მონაზონი, იმ იუსტასიას ამბავს რომ კითხულობს. რალა თქმა უნდა, ამაზე კრინტიც არ

დამიძრავს. მარტო ისა ვთქვი, ინგლისურს ყველაზე კარგად ვსწავლობ-მეთქი.

ბიბლიოთეკა

— მართლა? რა სასიამოვნოა! — წამოიძახა სათვალეანმა, აი ინგლისურს რომ ასწავლიდა, — წელს რა წაიკითხეთ? ძალიან მაინტერესებს. — მართლაც რომ სანდომიანი ქალი იყო.

— უმეტესად ანგლო-საქსონურ პერიოდს გავდიოდით. ბიოეულფი, გრენდელი, „ლორდო რენდალ, ჩემო შვილო“, და ამისთანებს. მაგრამ შიგადაშიგ კლასგარეშე საკითხავ წიგნებსაც გვაძლევდნენ და ამაში ცალკე ნიშნებს გვიწერდნენ ხოლმე. თომას პარდის „სამშობლოში დაბრუნება“ წაიკითხე, „რომეო და ჯულიეტა“, „იულიუს...“

— აჰ, „რომეო და ჯულიეტა“ რადიდებულა! ხომ ძალიან მოგეწონათ? მართლაც არ ჰგავდა მონაზონს.

— დიახ. ძალიან. ძალიან მომეწონა. ზოგი რამე არც თუ ისე, მაგრამ საერთოდ ძალიან კარგია.

— მაინც რა არ მოგეწონათ? ვერ გაიხსენებთ?

მართალი თუ გინდათ, ცოტა უხერხული კი იყო „რომეო და ჯულიეტაზე“ ლაბარაკი მასთან. რამდენი ზვეენა-კოცნაა ამ პიესაში, ეს ქალი კი მონაზონი გახლავთ! მაგრამ თვითონვე მკითხა და რა უნდა მექნა — მეც გავუმართე კამათი. მაინცადამაინც არ გვაყდები იმ რომეოსა და ჯულიეტაზე-მეთქი, ვუთხარი.

— მოწონებით კი მომწონს, მაგრამ... საერთოდ, ძნელი სათქმელია. ხანდახან პირდაპირ გული ჩაგწყდება. ერთი სიტყვით, მერკუციოს სიყვდილმა გაცილებით უფრო დამწყვიტა გული, ვიდრე თვითონ რომეოსა და ჯულიეტასამ. საქმე ის არის, რომ სულ გამოქრა რომეოს სიყვარული მას შემდეგ, რაც ხმლით განგმირა იმ მეორემ... ჯულიეტას ბიძაშვილმა... რა ერქვა?

— ტიბალტი.

— დიახ. ტიბალტი. — ვუთხარი მე. ვერასდიდებით ვერ დავიმახსოვრე იმ ბიჭის სახელი. — სულ რომეოს ბრალე

კი იყო. ერთი სიტყვით, მერკუციო მირჩენია ყველას, მთელს პიესაში. არ გიცი, რატომ. მონტეგებშიც კარგები არიან, კაპულეტებშიც... თვითონ ჯუელიეტა ხომ კარგია და კარგი... მაგრამ მერკუციო, ეს პირდაპირ... ძნელია ამის ახსნა. რა ჰქვიანი ბიჭი იყო, როგორი მხიარული, გულზე ვსკდები ხოლმე, ამისთანა ხალხს რომ მოკლავენ — ასეთ ჰქვიანსა და მხიარულს... და ისიც სხვისი გულისთვის. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი რომეოს და ჯულიეტას ბრალი იყო.

— რომელ სკოლაში სწავლობთ? — მკითხა მან. ეტყობა, სხვა რამეზე უნდოდა ლაპარაკი გადაეტანა.

პენისში ვსწავლობ-მეთქი. გაგონილი ჰქონოდა. ძალიან კარგი სკოლააო. მეც აღარ გამოვდებებივარ. მერე იმ მეორემ, ისტორიისა და კონსტიტუციის მასწავლებელმა, უკვე წასვლის დროაო, თქვა. იმათი ანგარიშიც ავიღე, მაგრამ არ დამანებეს გადახდა. სათვლიანმა გამოიტაცა ზელიდან.

— ისედაც დიდი ზელგაშლილობა გამოიჩინეთ, — მითხრა მან, — ძალიან კარგი ბიჭი ხართ. — მართლაც რომ სანდომიანი ქალი იყო, ცოტათი ერნესტ მოროუს დედას მოგაგონებდა, აი მატარებელში რომ გავიციანი. განსაკუთრებით, როცა გაიღიმებდა. — ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, — დასძინა მან.

ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ლაპარაკი-მეთქი, ვუთხარი. მართლაც მესიამოვნა. მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნო იქნებოდა; რომ მთელი საუბრის დროს სულ იმის შიშში არ ვყოფილიყავი — აი ახლა მკითხვენ და აი ახლა, კათოლიკე ხარ თუ არაო. კათოლიკები სულ იმის ცდაში არიან, შენი კათოლიკობაც გამოარკვიონ. მე პირადად მრავალჯერ გამომიცდია ასე, ალბათ იმიტომაც, რომ ირლანდიური გვარი მაქვს, ხოლო ირლანდიელების უმრავლესობა კათოლიკეები არიან. მართალი თუ გნებავთ, ერთ დროს მამაჩემიც კათოლიკე იყო. მაგრამ

დედაჩემი რომ შეირთო, მაშინვე მიატოვა ეს კათოლიკობა. გვაჩივ რომ არ იყოდნენ შენი კათოლიკეშმა, შაინც შეეცდებოდა შენი კათოლიკობის გამოარკვევას. პუტონის სკოლაში ერთ კათოლიკ ბიჭს ვიცნობდი — ლუი შენის. სწორედ ის ბიჭი გავიციანი პირველად პუტონში. სწავლის დაწყების დღეს. ექიმთან ვდგავართ რიგში და ლაპარაკი ტენისზე ჩამოვარდა. ტენისის ვიყი იყო. მეც, ყოველ ზაფხულს ვესწრება ფორესტ-ჰილში ტენისის შეჯიბრებებსო. მეც ვესწრები-მეთქი, ვუთხარი, და ამის შემდეგ მაგარ მოთამაშებზე ვავაბით საუბარი. ჯერ პატარა ბიჭი იყო და ტენისი კარგად არ იყოდა. ნამდვილად. ცოტა ხნის შემდეგ, გახურებულ დავაში რომ ვართ, უცებ მომიბრუნდა და მეკითხება — „შემთხვევით, კათოლიკური ეკლესია ხომ არ იცი, სად იქნება?“ ზედვე ეტყობოდა, რომ განგებ მკითხა — უნდოდა გამოერკვია, კათოლიკე ვიყავი თუ არა. ნამდვილად. ისე კი არ ჩამომართვათ, თითქოს გამწვრებით სდომოდეს ჩემი კათოლიკობა, უბრალოდ აინტერესებდა. ტენისზე ვატაცებით ლაპარაკობდა, მაგრამ მაშინვე შეატყობდით, რომ ჩემი კათოლიკობა კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას მოპვერიდა. ჰქუიდან მშლის ხოლმე ასეთი რამე. არ გვეგონოთ, თითქოს ამის შემდეგ საუბარი გავვეწყვიტოს ან რამე — სულაც არა — მაგრამ ისე კარგად ვეღარ ავაწყვეთ. ამიტომაც ვამეხარა, იმ მონახნებმა რომ არ მკითხეს, კათოლიკე თუ ხარო. რა თქმა უნდა, საუბარს არ ჩავვიშლიდა ეგ, მაგრამ მაინც სულ სხვა იქნებოდა. არ იფიქროთ, კათოლიკებს ვძრახავდე. რა ბრძანება! კათოლიკე რომ ვიყო, ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი. თუმცა ესეც იმას ჰგავს, ჩემოდნებზე რომ გელაპარაკებოდით. მე მოხლოდ ის მიინდა ვითხრათ. რომ ასეთი რაზე ტყბოდ საუბარს ჩავიშხამებს. ეგ არის და ეგ.

წასვლა რომ დაპირეს და წამოდგნენ, — იმ ორ მონაზონზე გეუბნებით, — ისეთი სიბრიყვე მომივიდა, მე-

რე მევე შევწუხდი. სიგარეტსა ვწევ-  
დი, და გამოსამშვიდობებლად როცა  
წამოვდებქი, კვამლი უცებ პირდაპირ  
სახეში არ შევებოლე! მართალია გან-  
გებ არ მიქნია, მაგრამ ასე კი გამომივი-  
და. გამწარებით მოვხყევი ბოდიშს და  
იმათაც ძალიან ტყბილად და თავაზიან-  
ად გამიღიმეს, მაგრამ მაინც უხერხუ-  
ლი იყო.

როცა წავიდნენ, ახლა იმაზე დამწყ-  
და გული, რატომ ათ დოლარზე მეტი არ  
შევიწირე-მეთქი. მაგრამ ავი სალი ჰეისს  
შევიპირდი თეატრში წაყვანას და ბილე-  
ტები ხომ უნდა მეყიდა. გული მაინც  
დამწყდა. ღმერთმა დასწყევლოს ფული.  
არ იქნება, გუნება არ გაგიფუქოს.

## 16

ჯერ თორმეტიც არ იყო, საუზმეს  
რომ მოვჩი, სალის კი ორზე უნდა  
შევხვედროდი, ასე გვქონდა დათქმუ-  
ლი, ამიტომ გადავწყვიტე სადმე შორს  
გამეცლო. ის ორი მონაზონი ვეღარ  
ამოვიგდე თავიდან. სულ თვალწინ  
მედგა ჰილის ჩანთა, რომლითაც ისინი  
საქველმოქმედო შეწირულებას აგრო-  
ვებდნენ ხოლმე, როცა სკოლიდან თა-  
ვისუფალი იყვნენ. ვედილობდი დედა-  
ჩემი ან ვინმე ახლობელი, თუნდაც მა-  
მიდა, ან სალი ჰეისის ქარაფუცა დედა  
წარმომედგინა — როგორა დგანან დიდი  
მალაზიების წინ და გაქუცულ ჰილის  
ჩანთაში საწყალი ხალხისათვის ფულს  
აგროვებენ. ძნელი წარმოსადგენი კი  
იყო. დედაჩემი იმდენად არა, რამდენა-  
დაც ის ორი. მართალია, მამიდაჩემი  
ქველმოქმედი ქალი გახლავთ — წითელ  
ჯვარს ეხმარება და ყველაფერი —  
მაგრამ ძალიან კარგად იცვამს, საქველ-  
მოქმედო ფულის შესაგროვებლად რომ  
დადის, მაშინაც კარგად ატყია, თან  
ტუჩებსაც იღებავს. ვერ წარმომიდგე-  
ნია, როგორ უნდა ჩაიცივას მონაზონის  
შავი ფლასები და ტუჩებშეუღებავმა  
საქველმოქმედო მოწყალეების შესა-  
გროვებლად იწანწალოს. ახლა სალის  
დედა! ღმერთო ჩემო! მხოლოდ იმ პი-

რობით ივლის მოწყალეების შესაგრო-  
ვებლად, ყველა ფეხქვეშ თუ ვაგრაქიმ  
შეწირვის დროს. ისე თუ ჩაუგდეს ფუ-  
ლი და ხმის გაუცემლად გაშორდნენ —  
არც ყურადღება მიიქციეს და არც არა-  
ფერი — ერთ საათში დაანებებს თავს.  
მოსწყინდება. ჩანთას ვინმეს მიუგდება  
და თვითონ რომელიმე დიდებულ რეს-  
ტორანში შებრძანდება. ამიტომაც მო-  
მეწონა ის მონაზონები. მაშინვე შეატყო-  
ბდით, რომ მდიდრულ რესტორნებში  
შემსვლელები არ იყვნენ. და ეს რომ  
გავიფიქრე — თავის დღეში არ შევლენ  
მდიდრულ რესტორანში-მეთქი — გულ-  
ზე ნალველი შემომამწევა. ვიცი, რომ ამას  
დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ  
მე მაინც დამწყდა გული.

ბროდვეისკენ გავსწიე. ისე, გულის  
გადასაყოლებლად: რამდენი ხანია იქით  
აღარ გამეცლო. თანაც იქნებ გრამფო-  
ნის ფირფიტების კვირადღეობით მოვა-  
პრე მალაზიას გადავეყარო სადმე-მეთქი,  
ვიფიქრე. ფიბისთვის მინდოდა ფირფი-  
ტა — „ბაწაწინა შერლი ბინსი“. ძალიან  
ძნელი საშოვნელი იყო. ერთ პატარა  
გოგონაზე — ორი წინა კბილი მოსძვრე-  
ბა და შინიდან აღარ გამოდის, რცხვე-  
ნია. პენსიში მოვისმინე ეს სიმღერა.  
ვილაც ბიუს ჰქონდა, ზემო სართულზე.  
მინდოდა გამომერთმია — ვიცოდი, რომ  
ფიბი ჰკუას დაკარგავდა — მაგრამ არ  
მომიცადა. შესანიშნავი ფირფიტა იყო,  
ძველისძველი, ოცი წლის წინათ ემღერა  
ზანგ მომღერალს — ესტელ ფლეტჩერს.  
სამხრეთულად უქცევს, ცოტათი ქუჩუ-  
რადაც კი, და იმიტომ არ არის გულის-  
ამაჩუყებელი. აბა თეთრკანიან ქალს ემ-  
ღერა! მიანაზებდა და მიაცნავებდა ხმას.  
ეტყობა, იცოდა თავისი საქმე იმ ესტელ  
ფლეტჩერმა. იშვიათად მომისმენია  
ასეთი კარგი რამე. ვიფიქრე, კვირაო-  
ბით მოვაპრე რომელიმე მალაზიაში წა-  
ვაწყდები და ვიყიდი-მეთქი. მერე პარკ-  
ში წავიღებდი, ფიბი თითქმის ყოველ  
კვირა-დღეს დადის საციგუროდ პარკში.  
ვიცოდი, სად შეიძლებოდა მისი ნახვა.  
გუშინდელივით აღარ ციოდა, მაგ-  
რამ მზე მაინც არ გამოჩენილა და ვერა-

ფერი სასიამოვნო იყო ქუჩაში წრიალი. თუმცა ერთმა რამემ კი გამახარა. ჩემს წინ მთელი ოჯახი მიდიოდა — მამა, დედა და ასე ექვსი წლის ბიჭი. ეტყობოდა, ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ. ღარიბები ჩანდნენ. მამას პრიალა ნაცრისფერი ქუდი ეხურა — ღარიბი ხალხი საგარეოდ იხურავს ხოლმე ასეთ ქუდს. ცოლ-ქმარი თითქმის თავისთვის მიდიოდა, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და ბავშვს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ღმერთივით ბიჭი იყო. ტროტუარზე კი არ დადიოდა — პირდაპირ ქუჩაში გადასულიყო და ტროტუარის გასწვრივ მიაბიჯებდა. ცდილობდა სწორი, გაუმრუდებელი ხაზით ევლო, — ასე იციან ბიჭებმა, — თან მთელი გზა რაღაცას ღიღინებდა თუ ზუზუნებდა. ფეხი ავაჩქარე — აბა რას მღერის-მეთქი. „ნეტა ვინმეს თუ დაიპყრე ჰეავის ყანაში“... ამას მღეროდა. პატარა წრიბინა ხმა ჰქონდა. მაშინვე შეატყობდი, რომ თავის გასართობად წამოეწყო ეს სიმღერა და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ირგვლივ მანქანები დაჰქრიან, ისმის მუხრუჭების განუწყვეტელი ხრქიალი, მშობლები კი ყურადღებასაც არ აქცევენ ბავშვს, და ისიც არზენინად მიაბიჯებს ტროტუარის გასწვრივ და მიიმღერის — „ნეტა ვინმეს თუ დაიპყრე ჰეავის ყანაში“... ერთბაშად გულზე მომეშვა, ნაღველი გადამეყარა.

ბროდვეიზე ისე ირეოდა ხალხი, რომ ძალღი პატრონს ვერა სცნობდა. კვირა დღე იყო, ჯერ თორმეტიც არ შესრულებულიყო, მაგრამ ხალხს უკვე გვერდს ვერ აუქცევდი. კინოში მიეშურებოდა ყველა — „ბარამუნტისკენ“, „ასტორისკენ“, „სტრენდისკენ“, „კაბიტოლისკენ“ და რა ვიცი კიდევ რამდენი ფეთიანი ადგილია. სულ მორთულ-მოკაზმულები გამოსულიყვნენ — კვირადღე იყო! მით უფრო შემაზრზენია! მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ აშკარად შეატყობდი, ვული ელეოდათ კინოს სანახავად. შეხედვა მზარავდა პირდაპირ. მესმის, როცა სხვაგან არსად არა გაქვს წასასვლელი და იძუ-

ლებული ხარ კინოში წახვიდე, მაგრამ კინოზე რომ გელევა გული და თან კისრისტეხითაც გარბიხარ, არც შეიძლება მალე მივიდეთ, ესა მსპობს. მილიონი კაცი რომ დგას ძაღლის მოთმინებით ბილეთის რიგში, და რიგს კული ეგერ. ჰე, სადა აქვს... ეს მიშლის ხოლმე ნერვებს. პოი ბიჭო, ველარ გაევიკვლიე გზა ამ ოხერ ბროდვეიზე! მაგრამ ბედმა კი გამილიმა: პირველივე ფირფიტების მალახიში ვიშოვე „მაწაწინა შერლი ბინსი“. ხუთი დოლარი დამცინცლეს, რადგან ძნელად საშოვნეი ფირფიტა იყო; მაგრამ სულაც არ დამანებია. პოი ბიჭო, როგორ გაგბედნიერდი ერთბაშად! ერთი სული მქონდა, მანამ პარკში მივიდოდი და ჩემს ფიბის გადაცემიდი ამ ფირფიტას.

გამოვედი თუ არა ფირფიტების მალახიდან, იქვე აფთიაქი შემხვდა და შევედი. ვიფიქრე, მოდი ერთი ჯეინს დავურეკავ და გავიგებ არდადეგებზე თუ ჩამოვა-მეთქი. ავტომატში შევედი და დავურეკე. სამწუხაროდ, დედამისმა მიპასუხა და მილი დავუკიდე. სადა მქონდა მაგის წილადობილის თავი. დიდად არ ვკარგავ ჰეუას გოგოების დედებთან ტელეფონით ლაპარაკზე. თუმცა კი უნდა მეკითხა, ჯეინი შინ თუ არის-მეთქი. რა დამაკლდებოდა! მაგრამ დამეზარა. გუნებაზე უნდა იყო, რომ ამისთანა საქმე გააკეთო.

ახლა ის ოხერი თეატრის ბილეთები უნდა ამელო. გაზეთი ვიყიდე და გადავხედე — სად რა გადიოდა. რაკილა კვირა იყო, სამ სპექტაკლზე მეტს არ აჩვენებდნენ. ავდექი და ორი პარტერი ავიღე „მე ვიცნობ ჩემს სატრფოს“-ზე. მგონი საქველმოქმედო სპექტაკლი იყო, თუ რაღაც ამნაირი. დიდად არ ამომდიოდა მზე ამ პიესაზე, მაგრამ საღის ამბავი ვიცოდი, ეს ხომ მანქვა-გრეხის დედოფალია — როგორც კი გაიგებდა, რაზე ავიღე ბილეთები, სულ ნერწყვები მოადგებოდა, რადგან ამ სპექტაკლში ლანტები მონაწილეობდნენ.

დახვეწილი და მშრალი სპექტაკლები უყვარდა საღის. ახლა, მით უმეტეს

ლანტებიც გამოდიოდნენ და ყველაფერი. მე არ მიყვარს. მართალი თუ გინდათ. საერთოდ, თეატრსაც ვერ ვეწყობი დიდად. კინოს, რაღა თქმა უნდა, სჯობია, მაგრამ არც ის უჭნია ღმერთს. ჯერ ერთი, რომ მსახიობებს ვერ ვიტან. ადამიანებს ალარა ჰგვანან, სცენაზე რომ გამოვლენ. თუმცა თავი ისე უპირავთ, თითქოს ძალიანაც ჰგვანდნენ. ზოგი კარგი მსახიობი გამოერევა — ცოტათი დაემსგავსება კაცს, მაგრამ ისე მაინც არა, რომ დაგაინტერესოს და გაგართოს. თანაც, მართლა კარგი მსახიობი თუ გამოვიდა, თვითონვე იცის თავისი ფასი და ეს კი ყველაფერს აფუჭებს. ავიღოდ თუნდაც სერ ლორენს ოლივიე. „ჰამლეტი“ მინახავს. შარშან დ. ბ.-მ წაგვიყვანა მეცა და ფიბიცი. ჯერ საუზმით გაგვიმასპინძლდა, მერე კი კინოში შევედით. აღრევე ენახა ჩემს ძმას, და ისე აქებდა საუზმის დროს, რომ ერთი სული მქონდა, მანამ ენახავდი. მაგრამ მაინცადამაინც არ მომწონებია. ვერ გამოვიცა, რას გიყვებოდა ასე ამ ლორენს ოლივიეზე. დიდებული ხმა აქვს, ისედაც ჩამოსხმული ბიჭია, თვალს ვერ მოაშორებ — როცა დადის ან ხმაღში ებრძვის ვინმეს, მაგრამ დ. ბ.-მ რომ ჰამლეტი აგვიწერა, ისეთი სულაც არ არის. გენერალს უფრო ჰგავს, ვინემ გულდამძიმებულსა და დარტყმულ ტიპს. მთელს სურათში ყველაზე კარგი ის იყო, როცა ოფელიას ძმა — აი ის ბიჭი ბოლოს ჰამლეტს რომ ებრძვის ხმაღში — სადღაც მიემგზავრება და მამამისი კიდევ გაუთავებელ დარიგებებს მოჰყვება. მანამ მამამისი დარიგებებს აძლევს, ოფელია მიიმუნობას დაიწყებს — ხან ხანჯალს ამოაცლის ძმას ქარქაშიდან, ხან გამოაჯავრებს, ეს ბიჭი კი დგას და ცდილობს თავი ისე დაიჭიროს, თითქოს ძან გულისყურით უსმენდეს მამამისის პრეტუნს. ეს მართლაც დიდებულია. ძალიან მომეწონა. მაგრამ ამისთანა ადგილები ბევრი როდია. ფიბის მართო ის მოეწონა, ჰამლეტი რომ აძლეს თავზე ხელს უსვამს. სასაცილოც არის და კარგი რამეცო, თქვა, და

მართალიც იყო. უსათუოდ უნდა წავიკითხო ეს პიესა. მთელი უზედურობა ის არის, რომ მე თვითონ ვკითხულობ პიესებს — მსახიობს ყურს ვერ ვუგდებ. სულ იმის მოლოდინში ვარ, აბა როდის მოჰყვება მანუვა-გრეხას-მეთქი.

ბილეთები რომ ავიღე, ტაქსი დავიჭირე და პარკისკენ გავსწიე. მეტროთი უნდა წავსულიყავი, ფული ცოტაღა დამჩნა, მაგრამ ერთი სული მქონდა. მანამ ამ ოხერ ბროდვეის მოვშორდებოდი.

პარკიც საზიზღარი იყო. სიცივე იმდენად არაფერი, მაგრამ მზე ჯერაც არ ამოსულიყო და კაცის ჰაჭანებას ვერ ნახავდი — მხოლოდ ძაღლების ნაკვალევს თუ შენიშნავდი, და პაპიროსის ნაშვავებსაც იმ ადგილას, საცა ბერიკაცებს უყვართ ხოლმე ჯდომა. ბაღის გრძელი სკამები სველი ჩანდა — რომ დავედე, სულ ამოვილუმპებო, იფიჭრებდი. გული მოგეწურებოდა. არ ვიცი რატომ და, შიგადაშიგ ტანში ვრუანტელი მივიღია. სულაც არ იგრძნობოდა შობის დღესასწაულის მოახლოება. საერთოდ, არაფრის მოახლოებაც არ იგრძნობოდა. მე მაინც გავსწიე სასეირნო მოედნისაკენ, რადგან ფიბის ამ ადგილებში უყვარს თამაში. ორკესტრის მახლობლად დასრიალებს ხოლმე. სასაცილო კია — ბავშვობაში მეც აქ ვიგუგრაობდი.

მივადექი მოედანს, მაგრამ ფიბი ვერ ვნახე. რამდენიმე ბავშვი ციგურებით სრიალებდა, ორი ბიჭი ბურთს თამაშობდა, ფიბი კი არსად ჩანდა. ერთი გოგონა შეენიშნე, სწორედ ფიბის ტოლა, სკამზე ჩამომჯდარიყო და ფეხზე ციგურებს იმაგრებდა. ვიფიქრე, იქნებ ფიბის იცნობს და იცის კიდევ, ახლა სად არის-მეთქი. მივედი, გვერდზე მოვუჯექი და ვკითხე.

— ფიბი კოლეჯლდს ხომ არ იცნობ?

— ვისა? — ჩამეკითხა გოგო. შარვალი ეცვა და ერთი ოცამდე სეიტრი. ეტყობოდა, დედამისს მოექსოვა — ულახათოდ ადგა ტანზე, გამოფლაშეული ჰქონდა.

— ფიბი კოლფილდს. სამოცდამე-  
თერთმეტე ქუჩაზე ცხოვრობს. მეოთხე  
კლასშია. აი იმ...

— თქვენ იცნობთ ფიბის?

— ჰო. მშა ვარ მისი. იცი, სად არის?

— მისს ქელონის კლასში სწავლობს?

— არ ვიცი. მგონი კი.

— მაშ მუზეუმში იქნებიან. ჩვენ  
წარსულ შაბათს ვიყავით, — მითხრა  
გოგონამ.

— რომელ მუზეუმში?

გოგონამ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, — თქვა მან, — მუზეუმ-  
ში იქნებიან.

— ვიცი მაგრამ, სურათებიან მუზე-  
უმში, თუ საცა ინდიელები არიან იქა?

— საცა ინდიელები არიან.

— დიდი მადლობელი, ვარ — ეუთხა-  
რი მე. ავდექი და წამოსვლა დავაპირე,  
მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ დღეს  
კვირა იყო.

— დღეს ხომ კვირაა! — ეუთხარი  
გოგონას.

მან შემომხედა.

— აჰ. მაშ არ იქნება იქ.

ძალიან გააწვალა ციგურების დამაგ-  
რებამ. ხელთათმანები არა სცმია, არც  
არაფერი და სულ გათოშილ-გაწითლე-  
ბულ ჰქონდა ხელები. წავეშველე. პოი  
პიპო, რამდენი წელიწადია, ციგურების  
გასაღები არა მკერია ხელში. მაგრამ  
მანც არ მეუცხოვა. კიდევ ორმოცდაა-  
თი წელი რომ გავიდეს და უცებ კუნა-  
პეტ სიბნელეში შემომჩაჩეჩო, ხელადვე  
მიგზვდები, რაც არის. მადლობა მითხ-  
რა, როცა დავუმაგრე. მშვენიერი გო-  
გონა იყო — საყვარელი და თავაზიანი.  
ძალიან სასიამოვნოა, ამისთანა პატარა  
გოგონას ციგურებს რომ დაუმაგრებ და  
ის თავაზიანად გეტყვის მადლობას. თი-  
თქმის ყველა ბავშვი თავაზიანი და სა-  
ყვარელია. ნამდვილად. ცხელ შოკო-  
ლადზე ან რამეზე ხომ არ დამეწვევი-  
მეთქი, კეითზე, მაგრამ არაო, მადლობე-  
ლი ვარო. ამზანავს უნდა შევხვდეთ. პა-  
ტარა ბავშვებს სულ ასე მოსდგამთ —  
მუდამ ამზანავები ელოდებიან. გაცი-  
ლები კაცი.

მართალია, კვირა დღე იყო, არც  
ფიბი მეგულებოდა მუზეუმში მინ-  
დიც ასეთი ნესტიანი და სამაგელი იდ-  
გა, მაგრამ მე მანც გადავჭერი პარკი  
და ეთნოგრაფიული მუზეუმისაკენ გა-  
ვემართე. ვიცოდი, რომ ამ მუზეუმს  
გულისხმობდა ის ციგურებიანი გოგო-  
ნა. მთელი ასავალ-დასავალი ვიცოდი  
ამ მუზეუმისა. ფიბიც იმ სკოლაში შეი-  
ყვანეს, საცა მე ვსწავლობდი პატარაო-  
ბისას, და მუდამ აქ დავჰყავდიო ხოლმე  
სკოლიდან. ერთი მასწავლებელი გვეყა-  
და — მისს ეიგლტინგერი — შაბათი არ  
გამოერეოდა, რომ იქ არ წავეყვანეთ.  
ხან ცხოველებს ვათვალიერებდით, ხა-  
ნაც ინდიელების მიერ უსოვარ დრო-  
ში გაკეთებულ სხვადასხვა ნივთებს.  
ქურკლეულიო, ქილის კალათებიო, და  
ათას ამისთანა რალაცევებს. რამდენს გა-  
ვისხენებ, იმდენი გული გამიხალისდე-  
ბა. ახლაც კი. მახსოვს ექსპონატების  
დათვალიერებას რომ მოვრჩებოდით,  
დიდ დარბაზში შეგვიყვანდნენ და  
კინოს გეაჩვენებდნენ. კოლუმბი. მუდამ  
კოლუმბი უნდა ეჩვენებინათ — როგორ  
აღმოაჩინა ამერიკა, რამდენი ღიჯინი  
დასკირდა, რომ ფერდინანდისა და იზა-  
ბელასათვის ზომალდის შესაძენი ფუ-  
ლები დაეცინელა, მერე მეზღვაურები  
როგორ აუჯანყდნენ და რა ვიცი. კო-  
ლუმბი ვის რაში აინტერესებდა, მაგ-  
რამ თავშესაქცევად ბავშვებს შაქარ-  
ყინული და კევი მოჰქონდათ, თანაც  
დარბაზში მუდამ სასიამოვნო სუნი  
იღვა ხოლმე. ისეთი სუნი იღვა, გეგო-  
ნებოდა გარეთ წვიმაო, — კიდევ რომ  
არ ყოფილიყო წვიმა, — შენ კი ზიხარ  
შენთვის არხენიან, მშრალად, ქვეყნად  
ყველაზე უფრო მყუდრო ადგილზე. გა-  
გიყებით მიყვარდა ის ოხერი მუზეუმი.  
მახსოვს, ჯერ „ინდური ოთახი“ უნდა  
გაგველო, მანამ დიდ დარბაზში შეხვი-  
დოდი. თვალს ვერ გაუწვდენდი, იმსი-  
გრძე ოთახი იყო, და უსათუოდ ჩურჩუ-  
ლით უნდა გელაპარაკნათ. კლასს მას-  
წავლებელი მიუძღოდა წინ, ბავშვები  
წყვილ-წყვილად შეჰყავდათ. ჩემთან  
მუდამ ერთი და იგივე გოგო იღვა —

გერტრუდა ლევინი. უსათუოდ ხელი უნდა ჩაეჭიდნა—ხელი კი სულ ოფლიანი და რალაცნაირი წებოვანი ჰქონდა. ქვის იატაკი ეგო და რამე კენჭი რომ გვეროდა და დაგვარდნოდა, ისე გაიტაკუნებდა, სულ გააყრუებდა იჭაურობას. მასწავლებელი მაშინვე გააჩერებდა კლასს, მობრუნდებოდა და ნახავდა, რა მოხდაო. თუმცა გაბრაზებით თავის დღეში არ გაბრაზდებოდა მისს ეივლეტინგერი. ჩაუვლიდი უსამველოდ წავგრძელებულ ინდურ საომარ კარქაბს — სამი კადილაკი რომ ჩაგემწვრივებია, იმსიგრძე მაინც არ იქნებოდა. ამ კარქაბში ოცამდე ინდიელი იყო, ზოგი ნიჩბებს უსვამდა, ზოგიც ისე იდგა და მრისხანედ იყურებოდა აქეთ-იქით. სახე ყველას საომარ ყაიდაზე ჰქონდა მოხატული. კიჩოზე ერთი ნიღბიანი ინდიელი იჯდა — მოჩვენებასა ჰგავდა. იმათი ჯადოქარი იყო. იმის დანახვაზე შიშის კანკალი ამიტანდა, მაგრამ მაინც მომწონდა. ხელს თუ ახლებდი რამეს — ან ნიჩაბს ან სხვა რამეს, ერთ-ერთი დარაჯი მაშინვე გეტყოდა, „ხელს ნუ ახლებთ, ბავშვებო“, მაგრამ პოლიციელივით კი არ დაგიღრიალებდა — ისე გეტყოდა, ტყბილად და ალერსიანად. მეტე ჩაუვლიდი მინის დიდ ყუთს, რომელშიაც ინდიელები ისხდნენ. ჯოხები ეკირათ ხელში და ცეცხლის გასაჩაღებლად ამ ჯოხებს ერთმანეთს უხახუნებდნენ, იქვე ერთი ქალი ჩაცუცქულიყო და ჩულსა ქსოვდა. ეს დედაკაცი წინ იყო გადმოხრილი და მკერდიც უჩანდა და ყველაფერი. ჩვენ გაფაციცებით ვუყურებდით ხოლმე, გოგოებიც კი, რადგან პატარები იყვნენ და ჩვენზე დიდი მკერდი არც იმათ ჰქონიათ. ბოლოს, ზედ დარბაზის შესასვლელთან, ხელმარჯვნივ, ერთი ესკიმოსი იჯდა პატარა ტბის პირას და თევზს იჭერდა. ორი თევზი უკვე დაეჭირა და ხელმარჯვნივ ეწყო. ჰოი ბიჭო, რამდენი მინის ყუთი იდგა ამ მუზეუმში! მაგრამ ეს რაა — ზემო სართულში უნდა გენახა. აგერ ირმები დაწაფებია წყაროს. იქით ზამთარი დამდგარა და ფრი-

ნელები სამხრეთისაკენ მიფრინავენ. შენკენ უფრო ახლო ფიტულები ჰქვლიან — მათულზე, იქით კი, ქუქან მინდობირ კედელზეა მიხატული ჩიტები. მაგრამ ყველა ცოცხალსა ჰგავს და ასე გგონია. მართლაც სამხრეთისაკენ მიფრინავენო. თავს თუ დაღუნავ და ქვემოდან ახედავ, მოგეჩვენება კიდევ უფრო ჩქარა მიჭქრიანო. მაგრამ ამ მუზეუმისა ყველაზე უფრო ის მომწონდა, რომ ადგილს არაფერს არ უცვლიდნენ. ყველაფერი უცვლელად იდგა. ასი ათასჯერ რომ მისულიყავი, ესკიმოსი ისევე ისე იყო ტბასთან ჩამჯდარი და ორი თევზი ჰყავდა დაჭერილი, ფრინველები ისევე სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ, ირმები კვლავინდებურად წყაროს დასწაფებოდნენ — ისეთივე ლამაზი რქები, იმნაირივე წვრილი ფეხები, — ის მკერდგაღილი ინდიელი დედაკაციც იმაგვარადვე ჩაცუცქული, ჩულის ქსოვაში გართული. შეცვლილს ვერაფერს ნახავ. მხოლოდ შენ იქნები შეცვლილი. განა იმას ვამბობ, მოხუცდები ან რამე ასეთი-მეთქი. სულაც არა. მაგრამ შეცვლილი მაინც იქნები: ან ახალი პალტო გეცმება, ან იმ ბავშვს, რომელიც შენს გვერდით იდგა, ქუნთრულში ეჭირვება და ამიტომ სხვასთან იქნები დაწყვილებული, ან მისს ეივლეტინგერის ნაცვლად ახალი მასწავლებელი გეყოლება, ან არადა დედ-მამა წაიკიდებოდნენ დილით და იმათი ჩხუბი გექნება მოსმენილი საბაზანოლან; ან იქნებ ქუჩაში ვუბე ნახე და შიგ ბენზინის ცისარტყელა შენიშნე. ერთი სიტყვით, რალაცნაირად შეცვლილი იქნები — კარგად ვერ გამოამითქვამს, რასაც ვფიქრობ. იქნებ შემიძლია კიდევ გამოთქმა, მაგრამ არ მეხალისება.

გზაში ჩემი სანადირო ქუდი ამოვიღე და დავიხურე: კაი მაგარი სინესტე იყო, თან ვიცოდი, რომ ნაცნობი არავინ შემხვდებოდა. მივიდიოდი, მივიდიოდი, და სულ იმას ვფიქრობდი, როგორ დაჰყავდათ ჩემი ფიბი შაბათობით მუზეუმში, სწორედ ისე, როგორც ერთხელ მე დავდიოდი; როგორ ნახულობდა იმავე

ნივთებს, რაც მე უკვე მენახა, და როგორ იცვლებოდა თვითონ ყოველ ნახვაზე. ვერ ვიტყვი, ამის გაფიქრება გუნებას მიწამალავდა-მეთქი, მაგრამ არც ძალიან სასიხარულო იყო. ზოგიერთი რამე არ უნდა შეიცვალოს, ისევე ისე უნდა დარჩეს. უნდა შეიძლებოდეს იმ მინის დიდ ყუთში ჩასმა, რომ თავისთვის დასტოვო და ხელი არ ახლო. ვიცი, რომ შეუძლებელია, და სავალალოც ეგ არის. ერთი სიტყვით, მივდიოდი და ვფიქრობდი.

გავცდი სათამაშო მოედანს, მერე შევდექი და ყურება დავუწყე, როგორ თამაშობდა ორი ბავშვი აწონ-დაწონას. ერთი მათგანი ჩასუქებული იყო და მე გამხდარი ბავშვის მხარე დავიჭირე, ხელი წავაშველე — გავაწონასწორებ-მეთქი, მაგრამ, შევატყე, სულაც არ ეპიტანებოდა ჩემი იქ ყოფნა, და გავშორდი.

უცებ სასაცილო რამე მოხდა. მუზეუმს რომ მივადექი, ერთბაშად ვიგრძენი, მილონი დოლარიც რომ მოეცათ, შიგ შემსვლელი არ ვიყავი. გული არ მიმიწევდა — არადა მთელი ბაღი კი გადმოვიარე აქ მოსასვლელად. ფიზი რომ ყოფილიყო, ალბათ შევიდოდი, მაგრამ ფიზი არ იყო. მოვბრუნდი, იქვე მუზეუმის წინ ტაქსი დავიჭირე და „ბალტ-პორისაკენ“ გავსწიე. მაინცადამაინც არ შეხალისებოდა წასვლა, მაგრამ საღის რომ პაემანი დავუწინაშე!

17

ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა იქ მივდი. ტყავის სავარძელში ჩავჯექი. ზედ ვესტიბიულის საათის ქვეშ, და გოგონებს დავუწყე ცქერა. სკოლები უკვე დათხოვილი იყო და ქვეყნის გოგოს მოეყარა ახლა აქ თავი — ზოგი იჯდა, ზოგი იდგა. ბიჭებს ელოდებოდნენ, ზოგს ფეხი ფეხზე გადაედო, ზოგს დაშვებული ჰქონდა ფეხები, ზოგს ღმერთითი კანკები ჰქონდა, ზოგს — საძაგელი, ზოგი მშვენიერი ჩანდა, ზოგი — საზიზღარი. თუკი კარგად გაეცნობოდი. ცუდად კი ნუ ჩამომართმევთ და, მართლაც რომ კარ-

გი საყურებელი იყო. თუმცა, ამავე დროს ერთგვარი ნაღველმცემი მგგმპყრობდათ, რადგან თავიდან-ვე მშობლებით ფიქრს — ნეტა ამდენ გოგოს რა ეშველებო. მერე რა ეშველებათ, სკოლებსა და კოლეჯებს რომ დაამთავრებენ. მეტი წილი ალბათ ვილაც შტერებს მისთხოვდება. იმისთანა ვაქებატონებს, რომელთაც თავიანთი ოხერი მანქანის მეტი არაფერი ახსოვთ და სულ ის აკერიათ პირზე — ერთი გალონი ბენზინით ამდენი და ამდენი მილი გავიარეო. იმისთანა ვაქებატონებს, რომელთაც გოლფი ან პინგპონგისნაირი ბითურული რამე თუ მოუგე, პატარა ბავშვებივით გაიბლუზებინან. ყოველად ბილწ ვაქებატონებს. იმისთანებს, რომელთაც თავის დღეში წიგნი არა სჭერიათ ხელში. გულისგამწყალებელ ვაქებატონებს... აქ კი სიფრთხილე მმართებს. გულისგამწყალებელი ზოგს როგორ ესმის და ზოგს როგორ. მე პირადად ვიბნევი ხოლმე ამ საქმეში. ნამდვილად. ელქტონპილში მე და ერთი ბიჭი — პარის მაკლინი — თითქმის მთელი ორი თვე ვცხოვრობდით ერთად, ერთ ოთახში. ძალიან განათლებული ბიჭი იყო და ყველაფერი, მაგრამ იმისთანა გულისგამწყალებელ ტიპს ჯერაც არავის შევხვედრივარ. საშინელი წრიბინა ხმა ჰქონდა და ენას ერთის წუთითაც არ დააყენებდა. სულ ლაქლაქებდა და ლაქლაქებდა. მაგრამ ერთხელაც არ წამოცდებოდა იმისთანა რამე, შენთვისაც საინტერესო ყოფილიყო. ერთ რამეს კი ვერ წაართმევდი — ისე უსტვენდა ძაღლიშვილი, რაც თავი მახსოვს. იმისთანა არაფერი გამოვიგონია. ავტო ლოგინს იშლის, ან კარადაში ჰკიდებს რამეს — ყველაფერს კარადაში ჰკიდებდა ხოლმე. მაგიყებდა პირდაპირ — და თან უსტვენს. თუკი თავისი წრიბინა ხმით ლაქლაქში არაა გართული. კლასიკური რამეების სტვენაც შეეძლო. მაგრამ უფრო ხშირად ჯაზს უსტვენდა. ისე სასიამოვნოდ და ლალად დაუსტვენდა ნამდვილ ჯაზურ სიმღერას, მაგალითად, „თუნუქის სახურავს“.

— მანამ ტანსაცმლის დაკიდებაში იყო გართული, — რომ პირდაპირ ჰკეოს დაკარგავდი. რა თქმა უნდა, მისთვის ერთხელაც არ მითქვამს, დიდებულად უსტვენ-მეთქი. ანკი როგორ უნდა უთხრა კაცს პირში — დიდებულად უსტვენო. მაგრამ სწორედ ამ სტვენის ემსხით თითქმის მთელი ორი თვე ვცხოვრობდი მასთან ერთად ოთახში, მიუხედავად იმისა, რომ საშინელი გულისგამწყალებელი იყო, ლამის ჰკუდიდან შეგშლიდა კაცს. ერთი სიტყვით, ძნელია თქმა, ვინ არის გულისგამწყალბელი. იქნებ სულაც არ დაგწყდეს გული, ამისთანა თავისმომამბურებელ ვაჟბატონებს დიდებული გოგო რომ მისთხოვდეს. ბოლოს და ბოლოს, ვინ რას უშევებენ, არიან თავისთვის და ჩუმ-ჩუმად იქნებ ყველა მათგანი დიდებულად უსტვენდეს... რას გაუგებ! ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი.

ბოლოს როგორც იქნა, სალიც გამოჩნდა კიბეზე. მაშინვე დაბლა დავეშვი და შევეგებე. მშვენიერი ჩანდა. ნამდვილად რაღაცნაირი შავი პალტო ეცვა და ბერეტიც შავი ეხურა. საერთოდ, ქუდს იშვიათად იხურავს, მაგრამ ახლა ეს ბერეტი ძალიან უხდებოდა. სასაცილო ის იყო, რომ თვალი მოვჰკარი თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე, ცოლად შევირთავ-მეთქი. გიყი ვარ, აბა რა. არც კი მომწონდა მაინცადამაინც და უცებ ცოლად შერთვა არ გადავწყვიტე! ნამდვილად გიყი ვარ, ვალიარებ!

— ჰოლდენ! როგორ გამეხარდა შენი ნახვა. მთელი საუკუნე აღარ მინახიხარ! — იმნაირი როხროხა ხმა ჰქონდა, რომ ცოტათი შეგრცხვებოდა კიდევ გარეშე ხალხისა. იმას კი არაფერი აკლდებოდა, ისეთი ლამაზი იყო, მაგრამ მაინც ჩამწყვეტდა ხოლმე გულს.

— შეც ძალიან გამეხარდა შენი ნახვა, — მართლაც გამეხარდა, — რასა იქ, როგორა ხარ? — ვუთხარი მე.

— დიდებულად. დაეგვიანე, არა?

არა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ათი წუთი მართლაც დაეგვიანა. რა მოხდა მერე! მთელი ეს კარიკატურები, „სა-

ტურნდები ივინგ პოსტი“ რომ გეცდავს ხოლმე — ბიჭები რომ ეჩვენებოდნენ კუთხეში და დაგვიანებულნი გეგუბებდნენ მოლოდინში ცხვირი ჩამოუშვიათ — თავიდან ბოლომდე მიქარვია. გოგო იყოს ლამაზი და დაგვიანებას რა თავში ვიხლი.

— ახლა კი ვიჩქაროთ, — ვთქვი მე, — ორზე და ორმოცზე იწყება.

დავეშვით კიბეზე და ტაქსის გაჩერებასთან გავედით.

— რაზე მივდივართ? — მკითხა მან.

— არ ვიცი. ლანტები თამაშობენ. სხვაგან ვერ ვიშოვე ბილეთები.

— ლანტები! რა დიდებულია!..


აკი გითხარით, ლანტების გაგონებაზე გაგიყდებო-მეთქი.

თეატრში მისვლამდე, ტაქსში რამდენჯერმე ვაკოცეთ ერთმანეთს. ჯერ უარზე იყო, იმიტომ რომ ტუჩები ჰქონდა წათხიანილი, მაგრამ მე რას დამიდგებოდა, ვაცოცხლე! ორჯერ ისე დაამუხრუჭა მანქანა ვადასასვლელზე, ლამის ძირს გავიშლართე. ეს ოხერი შოფრები, კი არ უყურებენ, სად მიდიან, რას შერებიან. ახლა ჩემი სიგიჟეც ნახეთ. ჩახტებულნი რომ მყავს და ცოტათი შევეუშვი ხელი, მიყვარხარ-მეთქი, ვეუბნები. ტყუილი ვუთხარი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ იმ წუთას მართლაც ასე მეგონა. გიყი ვარ. ღმერთმანი, ნამდვილი გიყი ვარ.

— ო, ჩემო ძვირფასო, მეც მიყვარხარ, — თქვა მან და სული არც კი მოუთქვამს ისე დასძინა, — ოღონდ სიტყვა მომეცი, რომ თმას გაღშეგებ. ასე მოკლედ ახლა აღარაფერ იკრეკავს. ამისთანა მშვენიერი თმა მაინც არ გქონდეს!

მშვენიერი თმა! მომსპო კაცი.

არც ისეთი ცუდი გამოდგა ეს სპექტაკლი, აღრე ნახული სპექტაკლების მიხედვით რომ ვეარაუდობდი. თუმცა მაინც საძაგლობა იყო. ერთი ცოლ-ქმრის ამბავი გეაჩვენეს. ბარე ათასი წელი ეცხოვრათ ერთად. დასაწყისში ახალგაზრდები არიან. ქალის მშობლებს არ უნდათ, ამ ბიჭს მიათხოვონ შეილი, მაგრამ მაინც თავისას გაიტანს გოგო. მერე თანდათანობით ბერდებიან და ბერდებიან. ქმარი ომში მიდის, ქალს კი ერთი



ლოთი მია ჰყავს. მაინც დამინც ვერ და-  
 მინტერესა. ეგეც მე ვიდარდო, ოჯახ-  
 ში ვინმე მოუკვდებათ თუ რა დაემართე-  
 ბათ?! მსახიობები დადიოდნენ სცენაზე  
 და მეტი არაფერი. ცოლ-ქმარი კარგები  
 იყვნენ — ჯუჯამაზილებიც და ყველა-  
 ფერი — მაგრამ იმდენად ვერც იმათ და-  
 მინტერესეს. ისე დაიწყო და გათავდა  
 სპექტაკლი, რომ სულ ჩაის თუ რალაც  
 ხორბას სვამდნენ. რამდენჯერაც ახა-  
 დეს ფარდა — ან მსახურს შემოაქვს  
 ჩაი, ან ცოლი უსხამს ვინმეს. წარამარა  
 შემოდინა და გადიან. თავბრუ დაგეს-  
 ხმის, ამდენ ადგომა-დაჯდომას რომ  
 უყურებ. აღფრედ ლანტი და ლან  
 ფონტანი მოხუცი ცოლ-ქმრის როლში  
 გამოდიოდნენ, და ძალიან კარგებიც  
 იყვნენ, მაგრამ მე დიდად არ მომწონე-  
 ბია. თუმცა აკი ვამბობ, ვერაფერ ვერ  
 შეეღრებოდა. არც ჩვეულებრივ ხალხ-  
 სა ჰგავდნენ და არც მსახიობებს. ვერ  
 გამოითქვამს. ისე თამაშობდნენ, რომ  
 ეტყობოდა შეგნებული ჰქონდათ, რა  
 ბრწყინვალე მსახიობებიც არიან. განა  
 კარგები არ იყვნენ — საქმეც ის არის.  
 მეტისმეტად კარგები იყვნენ. ჯერ  
 ერთს არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ  
 ახლა მეორე მივარდებოდა და სხვა-  
 სხუთით მიაყრიდა სათქმელს. ნამდვი-  
 ლი ხალხის ლაპარაკს ჰგავდა — ერთ-  
 მანეთს აღარ აცლიდნენ. უბედურება  
 ის იყო, რომ მეტისმეტად ემსგავსე-  
 ბოდნენ ხალხს, სულ პირში სწვდე-  
 ბოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ცოტათი იმ  
 ერნის ჩამოგავდნენ, გრინვიჩ-ვილეჯში  
 პიანინოზე რომ უკრავს. მეტი სმე-  
 ტად კარგად რომ აკეთებ რამეს, თუ  
 ამასთან მუდმივი კონტროლიც არ გაუ-  
 წიე თავს. ცოტა სხვაგვარად გამოგივა.  
 გამოსაჩინად. და ეს უკვე აღარ ვარგა.  
 მაგრამ მთელს სპექტაკლში მაინც ის  
 ორი გამოირჩეოდა — ლანტებზე მო-  
 გახსენებთ — ეტყობოდათ, რომ ტერის  
 ამოძრავებდნენ. რაც მართალია, მარ-  
 თალია.

პირველი მოქმედების შემდეგ სხვა  
 ვაგებატონებთან ერთად ჩვენც პაპირო-  
 სის მოსაწვევად გავედით. აბა იქ უნდა

შეგებდათ. თქვენს დღეში არ გექნე-  
 ბათ ნახული იმდენი მანქანა-ტრანსპორტი  
 ბაქოს კვამლში გახვეულან და ნამდვილად  
 ლაპარაკობენ პიესასზე, რათა ყველამ  
 გაიგონოს და მიხედეს, რა ჯუჯისკოლო-  
 ფებიც არიან. ერთი ბითური კინო-მსა-  
 ხიობი იღვა-ჩვენს გვერდით, ისიც პაპი-  
 როსს აბოლებდა. გვარი არ მახსოვს,  
 მაგრამ საომარ ფილმებში მუდამ ერთი  
 როლი აქვს: ზედ ბრძოლის დაწყების  
 წინ ვაგაკობა უმტყუნებს და სილაჩ-  
 რეს ამვლავნებს. ქერა გოგო ახლდა.  
 ღმერთვეით გოგო. თავი ისე ეჭირათ,  
 თითქოს ამქვეყნიური დიდება მოყირ-  
 ქებული ჰქონოდათ, ეს ბიჭი თითქოს  
 არც კი ამჩნევდა, რომ ხალხი მას შეჰ-  
 ყურებდა. თავმდაბალი გახლდათ! პირ  
 რა სასაცილო იყო! სალის ბევრი არ  
 ულაპარაკენია, შიგადაშიგ წამოისროდა:  
 ხოლმე ლანტების ქებას: ლაპარაკის  
 თავი სადღა ჰქონდა, სულ იმანქებოდა  
 და იგრინებოდა. უცებ, ფოიეს იქითა  
 მხარეს ვილაც კობტა-პრუწას მოკვრა  
 თვალი, ძველ ნაცნობს. თავისფერი  
 კოსტუმში ეცვა იმ ვაგებატონს და უჯ-  
 რულა ფილმები. დიდი ვინმე კი ბრძან-  
 დება. არისტოკრატი. კედელს მიჰყუდე-  
 ბოდა და უღმერთოდ ქაჩავდა პაპი-  
 როსს. შეხედავდი, გული აგვრეოდა.  
 სალი კი წარამარა იმეორებს:

— სადღაც კი გავიცანი ეს ბიჭი.  
 ასე იცოდა ხოლმე — საცა არ უნდა  
 წაგეყვანა, უსათუოდ გადაეყრებოდა  
 ვინმე ნაცნობს, ან მოეჩვენებოდა. ნაც-  
 ნობიო. ისე დაიქინა, რომ თავი მომა-  
 ბეზრა და ბოლოს ვუთხარი.

— თუკი ასე იცნობ, რატომ არ მიხ-  
 ვალ და გულიანად არ გადააკონინი? გა-  
 ეხარდება.

საშინლად აიტყცია, ასე რომ ვუთხა-  
 რი. ბოლოს, როგორც იქნა მენიშნა იმ  
 კობტა-პრუწამ, მოვიდა და გამარჯობა  
 უთხრა. უნდა გენახათ, როგორ მივსალ-  
 მენ ერთმანეთს. ოცნა წლის უნახვევებ  
 გეგონებოდათ. პატარაობისას ერთ ამა-  
 ზანაში უბანავით მოკრძალებოდა. დიდ  
 დოსტები არ აღმოჩნდნენ. გული აგვ-  
 რეოდათ. სასაცილო ცინი იყო, რომ

სულ ერთხელ შეხედნენ ალბათ ერთმანეთს, რომელიმე ბითურულ საღამოზე. სიხარულის დორბლები რომ გადმოყარეს, სალიმ მეც გამაცნო. ჯორჯი ერქვა—გვარი აღარ მახსოვს—ენდოვერში სწავლობდა. დიდი ვინმე კი ბრძანებულა! ერთი უნდა შეგეხებათ, სალიმ რომ ჰკითხა, პიესა როგორ მოგწონსო. ესეც ერთ-ერთი იმ ვაჟბატონთაგანი გამოდგა, დიდის ამბით რომ მოემზადებოდა პასუხის გასაცემად და ადგილს გაითავისუფლებენ ირველივ. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ვიღაც ქალს პირდაპირ ფეხზე არ შეადგა საწყაის ალბათ სულ დაუჩეჩქვა თითები. თვითონ პიესა შედევრი ვერ არისო, ამოშაქრა, მაგრამ ლანტები, რა თქმა უნდა, ნამდვილი ანგელოზები არიანო. ანგელოზებიო! ეშმაკმა დალაზეროს. ანგელოზები! არ მომსპო კაცი! მერე მოდგნენ და თუკი ვინმე ჰყოლიათ საერთო ნაცნობი, ყველა ასხენეს. ამისთანა სულელური ლაქლაქი ჩემს დღეში არ მომისმენია. სხაბასხუბით ასახელებდნენ სხვადასხვა ქალაქს და მერე იქ მცხოვრებ ნაცნობებს იხსენებდნენ. ლამის გული ამერიო, მანამ მოქმედება დაიწყებოდა. არ გეხუმრებით. მეორე შესვვენებაზე ისევ არ განაახლეს თავიანთი გულისამრევი ლაპარაკი! სულ ახალ-ახალი ქალაქები გაიხსენეს, სადაც სხვა მათი ნაცნობები ცხოვრობდნენ. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ამ კობტა-პრუწა ვაჟბატონს ხმაც ისეთი მიკნავებულ-მინაზებული აღმჩაჩნდა, მეტისმეტად გადაღლილი და სნობისტური. ქალივით წრაპინებდა. გოგოს წართმევასაც კი არ მოერიდა ეს ნაბიჯვარი. ერთი პირობა ვიფიქრე, ალბათ ტაქსში ჩავგვიჯდება და გამოგვყვება-მეთქი, რადგან მთელი ორი კვარტალი ფეხით გამოგვყვა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ. მაგრამ მასავით კობტა-პრუწებს უნდა შეხედროდა, კოკტილის დასალეფად შევიპირეო, თქვა. წარმოვიდგინე, როგორ სხედან სადმე ბარში, ბითურულ უჯრულა ქილეტებში გამორწყებილან და თავიანთი გადალი-

ლი სნობისტური ხმით სპექტაკლებს, წიგნებსა და ქალებს აკრიტიკებენ, მომსპეს და გამათავეს ამ ვაჟბატონებმა.

სალიც კი შემეზიზნა, ტაქსში რომ ჩავსხედით: მთელი ათი საათი რანაირად უსმინა იმ კოკობზიკა ენდოვერულ ნაბიჯვარს! ვიფიქრე, ახლავე შინ მივიყვან-მეთქი — მივიყვანდი კიდეც — მაგრამ უცებ შეუბნება:

— დიდებული აზრი მომივიდა! — სულ ასეთი დიდებული აზრები არ მოსდიოდა! — მოიხედე, — მითხრა მან, — შინ რა დროს უნდა მიხვიდე სადილისთვის? ძალიან ხომ არ გეჩქარება? განსაზღვრულ დროს მიდინარ ხოლმე?

— მე? არა. როცა მინდა, მაშინ მივალ. — პოი ბიჭო, ამაზე მართალი ჩემს დღეში არაფერი მითქვამს. — რა იყო?

— რადიო-სიტიში წავიდეთ და ვიციგურაოთ.

ამისთანა გენიალური აზრები მოსდის ყოველთვის.

— რადიო-სიტიში ვიციგურაოთ? ახლავე გინდა?

— ერთი საათით, ან ცოტა მეტით. არ გინდა? თუ არ გინდა, მაშინ...

— როდის გითხარი, არ მინდა-მეთქი. წავიდეთ. შენ თუკი გინდა.

— შენც გინდა? თუ არ გინდა, ნუ მომერიდები. ჩემთვის სულერთია, სად წავალთ.

ამას მართლაც არ სჭირდებოდა ბევრი ჩიჩინი.

— იქ ისეთი მშვენიერი საციგურაო კაბები ქირავდება. — თქვა სალიმ. — ჯეინიტ კალცმა გამოიტანა იმ კვირია.

ამიტომაც მომასო ფეხი. ერთი სული ჰქონდა, მანამ იმ მოციცნულ კაბას ჩაიცვამდა და თავის გამოპუსკულ უკანალს გამოაჩენდა.

წავედით. ჯერ ციგურები მოგვეცეს. მერე სალიმ გამოიტანა ის პატარა ლურჯი კაბა, რომელშიაც ყველაფერი მოუჩანს ადამიანს. მოუხდა კი, რაც მართალი მართალია. თავიდანვე იცოდა, რომ მოუხდებოდა. აბა რა გგონიათ! სულ წინ მიმიძლოდა განგებ და თავის კობტა უკანალს მიბზეკდა. მართლაც კობტა

რამე იყო, რაც მართალი მართალია.

მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ მთელს იმ ოხერ მოედანზე ყველაზე უბადრუტი მოციგურავეები ჩვენ აღმოვჩნდით. ყველაზე უბადრუტი! ჰოი, რა დღეში ვიყავით! ისე ამოუტრიალდებოდა ხოლმე სალის კოჭები, რომ სულ ყინულზე ეხახუნებოდა. მარტო სასაცილო როდი იყო, ალბათ საშინლად სტიკოდა კიდევ. მე პირადად მტიკოდა. მტიკოდა, მკლავდა კაცს! დიდებული სანახავი კი ვიქნებოდით! მთელი უბედურება კი ის იყო, რომ იქვე, სულ ცოტა ორასი უქნარა აყუდებულიყო — საქმე არაფერი ჰქონდათ, იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ეცემოდა ხალხი.

— არ გინდა, შევიდეთ და რამე დავლიოთ? — ვუთხარი ბოლოს.

— ამისთანა დიდებული აზრი დღეს შენ არ მოგსვლია. — მაშინვე დამეთანხმა. მოკვდა საწყალი. მხეცობაა ამისთანა რამე. მართალი თუ გინდათ, შემეცოდა კიდევ.

წაიძვრეთ ეს ოხერი ციგურები და ბარში შევედით. აქ წინდების ამარა დაჯდებოდი, დალევდი და მოციგურავეებსაც დაინახავდი. დავსხედით თუ არა, სალიმ ხელთათმანები წაიძრო და მე სიგარეტი მივაწოდე. მაინცადამაინც ბედნიერი არ ჩანდა. ოფიციალტიც მოვიდა. ერთი კოკა-კოლა სალისთვის დავუკვეთე — მაგრამ სასმელს არ სვამდა — და ერთი სოდიანი ვისკი ჩემთვის. მაგრამ უარი მითხრა ძაღლისშვილმა და მეც კოკა-კოლა მოვატანინე. მერე ასანთის გაკვრას მოვპყვევი. ასე დამჩემდა. ზოგჯერ მომიხუსტურებს ხოლმე — ამოვიღებ ასანთს, გაკვრავ და როცა სულ დაიწვება და ხელში დაჭერა აღარ შეიძლება, საფერფლზე ვყრი ხოლმე. ნერვიულობამ იცის.

უცებ სალი მეუბნება.

— მოიხედე. წინასწარ უნდა ვიცოდდე. ჩემთან არ მოხვალ, შობის ხეს არ მომართევიანებ? ახლავ უნდა მითხრა. ეტყობოდა, კოჭების ტკივილმა გაამწარა.

— აი მოგწერე, მოვალ-მეთქი. ბარე

ოცჯერ მკითხე. მოვალ, უსიკვდილოდ მოვალ.

— დანამდვილებით მინდა, ვიცოდდე. — თქვა მან და აქეთ-იქით თვალისცეცება დაიწყო.

უცებ ასანთს თავი გაეწეებ და სალისკენ გადავიხარე. ზოგი რამე მქონდა სათქმელი.

— მოიხედე, სალი, — მივმართე მე.

— რა იყო? — ვილაც გოგოს მისმტერებოდა, იქითა კუთხეში.

— გულის მოყირპება თუ გამოგიცდია როდისმე? — ვკითხე მე, — აღარაფერი რომ არ გინდა; თუ ის არ გააკეთე, რაც გულით გწადია, ყველაფერი გებზრდება! გიყვარს, მაგალითად, სკოლა და ამისთანები?

— დიდი თავისმომაბეზრებელი კია.

— არა, მე რას გეკითხები: თუ გძულს-მეთქი. საშინელი თავისმომაბეზრებელი რომაა, ეს მეც ვიცი, მაგრამ თუ გძულს-მეთქი, აი რა მინდა გკითხო.

— სიძულვილით არა მძულს, მაგრამ რალაცნაირად...

— მე კი მძულს. ჰოი, ბიჭო, როგორა მძულს! — ვთქვი მე, — განა მარტო სკოლა. ყველაფერი მძულს. ნიუ-იორკიც მძულს. ტაქსები მძულს. მედისონ ავენიუს ავტობუსებიც მძულს — კონდუქტორები რომ მოდგებიან და ღრიალებენ, უკანა კარებიდან ჩადითო. ეს კობტა-პრუწა ვაეპატონებიცა მძულს, ლანტებს რომ ანგელოზებს ეძახიან. გარეთ რომ გინდა გამოსვლა და უსათუოდ ლიფტით რომ უნდა დაეშვა, ესეცა მძულს; ბრუკის სამკერვალოში რომ შებრძანდებიან ვაეპატონები და კოსტუმების მოზომებას აღარ ათავებენ, ესეც მძულს, ხალხი რომ მოდგება...

— რა გაყვირებს! — მითხრა სალიმ.

რა სისულელეა, სულაც არ მიყვარია.

— ახლა მანქანები! — განვაგრძე მე თითქმის ჩურჩულით, — როგორ კარგავენ ჰკუპს ამ მანქანებზე. ოდნავ რომ გაიფხაჭნოს, დარდით დამეები აღარა სძინავთ, სულ იმის ტრაბახში არიან — ერთი გალონი ბენზინით აშდენი და ამდენი მილი გავიარეო; მანქანის ყიდვას

ვერც კი ასწრებენ, რომ ხელად ახლა თავსატეხი უჩნდებათ—როგორმე უახლეს გამოშვებაზე გადაგვაცვლიყენით. მე კი ძველი მანქანებიც არ მიყვარს. სულაც არ მეპიტნავება. ცხენი მირჩენია. ცხენს ადამიანური რაღაც მინც აქვს. ცხენს, ბოლოს და ბოლოს...

— ნეტა რას ლაპარაკობ!.. რას მივდმოვლები...

— იცი რა გითხრა — მივმართე მე,— შენ რომ არ იყო, მე ახლა ნიუ-იორკში არ ვიქნებოდი. შენ რომ არ მახლდე თან, ჯანდაბაში გადავიქარგებოდი. ტყეში გავეარდებოდი, ან სადმე ოხრობაში. შენ მიჰერ, შენ გამო ვარ აქა.

— რა კარგი ხარ! — თქვა მან. მაგრამ ხელადვე შეატყობდი, რომ საუბრის შეცვლა უნდოდა.

— ერთი, ვაჟების სკოლაში უნდა შეგიყვანონ და მაშინ ნახავ. აბა სინჯე, — ვუთხარი მე, — სულ თვალთმაქცეობით არის გატენილი, სწავლითაც იმიტომ სწავლობენ, რომ ცოტა გამოიქეჩონ და ერთ მშვენიერ დღეს ის ოხერი კაილაკი შეიძინონ. დიდის ამბით რომ გარწმუნებენ — გინდა წაავოს ჩვენმა გუნდმა, გინდა მოიგოს, ჩვენთვის სულერთია, არას ვინაღვლებით! და მთელი დღეები ცარიელი ყბედობა — გოგობზე, დაღევაზე, ხვეენა-კოცნაზე. ყველას თავისი ბინძური ზანდა ჰყავს და იმათთან ტრიალებს. კალათბურთელები ცალკე დაძრწიან, კათოლიკები — ცალკე; ეს დაწყველილი ინტელექტუალისტები — ცალკე, ბრიჯის მოთამაშეებიც თავისთვის არიან, იმ ბითურულ „წიგნის ყოველთფიური კლუბის“ მკითხველები კი ცალკე მიიწევენ. ძალიანაც რომ მოინდომო, წესიერად გამოლაპარაკება...

— კარგი ერთი, აბა რას ამბობ! — შემაწყვეტინა სალიმ, — ბიჭები იმდენ რამეს სწავლობენ ხოლმე სკოლაში!..

— გეთანხმები! გეთანხმები, რომ ზოგი მართლაც ბევრ რამეს სწავლობს. მაგრამ მე რა ვისწავლე? ჰა? ამას მოგახსენებდი. სწორედ ეს მაწუხებდა. იოტის ოდენა არაფერი მისწავლია. ცუდ-

ად არის ჩემი საქმე. ძალიან ცუდად.

— მართლაც ცუდად არის. უცებ რაღაცამ გამკრა თავში.

— მოიხედე, — ვუთხარი მე, — რაღაც მოვიფიქრე. არ გინდა აქაურობას მოვშორდეთ? ჰა, რას იტყვი? გრინვიჩ-ვილუჯში ერთ ბიჭს ვიცნობ, მანქანას გვათხოვებს ორიოდე კვირით, ერთად ესწავლობდით სკოლაში, ათი დოლარი ვასესხე, ჯერაც არ გადაუხდია. იცი რა ვქნათ, ავდგეთ და ხვალ დილითვე მასაჩუსეტისსაყენ გავსწიოთ, იქიდან ვერმონტს ჩავალთ, სულ მოვივლით იქაურობას. დიდებული ადგილებია, — რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვლეღავდი და ვლეღავდი. ის კა არა და სალისკენ მივიწიე და ხელში ვწვდი. შტერი ვარ, აბა რა ვარ! — არ გეხუმრები, — განვაგრძე მე, — ასოთხმოც დოლარამდე ფული მაქვს ბანკში. დილით, გააღებენ თუ არა, მივალ და გამოვიტან, მერე იმ ბიჭს გავუაროთ და მანქანა გამოვართვათ. არ გეხუმრები. მანამ ფული გაგვითავდებოდეს, ვიყოთ ასე, საზაფხულო კარვებში ვიცხოვროთ: ფული რომ გაგვითავდება, სადმე სამსახურს ვიშოვი, დაესახლდეთ მდინარის პირას, უფრო მოგვიანებით დაეკორწინდებით კიდევ და ყველაფერი. ზამთარი რომ დადგება, შეშას მე თვითონ დაეჩეხავ. ღმერთივით მოვეწყობით. დამიჯერე. რას იტყვი? გამოშვები? გაბედე.

— რას ამბობ, როგორ იქნება! — ხმაში წყენა შევატყვე.

— ვითომ რაო? რატომაც არა!

— ნუ მიყვირი. თუ შეიძლებოდეს, — მითხრა მან. რა სისულელეა. ყვირილი არც მიფიქრია.

— რატომ? რატომ არა?

— იმიტომ, რომ არ შეიძლება. მორჩა და გათავდა. ჯერ ერთი, პატარები ვართ. ფული რომ გაგვითავდება და სამუშაოსაც ვეღარ იშოვი, მაშინ რა უნდა ვქნათ? ამას რატომ არ ფიქრობ?! ხომ დაეწყადით მშვიგრები! ეგ ისეთი ფანტაზიაა, რომ არც კი ღირს..

— სადაური ფანტაზიაა! სამსახურს

როგორ ვერ ვიშოვი. შენ ნუ გეშინია, მკაცრი დარდი ნუ შეგაწუხებს. რა მოგივიდა? არ გინდა გამომყვე? თუ არ გინდა, ეგვე მითხარო.

— განა მაგას ვამბობ! სულაც არა, — მითხრა სალიმ. მაგრამ უკვე შეეცაბე, რომ შემძულდა, — რა გაჩქარებს, მაგისთანებისთვის ქვეყნის დრო გვექნება. ჯერ კოლეჯში შედი, მერე, ვნახოთ. თუ ვიქორწინებთ... გასასეირნებელი ადგილების მეტი რა არის. შენ ჯერ...

— არა. არსადაც არ წავალთ. არც გასასეირნებელი ადგილებია და არც არაფერი. ყველაფერი შეიცვლება, — ვუთხარი მე. ისევ ძაღლის გუნებაზე დავექვი.

— რაო? — ჩამეკითხა, — ვერაფერი ვერ გავიგონე. ხან მიყვირო, ხან კი...

— არა-მეთქი! კოლეჯში რომ შევალ, აღარავითარი გასასეირნებელი ადგილები აღარ იქნება. კარგად დაუფიქრდი. მაშინ ყველაფერი შეიცვლება. უნდა ავიკიდოთ ჩემოდნები და ბარგი-ბარხანა და ლიფტით უნდა დავეშვათ. ყველას, უნდა დავურეკოთ და გამოვემშვიდობოთ; მერე საცა არ მივალთ, ყოველი სასტუმროდან ღია ბარათები უნდა ვგზავნოთ. მე სამსახურში უნდა მოვეწყო სადმე და ფულები ვხვეტო. ან მანქანით ვივლი სამსახურში ან მეღისონ ავნიუს ავტობუსით, ვაზებებს ვიკითხავ, სულ ბრიჯის თამაშში ვიქნები გართული, საღამოობით კი კინოებში ვივლი. რაც ბითურული მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ქრონიკები გამოვა, ყველაფერს ვნახავ. ქრონიკები. ღმერთო დიდებულო. ჯერ დოღს აჩვენებენ, მერე შიმპანზეს შარვალს ჩააცმევენ და ველოსიპედზე შესვამენ. არა, ყველაფერი შეიცვლება. შენ კი არ გესმის, რას გეუბნები.

— იქნებ მართლაც არ მესმოდეს. ან იქნებ შენ თვითონ არ გესმოდეს, — მითხრა სალიმ. უკვე ვეღარ ვიტანდით ერთმანეთს. ამჟამა იყო, რომ მასთან სერიოზულ ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, რატომ წამოვიწყე-მეთქი.

— წადი ერთი შენი... — ვუთხარი მე. პოი ბიჭო, გაწიწმადე! მაგრამ რა გაწიწმადე. ვიცი, რომ დავაშავე, არ უნდა მეტყვა, არც ვიტყოდი, მაგრამ რომ აღარ მომეშვა! გოგოებთან ჩემს დღეში არ დამცდენია ამისთანა გინება. პოი, ბიჭო, რა გაწიწმადე! გადავიქაჩე და მოვეყვი ბოდიშებს, მაგრამ ვინ მოგისმინა. ის კი არა და, ტირილიც ამოუშვა. ცოტა არ იყოს შეეცბი — ვაი თუ ადგეს და ყველაფერი მამამისს ჩაუკაკლოს-მეთქი. მამამისი ერთი ბრუნუნა ნაბიჭვარი იყო, ჩემზე მაინცადამაინც არ ამოსდიოდა მზე, ძალიან ხმაურიანიო, სალისთვის უთქვამს ერთხელ.

— მაპატიე, ნუ მიწყენ, — აღარ ვეშევი სალის.

— გაპატიო! გაპატიო! ჰმ, რა სასაცილოა! — ისევ ტიროდა, და ერთბაშად გული მეტკისა, რატომ შევავინემეთქი.

— წამოდი, შინ ვაგაცილებ. არ გეხუმრები.

— მადლობელი ვარ. თვითონაც ვავიგნებ გზას. მართლაც გიყი ყოფილხარ, თუ იმას ფიქრობ, რომ სახლამდე მიგაცილებინებ თავს. მთელს ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ბიჭს არ უკადრებია ჩემთვის ამისთანა სიტყვები.

ძალიან სასაცილო კი იყო, რომ დაუფიქრდეს კაცი, და უცებ ისეთი რამე გავაკეთე, რაც არ უნდა გამეკეთებინა. გამეცინა. მაგრამ შტრისას, ისეთი როზროზა და შტერული სიცილი მაქვს. კინოში ან სადმე რომ ვიჯდე ჩემივე თავის უკან, უსათუოდ გადავიწეოდი წინ და ჩემს თავს ვეტყოდი, გეყოფა, მოკეტე-მეთქი. ამან კიდევ უფრო გააცოფა სალი.

ერთხანს ასე ვუტრიალე და ვუბოდიშე, მაგრამ არ გატყდა. თავიდან მომწყდო, დაიქინა. ბოლოს მართლაც მოვშორდი. ჩემი ფეხსაცმელები და ტანსაცმელი გამოვიტანე და წამოვედი. მარტოკა მივატოვე. არ უნდა მიმეტოვებინა, მაგრამ ყელში ამომივიდა.

მართალი თუ გინდათ, ისიც კი არ ვიცი, რაში დამჭირდა მთელი ეს ლაპა-

რაკი. რას წამოვიწყე მასახულებსა და ვერმონტში გამგზავრების ამბავი. აქეთ რომ შემომხვეწნოდა, მაშინაც არ წაიყვანდი. ანკი ვინ წაიყვანდა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი საშინელება ის იყო, რომ მართლაც გულით ვთხოვე, წავიდეთ-მეთქი. აი ეს არის ყველაზე უფრო საშინელი. გიცი ვარ ნამდვილად.

## 18

საციგურაო მოედნიდან რომ წამოვედი, შიშშილი ვიგარძენი. ბუფეტში შევეხვიე და შევიცარული ყველის სანდვიჩი და სუფლე გეახელით, მერე სატელეფონო ჯიხურში შევედი. ერთს კიდევ დავურეკავ ჯეინს და გავიგებ, შინ არის თუ არა-მეთქი. მთელი საღამო თავისუფალი ვიყავი და ვიფიქრე. მოდი დავურეკავ, შინ თუ დამიხვდა, ან საცეკვაოდ წაიყვან ან სხვაგან საღამომეთქი. რამდენი ხანია ვიცნობდი და ჯერაც არ მეცეკვა მასთან. ისე, ერთხელ კი ვნახე მისი ცეკვა. ძალიან კარგი მოცეკვავე ჩანდა. ეს იყო ოთხ ივლისის, კლუბში. მაშინ იმდენად დაახლოებული არა ვყოფილვარ და აღარ ჩამოვამორე თავის ბიჭს. ერთ საშინელ ტიპს ახლდა — ელ პაიკს, ჩოუტის სტუდენტს. არც იმას ვიცნობდი ზეირიანად, მაგრამ სულ საცურაო აუზის მახლობლად წრიალებდა და იქა ვხვდავდი. რაღაცნაირი თეთრი ნეილონის საცურაო ტრუსიკი ეცვა და მუდამ კოშკურიდან ხტებოდა ხოლმე. დილიდან საღამომდე სულ ასე ხტებოდა, რაღაც იდიოტური მანერით. მეტი არც არაფერი შეეძლო, მაგრამ თავი ბრწყინვალე მოცურავედ მოჰქონდა. ცარიელა კუნთები და არც ერთი ნამცეცი ტვინი! ერთი სიტყვით, ჯეინი მასთან ცეკვავდა იმ საღამოს. ვერ გავიგე კი რატომ. ვერასდიდებით ვერ მივხვდი. მერე, როცა დავუახლოვდი, ვკითხე, ელ პაიკისთანა კუდაბზიკა ნაბიჭვართან რას დადიხარ-მეთქი. კუდაბზიკა სულაც არ არისო, მითხრა. პირიქით, არასრულ-

ფასოვნების კომპლექსი აქვსო \* ეტყობოდა, რომ ეცოდებოდა, არც მეც ვიცოდა ამას. ნამდვილად უცოდებოდა, ახირებული ხალხია ეს ვოგოები. ვინმე ოხერი ნაბიჭვარი თუ უხსენე — თუნდა მთლად გლახაკი იყოს, თუნდა მეტისმეტად ცხვირაბზეკილი — რამდენჯერაც არ უნდა უხსენო სულ იმას გაიძახიან, არასრულფასოვნების კომპლექსი აქვსო. იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ ეს რას უშველის — ნაბიჭვარი მაინც ნაბიჭვრადვე რჩება. ვოგოები! ვერასდიდებით ვერ გაუგებ, რას ფიქრობენ. ერთხელ რობერტა უოლშის ოთახის ამხანაგი გავაცანი ერთ ჩემს მეგობარს, ბობ რობინზონს. იმას კი მართლაც ჰქონდა ეს საკუთარი თავის დაუფასებლობა. მშობლები ერცხვინებოდა, იმიტომ რომ სულ ასე ლაპარაკობდა მისი დედა და მამა — „მავას უნდათ“, „იქას უნდათ“ და ამისთანა სისულელებებს. თან მდიდრებიც ვერ იყვნენ მაინცადამაინც. მაგრამ თვითონ არ ყოფილა ურიგო ყმაწვილი. პირიქით, ძალიან კარგი ბიჭი იყო. რობერტა უოლშის ამხანაგს კი სულაც არ მოუვიდა თვალში, იბლიძებო, რობერტასთვის ეთქვა. რატომ, არ იცითხავთ? იმიტომ რომ, ბიჭს შემთხვევით წამოცდენია, სადისკუსიო გუნდის კაპიტანი ვარო. ერთი ბეწო იაღლიში და იმ წუთში — იბლიძებო, მიაკერა. მთელი უბედურება ის არის, რომ ბიჭი თუ მოსწონთ ვოგოებს, რავინდა ნაბუშარი იყოს, არასრულფასოვნების კომპლექსი აქვსო, ამბობენ, ხოლო ერთხელ თუ ითვალისწინეს, ღმერთივით ბიჭიც რომ იყოს, არასრულფასოვანიც და ყველაფერი, მაინც ცხვირსა ბზეკსო, იტყვიან.

ერთი სიტყვით, კიდევ დავურეკე ჯეინს, მაგრამ არავინ მიპასუხა და იძულებული გავხდი, მილი დამეკიდა. მერე

\* An inferiority complex — ისეთი ფიქრების, განცდებისა და ემოციების კომპლექსი, როცა ადამიანს თავი სხვებზე უფრო დაბლა მდგომად და უძლურად წარმოუდგენია და იმიტომ ყველაფერში გაუბედავია. არც ცდილობს სხვას გაუტოლდეს და თავისი პიროვნული უფლებებით ისარგებლოს. ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ეს იხსენიება „უსაყმარისობის კომპლექსის“ სახელწოდებით. (მოთარგმნელის შენიშვნა).

უბის წიგნაკი გავშალე და მისამართები გადავათვალიერე, ვინ ოხრობასთან შეიძლება საღამოს გატარება-მეთქი. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სულ სამი ნომერი მეწერა შიგ: ჯეინისა, მისტერ ანტონისა — ეს იყო ჩემი მასწავლებელი ელქტონ-ჰილში — და მამაჩემის სამსახურის ტელეფონი. მაიწყდება ხოლმე ნომრების ჩაწერა. ბოლოს ავდექი და კარლ ლიუსს დავურეკე. ამ ბიჭმა ჩემი იქიდან წამოსვლის შემდეგ დაამთავრა ჰუტონის სასწავლებელი. ჩემზე სამი წლით უფროსი იქნებოდა, და დიდად არც მყვარებია, მაგრამ ძალიან ჰკვიანოდა იყო — მთელს ჰუტონში ყველაზე კარგ მოწაფედ ითვლებოდა — და ვიფიქრე, იქნებ სადილზე დამეწვიოს და ცოტა ჰკვიანურ რამეს ვილაპარაკებთ-მეთქი. საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა ზოგჯერ. ერთი სიტყვით, დავურეკე. კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ 65-ე ქუჩაზე ცხოვრობდა და ვიცოდი, რომ ახლა შინ იქნებოდა. სადილად არა მცალიაო, მითხრა, ათ საათზე კი, თუ გინდა, უიყერ ბარში მოდი, 54-ზე, რამე დავლითო. ეტყობოდა, ძალიან გაუკვირდა, ჩემი ხმის გავონება, იმიტომ, რომ ერთხელ გასიებული მანჭია დავუძახე.

ათ საათამდე სადმე ხომ უნდა მომეკლა დრო, და მეც რადიო სიტისკენ გავწიე, კინოს საყურებლად. ამაზე დიდი საშინელება რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ იქვე ახლოს იყო, და ბევრი ფიქრისა და რჩევის თავიც აღარ მქონია.


მე რომ მივედი, დივერტისმენტი უკვე დაეწყოთ. როკეტის მოცეკვავეები სასაცილოდ იმანჭებოდნენ — ხომ გინახავთ როგორ ცეკვავენ ხოლმე, რომ ჩამწკრივდებიან და ერთმანეთს წელზე შემოხვევენ ხელს. მაყურებლები შეშლილებივით უკრავდნენ ტაშს. ჩემს უკან ერთი ტიპი იჯდა, წარამარა ამას ჩასჩინებდა თავის ცოლს: „იცი ეს რა არის? უდიდესი სიზუსტით იკრავენ“. მომსპო კაცი! ცეკვას რომ მორჩნენ, ერთი სმოკინგიანი ვაებატონი გამოხრივინდა გორგოლაკებით, დახრივი-

ნებდა სცენაზე, პაწაწინა მაგიდების ქვეშ თითქოს რაღაცას დაეძებდა და თან ოხუნჯობდა. ძალიან მარტოედა დასრიალებდა და ყველაფერი, მაგრამ გემო მიანიც ვერ ჩავატანე, რადგან წარმოვიდგინე, რამდენს იწვალებდა ამის ვარჯიშში. სისულელე იყო. საერთოდ, ვატყობდი, რომ გუნებაზე ვერ ვიყავი. ამ ვაებატონს შემდეგ საშობაო წარმოდგენა გეაჩვენეს; აი, ყოველწლიურად რომ მართავენ ხოლმე რადიო სიტში. გამოლაგდნენ და გამოლაგდნენ ყუთებიდან ანგელოზები. ვილაცხვებოდა ჯვარცმა გამოასვენეს, სცენაზე დაატარებდნენ და ყველანი ერთად — ბარე ათასი კაცი — მღეროდა: „ძოდით, მოგროვდით მორწმუნეო!“ შეშლილებით ბლაოდნენ. დიდ ამბავში იყვნენ. ვიცი, რომ ეს წმინდა რელიგიურ ცერემონიად არის მიჩნეული და ძალიანაც მოსწონთ, მაგრამ ლეთის წინაშე, მე ვერც რელიგიურს ვხედავ მასში რამეს და ვერც მოსაწონს; სადაური რელიგია — ხროვა-ხროვად დაჯლიგინობენ მსახიობები სცენაზე და ჯვარცმას დაატრევენ! როცა ყველაფერს მორჩნენ და კვლავ თავიანთი ყუთებისაკენ დაიძრნენ, ზედვე ეტყობოდათ, რომ ერთი სული ჰქონდათ, მანამ ადამიანურად ჩამოჯდებოდნენ და პაპიროსს გააბოლებდნენ. შარშანაც ვნახე ეს, სალი ჰეისთან ერთად, და სალი ალტაცებული გაიძახოდა, რა დიდებული რამეაო, კოსტუმებიც მოსწონდა და ყველაფერი. მე ვუთხარი, ქრისტეს რომ ენახა ეს უბადრუკი კოსტუმები და საერთოდ რაც აქ ხდება, საწყალს ალბათ გული აერეოდა-მეთქი. შენ ლეთისმგმობელი და ათეისტი ხარო, სალიმ მითხრა. ალბათ, ვარ კიდევ. ერთი რამე კი მართლაც მოეწონებოდა იესოს — დიდ დოლზე დამკრევი. რვა წლის ვიქნებოდი, პირველად რომ ვნახე ის ბიჭი და მას შემდეგ სულ მახსოვს. მშობლები რომ წავვიყვანდნენ ხოლმე მე და ელის, ჩვენ წინ გადაესხდებოდით, ორკესტრს მიუხალოვდებოდით და იმ ბიჭს ვუყურებდით. იმისთანა დოლზე დამკრევილ-

ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მართალია, მთელი იმ დროის განმავლობაში სულ ერთი-ორჯერ უწევს დოღზე დაბრახუნება, მაგრამ უქმად მჯდომსაც სულ არ ეტყობა მოწყენა. სამაგიეროდ, მისი ჯერი რომ დადგება, ისე გემრიელად და ლაზათიანად დაუკრავს!.. სახეზედაც შეატყობ, რა ვაფაციცებით უკრავს. ერთხელ, ვაშინგტონში რომ წაგვიყვანა მამაჩემმა, ელიმ იმ ბიჭს ღია ბარათი გამოუგზავნა, მაგრამ სანაძღუოს ჩამოვალ, რომ არც მიუღია. მაშინვე ვგრძნობდით, რომ მისამართი არ იყო სწორი.

გათავდა საშობაო წარმოდგენა და ის ოხერი კინოც დაიწყო. ისეთი საძაგელი რაზე იყო, თვალი ვეღარ მოვამორე. ერთი ინგლისელია, ალექი ჰქვია, გვარი არ მახსოვს, ომში წავა და ჰოსპიტალში მებსიერებას დაჰკარავს. გამოვა ჰოსპიტლიდან, ხელში ჯოხი უქირავს, საცოდავად მოჩლახუნობს, მთელს ლონდონს შემოივლის, მაგრამ თავისი ვინაობა არ იცის! სინამდვილეში ჰერცოგია, მაგრამ არ ახსოვს და რა ქნას. მერე უცებ ერთ უბრალო, შეუხედავ ალალ გოგოს გადაეყრება. ავტობუსში აღის ის გოგო და ქარი ჭედს მოსტაცებს. კაცი წააელუმს ჭედს ხელს და მისცემს. აელენ ავტობუსში, დასხდებიან და ჩარლზ დიკენსზე გააბამენ საუბარს. ორივეს საყვარელი მწერალი აღმოჩნდება. ის კი არა და, ამ კაცს თურმე მუდამ თან დაჰქვს „ოლივერ ტვისტი“. ასევე გოგოსაც. ცოტას გაწყდა, გული არ ამერია. მოკლედ, იქვე შეუყვარდნათ ერთმანეთი, იმიტომ, რომ ორივენი ჩარლზ დიკენსზე კარგავენ ჰუკუს და კაცი საგამომცემლო საქმეებში ეხმარება ქალს. გამომცემელია ეს ქალი, მაგრამ კარგად ვერ მისდის საქმე, რადგან ერთი ლოთი ძმა ჰყავს, და რასაც მოგებას ნახულობენ, სულ ის უფლანავს. ძან გაბოროტებულია ეს კაცი, ქალის ძმა, ომში თურმე ეჭიმი იყო. ახლა კი ისე მოშლია ნერვები, რომ ოპერაციას ვეღარ აკეთებს და მთელი დღე ხარკით სევას, თუმცა ჰქვიათი კა-

ცი კია და ყველაფერი. ბოლოს ეს ჩვენი ალექი წიგნს დაწერს, მალე ვაპოუცემს, ბლომად ფულს მოხვეტავებს, და ის არის ჯგავრიც უნდა დაიწერონ, რომ უცებ საიდანაც მეორე ქალი გამოჩნდება, მარსია. ეს მარსია ადრე თურმე ალექის შეყვარებული იყო, მანამ ბიჭი მებსიერებას დაჰკარავდა. ერთხელ, მალაზიაში რომ დგას ალექი და წიგნზე ვილაციებს ავტოგრაფებს უწერს, ეს ქალი შევა და იცნობს. ქალი ეტყვის: შენ ნამდვილი ჰერცოგი ხარ და ყველაფერი, მაგრამ ალექს არა სჯერა და არასდიდებით არ მიჰყვება დედის სანახავად. დედამისი კი თურმე ლამურასავით ბრმა ყოფილა. მაგრამ მეორე ქალი, შეუხედავი რომაა, ძალათი ვააგდება. ძან კეთილშობილი ქალია და ყველაფერი. ერთი სიტყვით, წავა ეს კაცი. მაგრამ მებსიერება მიანიც არ დაუბრუნდება. აგერ თავისი დიდი დანიური ძალი შეახტება, დედამისი სახეში ატაკებს თითებს, სათამაშო დაუტუნისაც გამოუტანენ, ბავშვობისას თვითონვე რომ თავით ფეხებამდე ლოკავდა ხოლმე... მაგრამ არა და არა, მებსიერება არ უბრუნდება. ბოლოს, ერთ დღეს ბიჭები კრიკეტს თამაზობენ ეზოში და კრიკეტის ბურთი უცებ ამ კაცს არ მოხვდება თავში! იმავე წუთში დაუბრუნდება მებსიერება. შევარდება სახლში, დედას შუბლზე აკოცებს და ყველაფერი. ისევ ჰერცოგი გახდება, იმ შეუხედავ ქალს, თავისი გამომცემლობა რომ აქვს, სულ გადაიფიწყებს. ბოლომდე მოგიყვებოდით ამ ამბავს, მაგრამ ვაი თუ გული ამერიოს. იმის შიში კი არა მაქვს, შთაბეჭდილება არ გაგიფუჭოთ-მეთქი. ან კი რა არის აქ გასაფუჭებელი. მოკლედ, ყველაფერი იმით თავდება, რომ ალექი იმ შეუხედავ ქალს შეირთავს, ლოთი ძმა ნერვებს დაიმშვიდებს და ალექის დედას თვალების ოპერაციას გაუკეთებს, სინათლეს დაუბრუნებს, მერე ლოთი ძმა და ძველი მარსიაც შეიყვარებენ ერთმანეთს. სულ ბოლოს ყველანი დიდ სუფრას უსხედან და სიცილით მუციელზე იფხრიწებიან, რადგან ის უშ-



ველებელი დანიური ძალი შემოვარდნა და ლეკვებს შემოათრევს. აქამდე ალბათ ყველას ხვადი ეგონა ის ძალი, თუ რა ვიცი, რა აცინებდათ. რაღა დამრჩენია სათქმელი. გულისარევა თუ არ გინდათ, ამ სურათს ნუ ნახავთ.

ყველაზე უფრო იმან მომსპო და მომანელა, რომ ერთი ქალი იჯდა ჩემს გვერდით — უყურებდა ამ ბითურ სურათს და სლუკუნებდა. რაც უფრო მეტი სიყალბე გამოჩნდებოდა ეკრანზე, მით უფრო მაგრად ამოუშვებდა ხოლმე ჭკითისს. ერთი შეხედვით იფიქრებდი, ძაან გულჩვილია და იმიტომ მოსდის ასეთ, მაგრამ გვერდზე მეჯდა და ჩემი თვლით ვნახე, რა გულჩვილიც ბრძანდებოდა. თან შვილი ახლდა, მოსწყინდა ამ პატარა ბიჭს, მთქნარება აუტყდა, და ჩააცივდა დედას — საპირფარეოში წამიყვანეთ. თავი მოიკლა და არ წაიყვანა. ჭკუას არიგებდა — ნუ წრიალებ და წესიერად მოიქეციო. რაღა მგლის გულჩვილობა და რაღა იმისი. ამ ბითურულ სურათებს რომ უყურებენ და ზღუტუნებენ, დაბალუბით ჩამოსდით თვალუბიდან ცრემლები — გამოიყვანეთ და ნახავთ, ათიდან ცხრა მაინც ნაბიჭვარი და გულბილწი თუ არ აღმოჩნდეს. არ გებუმრებით.

კინო რომ გათავდა, უიკერ ბარისაკენ გავსწიე, კარლ ლუისს უნდა შეგხვედროდი. მივდიოდი და ომზე ვფიქრობდი. საომარ ფილმებს რომ ვნახავ. სულ ასე შემართება ხოლმე. ომში რომ წამიყვანონ, ალბათ ვერ ავიტან. ვერასლიდებით ვერ ავიტან. გაწვევისთანავე თუ გესროლეს და მოგკლეს ან რამე გიქნეს, კიდევ არა უშავს, მაგრამ ჯერ უნდა გაწანწალონ და გაწანწალონ ჯარში. ყველაზე დიდი საშინელება ესაა. ოთხი ოხერი წელი გაატარა ჩემმა ძმა დ. ბ.-მ. ჯარში. ომშიც იყო, — კონტინენტზე გადასხეს და ყველაფერი, — მაგრამ, მგონი, ომზე უფრო ჯარში ყოფნა ეჯავრებოდა. პატარა ბიჭი ვიყავი მამინ, მაგრამ მაინც მახსოვს. შევბუღებდით რომ ჩამოვიდოდა, დაეგდებოდა ლოგინზე და იწვა. სასტუმრო

ოთახშიაც კი იშვიათად გამოვიდოდა. მერე ევროპაშიაც გადაიყვანეს, ნერონტზეც მოხვდა, მაგრამ არც დასერილმა და არც არაფერი, ის კი არა და თოფიც არავისთვის უსვრია. მთელი დღეები ვილაც კოვბოის გენერალს დაატარებდა შტაბის მანქანით. სხვა არაფერი ჰქონია საქმე. ერთხელ მე და ელის გვიტხრა, კიდევ რომ ყოფილიყო საჭირო სროლა. არც კი ვიცოდი, ვისთვის მესროლაო. რაღა ფაშისტების არმია და რაღა ჩვენი — სულ ნაბიჭვრებით იყო გატენილიო. მახსოვს, ელიმ ჰკითხა, ეს ომში ყოფნა ცოტათი მაინც თუ გამოგადგება, როგორც მწერალს, დასაწერ მასალას თუ გაძლევისო. დ. ბ.-მ. ელი გაგზავნა და ლექსებით აჭრელებული ბენისბოლის თათმანები მოატანინა; ვინ უფრო კარგად წერს ომზე — რუპერტ ბრუეი თუ ემილი დიკინსონიო, ჰკითხა. ემილი დიკინსონიო, ელიმ უპასუხა. მე თვითონ ბევრი არაფერი მესმის ამეუბნისა, ლექსებს მაინცაღაძამინც ვერ ვაწყობი, მაგრამ ეს კი დანამდვილებით ვიცი: ჯარში რომ გავეწვიე და იქ ელისთანა და სტრედლეიტერისთანა, თუნდა იმ მორისისთანა, ვაეპატონებს გადავყროდი, იძულებული ვყოფილიყავი, მათთან ერთად მწკრივში მევლო და მეცხოვრა, უსათუოდ ჰკუიდან შევირყუოდი. ერთხელ ბოი სკაუტების რაზმში ვიყავი ჩაწერილი, სულ ერთი კვირით, და პირდაპირ გული მერეოდა. როცა მწკრივში ჩემს წინ მდგარი ბიჭის კისერს ვუტყპრდი. სულ იმას გვიჩიჩინებდნენ — კისერში უყურეთ თქვენს წინ მდგარსაო. კიდევ რომ დაიწყოს ომი, თავს გეფიცებთ, მირჩვენია, მაშინვე გამოიყვანონ და დამხვრიტონ. ხმა-საც არ გავიღებ. დ. ბ.-ზე ვარ გაბრაზებული: ხომ ასე სძულს ომი, შარშან ზატბულს აიღო და „შვიდობით, იარალო“ არ წამაკითხა! დიდებული წიგნიაო. ვერა გამიგია რა. იქ ერთი კაცია გამოიყვანილი, ლეიტენანტი ჰენრი — ღმერთივით ბიჭიაო, დაუყენიათ. ჩემი ძმისა მიკვირს — ჯარი და ომი ასე ეჯავრება და ყველაფერი, ეს პრანჭია

ბიჭი კი მაინც მოსწონს. ერთი სიტყვით, მე ის ვერ გამიგია, როგორ შეიძლება კაცს ამისთანა ბითურული წიგნიც უყვარდეს და რინგ ლერდნერიც, ანდა „დიდ გეტსბიზე“ ჰკარგავდეს ჰკუას. დ. ბ.-ს ვწყინა, ეს რომ ვუთხარი, ჯერ ღლაბი ხარ და რას გაიგებო. მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. მაშ რინგ ლერდნერი და „დიდი გეტსბი“ რატომღა მომწონს-მეთქი, მე ვუთხარი. „დიდ გეტსბიზე“ ჰკუას ვკარგავდი. გეტსბის რა შეედრება. კაცური კაცია. ვაჟკაცი. ისე, ძალიან კარგი ქნეს, რომ ატომური ბომბი გამოიგონეს. კიდევ რომ დაიწყოს ომი, ავდგები და პირდაპირ იმ ბომბზე დავჯდები. ჩემით კი არავის ვკითხავ. ლმერთმანი. არა ვხუმრობ.

## 19.

ნიუ იორკში თუ არ გიცხოვრიათ, არ გეცოდინებათ, რომ უცერ ბარი სასტუმროა — „სეტონ ოტელში“ მოთავსებული. უწინ ხშირად დავდიოდი, ახლა აღარა. თანდათანობით ამოვიკვეთე ფეხი. ეს ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მდიდრულ, კეთილმოწყობილ ადგილად, და მთელი კოხტა-პრუწა ხალხიც იქ გამოფენება ხოლმე. აქ ყოველდღე სამ-სამჯერ გამოდიოდნენ ფრანგი გოგონები — თინა და ქანინი, რიოალს უკრავდნენ და მღეროდნენ. ერთი უკრავდა — საზიზლად; მეორე კი მღეროდა — ხან რაღაც ბინძური სიმღერებს, ხანაც ფრანგულს. ის მომღერალი, ქანინი, მიკროფონთან რომ მივიდოდა, მანამ სიმღერას დაიწყებდა, უსათუოდ რამე უნდ- წაეჩურჩულებინა. მაგალითად ასე: „ახლა კი ჩვენ გვინდა მოგასმენინო „ვულე ვუ ფრანსე“. ეს არის სიგერა ფათარა გოგონა, რომელის დიდი ქალაქში შამოდის, ვთქვით როგორს ნიუ იორკი და შეიქცარებს ბრუქლიანელ ფათარა ვაჟს. იმედრ გაქს, თქვენს შოვესონები“. მორჩებოდა ჩურჩულს და რამეს წაილიდინებდა, უდიდამოდ, მოსაწყენს — ნახევარს ინგლისურად, ნახევარს ფრანგულად, ამ კოხტა-პრუწა

ხალხს კი აღფრთოვანებისაგან სულ დაავიებდა. შორიდან რომ შეგხედნათ და იმათი ტაშისცემისთვის შეუწყობინათ, ღმერთს გეფიცებით, ადამიანის სახსენებელი შეგძულდებოდათ. ბარის პატრონიც კაი ბინძური ვაჟბატონი ბრძანდებოდა. პირწავარდნილი სნობი. თუ დიდი მიღებული და გამოჩენილი ვინმე არ იყავი, ზედაც არ შემოგხედავდა. თუ დიდი გამოჩინებული და მიღებული კაცი იყავი, ისე მოგელაქუცებოდა, რომ გულს აგირევდა. მოვიდოდა. გაგეჰყანებოდა — ტუჩებს ყურებთან მიიტანდა — ვითომ, ნახეთ, რა კარგი ბიჭი ვარო, და გკითხავდათ: „როგორაა საქმე, კონექტიუტში რა ამბებია?“ ანარა და „ფლორიდიდან რა ისმის?“ საძაგელი ბარია. არ გეხუმრებით. თანდათანობით სულ ამოვიკვეთე ფეხი.

ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა მივედი. დახლს მივადექი — ხალხი ბლომად იყო ბარში — და ერთი-ორი ჭიქა ვისკი დავლიე, ლუისს აღარ დაველოდე. როცა ეუკვეთავდი, ფეხზე წამოვდექი — ნახონ, რამსიმალღე ვარ, უწლოვანი არავის ვეგონო-მეთქი. მერე ერთხანს ამ კოკობიკა ხალხს ვათვლიერებდი. ერთი ბიჭი იჯდა ჩემს მახლობლად, გოგო ახლდა. ლამის შეჭამა ის გოგო. დაიცი-ნა, გინდა თუ არა, არისტოკრატული ხელები გაქვსო. მომსპო და მომანელა, ბარის იჭითა კუთხეში მოსირისტიანო ხალხი შეგროვებულიყო. თვალში კი არ გეცემოდით იმათი სირისტიანობა — არც ჩამოგრძელებული თმა ჰქონიათ და არც არაფერი — მაგრამ მაინც შეატყობდით, რომ სირისტიანები იყვნენ. ბოლოს ლუისიც გამოჩნდა.

ლუისი. ლუისი! ჰოი, რა ტიპი იყო! ჰუტონში რომ ვსწავლობდით, ჩემს „მრჩეველ-სტუდენტად“ ითვლებოდა, და რას აკეთებდა — სულ სექსუალურ ამბებზე ლაყობდა, როცა გვიან ღამით ბიჭები შეგროვდებოდნენ მის ოთახში. ამისთანა რამეები ხუთი თითივით იცოდა — განსაკუთრებით გაფუჭებულ ხალხის ასავალ-დასავალი. მოყვებოდა ხოლმე ათასნაირი გათახსირებული ვაე-

ბატონების ამბავს — ვინ ცხვარს დასდევსო, ვინ კიდე ქუდის სარჩულად გოგოს ტრუსებს იკერებსო. ათასი სირისტიანისა და ლესბიანელის თავგადასავალს. რაც ამერიკაში პედერასტი და ლესბიანელია, სულ ზეპირად იცოდა. ვინმეს ახსენებდი — ვინც არ უნდა ყოფილიყო — მაშინვე გეტყოდა, პედერასტი თუ არა. ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელიც ხდებოდა, იმისთანა. ხალხზე იტყოდა პედერასტი ან ლესბიანელიაო — კინო-მსახიობებზე და ამისთანებზე. რამდენი ცოლშვილიანიც დაასახელა — პედარასტიაო. რამდენჯერაც არ უნდა ჩაჰკითხოდი: „ნუთუ ჯოჯო ბლოუც პედერასტია? ჯოჯო ბლოუ, კაცო?! ამისთანა მოსული და ჩასკვნილი ბიჭი, სულ განგსტრებსა და კოვბობს თამაშობს!“ პასუხი ერთი იყო: „მაშ არა და!“ ენის წვერზე ეკერა ეს სიტყვა „მაშ არა და!“ ცოლშვილიანია თუ უცოლშვილო, მაგას მნიშვნელობა არა აქვსო. რაც ქვეყანაზე ცოლშვილიანი ხალხია, ნახევარი პედერასტი იქნება, მაგრამ ზოგჯერ თვითონაც ვერ გრძნობენ ამასო. მიდრეკილება თუ გაქვს, ერთ ღამეში შეიძლება შენ თვითონვე გახდე პედერასტიაო. დაგვაფეთებდა ხოლმე — ელეთ-მელეთი მოგვდიოდა. სულ იმის შიშში ვიყავი, უცებ პედერასტი არ გავხდე-მეთქი. მაგრამ სასაცილო ის იყო, ზოგჯერ თვითონ ლუისიცი იმნაირ კაცად შეჩვენებოდა. საპირფარეოში რომ შევიდოდა, კარს ღიას დაგდებდა და იქიდან გელაპარაკებოდა, მანამ შენ კბილს იწმენდდი ან რა მეს აკეთებდი. გაფუჭებული კაცის მეტი ვინ იზამს ამას. ნამდვილი გაფუჭებული იყო. გაფუჭებული ხალხი ბევრი მინახავს სკოლებში და სხვაგანაც, სწორედ ამისთანა რამეებს აკეთებდნენ, იმიტომაც შეპარებოდა ხოლმე ეპვი ლუისზე. თუმცა ძალიან ჰქვიანი ბიჭი კი იყო. რაც მართალია მართალია.

თავისდღეში გამარჯობას არ გეტყოდა, როცა შეგხედებოდა. ახლაც, მოვიდა თუ არა, სულ ორი წუთით მოვედიო, გამომიცხადა. გოგოს უნდა შეე-

ხედო. მერე მშრალი მარტინი დაუყვითა. ზეთისხილს ნუ უზამო! ზარმუნა გააფრთხილა.

— ჰო, მართლა, ერთი გაფუჭებული კაცი შეგიჩიე, — ვუთხარი მე, — ეგერ, მეორე ბოლოში. ჯერ ნუ გაიხედავ. შენთვის შევარჩიე.

— რა ოხუნჯი ხარ! — მიპასუხა, — რაც იყავი, იგივე კოლფილდი ხარ. აღარ უნდა გაიზარდო?!

ეტყობოდა, მაგრად ავადუღე. მართობდა ხოლმე მისი გაბრაზება. ამისთანა ტიპები ძალიან მართობენ.

— შენი სასიყვარულო ამბები როგორ მიდის? — ვკითხე მე. ვერ იტანდა, ამისთანა რამეს რომ შეეკითხებოდი.

— მომეწვი ერთი, — მითხრა მან, — თუ ღმერთი გწამს, შენთვის დაჯექი და მომეწვი.

— აკი ვზივარ! — კოლუმბიაზე რას იტყვი? მოგწონს?

— მომწონს, აბა რა! რომ არ მომწონდეს, ხომ არც წავიდოდი! — თქვა მან. ზოგჯერ მეც საშინლად მალიზიანებდა ხოლმე.

— რა ხელობა აირჩიე? — ვკითხე მე, — გაფუჭებულობაში ოსტატლები? — აეურევე-მეთქი, გადავწყვიტე.

— შენ რა — ოხუნჯობაზე დებ თავს?

— არა, ისე გეხუმრები, — ვუთხარი მე, — მოიხედე, ლუის. ჰქვიანი ბიჭო ხარ. იქნებ მირჩიო რამე. საშინელ დღეში...

ერთი მაგრად ამოიხსენემა.

— გეყოფა, კოლფილდი, თუ გინდა, რომ წყნარად ვისხდეთ და ტკბილად და წყნარად ვილაპა...  
— კარგი, კარგი, — ვუთხარი მე, — დამშვიდდი.

ამჟამად ეტყობოდა, რომ სერიოზულ საუბარს ერიდებოდა. ჰქუისკოლოფებმა სულ ასე იციანი! თვითონ თუ არ მოეგუნებათ, მოკვდებიან და სერიოზულად არ გამოგელაპარაკებიან. რაღა ჩარი იყო, ზოგად რამეებზე დაეუწყე ლაპარაკი.

— არ გეხუმრები, მართლა როგორ

მიდის შენი სასიყვარულო საქმეები? — ვკითხე მე, — ისევ იმ გოგოს დასდევ, ჰუტონში რომ გყავდა? აი, საშინელი ის რომ აქვს...

— აჰ, აჰ, ღმერთმა დამიფაროს!

— მაინც რა მოხდა? საღ არის ახლა?

— ახრზე არა ვარ. ალბათ სულ წავიდა ხელიდან და ნიუ ჰემპშირის ქუჩებში დაწაწალებს.

— რა უსინდისობაა! სულ ერთად იყავით, ყველაფრის ნებას გაძლევდა და ახლა ამისთანა ლაპარაკი რა საკადრისია!

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ლუისმა, — ისევ შენებური დაიწყე?! ჰა, ისევ, შენებურს აპირებ?

— ნუ გეშინია, — ეუთხარი მე, — მაგრამ მაინც უსინდისობაა. შეგითვისია, ყველაფრის ნებას გაძლევდა...

— აღარ გავათავით ეს საშინელი ნატაციები!

აღარაფერი მითქვამს. შემეშინდა, არ ადგეს და არ მიმატოვოს-მეთქი. ავიღე და კიდევ დავუკვეთე ვისკი. დათრობა მომინდა.

— ახლა ვისთან დადიხარ აბა? — ვკითხე მე, — თუ, არ გინდა მითხრა?

— არ იცნობ შენ.

— მაინც ვინ არის? იქნებ ვიცნობდე.

— ერთი ვილუჯელი გოგოა. მოქაზდაცე, რაკი ასე ჩამაკვივდი.

— ოჰ! მართალს ამბობ? რა ხნისაა?

— ეს კი, მართალი ვითხრა, არ მიკითხავს.

— მაინც? დაახლოებით?

— ასე, ოცდაათს იქნება გადაცილებული.

— ოცდაათსო? რას ამბობ? მოგწონს მერე? — გავიკვირვე მე, — მოგწონს ამ ხნის ქალები? — იმიტომ ჩაეცივდი, რომ ამისთანა საქმეებში ძალიან კარგად ერკვეოდა. იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომ მასავით ყოფილიყოს გარკვეული ამეებში. სულ თოთხმეტი წლისა იყო, უმანკობა რომ უაპყარვა ნანტუექტში. ნამდვილად.

— მომწიფებულ ქალებს თუ გულის-

სმობ, მართლაც მომწონს, მაგას რაღა ბევრი ჩინი უნდა.

— მართლა? რატომ მტუტე? <sup>არქონესული</sup> მტუტება იქით იყოს და უფრო ვნებიანები არიან?

— მოიხედე. რატომ არ გინდა გამოგონო. შენებურად თუ დამიწყე, იცოდე პასუხს ვერ ეღიარებდი. როდის ჯანდაბაში უნდა გეღიაროს ვაზრდა?

ერთხანს ჩუმად ვიყავი. დავაკადე. ლუისმა კიდევ დაუკვეთა მარტინი, ოღონდ ცოტა უფრო შშრალი იყოსო.

— მოიხედე. მაინც რაძღეხი ხანი იქნება, იმ გოგოსთან რომ დადიხარ. იმ მოქანდაკესთან? — ვკითხე მე. მართლა დავინტერესდი. — ჰუტონში ყოფნის დროს იცნობდი?

— არა. სულ რამდენიმე თვეა, რაც ამერიკაში ჩამოვიდა.

— რას ამბობ, საიდან?

— შანზაიდან.

— რას მიჰქარავ! ჩინელია!

— აბა რა გეგონა.

— კარგი ერთი! მოგწონს მერე? მოგწონს ჩინელი რომაა?

— აბა რა.

— რატომ? მართლა მაინტერესებს. არ გეზუმტრები.

— იმიტომ რომ აღმოსავლური ფილოსოფია უფრო მაკმაყოფილებს, და საგლეზე უფრო. რაკი ასე დაინტერესდო.


— რა ფილოსოფია, რას ამბობ? სექსუალური ფილოსოფია? ვითომ ჩინეთისა უოზია? ჰა?

— ჩინეთი კი არა და, საერთოდ აღმოსავლეთს გეუბნები. რამდენხანს უნდა ვიყუდოთ ასე სულელურად?

— მე, მართლა გეკითხები. არ გეზუმტრები. ვითომ რითი სჯობია აღმოსავლეთი?

— მაიისი ახსნა ასე ადვილად არ შეიძლება, — თქვა ლუისმა, — საქმი ის არის, რომ იმათ სიყვარული მთლიანობაში აქვთ წარმოდგენილი — ფიზიკურ და სულიერ შერწყმაში. შენ თუ გგონია, რომ მოგდგები და...

— მეც ასე ვფიქრობ! მეც სწორედ ასე წარმომიდგენია — როგორა სიჭევი?



ფიზიკური და სულიერი შერწყმა. ნამდვილად. ოღონდ გააჩნია, ვინ ჯანდაბა გიყვარს. თუ ისეთი ვინმე გიყვარს. რომ არც სულს ეკარება და...

— ნუ ღრიალებ, თუ ღმერთი გწამს კოლფილდ. წყნარად თუ არ შეგიძლია. სულაც დავეხსნათ ამ...

— კარგი, ოღონდ მომიხსინე, — ვუთხარი მე. ცოცხალი არ იყოს, ავლელდი და მართლაც ხმამაღლა გამომივიდა. როცა ავლილდები, ზოგჯერ ასე ვუწევ ხოლმე ხმას. — მე რისი თქმა მინდა: ეს კი მისმის, რომ ფიზიკურიც და სულიერიც და აჯილაფერი, მაგრამ ყველასთან ხომ არ შეიძლება. ყველა გოგოსთან, ვისაც ერთხელ აკოცებ, ხომ ვერ მოახერხებ ამას. ჰა, მოახერხებ?

— მოდი, დავეხსნათ, — მითხრა ლუისმა, — ჰა. არ დავეხსნათ?

— კარგი, ოღონდ ჯერ მომიხსინე. თუნდაც ეს ჩინელი გოგო ავიღოთ. მაინც რითია კარგი?

— დავეხსნათ-მეთქი!

მართლაც მეტიმეტად შევეტოპე მის პირად ამბებში. ვანა არ მესმის. მაგრამ ეს ცუდი ჩვეულება სჭირდა ლუისს. ჰეტონში რომ ვსწავლობდით. მოდგებოდა და დაწვრილებით ვამბობდინებდა შენს ყველაზე უფრო საიდუმლო პირად განცდებს, ხოლო მისას რომ ჰკითხავდი, გული მოსდიოდა. ამ ჰკუთისკოლოფებს სერიოზული საუბარი როდი უყვართ, სულ მათ ჰკუთაზე უნდა იარო. თვითონ რომ გაჩუმდება. შენც უნდა გაჩუმდე, დასაძინებლად წავა — ადგე უნდა და შენც დაიძინო. ჰეტონში რომ ვსწავლობდით, პირდაპირ ვერ იტანდა — ხელადვე შეატყობდით, რომ ვერ იტანდა — როცა ვინმე ადგებოდა და იმისი სასიყვარულო ამბების მოსმენის შემდეგ, თავის ჭიასაც გაახარებდა, საკუთარი თავგადასავლის მოყოლას დააპირებდა, თუნდა სხვის ოთახში მოგვეყარა თავი, უიმისოთ. ჭირისდღესავით სძულდა. თავის ამბავს რომ მორჩებოდა, მისი ჰკუთი, უნდა ყველანი ავმდგარიყავით და ჩვენ-ჩვენს ოთახებში გავძირწულიყავით. რატომ,

არ იკითხავთ? ვინმეს ჩემზე უფრო ჰკვიანური რამე არ წამოსტყდესთა მასაც ცილო კაცი იყო.

— იქნებ, ჩინეთს წასვლაც მომიწიოს. ყოველად ბითურული სექსუალური ცხოვრება მაქვს, — ვთქვი მე.

— მართალია. ჯერ გონებრივად ვერ მომწიფებულხარ.

— ასეა. მართალი ხარ. ვანა არ ვიცი, — ვუთხარი მე, — იცი, რა უბედურება მაქვს? თუ გოგო მაგრად არ მომწონს, სულ ტყუილია — როგორც წესი და რიგია, ისე ვერ აღვეგზნები. აი, ნამდვილი აღგზნებით. უნდა მაგრად მომწონდეს. თუ არ მომწონს, არც გული მიმდის და არც არაფერი. პოი ბიჭო, ჩემი სექსუალური ცხოვრება დალუპულია. ცხოვრებას არა ჰგავს.

— მართალი ხარ. მაგრამ, ბოლოს რომ ვნახე, ავი გითხარი, რა უნდა გააკეთო-მეთქი.

— ფსიქოანალიტიკოსს უნდა გავესინჯო, არა? — მაშინ ასე დამარიგა. მამამისი იყო ფსიქოანალიტიკოსი.

— ეს უკვე შენი ნებაა. მე რატომ უნდა ჩავერიო შენს პირად საქმეებში. ერთხანს აღარაფერი მიპასუხნია. ვფიქრობდი.

— ვთქვით, მამაშენთან მივედი და ფსიქოანალიზი გავაკეთებინე. — ვუთხარი მე. — მე რე რას მიზამს? ჰა, რა უნდა მიქნას?

— არაფერსაც არ გიზამს. ისე, ლაპარაკს დაგიწყებს და შენ შენსას ეტყვი. ფიქრების დალაგებასა და ჩამოყალიბებაში დაგეხმარება.

— რაშიო?

— ფიქრების ჩამოყალიბებაში. შენი ფიქრები აქეთ-იქით გარბიან. ლექციას ხომ არ წავიკითხავ! თუ მართლა გაინტერესებს, დაურეკე და ჩაიწერს, მიღების დროს დაგინიშნავს. არ გინდა — ნუ გინდა! კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულერთი არ არის!

მხარზე ჩამოვადე ხელი. ძალიან კი გამართო.

— მეგობრობაც ამას ჰქვია, შე ნა-

ბიჭვარო, შენა, — ვუთხარი მე, — აბა რა გგონია!

მაჯის საათს დახედა.

— უნდა გავიქცე, — თქვა და წამოდგა, — ძიან მესიამოვნა შენი ნახვა. — ბარმენს მოუხზო და თავისი ანგარიში მოსთხოვა.

— დაიცა, — ვუთხარი მე, — შენთვის გაუკეთებია როდესმე მამაშენს ფსიქოანალიზი?

— ჩემთვის? რატომ შეკითხები?

— ისე. თუ გაუკეთებია-მეთქი? ჰა?

— რო გითხრა, ნამდვილი ფსიქოანალიზი არ გაუკეთებია. ისე კი დამეხმარა, რომ უფრო კარგად შევგუებოდი

ცხოვრებას. საფუძვლიანი ანალიზი არც დამკირვებია. რატომ შეკითხები?

— ისე. დამაინტერესა.

— აბა. კარგად იყავი. — მითხრა მან. ბარმენს ფული აჩუქა და წასასვლელად გაემზადა.

— ერთი კიდე დალიე, — ვუთხარი მე, — რაც იყოს, იყოს. რაღაც ნალველი შემომაწევა. არ გეხუმრები.

ვერაო, მითხრა. ისედაც დავაგვიანეთ. და წავიდა.

ლუისი, ლუისი! ახირებული კაცი იყო, მაგრამ დიდი სიტყვის მარაგი ჰქონდა. იმისთანა მარაგი მთელს ჰუტონში არავის ჰქონია, როცა მე იქ ვიყავი. საგანგებოდ შეგვაიმოწმეს.

თარგმანი ინგლისურიდან

მამბანგ ზელიჩისა

(გავრძელება იქნება)

ილია მუხამბე

### მსოფლიოში საუკეთესო

„შე უკვე ვთქვი, რომ ქართული ჩაი — მსოფლიოში საუკეთესოა...“  
(ნ. ს. ხრუშჩოვის სუბბრიდან მასპარაჟის ჩაის ფაბრიკის მუშაკებთან).

I

პრაჰა-ბერლინის ავტოსტრადაზე პატარა რესტორანში გავჩერდით — სამი ჩინელი, ორი კორეელი, ერთი ბულგარელი ქალი, ჩეხი და მე.

ოფიციალტი შეგვეკითხა: „რას ინებებთ — ყავას თუ ჩაის?“ შეიღმა ჩვენ-თავანმა ჩაი ირჩია. ჩინელმა დაუმატა: „თუ შეიძლება, ქართული ჩაი იყოს“ მომეჩვენა, რომ ეს იყო ჩინური თავაზიანობის უსაზღვრო ხარკი...

ძინ იო — ლიტერატორია, პეკინის რადიოს მთავარი რედაქციის წევრი. მან გაიღმა, დაიხმარა რუსული ენის კარგი მცოდნე სტუდენტი გუან დინ-ხუა, და შეუდგა უძველესი ჩინელი ფილოსოფოსის სიბრძნის გადმოცემას.

„ჩაი (ანდა, როგორც ჩინელები ამბობენ, „ტეაი იე“, რაც ნორჩ ფოთოლს ნიშნავს) უაღრესად სასარგებლო მცენარეა; ეინც მას ხმარობს, სულიერი მოთხოვნილება წმინდა და ნათელი ექნებაო. მმართველები და წარჩინებულნი მაღალ შეფასებას აძლევენ ჩაის; ღარიბებსა და ღატაკებს უმისოდ არ შეუძლიათ ცხოვრება: ჩაი აცილებს მათ სატკივარს, აფხიზლებს, უამებს თავის ტკივილს და საესებით კურნავს. ჩაი — ამსუბუქებს და აცოცხლებს ორგანიზმს და აძლიერებს ათვისების უნარს.“

„თითქმის ცხრაასი წლის განმავლობაში, — განაგრძობდა ძინ იო, — ჩინელ და ინდოელ ბრძენთა კეთილ სიტყვებს შეუერთდა ინგლისელი სწავლული არ-

ვეი. მან განაცხადა: „ჩაი ამაგრებს ორგანიზმს, ჩაის მიღების დროს კლებულობს თავბრუსხვევა, ჩაი — აქარვეებს ნაღველსა და მოქანცულობას, კურნავს თირკმელების ქვებს, აუმჯობესებს მხედველობას“... ჩაი, თითქმის ერთადერთია, რაზედაც კოლონიების დაკარგვის შემდეგ შესამჩნევად გალატაკებული ინგლისიც კი არ ამბობს უარს, — ცბიერად შენიშნა ძინმა. — მას ახლაც პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ჩაის მოხმარების მხრივ.

...ერთი წლის, ანდა ცოტათი მეტი ხნის შემდეგ მე მომიხდა ჩინელი მეგობრების გაცილება. დაიწყო მოსკოვ-პეკინის თვითმფრინავში ჩასხდომა. უეცრად მგზავრების წინაშე ბოდიში მოიხადეს და სთხოვეს ცოტათი მოითმინეთო. თვითმფრინავის კიბეს უახლოვდებოდა პროცესია. დედაქალაქის ცენტრალური აეროპორტის სატეირთო სამსახურის მუშაკებს ფრთხილად მოჰქონდათ ორმოცი გაბარდნილი მწვანედ მოწვარე ჩაის ბუჩქი. სულ რამდენიმე წუთის წინ ბათუმიდან ჩამოეტანათ სპეციალური რეისით. თეთრ დოლბანდზე შავი საღებავით წარწერილი იყო:

„ჩინეთი. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტი. ძინ-ძიანის პროვინცია, ქალაქი ხანჯოუ. გამგზავნი: საქართველოს სსრ, ჩაქვი, ჩაისა და სუბტროპიკული აულტურების საკავშირო სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი“.

ოცდაათიან წლებში ქართულ ჩაის უიმედო განაჩენი გამოუტანეს ინგლისელმა ექსპერტებმა, რომლებიც სპეციალურად შეუდგნენ შორეულ და ძნელ მოგზაურობას ინდოეთისა და ცეილონის კონცესიებიდან დასავლეთ საქართველოში.

— არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საბჭოთა კავშირმა ხელი მოკიდოს საკუთარი ჩაის წარმოებას. ამ საქმისაგან საქართველოში არაფერი არ შეიძლება გამოვიდესო.

განსაკუთრებით მკაცრი და შეურიგებელი იყვნენ პროფესორი პაროლდ მანი — „ბრიტანეთის ჩაის ასოციაციის“ ერთ-ერთი შემქმნელი და მისი არანაკლებ ბრწყინვალე კოლეგა, უილიამ ბარბერი.

„ენდეთ ჩვენს პატიოსან სატყეოს. — წერდნენ ისინი „საქართველოს ჩაის“ ტრესტის დირექტორს, — ჩაის ბუჩქის გაშენების ცდა სამეგრელოსა და აფხაზეთის პროვინციებში იგივეა, თუნდაც ვიქსე ენგურში ოქროს ზოდები გადაგეყაროთ. რაც შეეხება აჩიგვარას, ვფიქრობთ, რომ ეს ადგილი შერჩეულია განსაკუთრებით ცუდად... აქ ყველაზე უიმედო პერსპექტივაა“.

ცხოვრებამ იწება ასე მკაცრად დაეცინა „ძვირფასი“ ექსპერტებისათვის (ყოველ სიტყვაში მათ ხომ ოქროს უხდიდნენ!) საბჭოთა საქართველოს იუბილეს გასაოცრად ალერსიან და ლამაზ დღეებში, როდესაც ნიკიტა სერგის-ძემ უყოყმანოდ გამოთქვა მთელი თავისი სიმბათია ქართული ჩაისადმი, არსებობის ოცდაათი წლისათვის იღვრისაწულ-ლა აჩიგვარის „უიმედო“ მეურნეობა. მაკ, არ ღირს დაფარვა იმისა, რომ არა მარტო ინგლისელ „კონსულტანტებს“, არამედ ჩვენს გამოცდილ და კეთილშესურნე სახელმწიფო მგებმავებსაც მოუვიდათ პატარა შეცდომა. ის, რაც შვიდწლედის ბოლოსთვის დაგვემეს აჩიგვარში, გადაქარბებით შესრულებული აღმოჩნდა ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე.

მაშინ, გამოთხოვებისას, პაროლდ მანმა თავაზიანად შენიშნა, რომ რუსეთში, როგორც მან იცის, ყოველთვის აუყვარდათ ჩაით გართობა. პროფესორმა დიდსულოვნად გაიხსენა, რომ მისი მეგობრის, დოქტორ ჰოპეს წიგნში მარჯვედ იყო ნათქვამი: „რუსეთში ჩაის საქმე იმპერატორისა და რამდენიმე მდიდარი ვაჭრის გასართობს წარმოადგენსო...“


რას იზამთ, ახლა ბუჩქები უკან ბრუნდებიან ჩაქვიდან ჩინეთში. ეს სელექციური ჰიბრიდული ჯიში გამოყვანილია თბილისელი რკინიგზელის ქალიშვილის აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ.

წრე შეიკრა? ბუჩქები მოვიდნენ ჩინეთიდან და ისევ ბრუნდებიან ჩინეთში!.. დიად, მაგრამ ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია.

პეკინელი პროფესორის ჯუან ვანფანის მიერ გამოცემული წიგნის „ჩაის კულტურის“ რუსულ თარგმანში არის ასეთი სტრიქონები: „სსრ კავშირის უდიდესი მიღწევები მეჩაიობის განვითარების დარგში ჩვენთვის წარმოადგენს მისაბამ მაგალითს. საბჭოთა კავშირის დღევანდელი დღე ჩვენს ხვალის დღეს წარმოადგენს. ჩვენ ვვინა მტკიცედ ვიაროთ საბჭოთა კავშირის გზით და ვისწავლოთ მათგან ჩაის საქმე“.

ციელონის მეჩაიე სწავლულთა დღევანდელის ხელმძღვანელმა ბალაეუმარ მახადევამ ვერ დაფარა: „ამ მოგზაურობით ჩვენ შევიტყუეთ ბევრი ახალი, როგორც ჩაის ბუჩქის მოვლის საქმეში, ასევე ჩაის წარმოების ორგანიზაციასა და ტექნიკაში. ვისურვებდით, რომ, რაც ჩვენ ვნახეთ საბჭოთა საქართველოში — ჩაის წარმოების ტექნიკური სრულყოფის თვალსაზრისით, — განხორციელებულიყო ჩვენთანაც“.

ინდოეთის მრეწველობის დღევანდელის მეთაურმა, რომელიც საქართველოში პატარა სოფელ ანასეულში ჩამოვიდა, განაცხადა, რომ ფირნიში კარებზე, რომელიც ასაბუთებს აქ ჩაის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის არსებობას, აუცილებლად უნდა შეიკვა-



ლოს, და კიდევ უკეთესი იქნება შემოსასვლელთან მაღალ ბორცვზე მიწერილი იქნას:

„ჩაის მეცნიერების მსოფლიო ცენტრი“.

სამწუხაროდ, ინდოეთის, ცეილონის, იაპონიის და ჯერ კიდევ ჩინეთის სინამდვილე უსპობენ ჩვენს სპეციალისტებს შესაძლებლობას გამოთქვან ასეთივე სასიამოვნო შეფასება მათ მიმართ. ცნობილ, მსოფლიო — მნიშვნელობის ყველაზე დიდ ჩაის ფაბრიკებში — „ბრუკონდსა“ და „ლაპტონ-ჩაიში“, — მცირე გამოწვლილის გარდა, ხელით მუშაობენ. საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას ქართველი მეჩაიეები მოხსენებებში ერთსა და იმავეს აღიარებენ — „ჩაის ფაბრიკის მოწყობილობა მოძველებული და გაცვეთილია. გამეფებულია ხელით შრომა. ფაბრიკები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია“...

და როდესაც პრაკა-ბერლინის ავტოსტრადაზე ჩეხურ რესტორანში ჩინელებმა მოითხოვეს: „თუ შეიძლება ქართული ჩაიო“, ეს ჩინელების უსაზღვრო თავაზიანობის ყველაზე მცირე ხარკი იყო. მათ, უბრალოდ, უნდოდათ დაეღლიათ საუკეთესო ჩაი.

და ის, რაც კეთდება საქართველოს ჩაის პლანტაციებში, ჩაის ფაბრიკებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, — ძალიან ხშირად კეთდება აქ მსოფლიოში პირველად და მთელი მსოფლიოსათვის, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარისათვის, ჩინეთისა და ვიეტნამისათვის, ყველა ადგილისათვის, სადაც მცხუნვარე მზის ქვეშ მწვანედ ბიბინებენ ჩაის ბუჩქები და ამზადებენ ჩაის შავს, მწვანეს, ყვითელს, წითელს, ხელისგულზე ადვილად მოსათავსებელ შეკრულებში. ნაზი ლითონის ლამაზ ყუთებში ორი ან სამკილოგრამიან აგურაკებად.

2

ბათუმის ვხატკეცილზე, სადაც გზადროებით შეუქმნიველად გადადის მეჩაეთა აღიარებულ დედაქალაქის — სტუმართმოყვარეობით განთქმულ მახარა-

დის ერთ-ერთ ქუჩაში, აღმართულია ნათელი სამსართულიანი შენობა. ეს ჩაის ფაბრიკაა — ახალი, დიდი და ბევრისათვის ცნობილი. მისმა კოლექტივმა მიიღო ნიკიტა სერგის-ძე ბრუშჩოვი. დაწვრილებით ახსნა-განმარტება არ გვერდება — იგი ყველგან სასურველი სტუმარია, ყველაფერს ხედავს, ყველაფერს წვდება...

დაიწყო კარგად — ხუმრობიდან. კარებთან მდგომი მორიგე შეყოყმანდა, შეფიქრინდა, უხერხული ზომ არ იქნება მთავრობის მეთაური დაემორჩილოს საერთო წესებს — ფაბრიკაში შესვლისას ხალათი ჩაიცვას. ნიკიტა სერგის-ძემ ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მგონი, თქვენი დირექტორისათვის უცბათ გამოინახა ხალათი. მერეღა როგორი წარმოსადეგი ვაქცავია!.. მე მომეცით, რაც მოგჩათ, ნუ ყოყმანობთ, ყოველგვარი ხალათი მომერგება..

სამამულო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლის წინ კიევიში, სადაც იქამად მუშაობდა ბრუშჩოვი, ქართველთა დელეგაცია ჩაივიდა. მიღებისას ნიკიტა სერგის-ძემ გვერდით მოისკვა ზუგდიდელი გლეხის ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი ქიონია სარსანი. უდიდესი ინტერესით კითხავდა მას მეჩაიეთა საქმეებს, მათ წარმატებებსა და გაპირვებას. ბრუშჩოვმა მოიგონა, რომ 1934 წელს იგი იყო ბათუმის ჩაის ერთ-ერთ ფაბრიკაში. ჯერ კიდევ მაშინ, აღნიშნა ნიკიტა სერგის-ძემ, ყველაფერი მანქანებით კეთდებოდა, ჩაის ფოთოლზე ადამიანის ხელის შეუხებლად.

მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუნიწყარი დღის სახსოვრად ქიონიამ ჩამოიტანა ტარას შეგჩენკოს „კობზარი“, რომელსაც პირველ გვერდზე ჰქონდა წარწერა: „ქიონია სარსანიას. სახსოვრად ნიკიტა ბრუშჩოვისაგან“.

ვინ იცის, კიდევ როგორი საქმეები და შეხვედრები ჰქონდა განზრახული საბჭოთა მთავრობის მეთაურს 1961 წლის მაისის დღეებში. მაგრამ მახარაძის განაპირას მდებარე ჩაის ფაბრიკა მან საფუძვლიანად დაათვალიერა. ხა-

ლისით, უდიდესი ინტერესით დადიოდა იგი საამქროებში, ადიოდა სართულიდან სართულზე. კითხულობდა ყველაფერს.

დირექტორი გიორგი გოგუაძე — მან 1928 წელს უბრალო ზეინკლად დაიწყო მუშაობა მახარაძის ძველ ფაბრიკაში, — სიამაყეს ვერ ფარავდა. მან განაცხადა:

— ჩვენი ფაბრიკა მექანიზაციის მხრივ თითქმის ექსპერიმენტულია. აქ ისინჯებოდა კონსტრუქტორებისა და ტექნიკოსების ჩანაფიქრი, აქვე მზადდებოდა სადისტანციო მართვის პირველი ოპერატორები. ჩვენც 1960 წელს მოვიმკეთე ნაყოფი. მექანიზაციის წყალობით საროლერო საამქროს შრომის ნაყოფიერება თითქმის ერთი ორად გაიზარდა.

აქ უკვე თავი ველარ შეიკავა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მმართველმა ა. ხუროძემ, ერთ-ერთმა გაბედულმა ნოვატორმა.

— მექანიზაციისა და ყველაზე დაწყებითი ავტომატიზაციის პირველი შედეგი ისაა, რომ საჭირო აღარაა ოცი ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. სახელმწიფოს დაეზოვა ოცდაათ მილიონ მანეთზე მეტი, ახალი ფულით!

პირველად მრავალი წლის მანძილზე მახარაძის და ბევრ სხვა ფაბრიკაში არ ცუდლუტობდნენ, თავს არ არიდებდნენ, ტრესტში კი თვალს არ ხუჭუდნენ ტექნოლოგიისადმი გვერდის ავლახე. არა ბოროტი განზრახვით, არამედ უკიდურესი გაპირვების გამო, გაცხარებული სეზონის დროს აუცილებელი სამი დაგრების მაგივრად, უსიტყვოდ კმაყოფილდებოდნენ ორითაც. ჩაის ფოთლის უჯრედის ბევრი ნაწილი გაუქყულტავი, თავის პირვანდელ მდგომარეობაში რჩებოდა და მონაწილეობას ვერ ღებულობდა გემოსა და სურნელების შექმნაში.

როლერები იგუდებოდნენ, ვერ იტყვდნენ მღელვარე ნაკადს, რომელიც პლანტაციებიდან მოდიოდა. ამავე დროს როლერებზე იდგა მძიმე საწნეხები. კონსტრუქტორების აზრით, საწნეხების სიმძიმეში იყო მთავარი ძალა. მას უნდა

გაესრისა, გაეპყლიტა უჯრედები. თუკი მთელი საქმე სიმძიმეზე იყოფიონ ფოთოლსაც ხომ ჰქონდა სიმძიმეს როლერებში ყრიდნენ ერთბაშად მრავალათეულ კილოგრამობით. ამ ბუნებრივმა და სასარგებლო სიმძიმემ შესცვალა წნეხი.

„საქართველოს ჩაის“ ტექნოლოგთა ჯგუფი შეუდგა თავის ჩანაფიქრის შემოწმებას; ერთი, მეორე, მესამე, ათობით როლერიდან მოხსნეს წნეხი. და იქვე ბუნკერებში იყრებოდა მნიშვნელოვნად უფრო ბევრი ფოთოლი, ვიდრე ამას გაბედადნენ წინათ. შედეგო შესანიშნავი იყო.

1950 წლის სარეკორდო მოსავლის დროს, ჩაის ფოთლის არნახული ნაკადის დროსაც კი, მუშაობდნენ ყოველგვარი დაძაბვის გარეშე. დასაწყისში ცოტათი შიშით, შემდეგ კი გაბედულად დაიწყეს ოთხი და ხუთი დახვევის პრაქტიკა. ყოველივე ეს კარგი შედეგით დაბოლოვდა! ჩაი იქნება მაგარი, არომატული, მას კიდევ უფრო შეაქებენ. უნდა ითქვას, რომ ძალზე მცირედი ამაღლებაც კი ჩაის ხარისხისა, თუნდაც ბაღის ერთი მეათედით, იძლევა ოთხ მილიონ მანეთამდე დამატებით შემოსავალს.

არის სიახლე უფრო მნიშვნელოვანი, უბრალოდ აღმოჩენა. მსოფლიოში პირველად მზადდება შავი და მწვანე ზაიზო ჩაი, ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ — ფხვიერი — მზადდება ნაკადის დროს. ერთიან კონვეიერზე. ავტომატები მკაცრად იცავენ ტექნოლოგიურ პროცესს. ტექნოლოგიის მცირედი არასიზუსტე, მხედველობიდან რაიმეს გამორჩენა ანდა განზრახული „ცუდლუტობა“, და მართვის პულტი ღებულობს გამაფრთხილებელ სიგნალებს, იქვე ხდება გადარჩევა.

ნაკადის ხაზები შეიძლება შევადაროთ ორ დას. მათ გვარეულობით დიდი მსგავსება აქვთ, მხოლოდ ტყუპები არ არიან. ასაკი და განვითარება სრულებით არა აქვთ ერთნაირი. უმცროსი ჯერ კიდევ ანასეულშია სამეცნიერო-საკვლევო

ინსტიტუტის მეთვალყურეობის ქვეშ. იგი მუშაობს მხოლოდ გამოცდილ წარმოებაში, ამზადებს შავ ჩაის. უფროსი დიდი ცხოვრების გზაზე გავიდა, უკვე ორი წელია მთელი ძალით მოქმედებს ლანჩუთის მწვანე ანდა, როგორც უზბეკები ამბობენ, კოკ-ჩაის ფაბრიკაში. დადგა დრო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის შეკვეთების მიცემისა. საფუძველი უნდა ჩაეყაროს ნაკადთა ხაზის წარმოებას. მხოლოდ ერთი შესწორებით. სულერთია მას გვერდს ვერ აუვლის კაცი და სჯობს ახლავე იქნას აღიარებული. ორივე ნაკადის ხაზი განაგარიშებული იყო შარკოვსკის როლერზე. მას ქმნიდნენ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და... მოხუცებულობამ მოუსწრო დავაყვაცებამდე...

არავინ ფიქრობდა, რომ საქართველოც ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი კათედრის გამგე ალექსანდრე კაკალაშვილი შიშითა და რისკით შეუდგებოდა როლერის შექმნის საქმეს. კაკალაშვილის მანქანა ყოველმხრივ ორიგინალურია. გარეგნულად იგი მოგვაგონებს უზარმაზარ ხორცის საკვებ მანქანას. ცილინდრი და მოტორი ჩვეულებრივის საწინააღმდეგოდ ბრუნავენ. მართვა პულტიდან ხდება. ამასთანავე მართვის მთელი სისტემა იმდენადაა გაუბრალოებული, რომ მისი გამოყენება შეუძლია ყოველ მუშას. და რაც ყველაზე საინტერესოა, როლერი აღმოჩნდა ბევრად უკეთესი და ნაყოფიერი, ვინემ თვითონ ავტორი ფიქრობდა. კაკალაშვილის სამი როლერი საიმედოდ ცვლის შარკოვსკის თორმეტ მანქანას.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი ლაბორატორიის გამგემ, მიხეილ ბოკუჩავამ განაცხადა: — მეგობრებო, შევენ მიუტყვებელ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენივე ხელით ვაუარესებთ ჩაის ხარისხს. ფერმენტაციის პროცესში ვლუპავთ უსაზღვროდ ბევრ სასარგებლო ტანინს. აი ინებეთ მეორე ტექნოლოგია

უფერმენტაციოდ. ჩაის ფოთოლი დახვევის შემდეგ პირდაპირ გამოისარობ ღუმელში მიღის, შემდეგ კი თერმულ დამუშავებაზე. ეს ერთი ორად უფრო სწრაფად მთავრდება, დამზადებული ჩაი შეიცავს მნიშვნელოვნად მეტ ტანინს და ექსტრაქტულ ნივთიერებას, აქვს უკეთესი გემო, სურნელება და შესამჩნევად მაღლდება მისი ფიზიოლოგიური ღირებულება.

ბოკუჩავას წინადადება — ესაა სერიოზული გარდატეხა მთელი ჩვეული ტექნოლოგიისა, გადასინჯვა მრავალი კანონისა, რომლებიც ჯერ კიდევ ინსტიტუტის კედლებში იქნა მიღწეული. ამის გაბედევა არაა ადვილი. ტრესტ „საქართველოს ჩაიში“ ჯერჯერობით თავს იკავებენ. უკვე მოვიდა ამბავი, რომ მეზობლები — აზერბაიჯანელები და კრასნოდონელები — უფრო ყურადღებით ეპყრობიან ბოკუჩავას თეორიას და ენერგიულად ეწევიან ცდებს.

საექვოა თბილისში დათანხმდნენ პირველობის დათმობაზე. მალე გაჩაღდება შეჯიბრება. ბოკუჩავა ამტკიცებს, რომ მისი ტექნოლოგია გარანტიას აძლევს ჩაის ფაბრიკებს მიიღონ დამატებით შემოსავალი, მინიმუმი ოცი პილიონი მანეთის რაოდენობით წელიწადში. მართლაც დიდად მნიშვნელოვანი ციფრები...

დიახ, ბევრი სიახლე, კონფლიქტი, შემოქმედებითი იდეა გააჩნიათ ჩვენს მეჩაიეებს. ეს ხომ პირველად ხდება. მსოფლიოში — და მთელი მსოფლიოსათვის!

ნიკიტა სერგის-ძემ, როდესაც დაამთავრა საამქროს დათვალიერება, მუშების თხოვნით გასინჯა ახალი მოსავლის საქართველოს თაიგული.

— კარგი, სურნელოვანი ჩაია, — აღტაცებით წარმოთქვა ხრუშჩოვმა. — სახელი და დიდება მათ, ვინც ეს გამოიყვანა. მე უკვე ვთქვი, რომ ქართული ჩაი — მსოფლიოში საუკეთესოა თავისი ხარისხით-მეტჯი.

ნიკიტა სერგის-ძე უბრუნდება მას,

რაც ითქვა თბილისში — უმაღლეს საბჭოს საიუბილეო სესიაზე:

— ბევრ ქვეყანაში უკეთესი კლიმატური პირობებიც კია ჩაის მოსაყვანად, ვინემ ჩვენთან... თქვენი ჩაის მაღალი ხარისხი შედეგია მიწათმოქმედების კულტურის და წარმოების მაღალი დონისა.

## 3

ხალისიანად და ბრძნულად ხუმრობენ აფხაზი მოხუცები: დურიპშის ამაცი მცხოვრებლები ვერ ითმენენ, რომ რაიონული ცენტრი გუდაუთი შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფება, და გაიკეთეს თავიანთთვის შავი თუ არა, ჩაის ზღვა, შორიდან რომ შეხედავ, თვით პორიზონტამდე ირხევა და ლივლივებს მრავალი ათასი ჩაის ბუჩქის მწვანე ზღვა.

ამ მწვანე ზღვის ნაპირას ცხოვრობს ნანდუ სიმა. ნანდუ აფხაზურად ბებიას ნიშნავს. ბებია სიმა კონჯარიას ორმოცზე მეტი შვილი და შვილთაშვილი ჰყავს. იგი ას მეთერთმეტე წელშია გადამდგარი. არტელის გამგობამ დიდხანია პენსია დაუნიშნა კონჯარიას. ბებია სიმა ამას ანგარიშს როდი უწევს. იგი განთიადისას მიემართება ჩაის პლანტაციებისაკენ, რომელიც კილომეტრნახევარზეა გადაჭიმული მაღლა მთებში იგი დღეში თვრამეტ-ოც კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ყოველ კილოგრამში ათასრვაასი — ორი ათასი ფოთოლია. ასე, რომ მკრეფავს უხდება წუთში ორასამდე მოძრაობა მარჯვენა, და ასზე მეტი მოძრაობა — მარცხენა ხელით.

რუსმა პოეტმა და საქართველოს დიდმა მეგობარმა ნიკოლოზ ტიხონოვმა ერთხელ თქვა: „ბევრჯერ, მოჯადოებულებით, კმაყოფილებით ვადევნებდი თვალს ჩაის ფოთლის შესანიშნავ მკრეფაებს... მე ვანმაცვიფრა გასაოცარმა მუშაობამ, რომელიც რალაციით მაგონებდა და მუსიკით გატაცებული პიანისტის დაძაბულ შემოქმედებას. ამას მივუძღვენი ლექსი, „ჩაის მკრეფავი ქალის ხელები“.

...ალბათ ეს იყო დროის უბრალო დამთხვევა, მაგრამ გაცხარებულმა კონფლიქტის დროს, როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვლადიმერ ლაკოიამ გაგზავნა ბებია სიმა დასასვენებლად, მოსკოვიდან მთავრობის დეპუტატად, სადაც იტყობინებოდნენ, სიმას ერთ-ერთი მემკვიდრე, მორცხვი და ლამაზი არსენია აძიბა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

— აბა, რას ვამბობდი? — ზეიმობდა ბებია, — მხოლოდ მტრებს შეუძლიათ დაიქინონ, რომ ჩემი ასაკის ადამიანმა აღარ უნდა იმუშაოსო. ახლა მუშაობა — დღესასწაულია!

ბებია სიმა მათ შორის იყო, ვინც განსაკუთრებით ცდილობდა, რათა ყოველწელს, ჩაის მოსავლის აღების შემდეგ მოეწყოთ მხიარული დღესასწაულები. დღესასწაული ისურვეს ბებია სიმამ, მისმა შვილებმა, შვილიშვილებმა, თვით ხალხმა. ხალხმავე იზრუნა, რათა ეს ყოფილიყო ერთი მხიარული დღესასწაულთაგანი. სხვათა შორის ჩაი და მოწყენილობა შეუსაბამო ცნებებია.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე შავი ზღვის სანაპიროების კოლმეურნეობებში ათასობით უცხოელი სტუმარი და ტურისტები ჩამოდის ევროპიდან, ამერიკიდან, აფრიკიდან, აზიიდან, ყველა მატერიკიდან და რომელიმე უცხოელი ზოგი ხუმრობით, ზოგი სერიოზულად ეუბნება დურიპშის მცხოვრებთ: — თქვენ ძალზე მაშაცი ხალხი უნდა იყოთ. ამრავლებთ ასე ბევრ ოლინგ — ურჩხელს და არ გეშინიათ, პირიქით, კარგად ცხოვრობთო.

მასპინძლები ასე უპასუხებენ: — ჩვენ ვიცით, ოლინგს — ბოროტ ურჩხულს. ინგლისელები უწოდებენ მაღალი ხარისხის ჩაის, რომელიც მოტყუებით იქნა გატანილი გასულ საუკუნეში ჩინეთიდან. მათებურად ისინი მართალნი იყვნენ: ინდოეთში, ცეილონზე, იავაზე, ყველგან, სადაც ხალხის ბედს მრავალათწლეულს განაგებდნენ ინგლისელ.

ამერიკელ და პოლანდიელ აქციონერთა კომპანიები, ჩაის ბუჩქი იყო „ბოროტი ურჩხული“, ვალატაკებისა და ჩავგრის საშეაღება. კალკუტაში, იმ სახლში, სადაც რაბინდრანათ თაგორი დაიბადა, ქართველ სწავლულ მეჩაიეებს მოუთხრობდნენ, რომ ერთმა ახალგაზრდა მწერალმა, რომელმაც ვერ შეძლო მოეძებნა სიტყვა „კატორღის“ სინონიმი, დაამარტყა სათავის მიმართა ინდოეთის უდიდეს პოეტს;

— დარჯილინგის ჩაის პლანტაციებიო, — უმაღლვე უპასუხა რაბინდრანათ თაგორმა.

— ჩვენთან სურნელოვანი ჩაი — სიმდიდრისა და დიდების წყაროა, რომელსაც მადლიერებით უწოდებენ „საქართველოს თაიგულს“. ხომ გასაგებია, ძვირფასო სტუმრებო, „საქართველოს თაიგული“!!

...ბებია სიმას, თავად შერვაშიძის ყოფილ ყმა ქალს, რომელიც შვიდი ათეული წლის განმავლობაში იყო უსახლკარო და ლატაკი, ახლა მთელი ცხოვრება დღესასწაულად წარმოუდგება. ჩაის კრეფა სიმა კონჯარისათვის მხოლოდ სიხარულია.

ბებია სიმას შვილები და შვილთა-შვილები, რომლებიც ბავშვობიდანვე მიეჩვივნენ ელექტრონის სინათლეს თავიანთ ორსართულიან სახლებში. ციტრუსების ბაღების სიღრმეში, რადიომიმღებებსა და საკუთარ ავტომანქანებს. დარწმუნებული არიან, რომ ყოველივე ეს დოვლათი და ბარაქა მათ ჩაისაგან აქვთ. შეძლებული ცხოვრება, სიხარული, პატივისცემა, ყველაფერი ჩაის პლანტაციებში მდგარი შრომის შედეგია. მაგრამ ეს შრომა სულაც არაა ადვილი. კვიშა!

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე — სიცხეში, პაპანაქებასა და თავსხმაში გრძელდება ნაზი, ვერცხლისფერ წამწამებისა ჩაის ყლორტის კრეფა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, პირველ ზაფხულს, რესპუბლიკაში დიდი შრომის შედეგად ძლივს შესძლეს ხუთას-

ოთხმოცდაათი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა. სამჯერ უფრო ნაკლები ვიდრე ახლა მოკრეფეს ბებია სიმამ და მისმა ახალგაზრდა დურიაშველმა კოლეგებმა.

ოდესღაც საკმარისი იყო სამი პატარა კუსტარული ფაბრიკა, რომლებიც ადვილად ამუშავებდნენ მთელ საქართველოში მოკრეფილ ჩაის ფოთოლს. ახლა რესპუბლიკაში ათობით თეთრი ქვის მრავალსართულიანი ჩაის ფაბრიკებია. ისინი დღედაღამ მუშაობენ, და მიინც საკმარისი არაა მათი რაოდენობა. ყოველ წელს აგებენ ახალ ფაბრიკას. თუ გავემწკრივებთ 1960 წლის მოსავლიდან მიღებულ ორმოცდაათგრამიან ჩაის შეკვრებს, ეს ხაზი ორ მესამედჯერ შემოწვდება დედამიწას.

ეს ხომ ზღვარი არაა, არამედ გამოსავალი მიჯნა, საიდანაც მეჩაიეები იწყებენ აღმავლობას. კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ტრიბუნიდან მტკიცედაა ნათქვამი, რომ 1965 წელს საქართველო მოგვეცემს ორას ათას ტონა ჩაის ფოთოლს. არ იქნება დიდი საიდუმლოს გაცემა, თუ დავწერთ, რომ ვალდებულება უსათუოდ შესრულებული იქნება გადაპარბებით. ქართველი მეჩაიეები საპატიო საქმედ თვლიან დააჩქარონ ჩვენი ქვეყნის ეს მოთხოვნა.

ახლა კი ავიღოთ ქალაღის ფურცელი, ფანქარი და ჩავატაროთ მარტივი არითმეტიკული ანგარიში. ჩაის კრეფის ჩვეულებრივი ნორმაა ოცდახუთი კილოგრამი ჩაის ფოთოლი დღეში. მაშასადამე, 1965 წლის მოსავალი — ორასი ათასი ტონა — მოითხოვს რვა მილიონ ადამიანს დღეში. მაგრამ უკვე ერთი-ორი წლის წინათ მეჩაიეთა ვირტუოზული ხელებიც არ იყო საკმარისი. საჭირო შეიქმნა დასახმარებლად მიემართათ თბილისის სტუდენტებისათვის, კახელი მევენახეებისა და მალაღმთიანი სვანეთის მცხოვრებლებისათვის.

დამხმარებელი დაუყოვნებლად მოდიოდნენ. სამაგიეროს უხდიდნენ მათ ბარაქიან ხელებს. გაზეთები არ ძუნწობდნენ ქებისათვის, ხალისით ითვლიდნენ, რამდენი კახელი და სვანი გამო-

ორჩეოდა ჩაის კრეფის საქმეში. მაგრამ მხოლოდ ეს როლია მთავარი საქმე! მეგობართა მშრომელი ხელები არაა პრობლემის გადაწყვეტა!

ჩაისსაკრეფე მანქანას ძალიან დიდხანს ელოდებოდნენ. მის გამოჩენას ალტაცებით მიეგებნენ. ყველაფერი გადაქარბებულიად გააზვიადეს. ალტაცების ვარდისფერი წყალი დაიღუპა, მსოფლიოში პირველი ჩაისსაკრეფე მანქანა კი დარჩა. იგი შეიქმნა, იგი მუშაობდა — შარშან ენგურისა და აჩიგვარის მეურნეობის პლანტაციებში საათში ორმოცზე მეტ კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა. მაგრამ „მექანიკური თითები“ ნაკლებად გამრჩევი იყო. შესანიშნავი საშუალება „დანახვისა და შეგრძნებისა“ ხანდახან ეკარგებოდა მას. მექანიკურ თითებს ძალიან უჭირდა მუშაობა ბუჩქის სიღრმეში, სადაც ხშირად იმალება ნაზი კვირტი და ძვირფასი, მზეზე ოდნავ გამკვირვალე ფოთოლი. ხშირად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, მანქანა იტაცებდა უხარისხო ფოთოლს, „კრეჭდა“ ბუჩქს. ასეთი ნედლეულისაგან „საქართველოს თაიგულს“ ვერ დაამზადებ. შესაძლოა, ჩაის მრეწველობის მუშები მართალნი იყვნენ. ისინი ამბობენ, რომ „მექანიკური თითები“ თავად ვერ გადაწყვეტენ მთელ პრობლემას, მათ უნდა დავახმაროთ კიდევ ფოთლის დამხარისხებელი მანქანაო. ანასეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს.

რასაც გვაპატიებს ან არ შეამჩნევს ბებია სიმე, იმას ვერ მოითმენენ მისი შვილები და შვილთაშვილები. ტატიანა ჩხაიძეს უკვე რამდენი წელია ხელთ უპყრია მსოფლიო რეკორდი ჩაის ფოთლის კრეფაში. იგი აქეზებს კონსტრუქტორებს:

— ჩვენი ჩაის მკრეფავეები იცინიან. ალბათ კოსმოსში გასაფრენი ხომალდის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე ჩაის საკრეფე მანქანისაო.

რა ვუპასუხოთ ტატიანას?

თბილისის „სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის“ ინსტიტუტის სახელობის ქარხანაში დამზადებულია ერთი-ორი ეგზემპლარი ახალი ჩაისსაკრეფე მანქანა. მოდელის უკანასკნელი ეგზემპლარი ნახა ნიკიტა სერგისძემ. ტექნიკური მონაცემებით საინტერესია, გამოცდა პლანტაციებში ახლახან დაიწყო. ყველას იმედი აქვს უკეთესობისა...

თბილისში სამრეწველო გამოფენაზე და მახარაძის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციებში ნიკიტა სერგისძემ კიდევ და კიდევ მოაგონა კონსტრუქტორებს — უნდა დაჩქარდეს ჩაისსაკრეფე მანქანის სრულყოფა, უნდა შემსუბუქდეს ქალის შრომა.

ახლა სოფლის მეურნეობის ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ტონს ახალგაზრდები იძლევიან. ინჟინრებისა და კონსტრუქტორების საშუალო ასაკი 25 — 27 წელია. ყველა ისინი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არიან აღზრდილები. გაბედულება და ენერჯია ბევრი აქვთ. თუ შევიხედავთ მეცნიერების მომიჯნავე სფეროში, განსაკუთრებით, რადიოელექტრონიკაში, ახალგაზრდა კონსტრუქტორებმა ჩაიფიქრეს, ზუსტად რომ ვთქვათ, ამუშავებენ პრინციპულად ელექტროდამკვირვებელი სისტემის ახალ ჩაისსაკრეფე მანქანას.

გამარჯვება აუცილებელია! კარგია თუ ეს მალე მოხდება.

...და როდესაც ჩეხურ რესტორანში — პრაპა-ბერლინის აეტოსტრადაზე — ჩინელებმა მოითხოვეს:

„თუ შეიძლება ქართული ჩაიო“, — ეს ჩინელთა თავაზიანობის უსაზღვრო ხარკი კი არ იყო, უბრალოდ, მათ უნდოდათ ყველაზე საუკეთესო ჩაის დალევვა, საუკეთესოსი მთელს მსოფლიოში!

შაბარაძე — ჩაქვი, ჭვინი

## ზაქა აბისუღაშვილი

# ბოღბედებთან

1

ორმეზის დასათვალაურებლად სიღნაღებებმა სოფელ ბოღბედში მირჩიეს გამგზავრება. თან ესეც მითხრეს: ცოტა შინაურულად რომ იგრძნო თავი, შეგზურსაც გაგაყოლებო. ის მეგზური ნუკრიანელი ნიკო შარშიაშვილი აღმოჩნდა. სიჭაბუკეში მწერლობით იყო გატაცებული. „ნუკრიანის“ ფსევდონიმით მან მოთხრობდა კი გამოაქვეყნა ჟურნალ „ჩვენს თაობაში“.

გავედით სიღნაღის ვიწრო ქუჩებს. გზამ ბოღბისაკენ დაუხვია. მიჰქროდა ჩვენი მანქანა, მე კი თვალუბი უკან მრჩებოდა. დაისის შუქში ავლავებული სიღნაღი ფერად ხომალდებით გადაყურებდა იმდრად გადანისლულ ალაზნის ველს. ამ შთაბეჭდილებას უფრო სრულყოფილს ხდოდა ქალაქის თავზე ამართული რადიო-ანტენები და მასთან ერთად ის ძველი გალაგანიც, გემზანის შოაგირივით სპილენძისფერად რომ დატოვებულიყო დროთა განმავლობაში. გამკვირვალე პაერში ბამბის ქვლებად მიმოფანტული ღრუბლები ხომ თოლიებს მაგონებდნენ და მაკონებდნენ.

ქარვად რომ გავიშინებოდა, სიღნაღის პატარა-პატარა წითელკარამიტიანი სახურავები და აგურის არსებობდაჩანებული ქვიტკირის თეთრი კედლები ისე აირივინენ ამოძრავებულ დაისის შუქში, თითქოს ჰერმისა და ატმის აუთავებულ შტოები აბრიალებულაყენენ განათხულის მათობელა ქარში. მიწოდოდა კიდევ მეცქირა ამ სანახაობისათვის, მაგრამ მანძილმა თავისი გაიტანა... გომბორის ქედი თანდათან დაბლდებოდა და სადღაც შორს, ბაჭრის წვეკრავით იყარვებოდა...

2

გზის პირას ვიღაც მოხუცებულს რომელიღაც ბერდუყი ხე წამოვქცია. ცალი ფეხი ზედ დავადგა და ნიშნის მოგებით დააყურებდა. შარშიაშვილს ვანიშნე, ცოტახანს შევესვენოთ-შეთქი. მოხუცს ჩვენი შეჩერება ძალიან გაუხარდა, თამბაქოს მოწვევა სდომებოდა, ჩვენც ბუღვარული სიგარეტებით გული ეაჯერებინეთ. მოკრალ ხეს ფულეროში რომ ჩავხედე, ბავშვობა-

ში გავონილი პანტის ზარბაზანი დამიდგა თვალწინ და კვიპატური ლიმონის ჩასაქრობად შეკითხვაზე გადაველ:

— ხომ არ გვეტყვი, რა გქვიათ, მოხუცო?  
— რა მქვია და, დანდალა მქვიან, შენი კირამე!

შარშიაშვილმა ეშმაკურად ჩაუტყრა:  
— ეგ იღბათ ზედმეტი სახელი იქნება შენი, მოხუცო!

— ზედმეტი მე არც სახელი მაქვს და არც გვარი. როგორც კი დავბადებულვარ, ეს სახელი დაურქმევიათ, იქნებ ცხოვრების მძიმე ტვირთს ურმის დანდლებივით დიდხანს გაუძლოსო... სწორედაც მოქცეულან, ავი გავუძალ კიდევ. სადაც არი, ოთხმოც წელს გადავაბიჯებ.

შარშიაშვილმა კიდევ ეშმაკურად შეუქცაო დანდალას:

— ეს ამოდენა ხე კერატოვით რომ წამოგვიცევა, არ გეშინიან პასუხებებში მიგვენ?

— პასუხებებში რად უნდა მიმეცენ, ჩემზე უარესად იყო ჩამომხმარი და ჩამობერებული... დღეს ეს წაიქცა, ხვალ მე წაიქცევი და მერე ბურთი და მოედანა თქვენთვის დამითმია, შეილუბო!

საუბარში ბინდი წამოგვეზარა, იქნარდით. მოხუცმა ასანთი გაქრა, სიგარეტს მოუკიდა, გულიანად გააბოთა და სიტყვა დაგვადევნა: კეთილად გველოთ, შეილუბო, დანდლები არ ჩატეხობოდეთო...

შოფერმა საწყენად მიიღო დანდალას სიტყვები და სწრაფად გაეპასუხა:

— დანდლებიო? განა თქვენებური ურემია, დანდალაე?!

— დანდლები, შეილო, მანქანასაც ექნება, თორემ მანქანად ჩაეურატებულს მანქანა როგორ გაგიძლებდა!

— ეპე, ვინდოდა და გიოხბა კიდევაც საკადრისი! — გადასძახა შოფერს შარშიაშვილმა.

გადახნული მინდორ-ველი შეღამების პარველ ბინდს გამოწვევად ექანებოდა დედამიწაზე. მერე ხანს ციენათელსავით ციმციმებდა დანდალას ნაფხანდარტყმული ბუღვარული სიგარეტი. შოფერმა მეტი სისწრაფე მისცა მანქანას,



თანაც ხუმრობა დაყოლა: მოკვრეს ცხლით, ბიჭებო, დანდალამ პანტის ზარბაზნი არ დაგვი- მიხსნოსო...

შოფრის ხუმრობაზე არ გავცვიწყებია. პარი- ქით, სადაც გულის სიღრმეში გვეწყინა კიდევ. დანდალ ხომ ძველი ქართული გლახაკის ნამდვილ განსახიერებელ აღიბედა ჩვენს მგზ- სიერებაში. ვანა დანდალსთანა ვეკაცების ნაოფლართ არ იკვებებოდა მთელი საქართვე- ლო?!

3

ბოდბეში შევედი თუ არა, ელემტრონის ბოძთან ერთი კურკასავით კაცი გადმოგვიტა- ეხოდან. შოფრმა შეჩვენა შეაჩერა. უცნობმა კაბინაში თავი შემოყო, აგვათვალღერ-ჩავვათვა- ლღერა და სიხარულით წამოიძახა: ჩვენებურე- ბი ყოფილხართო... აბა, ეს ვიღაა-შეთქი?! — წავარს შეჯღუტენი ნიყო შარშია-შეიღო. ვინაა და, ჩვენი აღქმისა, კოკლამაზაშვილი, ნაფრო- ტალი, ნაოზარი და შინ მშვიდობით დაბრუნე- ბული. ხუთმეტე წელიწადია, რაც სამხრეები მიიხსნა და ბოდბელები მაინც კაბიტანს უთა- ზიანა...

— რას ამბობ, ნიყო, მავს ჯარში ვინ გაი- წვევდა ან კაბიტანის ვინ მისცემდა-მეთქი. — ჩავუზარჩულე ნეკრიანელ მეგობარს.

აღქმის ჩემს გვერდით მოკალათდა. ისიც იქ მიდიოდა, სადაც ჩვენ უნდა მივსულიყავით. გზაში რამდენიმეჯერ ამჩნეულად შემომხედა. — ალბათ უფრო თუ მოკრა ჩემს ნაიურჩეულეს. ეს, მგონია, ნიყომაც შეატყო და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ოხუნჯობა დაუწყო. ჩემს იღბლზე აღქმისიც ადვილად ასევა. ამა- სობაში ფერმასაც მივუახლოვდით...

მანქანიდან ჩამოსვლებს წინ აღქმის კოკლა- მაზაშვილი გაგვიძღვა და პირდაპირ სარძეო ფერმის გრძელ შენობაში შეგვიყვანა, სადაც მეზულე არსენ დარჯაშვილის მეტი არავინ აღმოჩნდა. ჩემი ვინაობა რომ გაიგო, აღქმის საყვედურით მიმართა:

— ჯერ ბინაში მისულიყავით, აქ რას მოგ- ყვად ეს კაცი, ძროხებს დილაზე კი ვერ ვაჩ- ვენებდით?! მაგრამ არაფერია, წავიდეთ, ფერმის ბრიგადირი ვინახულოთ ახლა.

ვალყო გურიაშვილი მარტო არ დაგვედგო. იქ იყვნენ მისი ბრიგადის წევრებიც: გურამ და ვანო გონიტაშვილები, სოსო და ფორე ოთარა- შვილები, არჩილ და ნასყიდა დარჯაშვილები, ასწრაფა ლეიშვილი, ვასო გორგვიშვილი და თედო კოკლამაზაშვილი. მეგობრებს მთელი დღის მიჩვენებლები შეეჯამებინათ და ახლა გრძელ მაგიდაზე ვახშამს შეეშეცოლდნენ. სუფ- რაზე ჩვენც მივიწვიეთ. მცირე ხნის შემდეგ შემოგვემატნენ მეორე ბრიგადის წევრებიც: ზა- ქარია და მიხეილ პარანბიშვილები. საუბარმა ადვილად მონახა კალაპოტი...

ბოდბელებში კაბიტანად წარმდგენი კოკლამაზაშვილი ახალგაზრდა ბრიგადირს კი- სერზე ხელი შემოახვია და სუფრის ბოლოში მჯდომ თავის მოგვარეს გამომწვევი სიტყვა- ესაროლა:

— ძია თედო, ამოდენა ხალხს ე პატარა ბიჭი უფროსობას რომ გიწვეო, როგორ ითმენო წე- ტავი, პა?!

— შენ კარგად იყავ, მავაზე ნუ იღარდებ, შეილო! პატარაა და, ფერმის გულისათვის ნემ- სის ყუნწით იმტროფე გაძერება ხოლმე. არც შენა მყოფობარ ბავაყ-მღერი, მავრამ ომის დროს მთელი ბატალიონი გმარებია.

— ეგ ომის დროს! ახლა, ძია თედო?! — შეესმაღრნენ ახალგაზრდები.

— ახლა თქვენ თვითონ ზედავთ. რაც ვაი- ცია! მალე, მგონი, მავისთანა ხუშარა მეთრე არ გვევლენა მთელ ბოდბეში.

— მოხუტო, მამ შენსავით მარტო ძროხების წველას ხომ არ გადაყვებობი — ესროლა კიდევ ერთი სიტყვა აღქმისი.

— შენ ან ვეპილიც ვერ მოგაგებს სიტყვაში. კარგი, ვაღმად, თუ ღმერთი გწამს... მე კი ჩემსას ვაძლიობ და...

— მე ვიცი, როგორც ეცდებოდით, საფურავე ძროხების მომზარებელად დარჯანთ ნასყიდა რომ არა გყავდეთ! — მიუგო აღქმისი.

— გუავს და გვიხარიათ კიდევაც, შენსავით სიტყვა-მასუხად კი არ არი გადამწეული, საქმე უყვარს, საქმე!...

საუბარში მცე ჩავერთე:

— ბერიკაციო, რახან ძროხის წველაზე ჩამო- ვარდა ლაპარაკი, ხომ არ მეტყვიო, შარშან როგორი მიჩვენებლები გქონდათ. არ იქნება ურიგო, ორიოდე სიტყვა იმაზედაც მითხროთ. თუ რას ფიქრობთ მომავლისათვის...

თედო მხარბობა შეიშინა. აღქმისაგან ნაწ- ვემს ცალი წარბი ჯერ კიდევ ნერვიულად უთრთოდა. ბოლოს, პასუხის გარეშა რომ ვერ მოახერხა, ხელი ბრიგადირისაკენ გამოშვირა. — ის გეტყვისო.

ვალყომავე არ დაყოვნა:

— ძია თედო მოწინავე მწველავად ითვლება არა მარტო ჩვენს ბრიგადიაში, არამედ მთელ კოლმურწეობაში. შარშან თითო საფურავე ძროხაზე ორიოთხას ლიტრს ბევრი კი აღარა- ფერი დაქვებია. მიუხედავად იმისა, რომ სამოცდათორმეტი წლის კაცია, წელსაც მალაღი ვალდებულება იქისრა. გადაწვეტილი აქვს ორიოთხას გადამზარბოს. ასევე ფიქრობს მეორე ჩვენი ბერიკაცი, ვასო გორგვიშვილი. რაც შეე- ხება ახალგაზრდებს, ყოველთვის სანაქებონა იყვნენ და, ვფიქრობ, წელსაც გვასახებებენ...

— ნახევრად შექანიზებული ფერმის კვალი- ბაზე თქვენი წარმარებანი და დამირბანი უდა-

ვლ სასიხარულო ამბავია, მაგრამ ნაკლიც ხომ გაქვთ, რას იტყვით ამასზე? — ვითხე შორი-ღებულად ბრიგადირს.

— ჩვენი ფერმის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ იგი ვერ კიდევ მთლიანად არ არი შექმნილებული, ხოლო, როდესაც ამას მივალწევთ, პარობას დაედებთ, მთელ რესპუბლიკაში არავის ჩამოვრჩევთ...

— თქვენი შემოაბის შესახებ რაღას იტყვით? — შევეკითხე მეორე ბრიგადის წევრს, ზაქარია ბარნაბაშვილს. მან მოკლედ მიპასუხა:

— აბა, რა უნდა ვითხრათ, ამითაც ასხეთო სული ძროხა ჰყავთ და ჩვენცა. მწველავეები და მებზორეები ბრიგადაში იმდენივე გვყავს, რამდენიც ამათ. ვარჯაში კიდევ ერთმანეთს არ გაქცევდით და არც ვაქცევით. ვალიკოს ტქმისა არ იყოს, თუ ფერმის შექმნიზაციას დროზე ვეღირსენით, სასიხარულო აღბათ ჩვენც ბევრი გვაქვება.

5

გარედან უცხად შემზარავი ზმუილი შემოაქრა. ყველამ უბრებიც კცვიტა.

— ეს აღბათ არსენას ბუღაა, ბიჭებო! — ჩაიხიხითთა ალექსი კოჭლაშვილმა

— ნეტავი შენ, რომ ყოველთვის ზემორობის გენებაზე ხარ! — შეუტია არსენამ და მაშინვე გარეთ გავარდა. ზმუილი კიდევ გაისმა, მხოლოდ არა ისე, როგორც პირველად.

— მაგ ოხერს ამ შუალამისას რა აზმუილებს, ში თუ სწყურია? — ჩაილაპარაკა თავისთვის გერამ გონიტაშვილმა.

— არც შვია და არც სწყურია. ხომ გესმით, ვახუშტული კარზე გვიკაცუნებს. პოდა, მაგ დალოცივლსაც განა ძარღვეში სისხლის ნაცვლად დებულა უღვას, დაიხმუილებს, მამ რას იხამს! — ხმა ამოიღო ახლა ისწრაფა ლეკოვილმა და სახედამწვიდებელი არსენ დარჯაშვილი შემოვიდა კიდევ შიგნით. მას ნუკრიანელი ნიკოც შემოჰყვა. ეს უკანასკნელი როდის გავიდა გარეთ, არ შემომჩნევია, ჩემს გვერდით კი იჯდა სულ...

— რაო, რა მინდა, რათა ეზმეოდო, არ დაგმარა, არსენ?! — მაინც გაუბუღა შეხებურება ყოფილმა კაპიტანმა დარჯაშვილმა.

— აი, ხელ ამის ბრალი ყოფილა, — ხელი დააღო არსენამ შარშიაშვილს, — სანახავად მიუსულა, და თანაც პაპიროსის წვევა გაუჩაღებია. ზმუილს ვილა ჩივის, კვამლსა და თამბაქოს სუნზე კიდევ კარგია, მთლად არ გაგვიკადა.

— იღბალზე გაღარჩენილხარ, ნიკო, იღბალზე! მახსოვს, ჩემს ბაღობაში იორზე ვიდებოთ. მუხიანურებში, — დაუწყო დარიგება ნუკრიანელ მეგობარს ვასო გორგიშვილმა, — ერთი დამესაგით ზნელი ბუღა გვყავდა მუხაზე მიბებული. მაშინ აბა, გაკვება სიდა გვქონდა, თო-

კით ვიბამდით საქონელს. პოდა, შენსაგით სიღნაღიდან ვილაც ახალგაზრდა მერსი წამოსულს ნაქიფთარმა გვერდით ჩაურხა და მისი ოხერს როგორც კი ლენის სუნი ვცა, გაღირა, საბჭური აიგლეჯა და ისე ამბურთავა ის საწყალი, რომ სული გააფრთხოზინა.

— ეგრეა, ეგრე! — დაუდასტურა ვასოს თელი კოჭლაშვილმა და გვთხოვა ახლა მისთვის დავეგეგო უბრები:

— მეც დიდხინის ამბავს გეუბნებთ. ბინები ალაზნის პირზე გვედგა მამინ. უცხად ვერხვინებში ისეთი ბღაილი ატუდა, კაცს ეკონებოდა. მთები ინგრევიათ, შეეხვედა, ბუღები მოქმეზობოდნენ ერთმანეთს. ერთი ხარი იყო, მეორე — კამეჩი. კამეჩს ადგილზე უქმად ყოფნა მობუნრდა, ზურგა უბრუნა ხარსა და ვითომც არაფერი, ნაპირ-ნაპირ დინჯად დამყვა ალაზნის. ხარმა იწყინა კამეჩის ქედმალლობა, გაბარზებულმა გზა გადატურა. ის მაინც არაფრად ავღებდა, გვერდის აქცევას ცდილობდა. რამდენიმე დარტყმა აძაბია. ბოლოს, ხარი რომ აღარ მოეშვა, აბა, გაგვიგება იმისი გენახათ: ვერ დაიბღავლა, მერე ფეხადგმულ მთასავით მოუტრიალდა, რქები მუცალქვეშ შეუგდო და იმხელა ხარი ბუმბულვით ჰაერში იტრიაცა. ასე ჰაერში ატაცებული მცირე ხანს ატარა, მერე კი პირდაპირ აღიდებულ ალაზანში გადაეძახა. თავად გამარჯვებულმა ყელი მოიღლა და სისხლიანი რქები ვახუშტელის მზეზე ააღლდა...

6

იმ დამეხ ბრიგადირმა ოჯახში ვაგვიბატრია, მაგრამ მე და შარშიაშვილმა ფერმაში ვაჩიხით დარჩენა. ფერმაში დარჩენა, აგრეთვე, თედო კოჭლაშვილი და გერამ გონიტაშვილი, დანარჩენები შინ წავიდნენ...

კუთხეში, სადაც მე მოვკალათდი, იდგა ერთი ტარმობრეცილი ხელსაფტავი. აღბათ კორკოტის ან მარბლის დასაფტავად თუ იყენებდნენ. მისი დოლაბების დანახვზე ვამახსენდა ამბავი, რომელიც სიმეფიცილში შემემთხვა.

ჩვენი ვენახის ქვემოთ, პატარა ხევში, რომელსაც რატომღაც კრიჭინას ხეცს ეძახდნენ, იდგა ძველისძველი, შიტოვებული წისქვილი. დიდხინაია, მისი საბრუნებელი წყალი დამშრალავო და კლმეფრენობა არავითარ უწყაღდებას არ აქცევდა, ჩვენ ეცხბლის წისქვილიც გვეყოფათ...

ერთ დღეს მამანქმში მიიხარა, მე ვენახში ავილ სამეშაოდ, შენ კი აქ დარჩი. თვალი გეკვირის, წისქვილში არავინ შევიდეს და ემანდ დოლაბები არ მოიპაროსო. მეც დავარჩი. თუ შერი ქული მოვიხადე და ქრელი პებლებს ქერით ვერთობდი თავს. მოთლოდნელად წისქვილთან რაი სახედრიაი კაცი შეენიშნევთქვი, კამეჩის ურმით ხომ არ აჩიან მოსუ-

ლები, იმხელა ქვევს როგორ წილდებენ-მეთქი და ახლა შერდღლით ხელში ბოლოქანქარა ჩიტებს დაეწეწე დენა.

ცულტობაში თავდაფიწყებულს ანახდევლად თავზარი დამცა მამაჩემის მუქაქრე ხმამ. მიეხედი, საქმე ცუდად იყო. მაშინ კი, როცა დამკვლავი: ბიჭო, წისქვილის ქვები ვის გაატანეო, მერჩინა, მიწა გამსკდომოდა. გაჯგერებულმა იქვე, ბაღანში ლობიოს კიგო მოგლიჯა და ჯაერის ამოსაყრელად მოწველ ბეჭებზე გადამიქირა. არ ვიცი, დაწმუნდა თუ არა ჩემს უნებლობაში, მაგრამ ის კი მახსოვს, თუ როგორ სწრაფად მოექცა ზურგზე მუხობლის იახოს...

ის დღე ტირილში დავალამე. შუალამისას დღეაჩემის ხმამ გამოშალუნი, „მდედრობიდან“ დაბრუნებულ მამაჩემს ქოქოლას აყრიდა: შე არგანახარებელიო, ე ბიჭო რომ შემოგვედომოდა, ენგანაი დანით ხომ ყელს გამოგადარდიო...

იმ კაცებს მამაჩემი სიღნაღის ბოლოზე დასწოლო. ბოდბელები უოფილიყვნენ. დოღბები თავჯდომარის ნებართვით წავლეთ...

ჩემს მთერ მოყოლილ ამბავზე თედო კოქლა-მანაშვილი კინაღამ სიცოცხლისგან დაოსდა. ბოლოს ასე მითხრა:

— შეილო, ბოდბელები კი არა, ბოდბისხვევლები იქნებოდნენ. მეწისქვილეობას ისინი უფრო ეტანებოან. აი, დღეს რომ პერი მიირთვი, შეიძლება იქ დატყულისაგანაც იყოს გამომცხეარი. ზოგჯერ საჭევეს ჩვენცა ვფქავთ ხოლმე ბოდბისხვევში. ისე რომ, ჩემო კარგო, სადარდებელი აღარა გაქვს. ხომ გაგიგონია, სანთელსაქმელ გზას არ დაქარგავსო. პოდა, როგორც ეხდნო, მართლდება კიდევაც...

ძია თედოს სიცოლი ახლა წერტიანელ მეგობარს გადაედო. მხოლოდ გერამ გოჩიტაშვილი არ იზიარებდა ჩვენს შიზარულებას. გერამ, რად დაღონებულხარ-მეთქი! — შევეხმინე ფიქრებში წასულს. კთხვაზე, მის ნაცვლად თედომ გამცა პასუხი:

— დაღონდება, მამო ჩა მოუვა, კაცს მოფრად მუშაობა სწყურია და, გინდა თუ არა, მოფრობას მწველაობა გერჩინოსო, ეუბნებია.

— კარგ მოფერს მგანაირ სიტყვას ვერ გაუბუღავდნენ. ძია თედო! — ჩაერია საუბარში ნიკო შარშიაშვილი.

— ვერც გაუბუღავდნენ, მაგრამ ძალა აღმართასა ხსნავს, მოფრები ბევრი გვეყავს შეილო, სოფელში...

— გვეყავს და გვეყავდეს! ღმერთმა უველას ხელი მოუშაროსო!.. საღაპარაყო თუ შემოგველია, შენ ეგ მითხარი! — წამოიძახა გერამმა და სახეზე ნაბადი წახიხრა.

— ვუგ, მაგისთანა ფიქრი რომა ხარ, იმიტომაც ვერ მოგხსლიტეს აქამდე ძროხის ცურებს... გერამს ხმა აღარ ამოუღია ამ სიტყვაზე.

ჩვენც ვაინებნეთ. არ იმანებოდა მხოლოდ თებერლის აშარი ქარი... **მარტოველი**  
**ზიზღირობისა**

7

დღის ექვსი საათია. თეთრხალათიანი მწველაეები უკვე ფერმის გრძელ შენობაში ტრიალებენ. ცდლობენ, დროზე მოითავონ საკვების დაყრა, რათა პირველი წველა ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ ჩატარდეს.

დრო იწურება... ძია თედოსაგან წუხანდელი ნაწყენი გერამ გოჩიტაშვილი ყველაზე პირველად იწყებს წველას. პაერი რძის სუნითა და ომწივით იესება თანდათან... ბრიგადიანი გერამ გურამშვილი მაცნობს ფერმის შენობაში ახლახან შემოსულ ბოდბელ ახალგაზრდას:

— ეს ამანავი ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი არჩილ გოგილაშვილი გახლავთ. ამავე დროს იგი რედაქტორობს ჩვენს მრავალტრიაკიან გაზეთს — „კოლმურისს ხმას“.

ბოდბეები ბიღონებს სველიან. სადაც არი. ატომანქანებს დატვირთვვენ და ქაფქაფა რძით სავსე ამ ბიღონებს სოფელ შალაროს განმანაწილებულ წერტისაგან გააქროლებენ...


გარეთ ისევ თებერლის ქარი უბერავს, — საიდანღაც სათოვლე ღრუბლებს მოგრეკება. აქამდე მოსჩინს კიდევაც წანამჭრული პატარა სერები. ფერამის ეზოში ვიღაც ღლინებს:

მიოდან შეენი ღრუბელნი  
თეთრისა თოვლის შთოვარნი...

გოგილაშვილი მოხოსს, ვინახულო კოლმურნიების კანტორაკ. მიუღივართ, გზადგაზა ბოდბის ამბებს მიყვება:

— ჩვენი სოფელი ამ ბოლო ხანებში ძალიან გაიზარდა. საქირო ხდება საუბნო გზების გაფართოება, მათი შეკეთება... ახლახან დამთავრდა ზურბაბაან საუბნო გზა. სულ მალე კოლმურნიება ეზოებში ჩუტჩუტს დაიწყებს ღლევწყაროს წყალი. ამჟამად ორმოებს თხრიან და მილებს აწყობენ შიგ. ახალ წყალს პირველ რიგში ტორჩინიანთ უბანი მიიღებს... გვეგონა, კოლმურნიების თავჯდომარე იყავე ბიკაშვილი კანტორაკში დაგვებუღებოდა, მაგრამ იმედი არ გავგიმართლდა, სიღნაღში წასულიყო, რაიკომიდან დაერეკათ, სასწრაფოდ წამოვიდეს...

შეუღივართ პარტორგანიზაციის ოთახში. არჩილ გოგილაშვილი მოთავსობს კოლმურნიების მრავალტრიაკიანი გაზუბის წლებანდელ ნომრებს. ეთვალეგრებ მასილებს. ჩემს ურთაღლებას იპყრობს საკითხები, რომლებიც შეეხება სარჭო. ფერამებში ძროხების ბაგერიდან დაუბმულ წესით მოვლაზე გადასვლას. ამის შესახებ ნიკიტა სერგის-ქე ზრუშნოვმა დადებითი მოსაზრება გამოთქვა მუხროკიანის საბჭოთა მუქრნიობაში ყოფნის დროს.



— მუხროვანელების ამ ინიციატივას ბოღბელებიც ვიზიარებთ და მალე აღმათ პრაქტიკულ ნაბიჯსაც გადავდგამთ, — შეუბნება მადგაზე თავდახრილი არჩილი.

არჩილის ნათქვამს კერას უკრავს ილექსი კოტეპაშვილიც, რომელიც ეს-ეს არი, ნიკო შარშიაშვილთან ერთად, პარტორგანიზაციის ოთახში შემოვიდა:

— ძალი რომ ძალია, კარგ პატრონს ისიც კი ურველოვან დაბმული არა ჰყავს. მაშ ძროხებმა რაღა დაიშავეს, ცხენებივით აფარაფარაჰყოფლები დღითა და ღამით ბავაზე რომ არიან შიღრძობილები. განა თავისუფლად რომ იქნებიან, უფრო მეტს არ მოიწყვედიან ის დედოცელები... მე და ჩემმა ღმერთმა, მუხროვანელებს ამ ამბისათვის დროზე აღუღათ ილლო. თქვა რა გასაკვირია, ჩვენი წინამძებნი შეწყველსა თუ მუშა საქონელს სულ დაუბმელი წესით არ უვლიდნენ ხოლმე?!

გახთვის ერთ-ერთ ნომერში წავაწყდი მეცხვარე ჩალაბაშვილის ბუნდოვნად გამოსულ სურათს. არჩილს მივმართე:

— აბა, ამ სახელოვანი ანაგული კაცისათვის ეს რა გიჭნიათ, ნუთუ ამაზე უკეთესად არ შეგძლოთ დაგებუდათ მისი სურათი?!

— ბარეშ გვინდოდა კარგად გამოსულიყო, მაგრამ სიღნაღიდან გამოგზავნილი კლიშე ძალიან გაცვეთილი აღმოჩნდა...

ამ სიტყვის თქმა იყო და პარტორგანიზაციის ოთახში ახლა არსენ დარჯაშვილი შემოვიდა. იგი მე და ნიკო შარშიაშვილს დაგვეძებდა თურმე.

8

საღამო ხანია, არსენ დარჯაშვილის ორსართულანა სახლის აივნიდან კარგად ჩანს ბოღბების შემოფარენი. სათოვლე ღრუბლები თებერვლის ჭარს შირაქისაკენ გადაურეკავს. გადგო-

შრული ხოდაბუნები კვლავ თოვლის შორღინაში სდებან.

დამის თორმეტ საათზე ძღვეს... მადგაშვილი თავს ბოღბულ მასპინძელს. იმ იმედით, რომ გზაზე ვისიმე მანქანა დაგვეწყება, ნული ნაბიჯით მივდივართ სიღნაღის მიმართულებით... ვერადებით წარაფის თავში. ცისა და მიწის შავ ფონზე შტოვებგაფარჩხული ხეები პაერში ფესვებდაკიდებულებს ჰგვანან.

ღამე სივარმაგეში შედის. სიღნაღისაკენ მიმავალი მანქანები მაინც არა ჩანან. თავის დიამედება უკვე შედმეტად მიგვანია. ნიკო უკან დაბრუნებას შირჩევს, მე კი უხერხულად ვთვლი არსენას ხელშეორედ შეწყუბებას. თანაც არ შეიძლება არ დავეთანხმო, რადგან ვიცი, რომ ჩემს თანამგზავრს ფეხით სიარული ძალიან უჭირს...

წარაფის თავზე თებერვლის გაერეცილმა მთარემ ცივად გადმოიანათა. შტოვებგაფარჩხული შიშველი ხეები ახლა ცალ ფეხზე შემდგარ უცნაურ ფრაჩველთა ჩონჩხებს დაემგავსნენ. ის იყო, უნდა მეთქვა, კარგი, დაბრუნდეთ-მეთქი, რომ სიტყვის თქმა თვითონვე დამასწრო:

— ახლა არსენას შეწყუბება მართლაც უხერხულია, გავწიოთ სიღნაღისაკენ, მხოლოდ, რაც შეიძლება, ნულა ვიაროთ.

ამის შემდეგ, აბა, უკან დაბრუნებაზე რაღას ვიტყოდი...

მოუდლოდ და ფიქრით ისევ შრომისმოყვარე ბოღბელებთან ვიყავით, ბოღბელებთან. რომელთაც შრომის დიდ სიყვარულთან ერთად, ლაზათიანი სიტყვა-პასუხის სიყვარულიც მოპყვებათ უძველესი დროიდან. აი, თუნდაც დამშვიდობებისას, როცა ჩემს მასპინძელს უუთხარ, არსენ, ჩვენ კიდევ შეგვედებით-მეთქი, შან სანდომიანად ჩაიღიმა და ასე მომიგო:

— შეგვხვდებით, რატომაც არა! სიბერე უკერ კიდევ შორსა გვაქვს!..



## ბ. შაგაჩაშვილი

### მწვანე ქალაქი

ვიდრე თბილისის მწვანე სამოსელზე საუბარს დაიწყებდეთ, ატყობდით უნდა ვთქვათ, რომ თბილისისა და მისი მიდამოების ნარგავთა საერთო ფართობი, ტყის ნარგავებთან ერთად, 7.300 ჰექტარს შეადგენს. ეს ნარგავები რომ ერთმანეთს მიყოლებით ჩავეშვრივებინა, ხუთასი კილომეტრის სიგრძე ზეივანი გამოვიდოდა. თბილისში ათასი ჯერის სხვადასხვა ხე და ბუჩქია. აქ შეხვდებით შორეული ჩრდილოეთისა და ზომიერი ჰავის მკვიდრთაც, სუბტროპიკული და ტროპიკული ბუნების წარმომადგენლებსაც. ისინი, თითქოს იმ მზარუნელობისა და სიყვარულის საპასუხოდ, რასაც მათ მიმართ აღამიანები იჩენენ, სწრაფად იზრდებიან, ძველჩქნებიან, მწვანედ ხასხასებენ და მწახველის თვალს ატყობენ.

თბილისი იმთავითვე იყო განთქმული ბახჩებით, ვენახებით, დეკორატიული და ხილის ბაღებით. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც XVI საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა საქართველოში, წერდა: „თბილისის შემოგარენი სავსეა შესანიშნავი ბაღებით“. შარდენის თანამემამულე მოგზაური და ბოტანიკოსი ტურნეფორი, რომელმაც თბილისი XVII საუკუნის დასაწყისში მოინახულა, აღნიშნავდა: „უღამაზესი ბაღები აქ უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე თურქეთში“.

თბილისის ძველი ციხეების ვალავანს არავრთხის განუცდია მტრების აჯანყური თავდასხმა. მაგრამ შრომისმოყვარე და გამარჯვებულ ხალხს მარჯვენა მკედრითთ აღადგენდა ხოლმე ნაყარტრტად ქცეული ციხეების კედლებს და, მასთან ერთად, მწვანე ნარგავებსაც.

ქალაქის რეკონსტრუქციასთან ერთად თბილისში გაჩნდა ახალი პარკები, ბაღები და სკვერები. თბილისის მწვანე სამოსელი არასდროს არ უფიქლა ისეთი ვრცელი და ლამაზი როვორც დღეს. მოშრიადე ფოთლების გარეშე თბილისის წარმოდგენა შეუძლებელია. მათემატიკურად თუ ვიანგარიშებთ, ყველა თბილისელზე რვა კვადრატული მეტრი ნარგავი მოდის. თუ ქალაქს ზევიდან გადმოხედავთ, ვაიწყნდლ-

ბათ იმისი თქმა, რომელი უბანი უფროა გამწვანებული.

განსაკუთრებით ლამაზია ქალაქის მწვანეში ჩაფლული მთავარი პროსპექტები და მტკვრის სანაპიროები. როცა რუსთაველის პროსპექტზე ტრებგაშლილი ქედებისა და ვერხვების ქვეშ გაივლი, იფიქრებ, რომელიმე პარკის ზეივანში მივბიჯებო. ჩაპყვები სანაპიროს და მიადგები სტალინის მონუმენტის გარშემო გაშენებულ უღამაზეს პარკს. თუ მომსწრე არა ხარ, ვერაფრით დაიჯერებ, რომ ამ ოცდაათი წლის წინათ აქ ე. წ. მადათოვის კენჭული იყო.

ახეთი სახეცელილება ქალაქის თითქმის ყველა კუთხეში მოხდა. ამა, ვინ მოიფიქრებს, რომ ბალნეოლოგიური კურორტის უკან, სადაც ახლა რქანაფარი ზეების ფოთლების შრიალი ჟურის სასიამოვნოდ ელაშენება, სახამოროს გასაყიდი ბაზარი იყო, ანდა გმირთა მოედანთან, ახლანდელი შესანიშნავი სანახაობის ნაცვლად მწახველს თვალწინ მიშეული გორაკები წარმოუდგებოდა!

ორმოც წელს გადაცილებულ თბილისელებს შეუძლიათ ახალგაზრდებს უამბონ, თუ როგორ ეწყობოდა მებათობები და როგორ შენდებოდა თბილისის შემოგარენში პარკები და სკვერები.

თბილისელები დღესაც სასახლოდ აგრძელებენ ამ ტრადიციას და ქალაქს მწვანე სამოსელით ქარგავენ. ახალი და ლამაზი სკვერები გაშენდა უკანასკნელ წლებში რუსთაველის პროსპექტზე, ოქტომბრის ქუჩაზე, კახეთის გზატკეცილზე, ვარაზის ზევიში, ორთავილაქსთან და სანაპიროზე.

შარდენს შემოდგომაზე, შიან ამინდში ასი-ათასი თბილისელი, მოხუცი, თუ ახალგაზრდა, ყველა ერთად გამოვიდა ნერგების ჩასაყრელად და დედაქალაქის გამწვანებაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად.

ბაღები და პარკები თბილისის სიამაყეა. მათ შორის პირველი ადგილი ბოტანიკურ ბაღს ეკუთვნის. ეს ბაღი სოლოლაკის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებსა და მდინარე ლეღეთახევის ზეობაში მდებარეობს. მისი ფართობი ას ჰექტარს აღემატება.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში, საქართველოსა და კავკასიის ფლორის გარდა, შეხვდებით „სტრე-



რებს\* იაპონიიდან, ჩინეთიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან. ბოტანიკური ბაღი, ჩვენს დროში საქართველოს აკადემიის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა. შეიქმნა ახალი საკოლმეციო განყოფილება, აქა მსოფლიოს ყველა კონტინენტისა და მთელი რიგი ქვეყნების ცოცხალი პერბარუმები. აქ მარტო ტროპიკული ბუნების ათას წარმომადგენელს შეხვდებით.

დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან ბაღის თანამშრომლები „სტუმრების“ ადგილობრივ პირობებთან შესაგებებლად, ჩვენს ფლორის შესწავლად და დეკორატიულ მცენარეულობათა ახალი გიშების გამოსავანად. ბოტანიკური ბაღი თავისი შესანიშნავი ბუნებით, ჩანჩქერებით და ხეივანებით ათასობით მნახველს იზიდავს.

ენიც კი თბილისში ჩამოსულა, ყველა ისრაელის ნახოს მოაწმინდავ გაშენებული შესანიშნავი ბაღი, ყველასათვის საყვარელი მთაწმინდა, რომელიც ამჟამად დროს ჩვენი პოეტური დიდების მარადიული განსაცხენებელი ადგილიცაა. მთაწმინდის ფერდობები უკანასკნელი ორი ათეული წელი ისევ მწვენი ტანსაცმლით შეიშოსა. მთაწმინდის პლატოზე ჩვენს თვალწინ გაშენდა შესანიშნავი დეკორატიული ბაღი.

როგორც კი ფინიკილიორის მარმარილოთი ნაკვებ შერობას მოიტოვებთ უკან, თქვენს თვალწინ გადაიშლება შესანიშნავი სანახაობა. არ შეიძლება თვალი მოსწვივრო დამბურულ ხეივანებს, ღამაზად შეერკვილ ბუნქებს და ათასგვარ ყვავილებს. ყვავილითა ფონზე მკვთარადა გამოიკეთილი ნახევარი კოლონეტრის საგრძობს გრანტოს საფეხურები, რომლებიც ფინიკილიორის პლატოს მწვერვალისაკენ მიემართება. პარკის ვასია შენებლად აქ მილიონზე მეტი ხის ნერგი და ბუნქი დაირგო.

საქმის მცოდნე ოსტატების აზრით პარკი ვანსაკეთებელი მაშინაა ღამაზი, როცა ის შერწყმულია ბუნებასთან და გარემომცველი პეიზაჟის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას სტრუქტურს მთაწმინდის პარკი, როცა მისი კალთებიდან თბილისს ვადმოსცქრის.

ქალაქის მშენებებს წარმოადგენს ვაკის პარკი, რომელიც ყველაზე უფრო ახალგაზრდაა. იგი ფართობითაც (206 ჰექტარი) ქალაქში არსებულ ყველა პარკს აღემატება. აქ ასი ათასობით ხე და ბუნქია დარგული. ჩვენს თვალწინ იზრდებიან ციდატორცინილი ქაღრები, ალვის ხეები, წაბლის ხეები და ცაცხეები. ვაკის პარკს აშვენებს შედარებები, რომლებიც სხვა პარკებში არა ვხვდებით.

გამწვანების საქმის ოსტატებს თავისუფლად შეიძლება მხატვრები და პოეტები ეწეოდნენ. და თუ მარტოდ გამამწვანებელი შემოქმედნი არ არის, მაშინ დეკორატიულ ხელოვნებას ვერაფერს ვაუვებს და ფლორის ამოღწერაც სილა-

შაბეს ჩვენც ვერ განგვატღვევებს.

ჩვენც დიდად კმაყოფილი დავრჩით ვაჟის იმის გამო, რომ მან ასეთი სულგატელობა გამოიჩინა იმ კაცის მიმართ, ვინც მგოსანს რამდენიმე დღის წინ მოსაკლავად თოფს უმზინებდა.

**იუანე მოლოდინაშვილის ნაამბობი:**

ლექა და მამაჩემი, კარაბელი, კარის მეზობლები იყვნენ. ამასთან, კარგი მეზობლობაც ჰქონდათ. ერთ საღამოს ვაჟა ჩვენთან იყო. უკვე მოზრდილი ვიყავი, მაგრამ მისი ძალიან მერბადებოდა. ვაჟას ბიძას ვეძახდი. თვითონ არაჩვეულებრივი ხასიათის ადამიანი იყო. კარგი მოპყრობა იყო. „აბა, როგორ ხარ, მისწულო?“ — მეტყვოდა ხოლმე.

ერთხელ სათევზაოდ წავედი. შევეყვით ჩარვლულს და აფხუშურას. ნაადრებ გამოიღარა და, რადგან ასეთ ამინდში თევზი ეტანება ნემსკავს, მეც ბლომად დავიჭირე. ავასხი ჯოხზე და საღამოს დავბრუნდი შინ. ეხდებოდა, ვაჟა ჩვენსაა, მამას ემუსაიფებდა. მოეხარშეთ ხინკალი და სუფრაც გაიშალა. მე მორიდებოთ ვიჯექი. მეზობლებოდა უფროსებთან ახლოს ყოფნა. — „მოდი, მოდი, მისწულო, ჩვენთან, ნუ გეხაბრება, შენი ნანადირევია, აიღე თევზი, ხელით ნაქნარ გულმაც ნახოსო“, მითხრა. მეც მივედი ახლოს სუფრასთან.

ამ დროს ვაჟას გარეშე ბიძა — დიდუმლაც მოვიდა ჩვენსა. ვაჟა და ის წალაპარაკდნენ. როგორც შემდეგ ვაგიგე, დიდუმლას თურმე სხვისგან ვეიდა მოპარული თოფი (დიდუმლამ არც კი იცოდა, რომ ის თოფი მოპარული იყო). ვაჟა ეუბნებოდა, რომ მოპარული თოფი არ უნდა ვეყარაო.

**ილიკო ბახას-ძე შავერდაშვილმა (სოფ. კვერნი-ვანა) მიაშობი:**

თერთმეტი-თორმეტი წლის ყმაწვილი ვიქნებოდა. როცა ჩარვალში პავლე ემურტაშვილს ქორწილი ჰქონდა. საღამურის კარგი დავერა ვიყო. ქორწილში დედამ გამაყოლა ლეკიანთ ბეჟანს, რომელიც თიქქმის მამაჩემის ხნის კაცი იყო. ქორწილს ვაჟაც ესწრებოდა. იგი პირველად ამ ქორწილში ვნახე.

მეორე დღეს ლექამ დაპატარავა მღვდელი, ლეკიანთ ბეჟანი და მეც მითხრა: „აბა, მისწულო, შენი საღამურით ჩვენსა უნდა წამოხვიდეო!“

ჩვენც ყველა — ბეჟანი, მე და მღვდელი (ვა-

რი არ მახსოვს) — ვესტუმრეთ ვაჟას. ვაჟა ძალიან კარგად გავუმეცხრებოდა; ხშირად მეტყვოდა: „დაეკარ, მშვენიერად გაეღებო, გავლხინო!“ ასეთი ქებით თავი მოაწონდა და, რაც შემეძლო, ევტრავდი საღამურს. დიდად ბატონიშვილი და კმაყოფილი წამოვედით ვაჟასთან.

ვაჟიდა რამდენიმე წელიწადი. მეც წამოვიზარდე, ჩარვალში აფხუშურობა (ხატობა) იყო და აქედან, კვერნიდან, დავდიოლით ამ დღესასწაულზე ამალულმა დღეს.

ამ ხატობაში გაიმართა ყაბახობა. მახსოვს, მაშინ ვიქნებოდი ოცი-ოცდაერთი წლის. ყაბახობა გაიმართა საქარის ბოლოს, შალაღი კლდის თავზე, იქ, სადაც უშველებელი იფენები იდგა. აი, ამ ადგილიდან ვესროლით ნიშანში აფხუშურას გაღმა დადგმულ ხშირად მამულში, რომელსაც დღესაც „სათოფთა ველს“ ეძახიან.

ხატობას მყოფი რამდენიმე ფშვეელი ერთიმეორეს ვეჯობებოდალით პირველობისათვის. ვაცხარებულ სროლაში ვიყავით, როცა ვიდაცამ შემომახას: „მომივცალო, ბალო!“

მე თოფი მქონდა გადებული იფენის ტოტზე, რომელიც კარგი სანიშნო იყო. ამ შემახილზე ავიხედე და დავინახე. ვაჟა იდგა. ვიფიქრე, ვერ მცნობს-მეთქი და, ვაკვირებულმა, შეხვებდე. ვაჟას ეს არ გამოპარეთა და ცნობისმოყვარეობით იმავე წამს შემეკითხა: „ეილი ხარო?“ მე ვუპასუხე: „შავერდაშვილთ ბახას-მეთქი“, და წამოვდექი. ვაჟამ მხარზე დამადო ხელი და მითხრა: „ოჰ, მისწულო, შენა ხარ?! ესროლე, ბიძა, ესროლიო!“

ვაჟამ გამომართვა თოფი. „აბა, ერთი უუტრე, სად მოხვდება!“ მითხრა ვაჟამ. ვაჟარდა თოფი, მაგრამ ზეითი მარჯვენა მხარზე დასცდა ხშირად. ვაჟაო თუ არა თოფის საიდუმლობა, ვაჟამ მეორე გასროლით ტყვია პირდაპირ ხშირად შორტყა. ხშირად დავორდა მამულში. ყაბახი უკვე აღებული იყო.

ამის შემდეგ დიდი ხანი ვაჟიდა. ვაჟა ხანში შესული იყო. მეც ველარ ვიცანი, როცა იგი, თიანეთისკენ მიმავალს, თავის ლურჯა ცხენით ლიშოს ბოლოზე წამომეწია. მეც ცხენით ვმგზავრობდი. თვითონაც ველარ მიცნო. ბოლოს ისევ მე მივხვდი, ვაჟა უნდა ყოფილიყო. ცალი თვალი უკვე გაუმეპებული ჰქონდა. „სადაურა ხარ?“ — შემეკითხა ვაჟა. — „ჩარვალი“ ვუპასუხე. — „ჩარვალელი, არა!“ ვაკვირება ვაჟამ.

მან არ დაიჯერა, რადგან ჩვენ ჩარვალში აღარ ვცხოვრობდით და მეც, ცხადია, მისთვის უცნობი ვიქნებოდი... ბოლოს, ვეთხარა რომ ჩარვალელი შავერდაანთ ბახასი ვარ-მეთქი. — „მოო, ჩემი მშისაა, მოდი, მისწულო, მამ თითო არაყი დაელოთო!“

სიტყვა არც კი დამემთავრებინა, რომ ჯიბიდან ამოიღო ნიორი. ერთი წილი მე მომიცა ერთი თვითონ შეჭამა. „აი, არაყი, ესაც მწარეა და არაყი!“ — თქვა ვაჟამ.

ვაჟა ბოლო დროს ქედში ენახე. წელი არ მახსოვს.

ვაჟას და ზოგიერთებს „ბენტოეშნიკებს“ ეძახდნენ. მაშინ ბევრი დადიოდა, ერთობის ხალხი. ვაჟასთან ერთად იყვნენ: ქუმსიაშვილი, კარატი-ელი და სხვები.

მკვლევანდენ პროკლამაციების გავრცელებას. მეც ვაყრავდი პროკლამაციებს ალაზნის საფონოებზე, შირაქში და სხვა ადგილებში. მქონდა მალულად იარაღიც.

**მამა მამუკას-ძე ტურაშვილმა (სოფ. სოფლიო-ნიღან) მაშპო:**

ვაჟა ნამდვილი ვაჟაკი იყო. მჭეპარე, ხმაზალადი ლაპარაკი უყვარდა.

მე ერთხანს სახსრების ტყვილი მაწუხებდა. მეზობლებმა მიჩიეს, ჩარტლისკარს, გუდარაბის ახლოს, მგავე წყალზე წავსულიყავი სამკურნალოდ. მეც ავიღე ჩემი გუდა-ნაზაღი, წავედი. აქ აურაველი ხალხი დამხვდა. ყველას თავისი საკეთარი ქობი მქონდა გაყვებულად.

მეც ვაყვებოდი ერთი საზაფხულო ქობი და დავინავდი.

შეორე თუ მესამე დღე იქნებოდა, რომ გვეწვია ერთი ტყისმცველი. როგორც ვაგივეთ, ის იყო კწალბეველი ხორნაული, რომელიც თურმე ტყისმცველად მუშაობდა.

ხორნაული შეგვეკითხა: „ვისი ნებართვით ხართ ამ წყალზეო?“ ჩვენ ვუპასუხებთ: „ავადმყოფები ვართ და ვმკურნალობთ!“ წყალი არავის საკეთრებებს არ წარმოადგენს და არც ნებართვას ესაჭიროებ-ბქო“.

„ბილეთები უნდა აიღოთ!“ — გვიპასუხა ხორნაული და ჩემოდნიდან ქაღალდები ამოიღო. დავკვირვა ბილეთები და თითო ბილეთზე ეჭვნი შური გადავაგახდევინა. ამის შემდეგ, ხორნაული შეჯდა ცხენზე და თიანეთისკენ გასწია.

არ ვიცი, ეს ამბავი ვაჟას ვინ შეატყობინა. ვაჟა იმავე დღეს მოვიდა. მოგვესალმა და ამბავი გვიკითხა. ჩვენც მოვახსენეთ, რომ ხორნაული მოვიდა, ფული წაგვართვა, შეჯდა ცხენზე და თიანეთისკენ წავიდა-ბქო. ვაჟას საშინლად ეწყინა. საღამომდის ელოდა მის მოსვლას. ყველას გვეგონა, ვაჟა მოუკლავს არ გაუმეებს ხორნაულსა, ასევე იქნებოდა, რომ იმ დღეს ხორნაული კვლავ მოსულყო მგავე წყალზე.

ვაჟამ დარჩებული ბილეთები ჩამოგვართვა, დაჭია და ცეცხლში ჩაუყარა.

ვაჟას ჩარგვლმა მეზობლებმა და მეგობარმა, ოსა.ხურამაშვილმა, ცოლად შეირთო ჩვენი სოფლის მცხოვრება ფრეშკა წვეროშვილის და ნინო. ჩვენც — მე, ჩემი მამა გამიხარდა და სხვები — გაუყვივით ქალს მაყრად (ჩარგალში).

ქორწილში ვაჟაც მისულიყო. იყო ღრებობა და მზიარელება ძველი ფშაურის წესით. ფშაველები სტივრზე თამაშობდნენ.

შეორე დღეს ვაჟამ წვერ-დედოფალი თავის

მაყრებით შინ მიგვიწვია. მაყრებს ვარდა, სხვა ბევრი წამოვიდა ვაჟასთან. ვაჟამ თავიდანვე აცხადებდა: „ერთი ბოთლის შერე...“ მაქვს და საწყენად არ დავრჩისო“. „ბოთლს მე და ვაკლებთო“. წამოიმახა გამიხარდომ და წავედო. ვაჟას ადრევე შეგვევთა ოჯახში ხინკალი. როდესაც შინ მოვედი, მალე სუფრამე ცხელი ხინკალიც მოიტანეს. ვაჟამ ფრეშკას და გამიხარდის უთხრა: „არიკით, ბიჭებო, ავე, კეთებში ბოთლია არაყით და მოიტანეთო!“ ფრეშკამ და გამიხარდომ ძლოვს მოიტანეს თრევიტ მოქსოვილ წნელის გოდორში ჩადგმული შტოფი. რომელიც არაყით იყო სავსე. ხალხმა სიცილო ასტება: „ეიცო, ჩვენ მართლა ერთი ბოთლი არაყი გვეგონათ!“

„სანამ ამ ბოთლს არ დასცილო, ფეხს აჭედან ვერ მოიკლებოთ“ — თქვა ვაჟამ. მართლაც ასე მოხდა. სანამ ის შტოფი არ გამოგვაცლებინა, აღარ მოგვეშვა.

**პაპი ციკლარის (უკანა ფშავი, ვაის სოფელი) ნაამბობი:**

ბავშვი ვიყავი, როდესაც ვაჟა ვაის სოფელს. უკანა ფშავში, სტუმრად ამოვიდა. მამანში ვაჟას დიდი სიხარულით შეგვება. ყარგა პატრი სცა, ცხვარი დაუვლა. მამა ამბობდა: „ეს კაცო დიდი, სახელოვანი კაცია და ჩემი მეგობარია“. მამანშია და ვაჟამ ბევრი ისაუბრეს. მათი საუბრიდან კარგად დამახსოვდა ვაჟას სიტყვები: „ეს დრო დიდხანს არ დარჩება, მალე გადატრიალდებაო“ — უთხრა ვაჟამ მამას.

შეორედ ვაჟა ლაშარ-ღელეს ხატობაში ენახე. მაშინ უკვე ვაჟაკი ვიყავი. ხატობაში აურაველი ხალხი იყო თავმოყრილი.

მღვდელ-დაიკენებს თავისი ცხენები გაეშვათ. თავისუფლად გაშვებული ცხენები გაღაუნის შიგნით, საჯარეში, გადასულუვენენ.

ვაჟამ აიღო ჯახი და მღვდლების ცხენები ტყაპატყუბით გამოდენა საჯარედან. თან ეუბნებოდა მღვდლებს: „განა ეს თქვენი საძოვარია, ცხენები რომ შემოგყურიათო?“ შემდეგ, ვაჟას რომ შეგხვდა, სიცილით კვებობდა. აღმათ მღვდლებზე ჯაერი მოსდიოდა და გულის ჯაერს მათზე იყრიდა.

ჩემი მამიდა გთხოვლი იყო მარტიანთ ბერზე. მე მასთან გზირად დავდიოდი. მამიდას ბებო-ქალს ვეძახდი. ვაჟა დიდ პატრიცს სეკმდა მამიდას ოჯახს. როცა მოვიდოდა. მამიდას სახლის კარებთან, მჭეპარე ხმით შესწებდა: „უკანა ფშაველი, შინა ხართო?“ მამიდა, აღმათ. იცნობდა ვაჟას ხმას: „კია, გენაცვალე, შინა ვარო!“ — და შემოიპატრებდა შინ. ბებოს ძალიან უყვარდა ვაჟასთან ლაპარაკი.

ვაჟას უყვარდა ფშავის ხატებში სიარული, როცა საშუალება მქონდა, არც ერთ ხატობას არ დააკვდებოდა. სასმელის სმა ზომიერად უყვარდა ზედმეტს არასოდეს დაუვლა.

**მავლე ვამიაშვილმა (ჩარგალი) მიამბო:**

თელავში ყოფნისას ვეცა პურის საკმელად ღვინის ღუქანში შევღა.

ამ დროს იმავე ღუქანში ქვიფობდა ერწოვლი, სიმდიდრით განთქმული ფშიველი შეცხვარი — გუგუდაშვილი. გუგუდაშვილმა ვეცა რომ დაინახა, მაშინვე მიიწვია თავის სუფრაზე. ვეცა დაუხარვლად შეუერთდა კამანას.

სუფრაზე ვეცამ სხოცა გუგუდაშვილს, თუ ზევით მიდიხარ, თიანეთამდის ერთად ვიმგზავროთო. ვეცას თავის ცხენი „ნიკორა“ ჰყოლია მაშინ თელავში, გუგუდაშვილს კი — თობარცი (განთქმული ასთუმნიანი ცხენი).

ვეცას თხოვნაზე გუგუდაშვილს გადაკრით უარი უთქვამს: „ჩემი ცხენი სხვის ცხენთან ვერ ივლისო!“ ვეცასაც, რა თქმა უნდა, გაუვცა მისი ნათქვამი და, კვეხნის საპასუხოდ, უთქვამს: „სადამღისაც ვეცელით, ერთად ვიაროთ და მერე, თუ აღარ დაგიშლია, რამდენიც გინდა ირბინეთ შენ და შენმა ცხენმაო“.

პირველად გუგუდაშვილი თურმე არ ეთანხმებოდა და ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, წამოვიდნენ ერთად.

გუგუდაშვილს ფიცები ცხენი ჰყავდა და სივალის მინდორზე ტყევისათვით გაქანდა წინ. ვეცას ნიკორა დიხჯი იყო სიარულის დაწყებისას, რეცა უნდოდა, და ბოლოს, როცა გახურდებოდა, თობარიცს თანდათან უმატებდა. ძალიან გამძლე და ყარათიანი ცხენი იყო. თვითონ ვეცასაც ისე სწამდა: ცხენს პირველად ფიცხად არ უნდა მოეცე, ნელ-ნელა უნდა შეაყოლო, მაშინ ცხენი არ დაიღუბა და ყარათისაც გამოიღებსო.

თვით მეც ხშირად შემხვედრია გზაში ვეცა თავისი ნიკორათი და ამბის კითხვა რომ დამიწყია, გახურებული მისი ნიკორა ერთ ადგილას აღარ ჩერდებოდა და სულ ირგვლე ბრუნავდა. ხანდახან ფრუტენიც იცოდა და მაშინაც სივალის მინდორზე დაუწყია ფრუტენი. გუგუდაშვილს უკითხავს ვეცასთვის: „ვეცა, ეგ შენი ცხენი რად ფრუტუნებსო?“ — „მაღალ ახალზე რო ავალთ, მაშინ ვერცევი — რატომ ფრუტუნებსო!“ — უთქვამს ვეცას.

მართლაც, მაღალ ახალის აღმართს რომ შესდგომიან (გუგუდაშვილი თვითონ მძიმე იყო, თანაც ნიპატრები და ფიცები ცხენი ჰყავდა), მდიდარ შეცხვარეს ცხენი დასდგომია აღმართზე. ვეცას ნიკორა კი გახურებულა და ხალისით წინ მიიწევდა. ვეცამ წინ გადაუარა თავის თანამგზავრს, რომელსაც მერე გზა აღარ ჰქონდა, უნდა დაქვიფებულიყო. გუგუდაშვილი ჩამოსულა ცხენიდან და დაუძახია ვეცასთვის: „მოამიცადე, ვეცა, ცხენი დამიკოჭლდაო!“ ვეცას უპასუხია: „ბებერი სხვისი ცხენიც დაუკოჭლენია ვეცას ცხენისაო!“ მოუცადა მაინც.

თიანეთამდე ისევე ერთად უმგზავრაით, იმ

დღეს კინალამ მოჰყვდომოდა გუგუდაშვილს ცხენი.

თიანეთში შესვლისას გუგუდაშვილს უთქვამს ვეცასთვის: „ვეცა, შენი ცხენის სადღევრძელო უნდა დაველიოთო!“ — ვეცას უპასუხია: „პატრონის სადღევრძელო უნდა დაველიოთ, ცხენი რა შეაშია, მე გაჯობე, ვინა ცხენმაო! პატრონი რო არ უვარგოვდეს, ცხენმა რა ჰქნასო!“

გუგუდაშვილს უთხოვია ვეცასთვის, ცხენი გამოცვალო, და საართი შეუძლევი. ვეცას ეუქვა: „ჩემი ცხენის კუდსაც არ მოგცემ მავ ცხენშიო“.

**სოფ. ყოფნის შევიდრმა — ირემა ნაფერუმ მიამბო:**

როცა ჩარგლის მღვდელთან ვიდექი მოჯამაგირედ, ხანდახან შელაპიოც მეზავინდნენ მადაროსკარში ახაყისა და ღვინის მოსატანად.

ხშირად ვეცასთან შევივლიდი ზოლზე. დამივამდა, მაიმობინებდა ლექსებს, ამბებს და იქვე ჩაიწერდა. ვეცა პირიქით ხვესურეთშიაც კი დადიოდა ამბებისა და ლექსების ჩასაწერად. მეტყუდა: „როცა რაიმე ამბავი ან ლექსი გაიგო, მოდი და მე მიამბეო“.

ვეცას გვირი გოგოთური ჩვენებური კაცი უოფლა, იდიი ტანისა, მაღალი, არავის ტანისამოსი არ რგებდა ჩასაცმულად. იყო თურმე, კარგი მონადირე და მსროლელი. შეიდი მტკაველი თოფი ჰქონდა.

ერთხელ, სანადიროდ უოფნის დროს, გოგოთურს მაღა მთიდან გადმოუხედავს და დაუნახავს, რომ მის სახლის ბანზე გაშლილ საფქვეას ქათამი ენკავდა. გოგოთურს ჯაკერი მოსვლია და კარგა შორი მანძილიდან თოფით გუგოვრებია ერთი გასროლით.

გოგოთურის ცოლი უოფლა ავი დედაკაცი. მეზობლებში ხარბი და მურტალი დედაკაცის სახელი ჰქონდა გაეარდნილი. რძეს რომ შესდღეებავდა კარკეს ამოიღებდა და დოს მიწაზე დაეკეცვდა: „შენ არ გქონდეს, ჩემო მტერო, შენ ჩაგქონდეს, შავო წყალოო!“ მეზობლებს თურმე მტრებს ეძახდა:

**ვანო რაზიკაშვილმა მიამბო:**

ვაიმეგონია, ბიძაჩემი ვეცა-ფშაველი ჯეილოზისას კარგი მოკრივე უოფლია. ისეთი ღონე ჰქონია, მუშტით გოჯიან ფიცარს ამტრევედა თურმე.

თიანეთიდან მომავალი ვეცა და მისი ორი იმხანავი იორში უნდა გასულიყვენ, იორი აღიდებული და საშიში გასასვლელი უოფლია. ამიტომ ვეცას იმხანავებს ვერ შეუბუდავთ შიგ შესვლა.

ვეცას გაუხდია ტანისამოსი, კისრზე დაუხვევია და იმხანავებისთვის უთქვამს: „მე ხელებს გავშო, თქვენ გადამაწეით, ისე შეველ წყალში, მძიმედ ვიქნები და წყალი ვეღარ დამპარავსო“.



ასე მოქცეულან. იორს, რომელსაც თერმე მთელი ზეები და ქვეები მოქონდა, მგზავრები ორად გადაურჩნენ.

ვაჟამ, როგორც ზემოთ ვთქვით, კარგი კრივი იყოდა. ესადა გაარტყამდა, ფეხზე ვეღარ გაჩერდებოდა.

ბოქალელი ოზივეი ცხრა ფუთი სიმძიმის იქნებოდა. ვაჟა სპიდიოდ გამოეწვია. ვაჟას უთქვამს: „შენ ფეხსაც არ გამოგდებ, ერთი სილით წაგაქცევო“. სანადლო დაუღვიათ. ვაჟას ერთი სილა გაუტრავს და ეს ამხელა კაცი მართლა გულაღმა დაკეცულა დედამწაზე. ვაჟას სანადლო მოუგია.

**ღვთის მთიბელაშვილის ნამშობი:**

ვაჟასთან ხშირად დავდიოდი. წერა-კითხვაც იმან მასწავლა. ხშირად მამლედა სხვადასხვა საკითხზე წიგნებს.

ერთხელ მასთან მივედი. იგი სახლის წინ იჯდა და ლასტა წნავდა. ლასტისათვის წნელები დასკნებოდა და მთხოვა, ტუიდან წნელები მომეტანა. წნელების მოსაპურელად ვაჟამ მომცა ხმლის ნატები, რომელსაც ტარი ეძვროდა და საბანდი ჰქონდა დახვეული. მე ვუთხარი: „ბიძა, ამით როგორ მოვტრი, ეს საპურელად არ გამოდგება-მეთქი!“ ვაჟამ მიპასუხა: „რომ იტოლდე, მაგ ხმალს სამშობლოს დაცივისთვის რა ბრძოლები გადაუტანია, მაგას არ იტყოდიო!“.

**ფუფო სონღულაშვილია მამაკაცი:**

ჩემი ქმარი — ვიგო სონღულაშვილი — 1903 თუ 1904 წელს დააწესეს მღვდლად ფშავეის სოფელ ზარგალში.

ჩარგალი ძალიან მოწონდა. ისეთი სიხარულით დრო არსად გამოიტარებია, როგორც მთის ამ შორეულ სოფელში. მიყვარდა ჩარგლის ბუნება. მეტად კარგი, უეშმაკო, მამიტი, საოცრად პირღამირი და უაღრესად კეთილი ადამიანები ცხოვრობდნენ ჩემს დროს ჩარგალში. ფშაველები, კაცი თუ ქალი, მეტად სათნო და, ამასთან, ნიჭიერებია.

ჩვენ ეცხოვრობდით ვაჟას მეზობლად. ჩემი ქმარი, ვიგო, ჩარგალში დიდი ხნის გადასული იყო, მე კი მანამდე არ ვყავდი წაყვანილი. მარიამობისთვის იყო, როდესაც ავედი ჩარგალს.

მე და ჩემი ქმარი ეკლესიაში წავედით. საყდარში ბევრი ხალხი მოვიდა. თავი მოიყარა თითქმის ჩარგლის მთელმა მოსახლეობამ.

ჩემი ქმარი კითხულობს ლოცვებს სახარებიდან, გალობს ჩვეულებრივად. უცებ საყდარში შემოვიდა ვიღაც უცხო კაცი, ჩოხა-ჩქვიშში გამოიწყობილი. მე მანამდე ლუკას არ ვიცნობდი. ნახული ჰქონდა მხოლოდ მისი სურათი. ახლა კი

ვერ მივხვდი, თუ ეს ვაჟა იყო, ვიგო ლუკას სახარებას კითხულობდა.

ლუკას სახარება რომ ასხენა, გაიღიმა და ვაჟას გადახედა, მაშინლა მივხვდი, რომ ეს უცხო კაცი ვაჟა-ფშაველა იყო.

გათავდა წირვა. წირვის შემდეგ ჩავედით ლუკასთან. ლუკამ თავის ქალიშვილს, თამარს, დაავალა ხილი მოეტანა ჩვენთვის. თამარმაც მავალო და პანტა გამოიტანა ზონით. ლუკამ აიღო და მომართა ერთი ხელით მავალო, მეორით — პანტა. თან მითხრა: „ახა, აქამდე გულაბსა და თერამაულს ჰამდი, ახლა მავალო და პანტა მიირთვიო! თუ გინდა ხუტურასაც მოგართმევო!“ მე შევეკითხე: „ხუტურა რაღა არის-მეთქი?“ ვიგომ უპასუხა: „ხუტურას ეგენი ზღმარტლს ეძახიანო“.

ვაჟა მეტისმეტი გულკეთილი იყო. იტყოდა, ამ ადამიანს ოღნავი ეშმაკობა არ ახასიათებსო. უცებ აენთებოდა, როგორც ასანთი, და ისევ ერთბაშად გადაუღოდა სიფიცხე. რომ იტყვიან, პირღამირი დიდი ბავშვივით იყო ამხელა ადამიანი.

არავის არაფერს არ დაუთმობდა. მიუთმეტეს, ვერ იტანდა უსამართლობას, ზედ შეაყვებოდა ადამიანს, თუ უსამართლოდ ეინმე მოქცეოდა.

უყვარდა თავისებური ზუმრობაც. ლამაზაკი ხმამალა იყოდა. ხშირად იყოდა ბობოქრობა. ზუმრობითაც ყვიროდა ხანდახან, როცა უნდოდა ეინმე შეეშინებინა. გრძნობდა, რომ მისი საშმაის ეშინოდა ზოგიერთ თავხედებს. ამპარტაყნებსა და ვაჟაკობით მკვებარებს.

ლუკამ ამ უკანასკნელებთან უფრო იყოდა ამაყი ლამაზაკი და ყვირილი. პატრეს სცემდა ისეთებმსაც, ვინც მამაცი დახვედრა იყოდა.

ერთხელ ჩვენსა სტუმრები მოვიდნენ დუშეთიდან. ერთი იყო ექიმი კლიმიაშვილი, მეორე — რატიშვილი, მესამე — ჩემი მამა. სხვები აღარ მასსოვს.

ვაჟა სოფ. ინოდან მოდიოდა ცხენით, ცოტა გადაკრულში იყო. ჩვენს კარზე ჩამოიარა. ვაღმობტა ცხენიდან. სტუმრებს მალაღი ხმით „ვა-მარჯვება!“ მიამახა და შევეკითხა, „თქვენ ვინ ხართო?“. იმათ უპასუხეს: „კაცები ვართო“. „შეე კი ვიცი, რომ კაცები ხართო!“ — უთხრა ვაჟამ.— „თუ იცი, მამ რაღას გვეკითხებიო?“ — შეუბრუნეს ამაყად სტუმრებმა. ვაჟას აღარაფერი უთქვამს.

ვაჟას ნადირობა ძალიან უყვარდა. არავის ჰქაბს შემოსდგამდა და წვაილოდა სანადიროდ. სანამ არაყი გამოვიდოდა, კურდღელი უცვებ მზად იყო. საიდან მოკლავდა ისე მალე! ნადირობაში შეუდარებელი იყო. სროლაც ხაუტეთის იყოდა.

ერთხელ ბატკანი დაეკალით. ამ დროს ამო-  
იარა ვაჟი თოფით. დილა იყო. გვითხრა: „აბა,  
ბატკანი თქვენი და კურდღელი ჩემიო!“ წავიდა.  
იქვე. კვიახევის გვერდით არ იქნებოდა ვახუ-  
ლი, რომ თოფი გაეარდა. გავიხედეთ და ლუკა  
კურდღელს იღებდა. წასულიყო, კიდევ შეორეც  
მოეკლა. მოვიდა. „აბა, როგორა ხართ? ერთი  
კურდღელი თქვენ და ეს ერთიც მეო!“

აფხუშობას ხატში ვართ. დღეობა არის მება-  
ტოვნე ხალხს ნიშანი დაუდგამთ (ყაბახი) და  
ესერიან. მაგრამ ვერ არტყამენ. ლუკას გული  
შეუწუხდა. წამოდგა. „ავდგე ჩემი ბებური თა-  
ვითაო“. ჩამოართვა ერთ-ერთ ახალგაზრდას  
თოფი და ერთი სროლით პირდაპირ მოახვედრა.

ერთხელ ხბო წაუყვანია ვაჟს ხატში, დაუკ-  
ლავს და შემდეგ ჩვენსა ჩამოტანია. გატყავე-

ბული ხბო ლუკას ახლად გატყავდა. გაუ-  
თოყებულ სუფრაზე დაედგა. მისი შეწყობაო:  
„ეს რა გიქნია, სუფრაზე რატომ დაგიდგა-  
მეთქი?“ ლუკა კი მიმტკიცებდა: „ეს ხბო შენს  
სუფრაზე უფრო სუფთა არისო!“

ეკლესიის იქით ვაჟს ერთი გორა ჰქონდა  
ამორჩეული. ეს გორა მოსწონდა. თავის სასაფ-  
ლაოს ეძახდა. ჩვენს მოჯამაგირეს ვაჟს ამორ-  
ჩეულ ადგილას ცხენი დაემა. ჩვენ გავუჯავრ-  
დით: „—შეორედ აღარ დააბა იმ ადგილს ცხენი.  
ეგ გორა ვაჟს სასაფლაოდ იქნს ამორჩეული და  
რომ დაინახოს იქ დაბმული ცხენი. შავს დღეს  
დაგაურის-თქო“. ამის შემდეგ ბიჭს ცხენი იმ  
ადგილას აღარ დაუბამს.

## ბაკილინა ხოსიგაშვილი ნიკო კურდღელაშვილის („ნარკანის“) შემხვედრები ვაჟა-ფშაველასთან

ნიკო კურდღელაშვილის (1872—1938) მოგონებებიდან ცნობილია, რომ ვენაზე ნინოშვილის ბანაზე, უოფილ მიხეილის ქუჩის ერთ მიწისპირა (სარდაფის) ოთახში იყრიებოდა პოლიტიკურ-ლიტერატურული წრე, სადაც, თვით ვენაზე ნინოშვილთან ერთად, ესწრებოდნენ უფროსი თაობიდან — მიხა ცხაკაია და რაჭვენი კლაძე, ზოლო უმცროსთაგან — ჯერ ისევ სასულიერო სემინარიის მოსწავლენი: ლადო დარჩიაშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, ირაიდონ ხოსიტაშვილი (შემდეგ პოეტი ვედოშვილი)... როდესაც ამ სამივე მოსწავლე ახალგაზრდასთან სემინარიის ინსპექტორმა არაუგულური ბროშურა და ხელნაწერი ვერნალი აღმოაჩინა ზნაბერის დროს ბინაზე ისინი გამოირიცხეს სემინარიიდან.

ნიკო კურდღელაშვილი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს აგრეთვე, რომ მიხა ცხაკაია მასთან სპაითორად იყო განწყობილი და ნადსონის ლექსების წიგნიც აბეჭდა...

მიხა ცხაკაიას იმხანად „ივერის“ რედაქციის უმუშაოა და მისი რეკომენდაციით სემინარიიდან გამოირიცხულ ახალგაზრდას, ნიკო კურდღელაშვილსაც, აქ დაუწყია მუშაობა, იქ პირველად უნახავს ჩვენი დიდებული მგოსანი ვეჯა. მაგრამ მივგვართოთ უშუალოდ ავტორის ჩანაწერებს, რადგან იგი საქმოდ ხატოვან, დამახსიათებელ სურათს წარმოგვიხატავს.

### პირველი შეხვედრა ვეჯა-ფშაველასთან

„1892 წლის დეკემბერია, თბილისი და მისი მიდამოები თეთრ სუფარაშა ვახველს, ბარდნის, თმქა მოშვადღეებულთა, მაგრამ ილიას „ივერის“ სარედაქციო ოთახში ბუნდი სიხათლეა. კრული შემადგენლობა რედაქციისში ილია თვითონ აქ არსად არა ჩანს. შვიდი-რვა თვის განმავლობაში ერთხელ მოკვარი თვალი, როდესაც გახუთის ნომერი მოითხოვა და კარებიდანვე გაბრუნდა, რედაქციის გამგედ და სტილისტად ვრიგოლ უფშაქია. რომელიც დღეს არ მოსტლა და მის მაგიერობას ეწევა ცნობილი ხალხოსან-რეკლუციონერი შოი დავითაშვილი. იგი ერთადერთი ვრძელი მავიდის შუა აღავას ზის და ხელნაწერებს ჩაბ-

კარკეტებს. მის პირდაპირ კალამს აწრბინებს საშა ნიკიტინი (ჩორნი), საოხენჯო ფელტონსა წერს.

შავიდის ბოლოშია ლურჯსათვალნიანი მიხა ცხაკაია, რომელსაც ვრძელი ქოჩორი ზნაბერად თვალეზე ეფარება და თავის აქნევით უკან გადაიყრის ზოლზე. რედაქციაში მას აბარია უცხოეთის და რუსეთის ამბების განყოფილება. მე, სემინარიის მეოთხე კლასიდან ახლად დათხოვილი, წვრილ-წვრილ ამბებზე და გასართობებზე ვცოდვლობ. სავაზეთო მასალების წააღებად დროდადრო შემოვა მაქსიმე შარაძე — რედაქციის მწე.

ჩემთვის უცნობაა ცაცია მეშალო კარი. ტოტეზაშეხებული თეთრი უახალაბი მოიხსნა! ახალთა-ახალი კალთების გახახა და შემოიღა-პარაკა:

— ძან ბარდნის, ვაეებო! უველანი წამოღვენენ.

— ოპო, ამ ვეჯის საღამო, ვეჯის ვახლავართ.

— საღამო მთის არწივს. დიდებულ პოეტს. — ხითხითით მივსალმა მიხა ცხაკაია.

— მთის საღამო მომირთმეეია, ესეც საახალწლო ძღვენი! — ვეჯამ უბოდან ამოიღო ძველი დაფორიდან ამონახვე, გაფეილიებულ ქალღღზე ნაწერა ლექსები და შიოს წინ დაუწყო.

ვეჯა შარბეჭიანი იყო, წარმოსადგედ, კუნთებზასბებული. ტანთ ვეჯა ფშაური შალის, ჩაქბიანი ჩოხა, ზედ ტყავის კუბაზე ვაწურობილი. ახალეხი ეევა შავი ხატონისა, ყათონის დიდ-კოლოებით შესკენილი. ახალეხის საეელო კმუბ კსერს ჩაეეცა. ვეჯიანი მესტეხი. დაბალყალამიანი შავი ტყავის ფშაური ქუდი. შუბლზე წამოფენილი ფშაურად შეკრებილი ქოჩორი. წამოგრძელებული წვერ-უღამო. კოსტრზე გაუპარსავი, წამოშვერილი თმა... შარჯენა თვალი ყათთანშებმული შავი ნაქრათა პქონდა შეეეეული...

ასეთი იყო ვეჯა იმ დეკემბრის თოვლიან დღეს, როდესაც პირველად ვნახე. მოკითხვის შემდეგ შოი დავითაშვილი ისევ თავის საქმეს ჩაუჯდა. საშა ნიკიტინმა ისევ ააწრბინა კალამი; მიხამ კი ჩვენსკენ გამოინაპირა ვეჯა და დეკლამაციით წარმოთქვა ნაწყვეტი „მატრიაინიდან“:

აეიღნენ ალაზნის თავსა,  
მთების წვერონი ჩნდებოდნენ;  
საყა გაპხედავ, ყოველგან  
გასამტეგრონი ზღებოდნენ...

მისამ ოთხიოდ კვალეტად ზეპირად წარ-  
მოთქვა:

— შეხედეთ, როგორ დაესწავლია, კაცუ-  
ბო! — გაოცებით თქვა ვეამ და ტაში ტაშს  
შემოკრა.

— ჩემმა მზემ, აკ ერთი ჩემი ლექსი ზე-  
პირად არ მახსოვს და ვერც ვგრე მოხდენილად  
ვიტყვი.

მისამ ახლა სხვა ნაწყვეტიც წარმოთქვა:

... მოგესალმებით, ქედებო,  
მომაქვს საღამო გვიანი,  
ჩემსამც სამარეს ამკობენ  
თქვენი დეკა და ლვიანი.  
ნემც გამიწყრების პირიშვც,  
ნემც დამწყველიან იანი,  
რომ იმთ დედის ძეძუთი  
ვსძმდები ცოდვილიანი...

ვეამ უცებ გასხლტა დავითაშვილისკენ და  
კალაშს უტაცა ხელი:

— ციცი, შიო!

შიომ საბოდიშო ღიმილი შემოაგება:

— ვეამ, საწყენად კი ნუ მიიღებ და ვიფიქ-  
რე, იქნებ ასე სჯობდეს-შეთქი.

— შიო, ჩემს დაწერილს ვაწყრება არა  
სჭირდება; რაც დაწვირე, დაწვირე, ბასტა! არ  
მოგწონთ, ნუ დაბეჭდავთ. ვასწორება კი, არა-  
შეთქი!

შიომ დამიღითვე წამოიწყო თავისმართლება,  
მაგრამ ვეამ სიტყვა მოუტრა.

ლექსი შიომ სტამბაში გასავზავნ მასალებ-  
თან ვადაღო. ამ ლექსის სათაური იყო „ბებერი  
ლომი“. მიანც ისე უზრკვა დავითაშვილმა ვეამს,  
რომ იმ დღეს ფელეტონის განყოფილებაში  
მიყოლა ცახელის ვრცელი პოემა, აყვისებური,  
მსუბუქი სტილით დაწერილი. რითმაც მწყობრი  
მოსდევდა ცახელს, თუმცა პოემის დედაზრი  
გამართლებულ არ იყო.

რედაქციიდან წახელის წინ ვეამ თქვა:

— შე ქალაქის სტუმარი ვარ, ვაყებო! ხომ  
იცით, „მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიცა ცო-  
დოაო“, — მოდიოთ, ერთად ვისადილოთ!

წითელი ხიზილავა უყვარდა ვეამს, შავს არ  
ვტანებოდა.

— ცხელ-ცხელი იანი და ზედაც ქოსების 1

1 „ქოსები“ — ძმები ხელაშვილები, რომ-  
ლებსაც ლვინის სარდაფთან სისაღილოც ჰქონ-  
დათ.

იქ იყოღნენ ჩვენმა მწერლებმა და რედაქ-  
ციის მუშაკებმა „პურის ჭამასთან“ ერთად  
მწერლობაზე თუ ქვეყნის აეკარგიანობაზე  
მსჯელობაც, (ბ. ხ.).

„მტერიანი“, (ე. ი. ძველი ლენო) ვაწყვი ხომ?  
მაშ იქ მოგელით, მოისას ვიტყვიოთ. შაროსას,  
ქვეყნის ამბებს ვაუწვიანებთ ურთმანეთს. ჩარ-  
გალში ხომ „ივერიის“ ამბების ვარდა სხვას  
ვერათყვარს ვისმენ“.

**ვეამს ექსპრომტი (მუნასიბი)**

„საზოგადო შეყრებულობაში ვეამ მერტამე-  
ტად მორცხვი იყო. მოხათრებელი; მაშინ ჯერ  
საჯაროდ არსად არ გამოსულყო ლექსების  
სათქმელად. იმხანად თბილისში წამოიწყეს ე. წ.  
საოჯახო საღამოები, მოსაწყვევი ბარათებით.  
დამსწერი წაცნობობით იკრიბებოდნენ. იყო  
ხოლმე ბუფეტრი, მშრალი საუზნით, ხილვე-  
ლით, ტკბილეულით და მაგარი სასმელებით.  
ბუფეტრის შემოსავალი და მოსაწყვევი ბარათე-  
ბის გადასახადი საქველმოქმედო საქმეს ხმარ-  
დებოდა.

ზემოსხენებულ დეკამბრის დღეებში, ვეამს  
თბილისში ყოფნის დროს, ოღღა ბეგანიშვილმა  
(შემდეგში ილია ალბაძის შეუღლებ), რომელ-  
საც ზემართობთ „აოლტას“ ვეძახლით, საღამო  
მოაწყო, საქველმოქმედო მიზნით, შიო არა-  
გვისპირტლის სასარგებლოდ, რომელიც იმ  
დროს ვარშავის სავეტერინარო ინსტიტუტში  
მიემგზავრებოდა... ამ საქველმოქმედო საღამოს  
„ივერიის“ თანამშრომლებთან ერთად ვეამც და-  
ესწირი. ხალხი ბევრი შეიკრიბა და დარბაზში  
ყველა მაგდა დაკავებულ იყო. სტუმრების  
მეტე ნაწილი კადეც ფეხზედ ტრიალებდა. უა-  
რადდა სასანდარი და ისმოდა ბაიათი. ვეამს  
აღტაცებით შეეგებნენ დიასახლისი და მისი  
თანაშემწე ქალებიც, გარს შემოხევივნენ და  
სთხოვდნენ, მთელი საზოგადოების წინაშე  
გამორჩენილყო. ერთ-ერთი თვისი ლექსი წარ-  
მოთქვა. ვეამ პატარალოგიით აიწურა, უჩვეულო  
უხერხულობაში ჩავარდა და ხელბის გასავსა-  
ვებით უარობდა. მოღმიარე ქალები არ მოეშე-  
ნენ. დიასახლისმა ხამაღლა გამოაცხადა: ჩვენი  
დიდებელი მგოსანი ვეამ-ფშაველა წაიკითხავს  
ლექსსო.


ვეამ ძალით შეაყენეს სკამზე. ერთხანს თვალ-  
დახრით იდგა. მერე დაბალი ხმით, ჯერ გაუ-  
ბედავად დაიწყო, მაგრამ მალე შემართებით  
ასეთი პატარა ექსპრომტი წარმოთქვა:

მაველის თვალი გიღვარებს,  
მომანათე შევლავითა;  
გოგოვ, შენ კი ვენაცუაღო,  
დაკოგმანობ მწყერივითა!

საერთო ტაშის ვრიალში ვეამ ჩვენს მაგიდას-  
თან ჩამომახალა და თავი აღარ აუღია, თუმცა  
დიდხანს ვრიალებდა ტაში, კვლავ იწვიდნენ...”

**შეხვედრა ამბებაში**

...იმ ხანობას პანკისში ვიყავ მასწავლებლად;  
თელავში მომიხდა ყოფნა და უკან ვბრუნდუ-  
ბოდი. მგზავრობა ცხენით მომიხდა; ჩოხა-ახა-



ლენითა და ხმალ-ხანჯლით შეასილს, ნაბადი მჭონდა წაოსსმული, ეინელავდა. ვაჟა ამბებრაზე გაიფიქრა. უცებ ელიციის ძახილი შემოაყვამა:

— ნიკო, ნიკო, „ნარკინო!“

დღეების აივანზე ვაჟა და ორიც სხვა მაგიდას შემოსილდომოდნენ. ცხენი შევაჩერე.

— ჩამოხე! — მოკლედ მომიპატრია ვაჟამ. ცხენი დერეფნის ღირებზე მივიბი და მაგიდას შემოვუცხებდი.

— საით გაიწევი, ნიკოლოზ?

— პანკისისკენ, მასწავლებელად ვარ.

— ჯოჯოხეთი იქნებით, ალბათ, ქარგია მასწავლებლობა. სკოლის გარდა სოფელსაც არ გეხსნა კაცი რასმე. შეც ვიყავი მასწავლებლად, მაგრამ არ მომსახურებს.

— თქვენ საით, ვაჟა? თელავისაკენ თუ თიანეთისაკენ?

— არც საით, ჩარგალი მიმწყინდა და ამ ჩვენ „სატახტო ქალაქ“ ამბებრას ჩამოუტარე.

— ესლა კარგი ამბებრები მოგვიხდებოდა, ძმისებლო, — მიუბრუნდა ვაჟა მეზობელს.

— შევსვით ვაჟი, — იყო პანუხი, დახლებს სველი ხელა და ქიქები გამწყარავდა; დასილდარმა უველის ნაჭერი და პერის ნატები გადმოლო. „დადიე, დამაღვივებ, ეგ ღვინო ოხერტილი, ეგებინს წაღმა ვიფიქროთ ქვეყნის უკლები ტრილი“, ჩამებრა ვაჟამ და ქიქა ასწია. შესაჯახებლად მივავებე ქიქა, მაგრამ ვაჟამ ჩემს ქიქას გამოშვებრილი ნეკი შემოაგება.

— არ მიყვარს უცხოური ჩვეულება.

— მგონი გერმანელი უნდა იყოს, „შტრინგ“.

— ქართული მაინც არ არის... ასე, ძმისებლო, დღეს ერთი ზნე შემოგვჩვენებდა, ხელა მუორ და ბოლოს ქართული იერი დაიკარგება. ყველა თავისებური გარეგნობისა, თავისებური იერისა, ჩამუღობისა, ხასიათისა და ზნე-ჩვეულებისა. — შემდეგ ვაჟამ ჩამომართა:

— ნიკოლოზ, ძან ვახლები ეგ ზოხა, მაგრამ პირიქითელ ქისტს უფრო ჰგვებარ, ვიდრე კახელს.

— ვაჟა, სადაც მიხვდი, ქუდიც იქებრი დაიხურე, ნათქვამია.

მათილაჟი ქისტურად მეცხა: მოსირმული ჩოხა-ახალენი, ოქროს წყალში დაფერილი ბალთებიანი ქამარი, სილოს ძვლის ტარიანი ხანჯალი, ხმალი, რევილეგარი და ჩაილილი მესტები.

— ვაჟა, თუ დრო გაქვს, პანკისისკენ გავისერიწით.

— პანკისი ღამისი ხეობა და ქალბიცი ღამისი იყოს; თუ წაწლები გვებულება, გავისერიწით! — წახებმრა ვაჟამ.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა, ხელადს ხელად. მოსალამოვდა.

— ამ ამბებრის რა სჯობია, მაგრამ.—თქვი ვაჟამ, — ნათქვამია: „წასვლა სჯობს წარმია“.

ლისაო“. ნიკოლოზ, პანკისისა რა მოგახსენო და მარტინდუე კი ერთად ვიმგზავროთ, იქ ცოტა რამ საქმეცა მაქვს.

— კეთილი, ამაღამ ჩემი სიყრმის მეგობარს, მატნის მასწავლებელს, ლადო ხელაშელს ევსტემოთ, ესიამოვნება თქვენი გაცნობა.

ვაჟამ ანგარიშის გასწორება არავის დაგვიანება.

— ვიდნოთ, — მოკლედ მოსკრა ვაჟამ.

შევსებდი. ვაჟას შინდისფერი „ვასკა“ ორლა უოფილა. ჩემიც ორლა. (უფრო სწორედ— ჩემი სიძის, ილიკო ლომკაცისა). წეიშს, ნაბად-ნაბალახებში შებურვილები სიღოლედ მივერეკებით ცხენებს. ჰუკანური და ამბებრები ძალას იჩენს, მატნის ბოლოზე შემოგვადამდა. სოფელში ნათურები აკოვდა. ხელაშელის კარს მივადევით. მასპინძელი ღიმილით და ხელბის სრესით შემოგვეგება, დიდად ესიამოვნა ვაჟას გაცნობა. ავგიაპატრია აივანზე. სასკოლო ოთახის გვერდით ერთი ფიცრული ოთახი ჰქონდა. სუფთად დალაგებული, — ერთი მაგიდა, ფარდაგვადარებული მეთაქვებიანი ტახტი და რამდენიმე სკამი.


— მასპინძელი, ნათქვამია... — წამოიწყო ვაჟამ, მაგრამ თავი შეეკავა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა: — ჩვენი ჩვეულება უნდა მოგახსენოთ, სანამ ჩვენს ცხენს თავლაში დაბინავებულს არა ვნახებ, სახლში ფეხს ვერ შემოვდგამ.

მასპინძელი სიცილით ამშვილებს ვაჟას, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. ჩვენს ცხენებს ომში-ეარი აღდის, ქაფში არიან გავლებულნი. ნაბლები წამოვანბრებთ და პატარა ბიჭუნა ატარებს ეზოში. მასპინძელმა ცხენები ნათლიმამის თავლაში გაისტუმრა. მაგრამ ვაჟამ არ მოისვენა და ჩვენც თან გავყვებით. აღრჩოლებული ჰრამით გავვიძღუნენ წინ. თავლაში ვაჟამ თავის „ვასკას“ ყურები და კედი ჩამოეშალა. დაბრუნებისას მასპინძლის მაგიდაზე ომშივარადენილ ერბოვერცხი იდგა. სკოლის გამგეს, გოგოლაშვილს, ცივად მოხარული დედლები და გრძელი შოთები გამოეგზავნა. „გოგონის ემირს“, — ასე უწოდებდნენ მატნელ ჩოლოვაშვილს, — დიდი გონიერით ღვინო შოერთშია. სუფრა სტუმარისა მყოლია. ჩვენ უკვე ზარბოზად ვიყავით და... ვაჟამ შემოილაპარაკა:

— შენა უოფილხარ გებერნატორი, სოფლის მასწავლებელი და ასეთი სუფრა?

— წყალობითა სხვათა და სხვათა... — სიცილით მიუგო ხელაშვილმა.

ინეუ ჰუკანურით დაიწყო საქმე. ნამგზავრებს მიადა მოგვესლოდა, რასაც ყვეთლად ჩავერცხილა და დანიერული დედლის ემბი აძლიერებდა. თითოეუ შემოგვთავაზა მასპინძელმა, ვაჟამ გადმომიხედა:



— ნიკოლოზ, რას იტყვი, ბევრი ხომ არ მოგვიყავ?

შე უკვე ბევრიც მქონდა მოსული, მაგრამ იბტიბარს არ ვიტყვდი, მეგობრებს გუნებას ხომ არ გავუფუძნებდი.

— სამების ძალზე, — არ გვეშეუბნა მასპინძელი.

— სამება იყოს...

ვთქვამ, მუთაქაზე ფეხმორთმხელი, ფაშასავით ზის, ამართული იური უხდება, სიღინჯეც ოლიმპიური მოსდევს. სიუბრის ხალხი თანდათან პირტულობს. იწყება სადღეგრძელოები... რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ყაზბეგი, კონიქაძე, ნინოშვილი... ყველას შესაფერისი სიტყვა და შეფასება უნდა. დაუსრულებელია სამასლაით თუმა, დაუსრულებელია ობუნჯობა, სოცილო, მზიარულუბა, გიტარაზე დამღერება. ვაჟ ისევ მოსავით ამართულა, ნიბი არ შეშლია. მე კი მოკარბებას ვგრძნობ... ეს „გალაცინის ეშორის“ გოზბურტი „შოის მარანს“ გახდა სწორედ!.. თანაც კამათი ხომ ბოლომდე უნდა მივიყვანო?

— დიას, იმას ვამბობდი, რომ „რა ენა წაბდეს — ვრაც დაეცეს“, საბედნიეროდ, ასე არ მომხდარა...

— არც მოხდება, — ჩაერთო ვაჟამ.

— არუსთაველიდან დაწყებული დღემდე ქართულმა ენამ მრავალი დევნა და ცვალილება განიცადა, მაგრამ სალიტერატურო ენა მაინც ჩამოყალიბდა; ჩვენი ენის ღირსება ის არის, რომ სასაუბრო და სამწერლო ენა ერთმანეთისაგან არ არის დაშორებული, როგორც ზოგიერთ სხვა ენებში. რუსეთში სალიტერატურო ენის შემოქმედი პუშკინი იყო, ჩვენც ვაჟავს სალიტერატურო ენის შემოქმედნი: ილია, აკაკი...

— პეპლების პოეტებისა არა მწამს რა, — კვლავ ჩაერთო ვაჟამ.

— სავშე პეპელა კი არ არის, არამედ ის, რომ მგოსნის ნაწერი ზაღის გულს ჩასწვდეს, ჩვენი ქვეყნის ყველა კეთხისათვის გასაგები იყოს, — ესაა სალიტერატურო ენის ღირსება...

— რუსთაველის ენა მთავია შემონახული, ფშვ-ხევსურეთში, რაჭაში, ხევში, ალბათ სვანეთშიც. ამ ენას უნდა უფროსილდებოდეთ თვალის ჩინივით! — არ ისვენებს ვაჟა...

**ჩემი გაცნობა ვაჟასთან**

შე პირადად ვაჟა გავიციან 1911 წელს, ვაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში. აღრიღინვე აღტაცებული ვიყავ მისი ნაწერებით: პოემა „ბასტირონიითა“, და სავართოდ, ბუნების შეტად მხატვრული აღწერით მის პაროზას თუ პოეზიაში. 1911 წელს ვაზეთ „ენობის ფურცლის“ მესვეურნი (თავდაპირველნი) პოლიტიკურ გა-

დასახლებაში იმყოფებოდნენ. გიორგი ლახი-შვილი (ეს მეორედ თუ მესამედ) გიორგი რტი-ლაძე, სამსონ ფირცხალაძე, დიმიტრი მტკვარცხელი, ვაზეთის გამოსვლა რომ არ შეჩერებულყო, გარედან ზელშეწუბო მესვეურთ (არჩილ ჯორჯაძე, მავალითად) რედაქციის შეშაკებად მოიწვიეს: ბელეტრისტი ია ვეალაძე-ცინცაძე, ნიკო კურდღელი-შვილი, სანდრო მანშაშვილი, სიკო ფაშალიშვილი და სხვ.

როგორც მასსოვს, იმ კერობაზე შე პირველად თამამად შეედგი ფეხი ამ რედაქციაში, რადგან ახალი შემადგენლობა ჩემთან დაახლოებულ ადამიანებად მიმანდა, ალბათ, ლექსი მივიტანე ვაზეთის სურათებიან დამატებაში დასაბეჭდად. ვაჟა, ჩვეულებრივ მთიდან ჩამოსული, ამ რედაქციას სტუმრობდა. რედაქციის თანამშრომლები მავილებს უსხებდნენ. ვაჟა ფეხზე დგას; ახოვანი, შემართებული სახის გამოჩენილხვედებით, ხანჯლის ვადაზე ზელდაბეჭდილი.

გამაცნეს. მისმა რანდელმა გამომეტყველება ჩემზე ამაღლებული შთაბეჭდილება დატოვა და სახლში მოსვლისას ვუბღვენ ლექსი, რომელიც იმავე დღეებში დიხბეჭდა ვაზეთის სურათებიან დამატებაში. ახ მხოლოდ პირველი სტროფი ამ ლექსისა:

მთის თხემით ვაღმოსხლტალი,  
ვაჟაჲ, მეგონე კარჯარი;  
მომწუტრდა დრო სხვა, დიადი,  
რომ ვამისა გესხას აბჯარი...

მთხარეს, ვაჟას მოეწონა... მწმნებარე ლექსითა, ეთქვა და საპასუხო ლექსიც დაეწერა. ვაჟას ამ საპასუხო პატარა ლექსს მე აქ მთლიანად ვაგახსენებ შეთანხვალს:

**პასუხად ბაბილინას**

სიკვდილი როდი მამინებს,  
მამულს თუ რამე ერგების,  
საწუთიერო სურვილზე  
რო კაცი ვადავების,  
ის კი არ მწამდა არც წინათ  
და ვერც ვიწამებ მას დღესა;  
ისა სჯობდა, რომ მტრის ძალს  
თვის ძალს შეუწონებდა  
და უკეთესად მოამზარს  
სამშობლოს თავის ღონესა.  
სიზარტლე ვითხრა, ქალაო,  
გული არ არის დონესა;  
აძირებს ვაღმოვარდნასა,  
ეღება ღობე-ყორესა,  
ათასჯერ დასტკებს, დაყოფს,  
ათასჯერ დაღონესა.

## თუარ რუნიკუბვილი

# ცოტა რამ მამაჩემ-ბიძაჩემებზე

— შენ ვი, ლეღვირა, გაიღვიძე! ვინა დრო არ არის, ხბორები ვარჯყო სამოვარზე! ვესმის, როგორა ბლავიან? — ეუბნებოდა მალაღი, ხე-ზელა, ცამეტი წლის ბიჭი ბოკვერჩივთ ჩასტყე-ბულ, ტკბილად მძინარ უმცროს ძმას.

— ნამდვილი ძილის გულაა ვე თავდასიებუ-ლი, ზუთი წლისაა და ჯერ კიდევ დედის ძეძუ-სა სწოეს! — შეუძახა მზარბეჭიანმა, ჩასკენილ-მა, ცხრა წლის მეორე ძმამ, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ეს ბოკვერჩივთ ბიჭი მანამ დედის ძეძულს არ გამოჯერწნიდა, ადგილიდან ფეხსაც არ მოიცილიდა.

თუთონაც კი არაფერი ჰქონდათ საწინა-ღმდეგო, თუკი ვინმე მათაც დაძინებდა, მაგ-რამ ისინი ხომ ოჯახის ბურჯები იყვნენ! უფ-როსი ვაეები მამას გვერდში უნდა სდგომოდნენ ხენასა და სათიბში, ტყიდან შეშის მოტანაც იმათ ევალებოდათ. წისქვილში საფქვაკის წალეზ-მო-ტანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სხვა ქა-ლებივით მათი დედაც ხომ არ წავიდიოდა! ვინა იმას ნაყლები ტვირთი აწეა! ეჭვისი შეილის მოე-ლა-აზრდა, მათთვის უკვე აღდიურად ჰერის ცხოზა და ვარეცხავც ეყოფოდა საქმედ. მომზა-რე კი სხვა არავინ ჰყავდა, უფროსი შვილი — ვიორგი თბილისში იყო სასწავლებლად, მართა კი მთაში — საქონელთან, საძილედ ვის ეცალა! როგორადანვე ფეხზე იდგნენ და რომ შესუვე-ბოდნენ საქმეს, მზის ამოსვლისათვის უკვე მო-ღლილები იყვნენ მუშაობით და პატარა თედო-ზე იურიდნენ გულის ჯაერს: ადუ, ნახუ, შეა-დლა უკვე მოსული და შენ კი ისევე ხერიანავი!

— ვანებეთ თავი მაგ ბაღს, ჯერ ხომ მზემ ეს არის ახლა ამოჰყო ტვირთი, — გამოექვამაგე-ბოდა უმცროს ვაჟს დედა გულქანი და თუ-თონ დარწმუნებდა ვალეძემას პატარა მეზრეს.

— ადუ, დავნაცულა დედა, შეილო, ადუქ! ვესმის, შენი ტონქარა! როგორა ბლავის, თედომ წამიფვანის საბალახოდო. ადუ, აო, შენი აბგაც მზად არის, ნახუ, რამოდენა ხშირად ნაჭერი ჩავიდე! ადუქი, პირზე წყალი შეისხი, შეხედუ, ლუკა და ნიკო უკვე მოიღაღნენ მუშაობით. შენც ხომ დიდი ბიჭი ხარ! — ახალისებდა დედა დედის რბით „დანაყრებული“ ზეთიიღეწლის

ბიჭი გადაიკიდებდა მხარზე ჩითის პატარა აბგას, რომელშიც იღო კეცზე გამოცხვარი ქერის ხში-აღის ნატეხი, იშვითად კი მამის მიერ საყერ-თხიდან მოტანილი ქაღის ნაჭერი, და ხბორებ-თან ერთად კენტრემ-კენტრემით აყეებოდა ქიჭახევის ამომწარალ ხეეს.

„კარგად მახსოვს, როცა ძეძულს ეწოვდი, ისევე მეხუთე წელში ვიყავი. ხბორებში მგზავნიდნენ, მაგრამ სანამ დედა ძეძულს არ მომწოვებდა, არ წავიდიოდი ხოლმეო“, — ამბობს მამაჩემი თავის ფეტობიოგრაფიაში.

ასე ვრძელდებოდა პატარა თედოს ცხოვრება. ბევრი საყვედურები და დაცივა გაღატანია მას უფროსი ძმებისაგან. ვანსაყუთრებით ძლიერ ხედებოდა ნიკოსაგან. ლუკა მთელი რვა წლით იყო უფროსი და თედოსთან მის დამოკიდებუ-ლებას უფრო მღაჩველობითი ხასიათი ჰქონდა და დაეინევა კი სიუვარულის იერს ატარებდა. სულ სხვა იყო ნიკოს დაცინვა. ის მწარედ ხედებოდა გულზე თავმოყვარე თედოს.

— რა უნდა გამოვიდეს შენგან? — უმეორებ-და ხშირად ნიკო თედოს. — თავი დათვის ბელს მივარავს და ზუთი წლისა კიდევ დედის ძეძულსა სწოეს. სწავლაში შენ არ გამოვლები და საქმეში.

ეჭვისი წლის თედო მეხლის ძირას უზის თა-ვის ძმას—ნიკოს და ანბანასა სწავლობს. სყო-ლაშიც კი დაღის. „ეჭვისი წლისა ჩარგლის სყო-ლაში დაედიოდი, — იგონებს მამაჩემი, — მაგრამ ვაუთებდი რამეს თუ არა, ეს იქიდანა ჩანს, რომ ერთხელ, როცა სტრუელეცო მოვიდა სყოლების დასათვალერებლად, სწავლის ვათაევის შემ-დეგ გამოვიღვიძა. პარტაზე დამძინებოდა... კარ-თულა წერა-კითხვა ჩემმა ძმამ ნიკომ მასწავლა. პირუდად ძალიან მიჭირდა, მერე კი კარგა ვსწავლობდი. მესამე ვანყოფილებაშიც გადა-მიყვანეს და... დაიკეტა კიდევ ჩარგლის სყო-ლა... მინამ ხენათესვას შევიძლებდი, საქონელ-ში დაედიოდი, მერე-კი ყველა გლახურ საქმეს ვაკეთებდი. თავისუფალ დროს კი ტყედა და წყალში ვატარებდი. ისე ვავიზარდე, ქალამანა არა მღირსებია... ეკ, რაღა ვავაგრძელო, იმ ხა-ნებში საშინლად ღარბულად ვცხოვრობდით. ტან-ზე ბევრი არაფერი მცმია, შარვალი სულ არა, ზაფხულში კი შიშველი ფეხით დაედიოდი ცხვა-რისა და ძროხაში... მახსოვს, ისე დამყეულებოდა

1 ხბოს სახელია.

ფეხის თითები, რომ ხანჯლით დაჭრილსა ჰგანდა. მერე რა ძნელი იყო ამისთანა ფეხებით რიყვზე, მაყვლიან ნაყადებში და ახალ ნამკალბეში სიარული რომ მომაგონდება, ახლაც ვრანბტელი მივლის ხოლმე ტანში, ზამთარში ისე დამისტვებოდა ხოლმე ხელები, თითქოს დანით დაუჭრიათო“.

ამასთან ერთად კიდევ ნიკოს გულსაკლავი დაიცინვა: — ეს პიტი უნადარივით მალა-მალა მიდის, ჰკუთა კი ფეხებში ეპარებაო, — ეს სიტყვები თედოს ეკალივით ჩხელეტს და გადაწყევტს, ძმებზე ნაყლები არაფრით იყოს. თედომ და არა სხვამ მიიღო დავალება: გადმოწეროს „საქართველოს ისტორია“, „ორი წელიწადი დავრბი უსწავლელი“, — განაგრძობს მოგონებას მამანქში, — თითქმის გადამვიწყდა, რაც ვისწავლეთ. კართულს კი, ამა, რას დავივიწყებდი! ერთ ზამთარს „საქართველოს ისტორია“ გადავწერე. ეს ჩემი თედორე მღვდელს ეკეთებოდა, მამანქში ვიხსოვო და, რადგან ძველი გამოკრემა იყო და არასდ არ იშოვებოდა, მამანქში შემიკეთა, გადამიწერეო. სხვა საქმისაგან გამათავისუფლა და ჩაეუფლე ამ წიგნს. ზამთარის სიცოცხლე ჩავდიოდი სკოლის ოთახში და იქვე ვწერდი. მაშინ უკვე დაეჭობოდა იყო.

ორი წლის ვიცდენის შემდეგ ჩემმა ძმამ ლუკამ წამიყვანა ტოლათსოფელში, სადაც ის დანიშნეს მასწავლებლად... ლუკასთან სულ ერთი წელიწადი დავყავი, რადგან სკოლა მისში ისევ დაეჭობა“.

თორმეტი წლის თედო ნიკომ წაიყვანა გორში, სემინარიაში მისსაბარებლად. სემინარიის — პანსიონში შესვლამდე ის კერძო ბინაზე დავყენებით. „მთელი ზამთარი დაგლეჯილი ჩესტებიოთა და სახატებლო ჩითის ბლუზით დავიარებოდი, — სწერია თ. რაზიკაშვილის ავტობიოგრაფიაში. — ახლა სახლის პატრონიც შევახე კომშით გვიმასპინძლებოდა, ევლარ ავიტოვდი, დამაწყებინა ციება და მთელი რვა თვე მაციოა. წამლის ფულიც არა მქონდა. ჩემი ძმა სემინარიის ადგილიდან ართმევედა წამლებს და იმას მამაშვედა. ბოლოს, როგორც იყო, ციება მოვიშორე, მაგრამ ძალიან დამაძებნა და მომაცდინა. მაინც სემინარიის უმცროს მოსამზადებელ კლასში დავიბრე გამოცდა... ახლა იმედი იყო, წინ წავიდოდი და სახელმწიფოდაც მიმიღებდნენ, შეზღვევ კლასებიდან, თუ კარგად ვისწავლიდი. იმ ზამთარსაც ბევრი სიცოცხე ვიკვებე. ბოლოს, ჩემი ძმის ამხანაგმა კანარლინსკიმ (ათათარიმა) ერთი სიძველით გამაწვანებელი პალტო მანქა... სწორედ გაზაფხულზე რომ მწვანე ვიყო ამოვად, ისეთი იყო და თან, ფეხებამდე ძველ მწვანე პალტოში ვახვეული, სასაცილო რამ ვიქნებოდი, მაგრამ იმას ვინა ჩიოდა, თუ ზურგი თბილიდ შექნებოდა.

ჩემი ძმა ამ წელს ამთავრებდა. ბედად, იანვრის შემდეგ, ნიკოს ახალი პალტო შეუტყრა მთავრობამ. „მე, ძმავო, საზამთრო ბლუზითაც გავალ იო-

ლასაო“, მითხრა, და თავისი ჯერჩეუკმელი პალტო მე გადმომიდევსებამა. ამ კლასიდან უფროს მოსამზადებელში გადავიდი და მიმიღეს კიდევ სახელმწიფო ხარჯზე, ნიკოს მოცემული პალტო ახლა მე ჩემს ძმობილს ნიკოს (მლივიმელს) გადაველოცე, არც ის იყო ჩემზე კაი დღეში“.

ისეთია დაახლოებით მამანქმის მოგონებები თავის ნაადრევ ბავშვობაზე. თუმცა არც შემდეგი მისი ცხოვრებაა სახარბიელო.

სემინარიის პანსიონის კვლევში ჩამწყვედი უნდა, სანატრელად აქვს ვამზღარი თავისი საყვარელი, პატარა ბუკობზე განმარტობით მდგარი ქვაბლახის სახლი. იქ ხომ მისი საყვარელი დედამა ცხოვრობს. იქვეა მისი დედის ბიძა პარასკევაც. ვინ იცის, ვის უყუებინა ზღაპრებს, ასწავლიდა ლექსებს. ავტრ—უფრებში უღვას დედის ტბილი ხმა. თეთონს კი ზღაპრულ რაშზე ზის დამიქრის თავის საოცნებო ჩარგლოსაცენ. მიფრინავს ფასეუნიკის ფრთებზე შემჯღარი ან დედის მთერ მოქსოვილი ხალაითი, რათა კიდევ მოისმინოს, განიცადოს ყველაფერი და დაივიწყოს თავისი გაქირებულთა ცხოვრება. დედამისი ხომ სწორედ სიტყვის ჯადოქარია.

„დედაჩემი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო, — წერს. თედო, — უბრალო რამე ამბავს ისეთი ფერადებით შეზაყებულს გადმოგვეყვოდა, რომ იხილბოდა მსმენელი. ის რომ დევებზე ან ეშმაკებზე, მოჯადოებებზე დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულს არაარსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვით მნახველ-გამოცნეც მეჩვენებოდა. იცოდა აუბარბული ლექსი და ზღაპარი. ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბები ჩემს მეფებზე, უფრო კი თამარსა და ვრკელზე. წაყითხულ-გაგონილსაც თავის გემოვნებაზე გადააყვებდა და თავისი დაბალი სასიამოვნო ხმით გვიზუნუნებდა. როცა გვიამბობდა რამე საწმენდო ამბავს, თან ტიროდა ხოლმე, თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა. იყო ბუნებით პოეტი, უაღრესად მშვიდობისმოყვარი და უკიდურესობამდე გულკეთილი და უხვი. მოუღალავი მშრომელი და მოყვარული. ბიძა მისი პარასკევა იყო განთქმული მოლექსე. ჯერ იმაზე უკეთეს მოლექსეს ფშავში არ იტყვიან“...

ბებიანქმის დიდი ვაჟუნა ჰქონდა თედოზე, ის სულ დედამისთან იყო 16-17 წლამდე, და ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნისას, დედისადმი დიდი გრძნობა ჩააქსოვა ლექსებში.

დედაზე ნაკლებ არც მამა უყვარდა მამანქმს. თუ დედა მის ფაქიზ გრძნობებზე ახდენდა გველენას, მამა გონებრივ განვიითარებაზე მოქმედებდა, უღვიძებდა სწავლის სურვილს და სამშობლოსა და ხალხის სამსახურის უღვიძეს მოვალეობის გრძნობას.

ამა, კიდევ გადაცხედით მის ავტობიოგრაფიას. „მამანქმი დიდი თავყანასმცემელი იყო ჩემნი პოეტ-მწერლებისა; აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზე უღვიძეს მოვალეობ-

აღ მიიჩნდა. გვიანობდა მთების პიროფლიანებზე (მთის გმირებზე), ავეწირდა პოეტურად იმთაღვალს და გვანატრებდა სამშობლოსათვის თავდადებას. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, გურამიშვილის ლექსები, ი. კვავიასძის „დემიტირ თაღაღებელი“. ჩვენი ბიძა-ბიძაშვილებიც, რომლებიც მუდამ კვირა იყრიდნენ თავს ზეენსას, კითხულობდნენ ლექსებს და ზოგჯერ ფანდურებდაც დაამუყარებდნენ. ეს ფანდურის ხმა მხიბლავს კაცს, აჯადოებს და იტყუებებს, ეღვრება გულში გრძობათა ცეცხლს და როცა ისმენს დიდებულ კაცის სიტყვებს, ისეთი აღტაცებით და მიწიწებით დანამდრს, შენც წაგძვებს ოცნება და ამ დიდებულებთან სახელის განაწილებას განატრებს“.

მამა იგრუნდა კალმანხეთი სახე ჩარგლუბას, იგრუნებდა ფრინველებითა და ნადირით მოყრია-ზეულ ტყეს, ყვავილებით მორთულ მთის კალთებს. აგრძობდა უველაფერი ეს და მზად არის ერთმთა საფრქვევად, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ტირილი და წუწუნი ვეკაცს არ შექცერის. მან უნდა ისწავლოს, თუკი სტრს მშობლების გახარება. მისი ერთადერთი ნატვრა ენდა იყოს: ვმსახუროს თავის ქვეყანას და თავის ხალხს, სწავლა კი შეუძლია. ლუკასთან სკოლაში ერთი წლის ყოფნამ ტუთილად ხომ არ ენდა ჩაუტრის. ავი თვითონვე ამბობს: „ეს წე-ღიწილი (ლუკასთან სკოლაში ყოფნა) ჩემთვის დიდად ნაყოფიერი იყო. უვე მეცამეტე წელიწადში ვიყავი გადამდგარი, თბილად მეცა. კარვად ვმამდი, საქმე არაფერი მქონდა რა. მთელი ღამეები წიგნების კითხვას ეუწდებოდი. წინათაც ბევრი მქონდა წაკითხული ქართული წიგნები, რადგან მამანამი ყოველ აღმდგამოსულ წიგნს უმეველად იყიდდა და დიდი დღესასწაულიც იყო მისთვის. ჩემს მძას გაზეთებიც მოსდობდა და-ამან ხომ სულ გადამარა“.

დიდხანს ასახრდობდა თედოს ეს მოგონებები და სუფიანს გულს უშეშებდა. მაგრამ დროს თავისი გააჭვს. თედო ვაეწინა ამხანაგებთან და მასწავლებლებს. თურმე აქაც ყოფილან საყვარელი აღამიანები, განსაკუთრებით — ქართული ენის მასწავლებელი ნიკო ლომოური, რომლის გულისმომიერი მოყრობა თავის მშობლებს აგონებდა.

ეს სვეტაკი აღამიანი, დიდი პატრიოტი და პეშანისტი დიდ გავლენას ახდენს მგრძობიარე ახალგაზრდაზე, ხელს უწყობს მისი ნიჭის გაფურჩქნას და ბიძგს აძლევს სამწერლო ასპარეზზე წამოსასვლელად. „თუმცა არა ვფიქრობდი მწერლობას, მაგრამ ისე უმამდა მწერლობის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რომ ოჯახის გავლენას დაემატა მერად სიმპატიური გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლომოურისა. ამაზე მერად საკეთილო გავლენა არა მგონია ვაქმა კაცზე იქონიოს. ჩემი ველური ბუნება იმის ღვთურმა მოქციეამ დააღობა და ვაპატრონა. სურვილი სამშობლო ლიტერატური-

სათვის სამსახურისა იმან გამიორკვეა. დღეს უვე ვაეკაცი და ჰალარამეოთული იმავე მოწიწებას ვგრძობ იმ ჩემთვის წმინდა კაცის წინაშე“, — წერს მამანამი.

1889 წელს მამანამი წარჩინებით ამთერებს სემინარიის სრულ კურსს, მაგრამ აღგილი მანინე არ არის. „კიდევ რა გვექონდეს, მანინე არ მოგვემდი, თქვენ ისეთი გვარისა ხართო“, — გამოუცხადა თურმე სკოლებს ინსპექტორმა დარსკიმ.

1890 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თედო დანიშნა მასწავლებლად გორის მაზრის სოფელ ხელთუბნის სკოლაში.

იმავე წელს დაეხოფა დედ-მამაც. მწარედ დაღონებული და დამავრული თედო საზოგადოებრივად სახლდება სოფელ ხელთუბანში.

აღვილად წარმოიდგენთ მამანამის მდგომარეობას, თუ ოდნავ მაინც ვაეციწობთ იმ პირობებს, რომლებშიც მას მოუხდა მომავალში მუშაობა.

სოფელი ხელთუბანი (ან, როგორც მამანამი ეძახდა, „ხეფთუბანი“ რადგან ფიქრობდა, ამ სოფლის სახელი ზევევის სიმარტელის გამო წარმოშობილი) მდებარეობს ქალაქ გორიდან 7-მ კილომეტრის მანძილზე, მაგრამ მას ქალაქის სიახლოვე სულ არ ემშინებოდა. სოფელი მერად არიბო და მწირი იყო. ერთმანეთზე მოყრილი მიწური, ბანიანი ქობმებები საკოდაე სანახაობას წარმოადგენდნენ. ბანებზე სიარულით ისე ავიე-ლიდით მთელ სოფელს, თუკი გადარჩებოდით და სანათურში ფეხი არ ჩავივარდებოდით, რომ ვერც მიხედებოდით, იქ აღამიანების საცხოვრებელი თუ იყო. მხოლოდ მასასვლელთან — წუფლის კარები, და სასხვენიებთან — ნაკელის ზეინები გაფიქრებინებდათ, რომ იქ ცოცხალი არსებები იყვნენ. შიგნით ის მიწურები ვაყოფილი იყო ორ ნაწილად. ნახევარში ცხოვრობდნენ აღამიანები, ბოლო მორტე ნახევარში ზამთრობით საქონელს ამაძდნენ, უფრო თბილად ვიქნებოთო.

სოფელში გამოერეოდნენ ისეთი გლეხებიც, ვისაც კეთილმოწყობილი მიწურებიც ჰქონდათ, სადაც ნახავდით დიდ სასტუმროს დარბაზს, რომელიც დარბაზობილი იყო დიდროს მოხარატებულ მუხის ბოქმებზე, რომელსაც დედამამი ეძახდნენ. ასეთი გლეხები შეძლებულად ითვლენდნენ, მაგრამ სანათურები იმთავი ბანში ქონდათ დარტანებულ და ზევიდან ძირკვარდნილი გორდრები ედგათ, რათა საქონელი ან აღამიანებში მორტიდებოდნენ და შიგ არ ჩავარდნილიყვნენ.

აქა-იქ მოჩანდა ქვეტიარის კოშკიანი სახლებიც. ისინი თავადიშვილებს ეკუთნიდათ. იმათგან მხოლოდ ერთში ცხოვრობდნენ ადგილობრივი თავადი — თუმანიშვილის ქალები, რომლებსაც სოფელში პირდაპირ „ბატონიანთ ქალებს“ უწოდებდნენ.

მეორე საბლი ეკუთვნოდა ნიკო და მიხეილ

თუმანიშვილებს, რომლებიც შედგვიად ცხოვრობდნენ თბილისში და ხელთუბანს მხოლოდ ზაფხულობით ეწვეოდნენ ზოლზე. შესამე სახლი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, რომელსაც სკოლა იყო მოთავსებული. ამავე შენობაში იყო გაიყოფილი ბანა მასწავლებლებისთვისაც. სოფლის ბიოლოში, სამხრეთით, იდგა კომპლექსური შენობები უმჯობესი შენობა, რომელსაც კედლებში სათოფურები ჰქონდა დატანებული. ამ ციხის შსგავს შენობას „ბეტრე მოცაქულა“ ეძახდნენ. და, ვტყობოდა, ომიანობის დროს, მტრის შემოსევისას თავშესაფარად იყენებდნენ. ჩვენ დროს იგი გადაქცეული იყო მტრუდების სახუდრებად, რომლებსაც ხელს არაყინ ახლებდა, რაც ახლაც გრძელდება.

სოფელი ხევეებით უბნებდა დაყოფილი: ვაღმა და ვაგომლი უბანი, ზევითა და ქვევითა უბანი. ხევეებში მუდამ, განუწყვეტლად მღორედ მოდის მღვრეი წყალი, ხევეების ნაპირებზე ჩამწკრივებულია ტირიფის ხეები.

ქვევითა უბანს, რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე ვერა ვაუვალი ჰქაობი, ის სავსე იყო ბაყაყეებით და მთელი ზაფხული ისმოდა მათი გამაყრუებელი ყიყინი. იმ უბნის მცხოვრებნი დავადებულნი იყვნენ „დამალი ციგე-ცხელებით“, რომელიც ფილტვებზე გადადიოდა და მესრს აელებდა ახალგაზრდობას. ახლა ის ჰქაობი მთლიანად ამოშრალა და გამოყენებულია სახანეთის მიწებად.

ხელთუბნელების საქმიანობას შეადგენდა მამა-პაპური წესით — კვირიანი გუთნით ხვნა-თესვა და შესაქონლეობა.

წინათ სოფელი ხელთუბანი თუმანიშვილების საბატონო სოფელი ყოფილიყო.

სოფლის ასეთ ჩამორჩენილობას და სიღარიბეს მამაჩემი მიაწერდა, ერთი მხრივ, ბატონყმობის გავლენას და, მეორე მხრივ, გარეშე მტრების ხშარ შემოსევას.

მამაჩემს სისხლსა და ხორციმს ჰქონდა გამჯდარი შრომაში წესიერება, თავის მოვალეობის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა და პირველი დღიდანვე გულმოდგინედ შეუდგა ნაოსნო მოვალეობის შესრულებას.

მასწავლებლობა უხდებოდა ოთხ ჯგუფთან. ერთს ანბანს ასწავლიდა, მეორეს საანგარიშოს აძლევდა, მესამეს აწერინებდა, მეოთხეს კი იმ დროს, ხელსაქმის გაკეთილი უნდა ჰქონოდა, რომ ყველა მოუცლელი ყოფილიყო და ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ. ყველაფერი ეს ხდებოდა ერთ საკლასო ოთახში. მამაჩემი საკლასოდ პედაგოგიურად უძლებებოდა თავის საქმეს. წერა-კითხვის სწავლების გარდა ის უახლოვდებოდა მოწაფეთა ოჯახებს, ეცნობოდა მათ ცხოვრებას, იგებდა მათ გაჭირებას, ყოველ ღონეს ხმარობდა, ყოფილიყო მათთან ახლო.

გლეხკაცის ცხოვრებაზე დაკვირვება მამაჩემი ღიარებდა, რომ ამ ხალხს მარტო წერა-კითხვის ცოდნა ვერ ამოიყვანდა მამა-პაპური გა-

ჭირებიდან, რომ საჭირო იყო მათი გათეთრობიერება. ამას კი მიადევნდა მხოლოდ შრომის მიტევებით და შრომის რაციონალურად გამოყენებით.

ოჯახშივე შრომაში გამოჯგული და სემინარიაში მიღებული ცოდნით ის გაბედულად შეუდგა მეფისდროინდელი სოფლის მასწავლებლის მძიმე ტვირთის ზიდვას. მას სურდა ტუთულმარალოდ არ დაეკარგა არც ერთი წუთი და მაგალითის მიძივით თვითონვე უნდა ყოფილიყო გლეხობისათვის ყოველ საქმეში...

სკოლის შენობა სოფლის თავში იდგა, განმარტობით, ნაკვეთიც კარგა მოზარდი ჰქონდა, ხოლო ამ ნაკვეთზე მარტო ქვა და ღორი ეყარა, იგი ნახირის თავსაყრელ ადგილად გამოხდარიყო და მთელი დღე სოფლის გოგონები ბატის ჭუკებს ამოვებდნენ.


აი ამ ნაკვეთზე შეაჩერა თვალი მამაჩემმა. პირველ რიგში საჭირო იყო თვით ნაკვეთის გათავისუფლება ზედმეტი ქვა და ღორისაგან. თანაც ქვა და ღორი კარგი მასალა იყო ღობის გასაკეთებლად. თავისი აზრი გააცნო მოწაფეებს და გადაწყვიტეს, სიტყვა საქმედ ექციათ. მალე სკოლის ნაკვეთი გასწმინდეს. ღობეც გააკეთეს. ზამთრისათვის გადაბარეს კიდეც. ნახირსა და ბატებისაგან ერთი დღი სიკეთე სწევოდა ნაკვეთს: ის საკმარისად იყო გაბატონებული და ზედ კარგ მოსაუბლაც მიიღებდნენ. თანაც შეიძლებოდა ნამყენებისათვის ორმოების დამხატვა, თოვლი კარგად გააფხვიერებდა მიწას.

ამრიგად პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ერთმანეთთან შეახამეს სწავლა და სასარგებლო შრომა.

თესლი და ნამყენი ნაწილობრივ თავისი საყვარელი მასწავლებლის — ნიკო ლომოური დახმარებით უშოვია იასე და ანტონ ფურცელაძეებისგან, რომელთა ხალის ბაღები ვანთქმული იყო მოელ ქართლში. მათ მსგავსად სკოლის ეზოში დარგეს კაკლისა და სხვა ხეხილის ნამყენები, გააკეთეს კვლები და მალე თესლაც ჩაყარდნენ.

გაოცებული გლეხები გაშტერებული შემყურებენ თავიანთი შეილებს მასწავლებელს, თუ როგორ დაუღალავად შრომობდა იგი ციხაკიდან დაწვეული შედამეგობი. მასწავლებლის ცეცხლით ანთებულნი არც მოსწავლეები იხედდნენ უკან, ეჩვეოდნენ გააზრებულ შრომას, მასწავლებლის დახმარებით თავიანთ ბატარა ნაკვეთებზედაც რგავდნენ ხეხილის ნერგებს, ხალისიანად შრომობდნენ და გულის ფანქვალთ მოვლობდნენ ამ შრომის ნაყოფს.

მამაჩემი არა ზოგავდა არც დროს, არც ძალღონეს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ღებნა თუ ტირილში, ქარჩილსა თუ ნათლობაში, ზენა-მკაში, მინდორში, ბაღში, გზაში, სკოლასა თუ დეჟანში, მას ყოველთვის თან ჰქონდა ქალადი და ფანქარი, იწერდა გავონიდ გონებაშახილურ სიტყვებს, ანდაზებს, გამოცანებს, თქმუ-



ლებებს, გადმოცემებს. კარგი მოქმედები სახლ-  
შიაც მოკვავდა, ელაპარაკებოდა, ეშაიებოდა,  
აშაიებდა, რათა, რაც შეიძლება მეტი ეთქმე-  
ვინებინა, გაეგონა და ჩაეწერა.

უყვარდა განაგონარის გამოყენება საუბრის  
დროს. ხშირად ხმარობდა ანდაზებს, გადმოცე-  
მებს, იფავებს.

სკოლაში ოთხ განყოფილებასთან მეცადინეო-  
ბისა და რვეულების გასწორების შემდეგ მამა-  
ჩემი კვლავ განაგრძობდა წერას. დღისით გა-  
გონილი და ჩაწერილი განსაკუთრებულ რვეუ-  
ლებში შეჰქონდა, ახარისხებდა შინაარსის მი-  
ხედვით, ახლად წერდა რვეულებში, სადაც ნა-  
ხადვით ასეთ ჩანაწერებს: „ისტორიული“, „რე-  
ლიგიური“, „საგმირონი“, „სალაშქრო“, „სააპო-  
ლოგი“ და სხვათა „ანდაზები“ „გამოცანები“,  
„შელოცვები“ და ა. შ.

შელოცვების ჩაწერას ადგილობრივ, თავისს-  
ევე სახლში, ახერხებდა. მის პატარა შვილებს  
წარამარა სიტყვის აძლევდა. სიღვდრი კი (ვლუ-  
ხის უსწავლელი ქალი) ფიქრობდა ბავშვები  
თვალნაცემი ან შეშინებელი იქნებიან და შე-  
ლოცვა საჭიროა. მლოცავისთვის კი შორს წა-  
სვდა არავის დასვირდებოდა. სოფელში ამის  
მოხელე თითქმის ყველა მოხუცი ქალი იყო. მი-  
ვრამ ყველაზე განთქმული მაინც „ზუნანთ მა-  
შო“ იყო.

მამოც მოვიდოდა, ნახშირით შეიარაღებული,  
დაიწყებდა „თვალნაცემის“ ლოცვას. ბერბუ-  
ტებდა, ამოქნარებდა, ცრემლებს იწმენდა. მი-  
სი აზრით, რამდენიც მეტი ცრემლი ჩამოევი-  
დოდა, ლოცვა იმდენად მეტ გავლენას ახდენდა  
ეფაღმყოფზე. ასევე იქცეოდა „შეშინებულის“  
შელოცვის დროს. მხოლოდ აქ დამატებით გულ-  
მყერს უზომავდა, ცხვირსახოცს გამოისასტავ-  
აივანზე, პატარა ტახტთან ახლოს, დაბტოდა ორი თეთრი კურდღელი, დიდი და პატარა.

— დედავ, ამ კურდღელს მარტო ერთი ბავია ჰყავდა? — იკითხა ლევანმა.

— არა, რატომ ერთი, მას სხვებიც ჰყავდა,



მეგრამ კატა ტალამ მოსტაცა და ეს ერთიდა მერჩა, — თქვა გულქანმა და ბაჟიას მთელურ-სა. შემდეგ ჩემსკენ გამოიხედა, — პო, თქვენ ვინდით, რომ მამანეზე გესაუბროთ, ძალიან კარგი, არ დაგზარდებით, ვიამბობთ, რაც კი ვამახსენებდა, — მითხრა მან და რამდენიმე წუთის ჩაფიქრდა. შემდეგ მშვიდი, წმინდა ფეხ-ური კილოთი დაიწყო: — ბავშვობის მოგონებები საყვარელ მამაზე ჩემი სსოენიდან არასოდეს წაიშლება. აი, ახლაც თითქოს თეაღწინ მიდგას მე ის და შესისის მისი ჰევაღამაჯღარა ღარივება. მე ჯერ პატარა ქალი დეზარელად დავყვებოდი მამას ყველგან, სადაც კი წამიყვანდა. ის ბავშვებს ადრე გააჩვენებდა მუშაობას და ჩვენ, ქალებიც მუდამ ვაქცავებოვით ვუდმოთ მხარში მუშაობის დროს.

გერმინდელითი მახსოვს ჩემი ბავშვობის დროის ერთი ამბავი: ერთხელ მამა სათბოში მიდიოდა ცხენით. მეც თან წამიყვანა. დიდი გზა გაეიარეთ. როცა მივედით დანიშნულ ადგილზე, შეეჩერდით კაცის ხის ქვეშ. ჩამოვედით ცხენიდან. მამამ მოიხსნა თოფი და დაჯდა ქვაზე. უცებ საიდანღაც ქედნები მოფრინდნენ. ერთი გასროლით მამამ ორი ქედანი ჩამოაგდო, დამიძახა, გულქანო, მიდი ქედნები აიღე. მე იქვე, ახლოს, ბუდლის სახურავზე ვიყავი შესუკუბუტული, ჩამოფრინდი დაბლა, მამის მიერ მოკლული ქედნები ავიღე და შევინახე. მამამ გაიძირ-გამოიძირა, პაპირისი ვაბოლა, მერე აიღო იქვე ბუჩქებთან შენახული ცელი და თიბვა დაიწყო. მეც ვეხმარებოდი, უცერად მუშაობა შეწყვიტა, დაჯდა იქვე ახლოს, ხის ჩრდილში, მოემარჯვა ქალადი და ფანქარი და წერას შეუდგა. მერე მოვიდა ჩემთან ქალადიოთ ხელში და ახლად დაწერილი ლექსი წამიკითხა. ლექსი ძალიან მომეწონა, ტაშიც კი შემოვკარა სიხარულით. შემდეგ მამამ ერთს საათს დაისვენა — დაიძინა. დამინების მერე კვლავ ცელს მოკიდა ხელი და დაბინდებამდე არ შეუწყვეტია მუშაობა. გვიან, საღამოს წავედით სახლში. შინ სტუმრები დავეხებდნენ, რომლებიც სიყვარულით შეხედნენ მამას. ქედნები სტუმრებს მოუხარებოთ.

მახსოვს, ერთხელ ძროხა დავგვეკარგა. მთელ საღამოს ვიძებე და ვერსად ვნახე. მამას იმ დროს არ ეცალა. ისა და მასილანთ პაველ შეშის საყენებელ აწყობდნენ. ძროხის დაკარგვაზე მამამ თქვა: კაცის ძროხაც ამის წინათ მგელმა შეჭამა და ჩვენიც სამუდამოდ არ დავგვეკარგოსო. დაბინდებისას მარტო მივედი სახლში, მამამ მიიხარა, ახლა შენ შინ იყავი და მე თვითონ მოვქეზნი ძროხასო. არ გაუვრონე და მანინ წავედი ძროხის სამეზნელად. საერთოდ მამას არ უყვარდა სიტყვის შებრუნება, გაუკონრობა.

კარგა დამე იყო ვასული, სახლში რომ მივედი, ყველას ვძინა. უჩვეულად მეორე ოთახში შევიპარე, იქ ქვამში ჩალაგებულ, ჯერ კიდევ თბილი ხინჯლები ვნახე და ჰვამ დავიწყე. მერე

მივაშურე ბნელ კუთხეს და ვაძრის ადგილზე ჩავუტყდი. მამას თურმე არ სძინებოდა დედინაცვალს დაუძახა, გულქანი შოიდა თუ აბაო, სანამ დედინაცვლი ეტყოდა რამეს, მე გაუეპასუხე:

— მოვედ, კო, მოვედ!  
— მოხვედ ხო? — დამიტია მამამ. — რომ ვითხარი, აღარ წახეიდე, რატომ წახვედი, ჩემი ნათქვამი რად არ გაიგონო.

მამამეხნა, მოვიდა ჩემთან, დამტუქსა და თან დაუშატა:  
— ნეტა ბიკი მაინც დაბადებულყო, რა მოუხვენარი რამ არისო.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მამამ დამტუქსა.

არ მახსოვს, რომ სანადიროდ წახული მამა ხელთაროელი დაბრუნებულყოფის სახლში. ბევრი მოუტავს დათვი, შგელი და სხვა ცხოველები. როცა კი მამა სახლში მოვიდოდა, გათვლიანებულ ცხენს მე მომეცემა. მე კი ხეილით და მწვეით დამავებდა პირტუტეა, სანამ თვლი არ შეამზებოდა.

ერთ დღით მამამ სახლში ყველას გასაგონად განაცხადა: ახლა აქვე, ჩვენს მიმდორში უნდა წავიდეთ და გავღორღოთო (ქვის მოცილება). მე დამეზარა და ვაპარვა დავაპირე. ვფიქრობდი წსკლას აფუქსოში ზიძა ბანანასთან. ჩვენი ოჯახის წევრები გასაღორღად წავიდნენ. მამამ მომიხაკლისა და თქვა: გულქანი მიიპარება სად-მე, ის კი აღარ იცის, ვარმომს აღარ მოუტანო. ეს რომ გავიგე, მამინევე ბუჩქებიდან გამოვჭეპი და დავიძახე: მამა, მეც მოვდივარ, არ მივიპარებო-მეთქი. და მივედი კიდევ. იმ დღეს კარგა ხანს ვიმუშავეო. მამა, ვისაც კი რამეს შეპირდებოდა, აუცილებლად შეუსრულებდა კიდევ-მეც დანაპირები შევისრულა, მალე გარმონი მიუიდა, ცხრა აბაზი მიეცა.

მდინარე არაგვი, მისი ღამაში სანაპიროებო ძალიან უყვარდა მამას, ერთხელ, დიდი საქმეების შემდეგ თქვა: ხელო, თუ არაგვი არ ვნახე, ველარ დავისვენებო. არაგვის სანაპიროებზე მამას არაერთი ლექსი დაუწერია.

სხვისი ცუკვის ყურება ძალიან უყვარდა მამას. თვითონ კი,საერთოდ, იშვიათად, რომ ეცუკვითხებულ დაუტონეს, გინდა თუ არ გინდა უნდა იცუკეო, რალა გზა ჰქონდა, ვადავიდა საცუკეოად, კარგადაც იცუკვა, შემდეგ კი მაინც თქვა: მე ცუკვა რომ არ ვიცი, ხომ ხედავთო.

მამას უყვარდა „მრავალამიერის“ მღერა. ამ სიმღერის დროს დიდ სიამოვნებას ვაძინებდა. ქუთისს დროს ფშურად ხშირად დაუმღერია:

დამისხით, დამალევიანეთ  
ჩემის ზორბაის რქითაო,  
თუ დავდევე, მაგითავ დავდევე,  
არ მიიძება სხუთთაო.

სხვადასხვა აზრის იყო მამა თავის ქალებზე. ჩემს უფროს დაზე — თამარზე დიდ იმედებს

ამყარებდა: — დაუზარელი და საქმის მოყვარეა ჩემი თამარი, კარგი მეოჯახე დაღვება და შეიღობსაც კარგს აღზრდისო. ჩემზე იტყობდა ხოლმე: გულქანი სადაც არ უნდა გადაეკარგო, თავს დაიბრუნებო. ეს ისეთი ფშაველია, მუდამ ფშაველად დარჩებო. ჩემი პატარა მარიაში შევხვდებო: — იტყობდა ხოლმე უმცროს დაზე, — ობლობით ყველაზე მეტად ეს დაიბრუნებდა, ავადმყოფიცა და მაგას მეტი ყურადღება სჭირდებო.

ერთხელ, ერთმა ჩვენებურმა ფოცხვერამ უთხრა მამას: ლუკა, რად მიეცი თამარი იმ ოხერ კაცს, რომელსაც ხალათის ღილებიც კი ვერ შეუტრავს და ჩამოქნძილი ტანსაცმელით დაიარებო?

— რა ეჭმა, ჩემო ფოცხვერავ, ძლიერი ოჯახის კაცი იყო, მეგონა, მასთან ჩემი ქალი კარგად იცხოვრებდა, მაგრამ ასე არ მოხდაო.

ჩემს საბავშვო დღეებში კი მოვიდოდა, მამა აფრთხილებდა, რად გინდათ ეს ქაჯი, მაგან რა ოჯახი უნდა შექმნას, მოუსვენარმაო.

მის ნათქვამზე მუდამ მეტივდებოდა.

ეპ, აფსუსი არ არის, რომ ჩემი საყვარელი მამა არ მოეწრო ამ დროს ახლა ხომ უფრო მეტს დაწერდა. მეტს გააკეთებდა! — ამოიხრა გულქანმა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, გახედა ამწვანებულ ქედებს და მიიმედა, ნამდვილი ფშაური კოლონი დაიწყო:

შამოგეხიზნეთ, ქედებო,

თქვენც შამიხიზნეთ მშრლად,

მოგანდეთ ჩემი სიოცხლე,

ჩემი სვე-ბედი სრულად.

— შეხედეთ ქედებს, ამ შამიხიზნულ ნაკადულებს, არ მოგწონთ? — მოგეშარათა მან.

მე და ლევანმა ღიმილით დავედასტურეთ, რომ ეს ადგილი ნამდვილად მოსწონი იყო.

ბუნების დიდოსტატის, შესანიშნავი მხატვრის ვაჟას ქალი იდგა ჩვენს წინ და ბუნებას სიყვარულზე საუბრით გვატყობოდა სტუმრებს.

— რომ იყო დოქტორი, — ამბობდა გულქანი, — რა კარგია აქ განსაკუთრებით დილით, გათენებინას. დაუსრულებლად მესმის ფრინველების ჰიკოკ-გალობა, იმ დროს წყაროების ჩუბჩუბი და ფოთლების შრიალი უფრო ძალუშია. მინდა, რომ მუდამ ვგრძელდებოდეს ეს წუთები. ვხარობ ამით, აღტაცებული ვარ მამინ, თავი ზღაპრულ სამოთხეში შეგონია. არა, რა მინდა ქალაქში, განა აქ არა სჯობია ცხოვრება, განა ამაზე ლამაზი ადგილი იქნება სადმე?

საღამო ახლოვდებოდა. ენდალში მიმეჩქარებოდა. გულთბილად გამოვეთხოვე გულქანს და ლევანს. იმავე ეწრო ბილიკით წავედი.

გზაზე მიმავალი სიამოვნებით ვიხსენებდი სახელოვანი პოეტის, ვაჟას ქალებს — თამარსა და გულქანს. მათ ნამამობს უკვდავი ვაჟას შესახებ თითქოს ახლა ფოთლების შრიალში ვისმენდი და ნეტარი წუთები ჩემს წინ აცოცხლებდა იმ ადამიანს, რომლის დაბადების ასი წლისთავი სახეიმიოდ აღნიშნა მოგეშამ შრომდროს.

## აკაკი ბენაკელი

# ქართული პოეზიის ღირება

ასი წლის წინათ ფშავ-ხვესტურეთის სოფელ წარგალში, ერთ ოჯახში დაიბადა დიდი ზომის ბავშვი, რომელსაც თვალბუბუ თმა ქონდა ჩამოფარებული. მის მშობლებს ამ ამბავში სავალისხმო რამ ნიშანი დაუნახავთ, შემდეგ კი მის ყრმა მთიელის გონებისათვისაც მიუცია საზრდო ერთხანს: ჰაბუკ ლუკა რაზვიავილის მომავალ გოლიათად დაესახავს თავი და გულწრფელად დაუჯერებია, რომ მისი ოჯახის „სვე-ბედში განგება მონაწილეობას იღებდა“.

ზვიადი მთების შვილი ვაჟა-ფშაველა მართლაც იშვიათი ვაჟკაცი დამდგარა. მისი ერთი ნათესავის ცნობით, „წარმოსადგეგ, მხარბეკიანი, თაფლაწვერიანი, ამაყი და ზავთიანი შეხედვლების ლუკა — ნამდვილ არწივს ემსგავსებოდა, სამინელი ღონისათვის სოფელში რაზვიკანთ დევს ეძახდნენო“. ასეთი ძალღონით აღსავსე ვაჟკაცები ხშირი იყო ქართველ მთიელთა შორის. ზვენი ქვეყნის ისტორია მდიდარია მგალობებით, როცა ისინი, ასოვანი და ქედუბრელნი, აბჯარასხული დახვედრიან მტერს საქართველოს კარიბჭესთან და გმირობით უსახელებით თავი მაგრამ შთის შვილთაგან წარსულში ბევრს არ შეუღია მწერლობის კარები და მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით ცნობილ მთიელს წილად ზედა ქართული პოეზიის ზღერბლთან ამართულიყო ქედუბრელ გოლიათად.

• •

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედია გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერალთა შორის. 35 წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის მანძილზე მან შექმნა 425-ზე მეტი ლირიული ლექსი, რამდენიმე ათეული პოემა, მრავალი მოთხრობა, სხვადასხვა სახის ნარკვევი და წერილი, რამდენიმე პიესა. ვაჟამ ძალიან ადრე იპოვა თავისი თავი, როგორც შემოქმედმა.

იგი, როგორც მხატვარი, დამოუკიდებელი გზით მიდის. პოეზიაში ვაჟამ ააჩიოა არა ნაძიები ორიგინალობა, არამედ ორიგინალობა, დაფუძნებული უმდიდრესი ხალხური (უმთავრესად ფშაური) პოეზიის ნადავზე, ორიენტირის ასეთი გადაწყველება უკვე ცნობილი ფორმებისა და სტილური ელემენტების უმწეო სტილზაციიდან უშუალო ხალხურ პოეტურ მეტყველებაზე — ვაჟა-ფშაველასთვის შეგნებული შემოქმედებითი აქტი იყო, მან ღრმა დაკვირვების შემდეგ გააეღო ზღვარი მწიგნობრულ და ხალხურ მეტყველებას შორის, შეგნებულად უარყო ფორმის „ლიტერატურულობა“ და ხალხური პოეზიის შეუზღუდველი და თითქმის სტიქორი დინების ხასიათი აღიარა ქართული მხატვრული სიტყვის ეროვნულ თავისებურებად. მაგრამ ვაჟას სიღაძე იმაში მდგომარეობს, რომ ხალხურ წარმოდგენებს, მის ლეგენდებსა და მითოლოგიას, აგრეთვე უშუალო ინტონაციურ ნაყას ახალი ლიტერატურული ჩარჩოები მოუძებნა, გადააქცია იგი საკუთარი სულიერი სამშველას მასალად.

ვაჟა-ფშაველა სინამდვილესთან ხალხური პოეზიის პირდაპირ კავშირს ანიჭებს უპირატესობას წმინდა „მწერლობით პოეზიასთან“ შედარებით. თვითონ მან გასაოცარი პოეტური ძალით განაზოცრეცა კიდევ ასეთი კავშირი ქართულ მწერლობაში. ამასთან ერთად ვაჟას შესანიშნავად აქვს გათვალისწინებული მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, იგი ღრმადაა ჩაბეღული კაცობრიობის სულიერი მიღწევების საგანძურში. ახლა, როცა მკითხველი ვაცნობილია ვაჟა-ფშაველას კრიტიკულ პუნდციისტურ და ეთნოგრაფიულ წერილებს, ამ ფშაველი გვყვას წიგნიერი კულტურა არვისთავის საუკეთესო აღარაა.

საკერძო სხვა რამ არის: ვაჟამ შეძლო თავისი პემაწერტი იღვებშია, ბუნების შეგრძნობისა, კარგი უმის სტელოერი თუ გონებრივი კრი-

ზისებისა და საკუთარი ხილვებისათვის მიენიჭებინა ზოგადკაცობრიული ხასიათი, გამოეყენა ფოლკლორული მასალა თავდაპირველი, ანერტული მდგომარეობიდან (მისი გოდრმაკებისა და ინტერესების გზით) და წარმოედგინა ისინი განსაკუთრებული მხატვრული სახეების ანსამბლში.



ვაჟა-ფშაველას, ქართველ სამოციანელთა იდეურ მემკვიდრეს, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მწერლის ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ვალდებულებანი. უწინარეს ყოვლისა, ვაჟას აქცენტირებული აქვს პატრიოტული და ეთიკური მხარე მწერლის მოღვაწეობისა. ამასთან, პოეტის გაგებით, ჯანსაღი პატრიოტიზმი გამოირცხავს სხვა ერის სიძულვილს. „ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ერთგული მიმართულება მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი მოვიწინააღმდეგებამად არ გადაიტყუაო“, წერდა პოეტი. მშობელი ხალხისა და მისი ელტურისადმი სიყვარული ვაჟას აწვლია ქეშმარიტი მწერლის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებად მიიჩნია. ვარდა ამისა, პოეტის გაგებით, მწერალს უნდა ამოძრავებდეს ღრმა სიყვარული კაცობრიობისადმი, აღაშინოსადმი საერთოდ. „გენიოსს არ შეუძლია იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედან ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ, არ შეუძლიან აგრეთვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოვებულნი არ არიან კაცობრიობის ღრმთან. გენიოსთა ნაწარმოებში ერთგულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მამასადავ, კერძო თვისებისა ზოგადად, საკაცობრიო ხდება და ერთხანად საყვარელია ყველა აღაშინისათვის, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ექუთვნოდეს იგიო“, — ამბობს ვაჟა. თვითონ მისი საუკეთესო ქმნილებანი ზუსტად ავსაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას. უწინარეს ყოვლისა, ვაჟას ქეშმარიტი ყოვლის მომცველია: „მე რომ არ მივიარდეს და არ მებრალბობდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდიო!“ — აცხადებს იგი. მაგრამ ჩვენი ფშაველის აბტრეაზში უაღრესად პრინციპული შინაარსისა და მასში ნატამალიც არ მოიპოვება ბატონკაცური ფილანტროფიისა. „უფიქრობ, რომ სიბრალულს სიყვარული სჯობია ბევრად. სიბრალული, ცოტა არ იყოს, ბატონ-ყმური ვრძნობაა, მე რა უფლება მაქვს მებრალბობდეს ვინმე, მე, რომელიც, იქნება, თვითონ ეყო მესაბარლისი?“ — კითხულობს იგი. ამ ასპექტში საყვარელი ვასაგები ხდება ვაჟას სიძულვილი ყოველგვარი თვითმიზნურობისა და ესთეტიზმისა მწერლობაში. მხატვრულ სიტყვას იგი

საზოგადოებრივი სარგებლიანობის თვალსაზრისით აფასებდა: „იქნება ზოგმა იტყუოს და სთქვას: ხელოვნებას საჭიროებამთან რა კავშირი აქვს, ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდა იყოს; მაგრამ თუ ღრმად ჩავეყვირდებით, ახლა პოეტს ქვეყნის საჭიროება აღონებს და აწუხებს, იგი ელტვის მაღლიანს, სარგებლიანს კაცს და ერთმანეთზე დამოკიდებულებას და სარგებლიანს ცხოვრებას. შეგსიბიო ხომ მსოფლიოს უდიდესი პოეტი და აბა კარგად დაუკვირდით იმის მწერლობას, თუ იგი უფრო ახელაზე მეტად არ ცდილობდეს დააკმაყოფილოს ეს საჭიროება არა ერთის რომლისამე ერისა, არამედ მთელი კაცობრიობისათა“.

ამ ზოგად და აუცილებელ ნიშნებთან ერთად, ვაჟა-ფშაველა მწერლისათვის საველდებულის ზღვდა საკუთარი სტილისა და ენის ქონას.

თავისი პატრიოტულ-მორალური, ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი ვაჟამ ლირიკულ ლექსებშიაც გამოსთქვა.

ვაჟა-ფშაველა ღვიძლი შეღლია თავისი დროისა, მშობლიური კულტურის შორეული და მახლობელი სულიერა მემკვიდრეობისა, წარსულის გმირთა ანრდილების მამა-პაპათა აკლდამებიდან გამოშხამებული, პოეტი, რომელმაც უსულო საგნებს სული ჩაბერა (ლექსები „სიტყვა ეული“, „ნუგეში მგოსნისა“, „მგოსნის სიმღერა“ და სხვ.). ამასთან პოეტის არსება ხშირად მოუცეს იქვს, რომ მისმა კალამმა თითქოს ვერაფერი შემატა აღაშინებს: „რა ჰქნას საწყალმა ბატის ფრთამ?“ — კითხულობდა იგი („ღმერთს რაცა ვახოვო“, 1902). ამგვარი სკეპსისისთვის პოეტს მრავალი საბაბი ჰქონდა. მთავარი მიზეზი კი მისი სამშობლოს მიმე პოლიტიკური ზვედრი, რაკეტის მჭვინეარება 80-იან და 910-იან წლებში, საზოგადოების ვარკვეული ფენების დაკნინება და გადაყვარება და სოციალური უსამართლობის მაგალითები იყო. ამიტომ ვასაკვირი არაა, რომ ვაჟა-ფშაველას ვაქციურ პოეზიაში სეველიანი ტონი ძალზე საგრძნობია. აქ ინდივიდუალური და ზოგადი ერთმანეთს ერწყმინა და აძლიერებენ მისი ღირიკის ემოციურ მხარეს. მაგრამ სასოწარკვეთილების განწყობილებას მიიწე არ გაუშარჯვია მის პოეზიაში, ვაჟა-ფშაველა ბოლომდე იმედით აღსავსე დაჩა:

მთლად მე მეუტენის ქვეყანა მთაში — მთა, ბარად-ბარია, ზღვა და ხმელეთი ერთიან ცას — ვარსკვლავების ჯარია. დილოთ მზე მანათობელი ღამის გუშავი მთავარია.

ბარს ვევეარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ეჩხვერ, ებუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, — მძინარიც ამას ელედუნებ.



ვფას პატრიოტული ღირსება სულიერი მშენებლის დემონსტრაცია იყო, ამიტომ მან უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ეროვნული გათვითნობიერება საქმეში. ამ მხრივ ვაფა-ფშაველა ღირსეული გამგრძელბელი და დამგვირგვინებელი აღმოჩნდა ილიასა და აკაკის მოღვაწეობისა. მისი ოცნება თავისუფალი სამშობლოს სახე იყო. დღენიადაც უზმანებოდა კარგი ყმა, რომელიც ქვეყნისათვის თავს დასდებდა: ამ ეროვნულ გმირს, რომლის თვისებები შესანიშნავად გამოხატა პოეტმა ბრწყინვალე ლექსში „კაი ყმა“, იგი მეტწილად საქართველოს ისტორიულ წარსულში ვარაუდობდა და იშვიათად ნახელობდა თანამედროვეთა შორის; პოეტი აწყვოს უპირისპირებდა გმირულ წარსულს, დაბნელებულ სამშობლოს სინამდვილეს — თავდადებულთა დროს, არშინსა და ჩოთქს — ოდესღაც მშვიდ ბზალს და აფხაზად უქმად მდებარეს... ეს პოეტური ანტი-თეზები უაღრესად მსოფლმხედველობრივი, ხალხათისა მის შემოქმედებამო. პოეტი იძულებულია არსებულ სინამდვილეს დაუპირისპიროს მთიელთა სამყარო, უღამაზესი მხარე იმ რაინდული სულით გამსჭვალული ეპიკეებისა, რომელნიც მაგარტ ზახარინების ბიუროკრატიულ ხანაში (მოთხრობა „მაგარტ ზახარინის სიკვდილი“) მარტოოდენ თავიანთი ზნეობრივი მრწამსის სადარაჯოზე დგანან, რადგან დიდი თავდადების გამოშენი სარბიელი აღარ გაჩნიათ.

და, მაინც, ყოველივე ამას ვაფა არ გადაუტყვევია თანამედროვეობის ნეიტრალურ მყურებლად, თავის ზეჩავ სამშობლოსათვის მას მუდამ მხურვალე სიყვარულით უჭერდა გულს:

მძულხარ იმიტომ, უძლური რად ხარ;  
ძლიერი მკლავით, მტირალი სახით,  
და შენი ბედი, ბედი, შავ-ბედი  
რად შემოსილა სულ მუდამ შავით.

მაინც მიყვარხარ! ჩემს წულულ ოცნებას  
ზედ აყრხარ აღშასის ღილად,  
ვერ დავიფრევე, ვულს არ შორდება,  
მღვიძარე ვარ, თუ მივიტყე ძილად.

(„მძულხარ-მიყვარხარ...“ 1898).

ვაფა-ფშაველას ვერასოდეს ვერ წარმოედგინა სულიერი მყუდროება და სიმშვიდე, როცა ირგვლივ ეროვნული და სოციალური ჩაგვრა იყო გამეფებული. ქართულ პოეზიას იშვიათად ახსოვს ისეთი სტლის მძლავრება ჩაგრულთა დაუცვისათვის შხად უოფენისა, როგორც ეს გამოთქმულია ლექსში „შენი ვედრება“ (1893):

გონებას ფიქრი სტანჯავდეს  
გულს ცაცხლო სწავადეს ძლიერა,

მშობლ-მწუვროდეს კეთილი  
ვერ გაეძღა, მოგვედე მწუვრო  
ნუ დამასვენებ ნურა დროს  
მამყოფე შეტრწუნებელი,  
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,  
როცა ვარ შეწუხებული.

პოეტის კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ვაფას ფხიზელი ყურადღება გლეხის მიძიმე მდგომარეობისადმი. 90-იანი წლებიდანვე იყო დაინტერესებული იგი თანამომეტა დუბუირი ცხოვრებით. ამიტომ კანონიერია ი. ქავჭავაძის და რ. ერისთავის თემატური და მხატვრული გავლენაც პოეტის ღირსეული სიმღერების მთელ სერიაზე („გლეხის სიმღერა“, 1888; „ღარიბის სიმღერა“, 1889; „ჯუჯალი“, „პაპას ცოლშვილის გლოვა“ და სხვ.). კერძოდ, „პაპას ცოლ-შვილის გლოვაში“ გადმოცემულია გლეხის დარდი ძროხის სიკვდილის გამო. ეს მოტივი — ოჯახის მარტენალი პირუტყვის სიკვდილით გამოწვეული წუხილი — საკმაოდ ცნობილია ხალხისათა შემოქმედებაში. მიუხედავად იდეური კავშირის ადრე გაწვევრისა ამ მოძრაობასთან, მშრომელი ადამიანისადმი, მიწის მუშისადმი დიდი სიყვარული ჩვენს პოეტს ბოლომდე შერჩა. 1908 წ. ვაფამ დაწერა ლექსი „გლეხის სიმღერა“ და ასეთი განმეორება 1888 წელს ანალოგიური სათაურით გამოქვეყნებული სიმღერისა იმაზე მეტყველებს, რომ ვაფას პოეზიაში გლეხის პირ-ვარამისადმი ინტერესი არასოდეს განელებულა. ამ ლექსში ვაფას გლეხს აწუხებს, რომ ის სხვისი „საწველი ფერია“, მაგრამ სწამს, რომ დაღეს თუ ან ხეადე ექნები ბატონი თავის შრომისა.

ამ თემატურ რეალში შედის აგრეთვე ლექსები „საწველი კაცის ვედრება“ (1909), „მეტრის სიმღერა“ (1910) და სხვ.

მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სოციალურ თემებს ვაფა თავის მოთხრობებშიც. საერთოდ, მისი პროზა დიდად რეალისტურია, მიწიერი, თუ შეიძლება ასე ითქვას. აქ უკვლავდები ემპირიული მასალითა განსაზღვრული. შავეთი, დევები და სხვა გრძნეული არსებანი მხოლოდ პერსონაჟთა სიზმრებში ან ზღაპრებში გვხვდება. ვაფას სოციალური თემატიკის მოთხრობების გმირებს ჩვენ ვიცნობთ სრულიად კონკრეტულ კარემოში: ყანაში მუშაობისას, ნადირობის დროს, სალოცავში ყოფნისას, ისინი მეტწილად გლეხები არიან ან გლეხის შემავიწროებული ვაჭარი, მამასახლისი თუ გზირი. ერთი სიტყვით, მწერალს მკაფიოდ აქვს მოხაზული თავისი მშრომელი ადამიანებისა თუ სოფლის პარაზიტების სოციალური აბრისი (რაც არ შეიძლება ითქვას მისი პოეზიის გმირებზე), მათი სარწმუნოება, ადამი თუ ჩვეულებანი. ვაფა-ფშაველა მხატვრული თვალსაზრისით სრულ-

ლიად უნაყოფო და მისთან ეთნოგრაფიული სიუხვითი გვიჩვენებს ყოველივე ამას („დარჯანი“, „საიდგომოდ“, „წისქვილი“, „ერთგული მეგობარი“, „ხოლერამ მიშველა“, „სოფლის სურათები“ და სხვ.)

ვაჟა ერთ-ერთი ტრიბუნი იყო ხალხოსანთა კონსპირაციული წრისა 90-იან წლებში, როცა ის ცარიზმის კინაღამდევ ბრძოლისაყენ მთავროდებდა მსმენელთ. მებრძოლს პოსტზე შეხვდა იგი 1905 წლის რევოლუციისაჲ — ფშავეხეურეთში პირველი გამოსვლები ვაჟას ინიციატივით მოეწყო. ფშაველი პარტიოტი ფიქრობდა, რომ საქართველოს განათვისებულება მთიდან უნდა დაწყებულყო. ფართო მასების ამოქმედებამ, პატარა ერების დამოუკიდებლობის პერსპექტივამ გულწრფელად ააღელვა პოეტი, იმედით აღსავსე იგი (ლექსები „მერტყაული“, „მართია წითისოფელმა“ და სხვ.). ცნობილია, რომ მთავრობის თვალში ვაჟა-ფშაველას პოლიტიკური რეპუტაცია მყარი არასოდეს არ ყოფილა, ხოლო რეაქციის პერიოდში მას დღესაც უი დაუწყეს. ვაჟამ მწვეველ განიცადა რევოლუციის დამარცხება, რამაც მის პოეზიაშიაც პოვა გამოხატულება („ბოქველი“, 1906, „სიყმე სიბერედ ვაქციე“, 1907, „სიზნარი“, 1908, „ხილო მოგვენდე, ჩამიტყდი“, 1908, „მე ზონტერს აღარ ვამღერებ“, 1908 და სხვ.). პოეტის გულის გამოდარება ცოტა გვიან დაიწყო. ლექსში „დღესნამდღ დაბლა ჰყვარდა“ (1910) ვაჟა დროებით შერიგებულა ქვეყნის ავტორიტეტსთან; როგორც ჩანს, მწვეველ ისტორიულმა ვაჟვეთილმა მას ერთგვარი სიფრთხილის შეგნება განუწყობა. შესანიშნავ ლირიკულ ვაჟაეიოებებში — „მთამ სრულიად სხვა სოქვა“ (1910), რომელიც ზანანას ცნობილი ლექსის — „მთამ სოქვა“ პასუხს წარმოადგენს, ვაჟამ მთის სახელით იქადაგა ზომიერება და შორსმჭვრეტელობა ერთგული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მამ ჩენი ტანჯავი ჩათვალთ სიბნელედ ერთის დამისათ“ — ამბობს იგი ამ ლექსში და ბოლოს შეკითხვის საბით ასკვნის,

რომ მომავალი ჩენია  
ამის რად უნდა მისანი?


საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა ბუნების დიდი მხატვარია. ამასთან ისიც ცნობილია, რომ ეს საყოფი დაკავშირებულია პოეტის მსოფლმხედველობის პრაბლემებთან. უცილობელი კემპარიტების უფლებას თანდათან იწარჩუნებს ის აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნება შეუძლებელია მოქცეულ იქნეს რომელიმე განსაზღვრული ფილოსოფიური სისტემის ჩარჩოებში. მაგრამ არის საშიშროება მეორე უკიდურესობის დანერგვისა. ფიქრობენ, რომ ბუნების განსუღიერება ვაჟას

შემოქმედებაში მარტოდენ ლიტერატურულ ხერხად უნდა მივიჩნიოთ და მას არაერთგვაროვნად არ აქვს პოეტის მსოფლმხედველობასთან, რომ ვაჟამ მიმართა ლიტერატურაში ვაჟრცელებულ მეთოდს, ოღონდ უფრო თვალსაჩინო გახადა იგი.

ვაჟა-ფშაველა, უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებელი და ღრმად ინდივიდუალური მხატვარი-მწარმოებელია. მან, როგორც შემოქმედმა, თვითონ ამყრველა ბუნება („უსულთ სავანებს სული ჩაგებერო“ — აცხადებს ის ლექსში „ნუგეში პოეტისა“). პოეტს არასოდეს არ უფიქრია, თითქოს შემოქმედის ნების გარეშე უსულთ სავანთ შექმლოთ სულიერი ცხოვრების ნიშნების გამოშვლავება. ვაჟა მიიღოდა ბუნებისათვის, როგორც მისი (ბუნების) გულთმისანი-მესაიდუმლე და მხატვარი-ფსიქოლოგი, ქმნიდა ბუნების უაღრესად დამაჯერებელ და რეალისტურ სურათებს, რომელნიც, ამავე დროს, იშვიათი მხატვრული აბსტრაქციის ნიშნებადაც იქცნენ ქართულ პოეზიაში.

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში ბუნების თითქმის ყველა სავანე—მცენარეებს, მთებს, წილს, მღინარეებს, სივრცეებს, ფრინველებს — თავისი ცხოვრება აქვთ. არა ერთხელ განმეორებული და ბუნების ამ თუ იმ წარმომადგენლის შესახებ სისტემატურად ხაზგასმული ერთი და იგივე მხატვრული ნიშნის მუშაობით ვაჟა-ფშაველა ვეინაბავს უაღრესად კანონზომიერ და, თან, მრავალფეროვან სურათს ბუნებისას. მეორე დამახასიათებელი თვისება ამ სურათისა — მისი არაჩვეულებრივი დინამიზობაა. საქმარისია ოდნავი ბიძგი, რომ ვველაფერი დაიძრეს, მოსხლტდეს სივრცის ადგილიდან, ურთიერთს შეეჯახოს, თათვის, აზავოდეს, გრანდიოზულ კიდობად იქცეს და ბოლოს ისევ დამშვიდდეს, ბუნების წიაღში ისევ მუდგროებამ დაისაღვროს.

თუ ქართულ რომანტიკოსებთან ბუნება მეტწილად ემოციური დეკორუმის როლს ასრულებდა, ვაჟასთან იგი ამყრველებული სამუაროა, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელი აქ რთული ურთიერთ კავშირისა და ურთიერთ ზეგავლენის უპირობის ქმნიან. თანაც ყველა ისინი საკუთარი ცხოვრების ნიშნებით აჩიან აღჭურვულნი. უწინარეს ყოვლისა, ვაჟა მთების შეუდარებელი მოწერალია. მათთან დაკავშირებით, პოეტ. ზმირად იგონებს წილს, როგორც მთების მუდმივ თანამგზავს, ან როგორც გრანდიულ ფარდას. რომელიც ბუნების ცალკეულ სანახავთ ან მთლიანად ბუნებას ვადაფარაქა ხოლმე? („ხევეზ მიღიან წილსები“ და სხვ.). თუ როგორია პოეტის მიერ მთების ხილვა. მოვიყვანათ ერთ ადგილს; სადაც ბუნების ამ გლობალიზების ძირია გადმოცემული: ხევეზში ჩაწეა წილსები. ვანზე დაყრდილან მთანია,



ურთერთე მიჯაღლებულნი  
როგორც ერთგულნი ძმანია,  
შვის მანდილით შკარულან  
ხეც-ხევი, შთისა ყელუბი,  
ცის ტატნად მისდევს შთის წვერებს  
ნელ-სხინი, როგორც გველები.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მცენარეები, ნაღობნი და ფრინველები თავისებურად განიციდინ, ფიქრობენ და გრძნობენ. რასაკვირველია, ადამის შვილმა, ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის, რომ იას და ხმელ წიფელას, კლდესა და მთებს ან არწივს სულიერი ცხოვრება არ გააზნიათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟა-ხელოვანი არ ზედავს ამგვარი ცხოვრების ნიშნებს შთის ხასიათში, მოქცევაში, ფიზიკურ ტვიღლში თუ სიხარულში, — ყველა მათგანის შინაგან მონათლავში; ვაჟა ფსაიოცარი გულთამბილათით ვადმოგვეყვს მათივე შესაძლებელი კანცდების სურათებს. ვისაც „შელის ნუქრის ნაშრობი“, „ბუნების მგოსნები“, „ჩხიკეთა ქორწილი“, „ხმელი წიფელი“ ან „ქუჩის“ მონათლოვი წაუკითხავს, ის დაგვეთანხმება, რომ ბუნების ამ შვილას ზუსტად ისე შეეძლოთ „ეფიქრათ“ „განგებულად“, როგორც ეს ვაჟის აქვს ვადმოცემული. პოეტი არასოდეს არ ავლებს უბრალო პარალელს ადამიანებისა და ფრინველების, მცენარეთა თუ ნადირთა ცხოვრების ცალკეულ მომენტებს შორის, რაკინდ ასეთი პარალელების მიგნება მას არ ავადილებოდავს. იგი ბუნების შვილთა ყოფაქცევაში კაცის თვალსთვის უჩინარ, დღემდე შეუჩნეველ შტრახებს პოულობს. ამიტომ შის დაფიქრებულ, ნაღვლიან თუ იმედით მოსიღ კლდეს, პირამზეს ან ბუღბულს ყოველგვარი პარალელისგან დამოუკიდებელ ხასიათს ანიჭებს. ამის შემდეგ არაა ვასაკვირი, რომ ვაჟა-ფშაველამ თავის პოემებში ბრწყინვალედ ავავასა, ზოგჯერ ალგორითულ ფორმებში, ბუნების შვილთა ცხოვრება („მთათა ერთობა“, „მონადირე“, „დაქრილი ვიფხვი“, „ლილა და კირისა“ და სხვ.).

• •

თავის ღირიკაში ვაჟა-ფშაველა სიყვარულის პოტივის დამუშავებისას შთის ვითიკის ნიადაგზე დვას, ევრძნობა ფშაური ტრადიციებისა და პოეზიის საფუძვლებს, მაგრამ აღრშავეებს და ართულებს მას. ამ თემისადმი მიძღვნილ ღირიკულ პიესებში იგი ხშირად ეფარება ფშაველი ყმის ნიღასს, მაგრამ ეთორგრაფიული დეტალების შიღმა ყოველთვის ჩნის ანთებული მგოსანი, რომელიც ძლიერ ენებას გულის სიღრმემდე შეუძრავს. ვაჟის აღნიშნული აქვს, რომ „ღმკეხეში ფშაველს დედაკაცი ვადმერთებულ იყავს, ხატივით ღოცებობს ამ თმამს, კბილძივიანს, ვითომ ეშმაკის შექმნილ არსე-

ბას — ღიაცს“. პოეტიც ამ ვაგებებიდან ამოდის, მხოლოდ ნაწილობრივ: „უნდა შევჩინოთ, რომ ფშაურს პოეზიაში შეერთებულნი უკიდურესი იდეალიზმი უკიდურეს რეალიზმთან“, — ამბობს ვაჟა. ეს უკანასკნელი („უკიდურესი რეალიზმი“ — ე. ი. შეუკაცხელოვანი ეპითეტებით შემკობა ქალისა) ვაჟის სატრფიალო ღირიკულ აღსარებებში, რასაკვირველია, არ მოიპოვება, პოეტი, როგორც ჩანს, იხიარბდა ფშაველთა შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ქალი თავისი პირიყნებით წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც ზნეობრივს სანქციას“. ცხადია, ეს ხელს არ უშლის ვაჟის სიყვარულის გრძნობის დასაბამი უმთავრესად ფიზიოლოგიურ სფეროში ეჭოს: „აქვს ვარეშა, რომ სიყვარულს ფიზიოლოგიური, სქესობრივი ვნებათა დედაა უდევს საფუძვლად, ფეხებს ტრფობისა აქ იმალება, ხოლო თუ ვნებათა დედა შეიჩერა მოთმინებამ. მაშინ ეს გრძნობა სიყვარულისა უფრო ძლიერი, იგი იღებს იდეალურ ფორმას“. ვაჟა საგანგებოდ დასძენს, რომ „ფშაველის მოღკესობის ბრალი სხვათაშორის წაწლობაც არსო“. ყოველდღე ამით უნდა აიხსნას, რომ ღირიკაში ვაჟა-ფშაველას ვადამქვს ცალკეული დეტალები ფშავერის სატრფიალო პოეზიისა, მაგრამ მას ჩამოცილებული აქვს ფრთვილური ელემენტა.

უმაღლეს წერტილს ფშაველის სიყვარული მაშინ აღწევს, როცა იგი ცდილობს ვნება ღირიკოს და „წილიასავით წერილი“ სატრფო, ღამაშობას რომ ნახა და გულში ალი დაუნთო, მოიტაცოს. ვაჟაკური და თან ველური ვნების გუფვი ისმის ფშაველის ამგვარ აღსარებებში: მას ვანზახბული აქვს, თინიბქაის ქალს ჩუსაფრდებს, გიშრის ნაწნავეებს ხელი დასტაცოს, ხანჯალი გულს დაბზჯინოს და ცხენის ვაგაზე მოიგდოს. თუნდაც ცრემლი სდიოდეს, შუალამისას ჩარგალს მოიყვანს და იქ ჯვარს დაიწერს:

მერმე შირიდეს სადაოდ  
თუნდა ოსმალის ჯარიო,  
ქალს არვის წაყვანინებს  
ზახულიაი ბარიო.

(„ფშაველის სიყვარული“, 1886). და „ბოლოს, ამ ვნებას ერთვის მრისხანებაც ღამაში დიაცი-საღმი:

ღმერთმა დასწყველოს ღიაცი  
ველაღლუტება პირაღა,  
თუნდ არ უღირდე, იყოდე.  
უბრალო პანტის ჩირაღა.  
ვინ იცის ვინ უყვრია,  
შეკრდზე პერანგის ღილაღა

ვის არ ჰქმნის გულ-დაყოღილსა  
ღიაცი ვამოსეული („ქებათა ქება“, 1893).

იგივე სამღერავი ისმის სხვა ლექსებშიაც: ღმერთმა დასწყევლოს დიაცო, მებრე — ლამაზი ქალიო და ა. შ.

ვაჟა-ფშაველას ლირიული სატრფო მთლიანად მიწერილია და არ ჰგავს ქართველ რომანტიკოსთა, კერძოდ ნ. ბარათაშვილის, ზეითი მობერილ ყველა ნიჭის მატარებელ არსებას. მეტიც: იგი სახელდობრ ფშაველი ქალია.



ვაჟა-ფშაველას უდიდესი მხატვრული ნიჭი უმთავრესად მის პოეტურ ეპოსში ჩანს. რასაკვირველია, ძალიან დიდი ღირსებები ვაჟას ლირიკისა და პროზისა, მაგრამ შემოქმედების უმაღლეს მწვერვალებს მთის მგოსანმა უმთავრესად პოემებში ზიარწია. მისი ლირიკის მოტივები მგორდება პოეტის ეპიკურ და დრამატულ თხზულებებში და პირველ „ამოქმედო არე თითქმის წინასწარ განწირული მისი გმირებისა ვრცელი არაა და მთაში, უმთავრესად ფშაველურეთშია, მოქცეული. ამ ფონის თითქმის ყველა დეტალი ჩვენთვის ცნობილია უკვე პოეტის ლირიკიდან: მთები ჩაფიქრებულად ღვანან, კლდის პირას არჩევს ან ვეფხვს ჩასძინებია, ქორნი და სეაენი მოკლულთა ლეშს მისხეიან, მოყაშეაშე არჩიო კი მხოლოდ დაღუბული კარგი ყმის მკლავს ეტანება, მთის კალთებზე ყვავილინი — თამარის თვალები — ჰყვავიან, ბუნება მეტწილად მჭინვარია, ხეები ხშირად ახეულდებიან ხოლმე და როცა კლდეები ფერცხლად გაიხსნიან, იქიდან გამოდიან ღვეები და ქაჯები — მთის დემონიური სულბა — და მათი კბილების აღისფერი ელვარება შემზარავია. მხოლოდ კოპალს ისრები იხსნიან ხოლმე ქვეყანას ბოროტი ძალების შემშუსრებელი ბატონობისაგან...

ყველაფერი, რაც ფშაველთა წარმოდგენებში შექმნეს და ვაჟას ლირიკაში ფრაგმენტებადაა გაბნეული, პოემებში თავმოყრილია და ერთმანეთთან დაყვანილებული ბუნებისა და სამყაროს მთლიანი და ვრცელი პანორამის სახით. ამ ფონზე მოქმედებენ ვაჟას სამშობლოსთვის თავდადებული გმირები ან სულიერი თუ გონებრივი კრიზისებისგან შეძრული კარგი ყმანი. მისი ქართველი მთიელები „სვლისფერნი არიან“, ლეკები და ქისტები კი — „მგლისფერნი“. მთავარი პერსონაჟები ყოველთვის ამაღლებულ ხასიათებს წარმოადგენენ და ყველანი იღუპებიან; მაგრამ ეს ტრაგიკული კოლიზია ასაბავს არა მარტო საქართველოს მთიანეთის (ფშავის ან ხევსურეთის) გმირთა სულიერ სამყაროს, ან თუნდაც მთელი ჩვენი ხალხის გმირულ სულიერებას, არამედ, ხშირად, ზოგადკაცობრივად განებებსა და სულიერ კონფლიქტებაიც.

ყმის ანუ გმირის დამახასიათებელი ფიზიკური და ზნეობრივი სახე; იმავე ყმის პატრონობის ბუნება და, ბოლოს, საზოგადოებასთან მისი (გმირის) ურთიერთობა.

პირველ თემას ეძღვნება ვაჟას პოემები: „მოსხუტის ნათქვამი“, „გიგლა“, „გოგოთურ და აფშინა“, „მამიდის დანაბარები“ და „მანდილი“. ამ ნაწარმოებთა მიზანია — გაამდიროს კემშირის გმირისადმი სიყვარული თანამედროვეთა შორის, ასწავლოს მათ სამეფლიო ქალისპირა ვაჟებისადმი („მოსხუტის ნათქვამი“); თავდადება თემისათვის, მეტრზე ყვეთებით მისვლა, ქალის პატივის დასაცავად უსახლერო თავგანწირვა და ვაჟაკური სიკვდილი („გიგლა“ და „მამიდის დანაბარები“); სულგრძელობა და ხასიათის სიდიდე მცონარე და სულმდაბლ ავაზაკებთან („გოგოთურ და აფშინა“); ზნეობრივი ვაჟილეა მკვებარათა და ცილისწამებელთა („მანდილი“); მთლიანი საქართველოს იდეისა და სამშობლოსათვის თავდადების მაგალითის კი ვაჟა-ფშაველა აგვიწერს „ბახტრიონში“. ისტორიულ-მატიკორტული ხასიათისა ვაჟას პატარა პოემა „ძაღლია ზიმიკურიც“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მიუხედავად ვაჟას განუზომელი სიყვარულისა ისტორიული გმირებისადმი, რომელთა აჩრდილებს იგი ასე შესტრფის ლირიკაში, მის ისტორიულ პოემებში მეთხველის ყურადღებას იპყრობს არა ისტორიული ასპექტი ასახული მოვლენებისა, არამედ იდეა ქართველ მთიელთა და საქართველოს დანარჩენ ტომთა კავშირისა მტრის განადგურების ემს, მკაცრი ისტორიზმი კი ამ პოემებისათვის დამახასიათებელი არაა. კერძოდ, „ბახტრიონში“ ნაკლებად ჩანს ეპოქის სპეციფიკური ნიშნები; ამბავი, როგორცაღს მას აგვიწერს ავტორი, შეიძლება გვეგულისხმება უფრო ადრინდელ ან გვიანდელ ეპოქებში, ვიდრე, სახელდობრ, 17 საუკუნის მგორე ნახევრის დასაწყისში. პოემის კითხვისას ჩვენ არ გვჩნება შთაბეჭდილება იმისა, რომ ავტორმა ახლო გვაგრძნობინა საქართველოს სეფიანთა ირანის ბატონობის ხანა, არ ჩანს, რომ 1659 წლის აჯანყებისას კახეთში ყიზილბაშთა გაყვლების ასე თუ ისე სრული ან ნაწილობრივ სრული სურათის ჩვენება უნდოდა ავტორს. პოემაში დასახელებულიც არაა ისტორიულად ცნობილი ხელმძღვანელები თუ ინიციატორები ამბოხებისა (მაგ. ზაღდ აჩაგვის ერისთავი და სხვ.), არც ერთი წამით არ იქმნება ილუზია ისტორიული რეკვიზიტისა და ა. შ. ეს იმას მოწმობს, რომ ვაჟა არ ყოფილა წარსულის მხატვარი-რესტავრატორი, მეტიც — ვაჟა-ფშაველა ხშირად სრულიად შეუფერებელ ისტორიულ-ქრონოლოგიურ ჩარჩოებში აქცევდა ხოლმე თავის გმირებს. ბუნების გულმთხანის მიხედვით ავტორის განზრახვით თამარის ეპოქის აღმანიანი, თუმცა ასეთი ქრონოლოგიური ღი-



კალიზაცია პერსონაჟის ცხოვრებისა სრულიად არ შეეფერება გველის-შეამელს, რომელიც უფრო შთაბეჭადველი ხანის შვილია, ვიდრე ქართული რენესანსის ეპოქის მესსიასე. ისტორიზმის სული ნაკლებ იგრძნობა იმ პოემებშიც, რომლებშიც მოქმედ პირად ერეკლე II გვევლინება („აბლაღია ხიმიაყობი“, „ერეკლეს სიზმარი“). ამ პოემების გმირები დიდად არ განიარჩევიან ვაჟის იმ ფშაველი და ხევსურთა ვაჟაკებისგან, რომელთაც იგი ასეთი სიყვარულით გეჩაბატებს ეპიკურ ნაწარმოებებში. ისინი ბევრით ჰგვიანან ვოკოტორს და ალუდას, თვით მუსლიმან ქიჩის („სისხლის ძიება“), ყოველივე ამის მიზნით ისაა, რომ ვაჟა მხატვარია უმთავრესად იმისა, რაც ხდება და არა იმის, რაც მომხდარა. მის ეპოსში არაფერია არ მძლევა სამშობლებს ილუზიისა და წარმოდგენილათვის, — ხვევ ვხედრავთ, ვისწამებთ და ვანვიცდით, მაგრამ არაფერს არ ვიხსენებთ, არ ვბაძვთ ვონებანს ავტორის გადმოცემასთან ასოციაციური კავშირის დასამყარებლად; თათქოს ზენთ თელწინ ხდება ყველაფერი, მამინაც კი, როცა ავტორი ეთოშიცდა ამამარის ეპოქის მოღვაწის თავგადასავალს მოგვიხატობს ამ ასპინძის გმირის ხასიათის დხატების ლამობს. დროის დისტანციის აღქმა ვაჟის ისტორიულ პოემებში სრულიად გამჭარალა.



ზემოთ დასახელებულ ეპიკურ ნაწარმოებებში ვაჟა-ფშაველამ მოლიანი ხასიათები გამოკეთა. მათს არსებაში ჯერ კიდევ არ არის შეპარული რაიმე იჭვი, მათ არ იციან სინდიკის ქნჯნა, შინაგანი კონფლიქტები, არ ესახებათ ახალი ეთიკური იდეალები, რომელნიც შემდეგ გუფულ უფსურელს ქმნიან ვაჟის კარგ ყმასა და თემს შორის. ყველა ეს მომენტები მწერალმა გადმოგვცა სამ პოემაში — „ალუდა ქეთელური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის შვილი“.

თემის საფარელი ვაჟაკის ხევსურ ალუდას არსებაში სულიერი კრიზისი ჩაისახა ქისტო მუცლის მოკვლის შემდეგ. მან ხელი არ მოსჭრა მტერს, რომლის ვაჟაკობამ მოხიბლა იგი, და ამით აუჯანყდა თემის კანონს, მის სამართალს:

წესი არ არის მტრის მოკვლა  
თუ ხელთ არ მასჭერ დანითა.  
ვაი ეგეთს სამართალს.  
მონათლულს ცოდვა-ბრალთათ.

ფიქრობს ალუდა და ხატობაზე შავი ტრიატი მოზერი მიჰყავს ზევის ბერთან და სთხოვს სამხვეწროდ შეიწიროს წელან მოკლული ქისტისათვის, კარგად დამწველობე, გამოიმეტებია იმისთვის,

როგორც უნდობლად მოკლულს  
თავის ლამაზის ძმისთვისა,

ეუბნება ბერ მიწლის ალუდას, რომელიც უფრო სიტყვები მოწმობენ, რომ შეარჩევნებულნი არიან ვაჟაკის ნაბიჯს დგამს ტომობრივი და სარწმუნოებრივი შეზღუდულობის წინააღმდეგ, რომ მან ლამაზ ქმნა აღიარა ურჯულთა ქისტო, უცხო ტომის შვილი და ხევსურთა სუკუნობრივი მტერი. ასე, სრულიად ადგილობრივი (ფშაველურებისა და ქისტების) მასალაზე გამოიმუშავა ვაჟამ თავისი კონცეფცია აღმინაში, უწინარეს ყოვლისა, კარგი ყმის არსებაში უმაღლესი ზოგადკაცობრივი ზნეობრივი თვისებების პოტენციური არსებობისა და მისი ანახლებული გამოღვიძების შესაძლებლობის შესახებ.

„სტუმარ-მასპინძელი“ ჯოჯოლას, ალუდას მსგავსად, ფიქრადაც არ მოსვლია შეგნებულ კონფლიქტი თემთან, საზოგადოებასთან. თავისი სარწმუნოებით, მიდრეკილებებით, ადათებისადმი ღრმა პატივისცემით იგი ტომობრივი კავსახელი მთელი-მუსლიმანია. როცა ხევსურნი ზეიადურის მოკვლის გამო მის აულს თავს ესხმიან, იგი თანსაფლავლებთან ერთად არა, მაგრამ მინც თავგამოღებით ებრძვის შემოსეულ მტერს. ჯოჯოლა განდგომილი კი არაა, არამედ საკუთარი მორალური შეგნების მტკიცედ დამცველი: სტუმრის ღალატი არ შეიძლება, განსაკუთრებით ისეთი კარგი ყმისა, როგორც ზეიადური აღმოჩნდა. ამას მოჰყვა მისი შეჯახება თემთან.

ვაჟა-ფშაველა იზიარებს თავისი კარგი ყმების გმირულ პრინციპულობას ეთიკის საკითხებში. მასაც აღმინანს პიროვნებისათვის მძიმე ხუნდებლად მიანია მთელთა ბევრი აღათი, წესი, ტრადიციის ცალკეული მხარეები, რომლებიც ზღუდავენ კარგი ყმის მისწრაფებებს და მხრად ამ ყმის ტრაგიკული პედის მიზეზიც ხდება. ვაჟის ესაზებოდა ისეთი მომავალი ჰუმანური საზოგადოება, სადაც ინდივიდუალური არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივს და პირუტყვ. მთის დიდი პოეტა, რომელიც თავისი კუთხისა და ტომის ბევრ ზეველებს პატივს სცემდა, არასოდეს არ უოფილა რეტროგრადი და მისი მსოფლმხედველობა ყოველთვის ზოგადკაცობრივი ჰუმანიზმით იყო გასხვიოსნებული.

ვაჟა-ფშაველა გვიხატავს ტრაგიკული პიროვნების, კონკრეტულად — კარგი ყმისა და თემის ერთმანეთთან შეჯახებას. მისი გმირები იმეტომ კი არ ილუპებია, რომ მათ შეგნებულად გადწყვიტოს თავიანთი თემის ღალატი, ან თავიდანვე საზოგადოებისაგან ინდივიდუალისტური განკერძოების გზას დაადგინენ. არა, ყველაზე ტრაგიკულ მომენტში ისინი გაივლიან ღრმა ზნეობრივი კრიზისის მიჯნას, ერთგვარი კათარზის და ახალი, მანამდე უცნობი მორალით გამდიდრებულნი, აღარ უბრუნდებიან აღრინდელ, შინაგანად უშფოთველ ცხოვრებას.

ისინი მტკიცედ იყვენ მოულოდნელი გარდაცემის მომენტში შეძენილ თვალზარისს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს თემის მტრულ დამოკიდებულებას მათადმი. რასაკერაველია, ვეცას კარგ ყმებს შეუძლიათ დაემორჩილონ თემს და ეს უკანასკნელი ყოველთვის უყოყმანოდ ამატებებს მათ, მაგრამ ისინი წუთიერი პროტესტანტები კი არ არიან, არამედ ზნეობრივად ახლად შობილნი, რომლებმაც თვის დამსახური გზა სტბიერტრად მოჭრილია. ისინი მთლიანი რჩებიან როგორც ზნეობრივი ნათელილის, ასევე დამარცხების ეპოს. ამ მთლიანობას მათს არსებაში ბედებს შეგნება ანაზღვეულად მოპოვებული მაღალი ჰუმანური რწმენის სისწორისა თემის ტრადიციებთან და სამართლის ნორმებთან შედარებით. ეს შეგნება არღვევს ტომობრივ და სარწმუნოებრივ თარხავეტილობას — ქრისტიანი ქართველი თავის ბადალს ანუ ლამაზ მშას იპოვის ურჯულო ქისტსა თუ ლეკში და პირუკუ ვეცა მომღერალა ჰუმანური იდეალის საბოლოო გამარჯვებისა კაცობრიობის მორალური წრთვისს გზაზე.

თუ „აღუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მის-პინძელში“ პოეტმა გვეჩვენა თავისი საყვარელი გმირების **ზნეობრივი მარტობა** თანამომავთა შორის, თუ ამ ნაწარმოებებში ავტორი უშთაერეს ყურადღებას აქცევს მთელ გმირში ჰუმანურ მისწრაფებათა გამოვლიძებას და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ სულიერ კრიზისს. „გველის-შამაშელში“ აისახა კარგი ყმის **გონებრივი მარტობა** თანამომავთა შორის. მინდიას კრიზისი არის რწმენის კრიზისი, მსოფლმხედველობრივი კრიზისი გმირისა, რომელმაც ვაიგო ბუნების ენა, მოუწოდა ყველას მასავით კონტაქტი დამუყარებინათ ბუნებასთან, ყოფილიყვნენ ლმობიერნი მცენარეთა მიმართაც, მაგრამ როცა ამ ბუნქტში თემის უმრავლესობისა და ოჯახის მხრით წინააღმდეგობას წაწყდა — თვითონაც უკან დაიხია. ვადაღვა კომპრომისული ნაბიჯი და მისი ტრაგედია აქედან დაიწყოს. მეცა დღეს-ხვალეობითა, ცოტ-ცოტად.

ნელაობითა დაიწყევ თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა.

აღიარებს იგი. მინდია კარგავს ბუნებასთან დამყარებულ კონტაქტს, ხოლო საკუთარი რწმენისა და აზრის წინაშე გაორება დატალური აუცილებლობით მიჰქანებს მას კატასტროფისაკენ. თუ აღუდა ქეთელაურს არ შეუძლია დამწვიდებული იყოს მასში ჩასახული ადამიანური თანაგრძობის შემიდეგ, მინდიას კი აღარ შეუძლია შეუდრეკდეს ბუნების ენის ვაგების უნარის დაყარვას. ქართველი აღუდა და ქისტი გოყურა ბოლომდე ერთგული რჩებიან თავიანთი მრწამსისა, მინდიას ტრაგედია კი უფრო რთულია: მას ვერ უმატიებია თავისი ჯალაბი-

სათვის, რომ ამ უკანასკნელმა პრაქტიკულ საჭიროებათა დამყარებულმა მრისხნოვნე გმირს და აიძულა იგი საკუთარი რწმენის წინააღმდეგ მოქცეულიყო.


„გველის-შამაშელში“ მოცემულია ფარული კრიტიკა ინდივიდუალიზმისა: ყოველგვარი ცოდნა, ჰიპერტროფიულად გაზვიადებული და შეუთანხმებელი საზოგადოების ყოველდღიურ პრაქტიკულ მოთხოვნებებთან, ზოგჯერ კი ამ მოთხოვნებებთან წინააღმდეგევი მიმართული — ჩვეულებრივ მარცხით თავდება. თავისთავად ის ამბავი, რომ მინდიამ გადალაბა ადამიანურ შესაძლებლობათა საზღვრები და „ქაჯური ნიმი“ შეიძინა, უეჭველად მძიმე საფასურად უნდა დასჯდომოდა მას. ამიტომაც მთავარი საფრთხე, რომელიც მოელოდა მინდიას, გარედან არ მოდის: კონსერვატიულად განწყობილი თემი მას პატივისცემით ეპყრობა, აფასებს მის ცოდნას (მინდიას „გამეცნიერება“ არ უნდა გავიგოთ დღევანდელი მნიშვნელობით — ვეცა გულისხმობს ბუნების ენის გულთმისნერ ცოდნას და არა მეცნიერულ ცოდნას თანამედროვე გაგებით). მინდიაც არაფერს ისეთს არ სჩადის, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კონფლიქტი თემთან. გველის-შამაშელის სულიერი დრამის მიზეზი მისივე გაორებულ არსებაშია... რწმენის ღალატი, აზრის კრიზისი საერთოდ, შინაგანად შეიცავს სასჯელს. მიუხედავად ამისა მინდია უუვარს ავტორს და მკითხველსაც.

იგი იდეალისტია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მისი ცოდნა აღბეჭდილია იშვიათი პარაზონით, რასაც ბუნებასთან თანაზიარობა და მისი შინაგანი მისტერიის ცოდნა ანიჭებს ადამიანს.



ვეცა-ფშაველას იმ პოემებისათვის, რომელთაც ჩვენ ზემოთ შევეხეთ, დამახასიათებელია ეპიზოდების **სცენარობა**. როცა ამ პოემებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის მოქმედება მიმდინარეობს ახლა, ნაწარმოების კითხვისას, — ჩვენ მთელი არსებით ვართ ჩამხული ვეცას გმირების ენებთან კვიდილში. ყველაფერი აზვიარებულა, ემოციური ნიადაგური გავარეარებული ლავის მსგავსად მოედინება, მეტყველება ისეა დამახული და შინაგანი მღელვარებით აღსავსე რომ მირავით ქრება აღქმა ფორმისა, რითმებისა თუ სახეებისა, — ესაა ენა ცეცხლის, რომელსაც მარადობის ბეჭედი აზის. ეს შექსპირის მსგავსი ხელგუნებაა.

ვეცას შესანიშნავ პოემებში ყოველთვის დგება მომენტი, როცა ორი მოპირდაპირი და ძლიერი ხასიათი ან ენები ერთმანეთს ეჯახება და მათი კვიდილი მოქმედი გმირების უდიდესი ფიზიკური და მორალური გამოცდის მწვერვალს წარმოადგენს. ასეთია ეპიზოდები აღუ-



დასა და მეცალის, ზეიდაურისა და ქისტების, ქიჩორისა და ასლან-ბეგის სამკედრო-სასილცუ-ბლო შერკინებისა. ყველა ეს ეპიზოდი დიდი პოეტი-დრამატურგის მარჯვენის ქმნილებანია. მათი სცენური დინამიზმი! აიხსნება ის, რომ პერსონაჟების გარეგნობის აღწერისათვის ვა-ყას დრო არ რჩება, თვით მათი ჩაცმულობის მხოლოდ ცალკეული დეტალები თუ ჩნდებიან მოქმედების მსვლელობისას (მაგ, აღუდას თო-ფის საბორი, მეცალის ძვალ-დაკრული ზანჯა-ლი, ფრანგული ხმალი და ნახაღი და ა. შ.). თბრობის დინამიზმი, მოვლენების ელვისებური სრბოლა, საერთოდ, გამოიციხეს აღწერას. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაყას არ შეეძლო გმირების პლასტიკური ხა-ტვა. ვინც მთავრებს „ეთერის“ ზოგიერთ პა-საჟს, ის დარწმუნდება, რომ ვაყასთვის არც მოქმედი პირის გარეგნობის ჩვენება იყო უცხო. სწული ვთერის, კუდიანისა და ქაჯე-ბის სახეები ამის საბუთებია. უნდა აგრეთვე მოვთხოვოთ ზვესურ გვიგის პორტრეტი „მან-დილიში“ (თავი VI), ანალოგიური ადგილები მისი მოთხრობებიდან („დავრჯანი“ და სხვა) და ა. შ. და, მაინც, როცა საქმე ხასიათის შექ-მნაზე მიდგება, თავის საუკეთესო პოემებში ვაყა უმთავრესად ვენებათა ჭიდილის გადმოცე-მას მიმართავს და არა მხატვრულ დესკრიფ-ციას. ამით აიხსნება დროს პარტულიშიც მის პოეტურ ეპოსში: მყობადი სიზრვის სახით აწმყოშია გადმოტანილი (მაგ, „გოგლიაში“ გვი-რის ბედი წინასწარ არის წარმოსახული ცო-ლის სიზმარში; ასევეა „გველის-შამელში“, „ზახტრიონში“ და სხვაგან) ან მოქმედების რეა-ლურ დროშია შემოტანილი მოვრნების სახით (მაგ, „ზახტრიონში“ ციხის აღების ამბავსა და კვირასა და ღუღას თავგადასავალს ჰყვებიან

უკვე ომგადახდილი და შერკინებული თუშ-ფშავე-ბევსურნი).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვაყას პოემების დრამატული სიტუაციების, გმირთა სახელების, ცალკეული მოტივების და თვით მოქმედების სარბიელის ერთგვარობა. ხვეის-ბერი ჩანს „აღუდა ქეთელაურში“, „მანდილ-ში“ და „გველისმქამელში“; ზეიდაური დაა-ლეს დარლას („სტ. მასპ.“), ეს უკანასკნელი მოხსენებულია „სისხლის ძიებაშიც“; უშიშა გე-მოყვანილია „მანდილი“ და „გველის-შამელ-ში“; ვაყას გმირები ხშირად ნახულობენ სიზ-მარს, ბევრი მათგანი ხაზმატის ჯეგარს სწირავს კურატ მოხვერს ან გუდანის დღეობაზე არიან და ასე დაუსრულებლად. ესაა ერთი მთლია-ნი საწყარო, რომელსაც მხატვრის ხელი სხვა-დასხვა კუთხით გვიჩვენებს. იგი შინაგანად ჩაყვრილი და საეგზობით დამთავრებულია.



თავისი გმირების ვნებების დელილს ვაყა-ფშაველა მიიჩნევს ბუნებას შინით მიმ-დინარე პოლარობიების ერთ-ერთ სახედ, რაზედაც ბუნება ჩვეულებრივად ამაღლებუ-ლია. ყოველთვის ეს ცნობილია მისი ლირიკადა-ნაც, მაგრამ ვაყას ეპოსში იგი უფრო რთული და ჭეშმარიტად გენიალური ფორმით არის გა-მოხატული, რაც „სტუმარ-მასპინძლის“ ავ-ტორის მსოფლიო პოეზიის ვიგანტების გვერდით აყენებს.

მართალია, ვაყას პოემებში ადამიანებსა და ბუნებას შორის ერთგვარი კავშირი სუფევს, ბუნება ზოგჯერ თითქმის იზიარებს ადამიანთა ჭირ-ვარამსა და სიხარულს. აღუდას ბედი ნა-წარმოების ბოლოსაა ნაწვევები. იგი თვლ-ქაბიან ამინდში ჯალაბითურთ ტოვებს მშობ-ლიურ თემს, ხოლო ამის წყარო მტერად დგებიან“. აქ აღვე შეიძლება ვითქვით ბუ-ნების მოჩვენებითი თანაგრძობაზე ადამიანი-სადმი. იგივე შეიძლება ითქვას „ზახტრიონის“ ზოგიერთი ადგილის შესახებაც. მაგრამ უკვე 1889 წელს დაწერილ „კობალიში“ დევების განადგურების შემდეგ ბუნებაში სიმშვილისა და წესრიგის დასადგურებაა ხაზგასმული:

ღლა საღლის ნიშნს უჯებს,  
დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,  
ნისლი, ათას მზრით მომდგარნი  
დაიხვეწებენ მთაზედა.

ვაყა-ფშაველას არა ერთხელ აქვს აღნიშნუ-ლი თავის ლირიკულ ლექსებში ბუნების უფარ-დელობა ადამიანთა ბედისადმი, მაგრამ ეპოს-ში ეს თეალსზრისი მას ჩვეულებრივ გამოთ-ქმული აქვს ტრადიციის დასრულების შემდეგ. მაგ, „სისხლის ძიებაში“ (1897) ქიჩორის დაღუ-ბის შესანიშნავი სცენის შემდეგ პოეტი ასე ამთავრებს თბრობას:

<sup>1</sup> ვაყას მხატვრობის ეს მხარე — ეპიზოდუ-ბის იშვიათი სცენურობა — იმ მხრითაცაა საინ-ტერესო, რომ გვითვალისწინებს პოეტის მიღ-რეკილებას სიუჟეტის დრამატურგიული აგებო-სადმი. ამოთვე აიხსნება ის გარემოება, რომ ქართულ მწერლობაში ვაყა-ფშაველა ავტორია ერთ-ერთი საუკეთესო დრამატული თხზულები-სა („მოკეტილი“, 1894). ეს ნაწარმოები სანი-მუნია თეატრალური ტექნიკის თვალსაზრისით — მოქმედების შინაგანი განვითარების ბრწყი-ნვალე ჩვენებით. სცენიურობით ხასიათდები-ან მისი პატარა პიესებიც: „სცენა მთაში“ (1889), „სცენები. (ფშაველების ცხოვრებიდან)“ (1889), „სცენები“ (1889), „ტყის კომედია“ (1911) და დაუმთავრებელი „ბოტრო ფშავეში“. არაა შემთხვევითი, რომ ვაყას მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე არ განულება ინტე-რესი ამ ფანჯარაში, რაც ჩამოთვლილ ნაწარ-მოებთა კრიონოლოგიიდანაც ჩანს.

ათასჯერა სწვიმს, სეტყვია,  
მთებზე ნისლები ჰკიდია,  
ბევრი რამ ხდება ქვეყანადა,  
შეც ცოდვა-ბრალი დიდია;  
ბუნება წარბასაც არ იხრის,  
მაინც მშვიდი და მშვიდია.

„ვეკლეს-მჭამელს“ (1901) ფინალში „მოზა-  
რე ქალის ფერი მთვარე“ წამით დაამტკრებდა  
თავისმკვლელს, მაგრამ აქ მყუდრების პოლი-  
ციიდან არის დანახული მინდიას ხვედრი, და  
ისიც ერთი გაელვებით. პოემის ბოლო ტაქტები  
კი მაინც ასეთ განზოგადებულ დასკვნას შეი-  
ცავენ:

ნიავეც მიმოდიოდა  
უღარდოდა, სელის მღერითა...  
ფრთა ვაკერის წვერსა ხმლისასა  
ამოღერებულს ენითა,  
შაღებოლს ჰიაფერადა  
კაცის გულმკერდის წვენითა,  
და გათამაშდის მწვეანზე  
ლაღად, მოღებენით, სტვენითა<sup>1</sup>.

ყველაზე საკვირველი და პირდაპირ შეუდ-  
რებელი შესავალი და ფინალი აქვს „სტუმარ-  
მასპინძელს“. პოემა იხსნება ქისტის სოფლის  
სურათით, იგი „საამო არის საცქერლად დია-  
ცის უბესავითა“. მაგრამ იქვე, მომდევნო ტაქ-  
ტში, იღნიშნულია, რომ

სოფლის თავს ჰპინავს შავს ნისლსა,  
რომელსაც ის თვისება აქვს, რომ აქედან  
დაიჭერის და  
აბნელებს, უხილავად ხდის  
ქვეყანას ხილულაწასა.

პოემის ფინალში კი, ტრაგედიის დასრულე-  
ბის შემდეგ, როცა დაღუპული გმირების (ღვია-  
დაურის, ჯოჯოლას და ალაზას) ლანდები ძმე-  
რად მიესალმებიან ერთმანეთს და როცა მათი  
„ცქერით კაცო ვერ მღება“,

..... განიღება ჯანი რამ  
ქერუმად შავის ფერითა,  
დაეფარება სანახავს  
წერა-მწერელის წერითა,

მამასადაამე, შავი ნისლი (იგივე „შავი ფე-  
რის ჯანი“), რომელსაც პოემის დასაწყისში  
გადაწეული ფარდის მსგავსად<sup>2</sup> „სოფლის თავს

<sup>1</sup> შტრ. მოთხრობის „დარეჯანის“ დასასრუ-  
ლი: „დარეჯანი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთის-  
ოფელს. ზეცაც დაბნელდა, მთებმა შავი ნაბ-  
დები (ნისლები, ა. გ.) წამოსხეს და მაღლიდამ  
ამაჟად გადმოსცქირეს არავეის ხეობას. არაკვი  
შეუღმერთად, უღარდელად მიაქანებდა თავქვე  
ტალღებს“...

<sup>2</sup> „მოკვეთილი“ ერთი ქისტი გასცქერის ბუ-

ენინა“, ეშვება და ამიერიდან ერთ წუთსთვის  
საბოლოოდ დაეფარება სანახავს... წერა-მწერ-  
ლის (ე. ი. ბედის წერის, ა. გ.) წერითა“: ეს  
იგივე ბერძნული მოიარა და ვეფას იგი შემო-  
აქვს ხელოვნებაში ხალხური წარმოდგენების  
საფუძველზე გამომუშავებული და პერსონიფი-  
ცირებული სახელწოდებით („წერა-მწერელი“).

ვეფას არაერთხელ აქვს გამართებული ეს  
სახელწოდება. იგი ამბობს: „ფშაველი ფაბა-  
ლისტია: კაცს, რაც შეიძლება აწერია, ის არ  
ასცდება; კაცი უმწერლოდ, ესე იგი თუ არა  
წერით არ მოკვდება“. მეორე ადგილას ვეფა  
საგანგებოდ განმარტავს: „წერა-მწერელი: და-  
ხადებდიდანვე ღმერთი კაცს ბედს, ან უბედუ-  
რებას დაწერსო. „უმწერლოდ კაცი არ მოკვ-  
დებაო, ამბობს ფშაველი“. ამ რწმენითა ვამს-  
კვალელი ვეფას ზოგიერთი პოემის ვმირი. მაგ.  
„ხის ბეჭენი“ მონადირის ეუბნებთან „უმწერ-  
ლოდ მწერიც არ კვდება! რატომ არ იცი, ვე-  
ფაო“. მთელ რიგ მოთხრობებსა და ენოგრაფი-  
აფულ წერალებში (გასამართლებელი ჩიზუ-  
ხი“, „ჩაღბია“, „მთაბედილებანი“, „ფშაველი  
და მისი წუთისოფელი“ და სხვ.) მწერლის თერ-  
სონაჟები აგრეთვე განგებულს შეილებად სერი-  
ან თავს... შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით  
პოეტისათვისაც ბუნების შიგნით მიმდინარე  
დრამატული კოლიზიები წამიერი ხილვა იყო  
მზოლოდ. „ერთი წელი და ათასი ბარდაბარია  
ქამისაო“ — ამბობდა ვეფა. ბევრი მისი პოემის  
მიხედვით ზოგჯერ ძნელი სათქმელია — სად  
თავდება ფანტასტიკური და სად იწყება სინამდ-  
ვილე. ცხადია, მზოლოდ—ვეფას ხიბლავს, მსგა-  
ვსად გოეთესი („მგზავრის დამეული სიღერა“) და  
შექსპირისა („ქარიშხალი“), ბუნების დამოშ-  
მინება, დისონანსების მიხედვება, დრამატული  
კონფლიქტების დაცხრომა, — საერთოდ, ბუ-  
ნებაში მიმდინარე პოლაროზაციის დასრულება.  
ყველაფერი იმთქმება მარადისობაში, რათა  
ოდესღაც ხილულსა და ხელშესახებს სიზმარე-  
ულის სახე მიეცეს და იმ შავი ფარდის მიღმა  
დარჩეს, რომელიც წერა-მწერალს ხელთ უკუ-  
არია. ამ ფარდას კი

ვერც შეულოცავს მლოცველი,  
ვერც აიხლება ხელითა...

ასე წარმოვეიდებება ჩვენ ვეფა-ფშაველა —  
შემოქმედი, რომლის მხატვრულმა ნიჭმა მსოფ-  
ლიო პოეზია გაამდიდრა ქართული მითოსის  
სიღრმეებიდან მომდინარე ხილვებით.

ნებას და ამბობს, რომ მთებს ნისლი აქეთ  
მობმულიო. რემარკაში შემდეგ ეს „ნისლი  
აიწვეს“. „მთათა ერთობის“ ფინალში ნათქვამია,  
რომ „გადეხური ეთი ძაძაქ მთებს ჯანი მი-  
რით-პირამდიო“. ნისლის ფარდას აქ ალგო-  
რიული მნიშვნელობა აქვს შეტანილი.

3. გეგმვილი

ვაჟა-ფშაველას რომანის პუბლიცისტი

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პუბლიცისტურს, რაც თითქმის მთლიანად თავმოყრილია პოეტის თხზულებათა VII ტომში.

ვაჟა ფრიად მაღალი წარმოდგენისა იყო, საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის მოყვანი, იმას უნდა ედღეობდეთ, „ვეგები სასარგებლო რამ ვაჟა-გონოთ ქვეყანას, შეემატოთ რამ მის გონებას და ხეობასაო“ („რამე-რემე“, 376). იგი მუდამ იმის ნატვრაში იყო, „რომ ვეგები ჩვენი მწერლობა გაძლიერდეს, ნაბეჭდმა სიტყვამ მოპოვოს ბინა ხალხის გულსა და გონებაში“, წერა-კითხვა, ექრანალ-გაზეთები, წიგნები ფართოდ გავრცელდეს, რადგან, მისი რწმენით, „მწერლობა ძალია, ერთი უმთავრესი იარაღთაგანი, ერის წინსვლისა, მისი გონების და ცხოვრების გაუკეთებისა“ (იქვე, გვ. 377). მაგრამ ამგვარი შედეგის მიღწევისათვის საჭიროა, რომ მწერლობას „ყოველი წელით, ავი თუ კარგი, თავის ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვესაჲ შეაგნებინოს“.

ვაჟა ვადამით ებრძვის შეხედულებას, თითქმის ზელოვნება, კერძოდ, მწერლობა მართოდენ ზელოვნებისათვის იყო მოელენილი. იგი ზელოვნების ცხოვრებისეული ინტერესებისა და მორჩილების იდეას ქადაგებს. „მწერლის სული და გულის ქონა იქნადაჲ სიზნა, აქვს რამე იდეალი, უყვარს რამ ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიყვით, თუ არა. თავი და თავი მიწის შევლია, ჩემის ფეჭრით. ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიყვით-სიყვით. მწერალი კიდევ, როგორც გამოშატეული ცხოვრებისა, ესათოდ ამ წრეში უნდა ტრიალებდეს, მისი გრძნობა იმას უნდა დადგოდინებდეს, თვისი ცხოვრებდაჲვე გამოდინარე, თვით ცხოვრებისაგან შობილი“ (ფეჭრები“, 1891 წ. გვ. 193).

ნიმუშად ვაჟა ილია ჭავჭავაძის, სერვანტისის, შექსპირის, ლომონოსოვის შემოქმედებას ასახელებს. ჭეშმარიტი „ზელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევს“ განუხრებლად. საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოჭრილი საჭიროების საშისებრი ზელოვნების, მწერლობის პირველი მოვალეობაა. „ტუთილად ვინმე იტყვის იმას, რომ ვე ტენდენციური პოეზიის საქმეა და არა

ნამდვილის პოეზიისაო... სინამდვილეში აქველა პოეტური ნაწარმოები, ასე თუ ისე, ტენდენციურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვადასხვა კერძისაა“ (გვ. 381).

ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ქადაგებდეს. კერძოდ, მწერლობას სიმართლის სათქმელად ორი ფორმა აქვს, „ერთი პოეტური-ბელეტრისტული და მეორე — პუბლიცისტური“ (გვ. 378). როგორც მხატვრული, ასევე პუბლიცისტური მწერლობა ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, ორივეს ერთი საგანი აქვს. ესაა „ცხოვრება, მისი მოვლენანი, ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი“. საერთოდ, პირველი — მხატვრული მწერლობა — უფრო ძლიერია, მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო ღრმად აღელვებს ადამიანს. „პუბლიცისტი კი ცხოვრების მოვლენათა არკვევს და მის მიზეზებს უჩვენებებს... პუბლიცისტიკა მეცნიერება, პოეზია, ბელეტრისტია — ხელოვნება.“

პუბლიცისტი მოწოდებულია აღწეროს არა მხოლოდ მოვლენები, შედარებებისათვის სტატისტიკური ცნობები მოიშველიოს და სხვ., არამედ გააშუქოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური პროცესები. მასთანადავე, გამოიკლიოს მათი მიზეზები და უზენაოს კანონზომიერებანი. ვაჟა იზიარებს კ. ბიორნეს, ამ „აღდებულ პუბლიცისტის აზრს“: „თუ ვინდა ორგინალური, თავისებური მწერალი დაგიბობინ, სწერე, ისე, რასაც ჰფიქრობ, ისე, როგორც ჰფიქრობ, როგორც შენს სულსა და გულს უნდოდეს, მოსწონდესო“. (VII, 192).

განა, ვინაყო ჰციციან?!

აღუდას ეგვიროვნება ტომობრივი ფანატიზმით  
შეზღუდული სარწმუნოება. მას ეეკვება სის-  
წორე ზოგიერთი ტრადიციული დოქტრინისა,  
თუმცა სწამს, რომ „ლთოშვილთ უკერეს იცი-  
ან“. ამის რწმენა გააბედვინებს შემდგომში  
აღუდას უფლისათვის მსხვერპლის შეწირვას  
მეცალის ხელის მოსახსენებლად.

აღუდა მარჯვენის მოსაპურად ვერ იმეტებს  
მოკლულ მეცალს. რატომ? იმიტომ, რომ მასში  
გაღვიძებული უღრმესი ადამიანური ინსტინქტა  
ჰყარნახობს, რომ ეგ ადამიანისათვის  
არამუნებრივი საქციელია: „გული გამოწყრა,  
აბა ქენა, რაც საქენია ძნელადა“. შემდგომ  
აღუდა აბსოლუტურად ვეღარ ეგუება ასეთ  
სიველურეს. პოემის მკითხვე თავში, როცა შინ-  
დაა მეცალის მოჭრილ მარჯვენას მოუტანს,  
მას შეხედვად ეხარება იგი: „წაილე, თუ გვიამ  
უფალი, ნელარ მანყევბ თვალთა“. ამას  
იტყვის აღუდა ქეთელაური, რომლის ქვეზე  
„ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია“.

ამრიგად, მეცალთან სამკვდრო-სასიცოცხლო  
ორთაბრძოლაში პიროვნული განცდების მთელი  
სიღრმითა და სისავით ჩაბმულ აღუდას უნე-  
ებურად გაეხსნა რადიკალიზო შინაგანი თვალთ  
თუ გულისუფრო. ამ წამიდან იგი დაკენებით უს-  
მენს საკუთარი არსების უღრმეს შრეებში გან-  
ხმულ, მისთვის ჯერ კიდევ ბუნდოვან ქვეშა-  
რიტებათა ხმას.

აღუდა დანთქმულია საკუთარ გულში. მას  
„პირს დასწოლია ნისლები გულთ ნაღვნი შა-  
ვია“, რაც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ  
არა მძიმე დეპრეტიბი. გამარჯვებულ აღუდას არ  
ეწონება თავი. აღუდა შინაგანად ფერხეც-

გული უახლოვდება შატოს. მაგრამ შატოლი ისევ ისეთაა, როგორც აღუდას წასვლამდე იყო. შეურყეველი, გველისაგან ლიზოგაქრებული ქვეებით, რომლებზეც ურჯულთა ხელებს მზის შუავე სხივები აღნობს. და მომდევნო მონაკვეთში ვაგი აღწერს წუთისოფელში კაცთა მტრობის შემზარუნ, გოგოხებუთურ სურათს. შატლის პირქვეში ცხოვრების ფონზე ეს წიაღსვლა აღუდას მძიმე, ქვეცნობიერი განწყობილების შესატყვის აზრთა მდინარეებს უნდა გამოხატავდეს:

ვისაც მტრობა მსწყურდეს,  
გააღოს სახლის კარია,  
სისხლ დაიგუბოს კერაში,  
თვითონაც შიგვე მდგარია.  
ღვინოდაც იმის დაძლევდეს,  
პურადაც მოსახმარია.  
პირჯვარი დაიწეროდეს,  
მითამ საყდარში არია,  
სისხლშია ქონდეს ქორწილი,  
იქ დაიწეროს ჯვარია,  
დაიპატიოს სტუმრები,  
დაამწკრიოდეს ჯარია.  
სისხლში დაივოს ლავინი,  
გვერდს დაიწვიოს ცალია.  
ბევრი იყოლის შეილები,  
ბევრი ვაგი და ქალია.  
იქვე საფლავი ვათხაროს,  
იქ დაიმარტოს მკვდარია.  
შენ რომ სხვა მსკეა, შენც მოკ-  
კვლენ,  
მკვლელს არ შარჩენს გვარია.

აღუდა ამ მარადი მტრობის მორცხვია ჩათრეული. დაბადებიდან სიკვდილამდე სისხლში ღვას კაცის მკვლელი კაცი. იგი სისხლს სემს ღვინოდ და სისხლს სემს პურად. მისი ხვედარი მარადი სისხლისღვრა და ბოლოს მტრის ხელით მიღებული სიკვდილია.

პოემის ეს ერთერთი უძლიერესი ადგილი ვაგას რემპაის ფარგლებში რჩება, ვინაიდან ქეთელაურისათვის აქ გამოთქმული აზრები ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული. ზემოთ მოტანილ ნაწყვეტთან ორგანულ კავშირშია აღუდას სიზმარი, სადაც კონკრეტული თვალსაჩინოებობაა მოცემული ის, რაც ზოგადად არის გამოთქმული პოემის მეორე თავში. აღუდას სიზმარი ფსიქოლოგიურად უღარესად საინტერესო ადგილია, სადაც გმირის სულში მიმდინარე უღრმესი პროცესები არის ნაჩვენები. ეს უკვე აღარ არის რემპაკა, სიზმარს თავად აღუდა ჰყვება, რაც არა მარტო იმაზე მეტყველებს, რომ მას კარგად ახსოვს სიზმარი /და ამდენად სიზმარი მნიშვნელოვანია მისთვის/, არამედ იმაზედაც, რომ ადრე თუ გვიან აღუდა მის სრულ ობიექტივაციას მოახდენს. სიზმარი ასე იწყება: მიცვალებულის ირგვლივ სალაშქროდ გამხადებული ხეხურები ისხდნენ

და იდგნენ. აღუდაც იქ იყო და სხვეებს ავით „სალაშქროდ ქონდა გუშინაო...“ სიზმრის ასეთი დასაწყისი იმას ვეაფხვებს, რომ აღუდა ქეთელაურში ძველი ჩვევა მოკლულისათვის სისხლის აღებისა ჯერ კიდევ ძლიერია, რომ მას საბოლოოდ არა აქვს დათრგუნვილი დაბადებიდან სისხლში გააქდარი ტრადიციული ზნეჩვეულებანი. „ხანი მოვიდა წასვლისა“ და ამ დროს აღუდას „ხანჯრის ტარი“ ჩაუდგა ხელში ვიღაცამ. აღუდამ შეხედა და მუცალი იცნო. მაგრამ როგორ წარმოუდგა ქეთელაურს მუცალი?

გულზე ემწინეა ნიშანი  
მე-ღ იმის ბრძოლის წამისა,  
ფვინა ნატყვიარშია  
ლუგა საფევი ბრძამისა.  
კლდედ იდგა, ვაუტეხადა...

ეს ნაწყვეტი ანალოგიურია შატოს მობრუნებული აღუდას მიერ მოყოლილი ბრძოლის სურათისა. აღუდა ხვესურებს უყვება თავის ორთაბრძოლის ამბავს და არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ:

მეკრღზე ნაკრავმა ტყვიამა  
კაუნაძომა გულია.  
ნატყვიარს ბრძამით იფეედა,  
ისრე დალია სულია.  
სულს არ აცლიდა ამოსვლას,  
კიდევ მიხსენა რჯულია.

აღუდას ცხოვლად ჩარჩა გულში სახე თავგანწირული შემართებით მებრძოლი მუცალისა იმიტომ, რომ ბრძოლის ამ კულმინაციურ მომენტთანაა დაკავშირებული ქეთელაურში მომხდარი დიდი ფერისცვალების აქტი. სიზმარში, სალაშქროდ წასასვლელად ამდგარს აღუდას, რაც მისგან უარყოფილი ძველი ჩვეულების კვლავ გამარჯვების ჯადოდა იქნებოდა, მუცალის სახით მოვლენილი, მასში ახლად გაცნობიერებული ჰუმანურობის ინსტიტუტი აჩერებს, რადგან ძველი გზით სიარული მისთვის შეუძლებელია. უცრემლო მუცალი სიკვდილს ეგადრება აღუდას:

თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,  
მე კი წაიღე ქვეყნითა.  
დაძლით ხვესურთ შეილებო,  
ლაშქრობით, ხმლების ქნევიითა.

მუცალის ეს სიტყვები თვალნათლივ დაანახებს აღუდას თავის უკვე განვლილ, სისხლიან ცხოვრებას, რომელშიც იგი სისხლს ღვინოდ და პურად ხმარობდა. აღუდა მთელი სისავსით და სიკვდილთ საცნაუროფს თუ რას ნიშნავს „ლაშქრობით ძლიერა“:

დაეჯე, ჯამ ვინამ დამიღჯა,  
კაცის ზორც იყო წვნიანი,  
ესკამდი, მზარადა თუმცადა  
კაცის ხელფეხი ძელიანი.

რას ვსწავლი, ვსჯავრობდი,  
უშსგავსი, შანგენებელი,  
ჭამეო, რამამ მიძახა,  
ნუ ჰხედები გამტერებელი...

ალუდა ქეთელაურის გაღვიძებულმა ადამიანურმა გულმა იგემა საშინელება კაცუკამოზი-სა და ტანჯუითა და წამებით განვლო ეს ჯოჯოხეთი, რათა მეტად არასოდეს მობრუნებოდა მას.

„ალუდა ქეთელაური“ წინა პლანზე წამოწეული მთავარი ფსიქოლოგიური მომენტებით დატვირთული სიტუაციები და გმირის სულიერი მდგომარეობის გამსწავლი წიაღსვლები. ყველაფერი დანარჩენი უკანა პლანზე გადადის ან სრულიად ქრება.

ქისტემა ხვესურებს მოპარეს ცხენები, რომლებშიც ალუდას „უთიანიც“ ერია. ალუდა ცხენების დასაბრუნებლად დაედევნა ქისტებს. მისი მთავარი მიზანი ვე იყო. პოემის მთელ მანძილზე ერთი სიტუაცია აღარ არის დამჩრდილი ამ ცხენებზე და მხატვრული თვალსაზრისით ეს საფრთხილით გამართლებულია. პოემის მაგისტრალური იდეის სიმძიმე სხვა პირობებზე ვადატანია, რომლის სიმართლე ცხენების წასვლა მხოლოდ სხაბის მნიშვნელობის ინარჩუნებს.

ალუდამ მარჯვენა არ მოსტრა მეცალს. შატრილიონებს ჰკონიათ, რომ ქეთელაური გამოექცა ქისტისშვილს. „მართლის“ გასაგებად ბრძოლის ადგილზე მიდის დარბაისელი მინდია: „დღესაც მოგვით მინდია, მანამ დამრძანდეს მრავალი“ ე. ი. დღემდე მდგომარეობა. ალუდა ცისკრის ემს წაეიდა საომრად და შუადღეს დაბრუნდა შატრის, ამიტომ მინდიას ეს სიტუაციები დამაჯერებლად ედგინა. მინდია მიდის. ამ ადგილს მესამე თავი მოსდევს, სადაც ალუდა უარს ამბობს ემსმანზე: წუხელ ცუდ სიზმრებ ესინჯეთ“. „წუხელში“ ნაფელისმეფეია ალუდას შატრში მოსვლის პირველი ღამე. მაგრამ გადის მეორე ღამეც და მხოლოდ გათენებისას ჩნდება მინდიას „წითლი“. მინდია ორ დღედაც მეტ ხანს უნდება წასვლა-მოსვლას. აქ ამკარა შეუსაბამობაა დროში. რას უნდა გამოიწვიოს ეს შეუსაბამობა? მე ვფიქრობ, მესამე თავის ჩამართვას, რომელაც სიტუაციური ხანის ვარჯიშად დას და რომელიც აუცილებელი იყო ალუდას სიღრმისეული ბუნების გასინსათვის. პირველხარისხიანი მნიშვნელობის ფსიქოლოგიური მომენტი პოემაში ერთგვარად ავიწროებს და ნაწილობრივ არღვევს მეორეხარისხიანი მნიშვნელობის მხატვრული ელემენტის მთლიანობას.

ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ პოემაში დომინანტური როლი მიეკუთვნება აქვს გმირის შინაგან ბუნებაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესების ჩვენებას. მათი ძირითადი სიმძიმე გადატანობა ისეთ ადგილებზე, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ სიტუაციურ ხა-

ზთან, „ალუდა ქეთელაური“, ვეცას სხვა პოემებისაგან განსხვავებით, ეს პროცესები მხოლოდ ნაწილობრივ იხსნება სიტუაციის საზღვრებში. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ალუდას მთლიანობაში წარმოღვევნა. მას მეცალაური თანაბრობის შემდეგ დიდი საფიქრალი გუნდნი და ალუდასაგან იგი ღრმა დაუნჯებას მოითხოვდა. ბრძოლიდან შატრის წამოსულ ალუდას „გულით ნადენი, შავი ნისლი დასწოლია პირზე“. როცა ალუდა მეცალთან ბრძოლისა და ხელის არმოკრის ამბავს მოუყვება თვისტომთ, ისინი „ტყველად“ გადაიქცევიან, „ხმელად შეუძრახინან“ და „ქაულად გადაქცევიან“ დაბარლებენ ალუდას. მოსალოდნელი იყო, რომ ფიცი ალუდა გაბრუნებოდა ამ სიტუაციაზე, მაგრამ იგი ინდიფერენტულად შეხვდება მათ კიბეებს. ალუდა არავითარ რეაქციას არ აშუქავს, იმიტომ, რომ მას უფრო დიდმნიშვნელოვანი რამე ადევნებს, რაზედაც გამუდმებით ფიქრობს.

პოემის მეორე და მესამე თავი ალუდას ქვეცნობიერი განწყობილებებისა და ფიქრების შესატყვის აზრთა მდინარებას გამოჰხატავს. იგი ხატობაზე დაფიქრებული მოცა — „ნისლით მოდგება“. არის ცოტანება ეს პოეტური სახე გაიზრო, როგორც მეცალთან ალუდას შერყენების შემდეგ ქეთელაურის გულიდან „ნადენი ნისლის“ ანუ ფიქრის მიერ მისი არსების სრულად გამსჭვალვა. ალუდა თითქოს საკუთარ გულში აღჭრულმა ფიქრმა ე. ი. ნისლმა სრულად მოიკვა და ამიტომ თითქოს „ნისლით მოდგა“. რა თქმა უნდა, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ვეცას ასეთი გააზრება ჰქონოდა, მაგრამ გამორიცხული არც ისაა, რომ ავტორის უნებურად ამ პოეტურ სახეს სწორედ ეს აზრი ჰქონდეს.

ხატობაზე გამოაშკარავდება უკვე მოწიფებული კონფლიქტი ალუდას უჩვეულებად გაზრდა პიროვნებასა და შატრის კონსერვატიულ საზოგადოებას შორის. ეს საზოგადოება ხვეისბერის პირით დასწყველის და მოიკვეთს ქეთელაურს, როგორც უღირსსა და მისთვის საწინააღმდეგობის. „პოემა მთავრდება კლასიკური ტრადიციის ღირსი განადიდოვანი სიტაითი“ /გ. ქიქოძე/. თოვლსა და ქარბუქში მისი გუქვალად ბილიკებზე მიდის მგზავრი, რომელსაც უკან ჯალაბი მოჰყვება. მგზავრის შეგნებული აქვს თავისი ზედაპირი გარდუვალობა, რაიც მისმა მტკიცე და შეთრფივებელმა გადაწყვეტილებამ მიაგო მას. იგი სტოიკური სიმშვიდით იღებს ამ ზვედრს, რადგან იგი მისივე რწმენის ნამუხარია. დედისა და ცოლისათვის, ისევე როგორც დანარჩენ თვისტომთათვის გუფგებარია ამ „მოდულად მხედი“ კაცის ახალი რწმენა. მგზავრმა უნდა გადალახოს ჭედი. აქ იგი მიობრუნებს თავს, რათა უკანასკნელად გამოეშვიდებოდეს თავის სალოცავეებს, მიწაწყალს, სახლკარსა და „შტერად დამდგარ“ მწვერვალს.

გაღვიდენ, ქედი გარდაეღეს,  
თხრილი აღარ ჩანს ქვალისა.  
ერთი მისმა შორითა  
მწარე ქვითინი ქალისა.

აღუდა ქეთელური ზოგადი სახეა ადამიანისა, რომელიც რაჟი ერთხელ მისწედება მისთვის მანამდე დადარულ ქეშმარიტებას, პიროვნული ძლიერებისა და მონოლითური ბუნების გამო, ბოლომდე ჩაჰყვება და გაიციანობიერებს მას, ხოლო შემდეგ შეუდრეცლად მოახდენს მის აქტივიზაციას. აქედან გამომდინარე, მისთვის სახიფათო შედეგების მიუხედავად, აღუდა ტიტანურ სულიერ ენერჯიას ამედიანებს, სძლევის რა მისთვისა და მთელი მისი გეარტომისათვის სისხლსორცეულად განინაგნებულ მამაბაბურ ჩევეებსა და რელაგიურ კანონებს. აღუდას ცოცხალი ადამიანური გულის ქეშმარიტება შემოაქვს თემის სამართლისა და სარწმუნოების ტრადიციულ წესებში. საზოგადოების თვალსაზრისით იგი დიდ მკრებელობას ზადის, როცა თავად ჰკლავს მუცალის სულის მოსახსენებლად შეწირულ მსხვერბლს. მაგრამ ეს მკრებელობა სარ-

წმუნობას უარყოფამდე არ მიდის. აღუდა მხოლოდ მის გაქვავებულ ფარმებს ტრელოფს, ფორმებს, რომლებიც აღასწერს მისი პიროვნებაში გაღვიძებულ ახალ ქეშმარიტებათა უფრო მაღალ შინაარსს. ქეთელურს სწამს უზენაესობა გუდანის ეჯარისა, ამიტომ ახვეწებს ასეთის გულმუხრვალებით ბატონს მუცალის სულს და ამიტომვე ტუქსავს დიაცებს პოემის უკანასკნელ თავში „ეჯარს არ აწყინოთო“. მაგრამ იგი არ იზიარებს ტომობრივი ფანატიზმით შებოჭილ მის დოქტრინებს, რომლებიც მას „მონათლავში“ გმირის ე. ი. თავისი მსგავსი ადამიანის დანახვას უტარდავენ.

„აღუდა ქეთელური“ „აშენებელია“ მარტივ ხეესტრულ თქმულებაზე; ეს თქმულება ემპრიონალურად შეიცავდა პიროვნების შინაგანი ბუნების განვითარებისა და ამაღლების იდეას. ვაჟამ მისთვის ორგანულად მახლობელი მთიელ ქართველთა ცხოვრების მიკროეთნოგრაფიულ, სოციალურად არქაულ წიაღში გაშალა იგი, რითაც იშვიათი დამაჯერებლობა და განუყოვრებლობა მიანიჭა ნაწარმოებს.

## ახალ ღვინისაჲში

# ვაჟა-ფშაველასა და საბავშვო ლიტერატურას

ვაჟა-ფშაველას პროზამ ქართულ საბავშვო ლიტერატურას ღრმა კვალი დააჩნია, მისი პროზის სურათოვნება განსაკვირებელი და მომხატვრულია, იკითხება როგორც უმწვენიერესი პოეზია, მოსასმენია როგორც ემოციური სიმღერა. ვაჟამ არა მარტო ბუნების სილამაღე გადამალა და გააძლიერა მისი ნისლის საფარი, არამედ მკითხველს დაანახა მისი უკიდურესი და უსაზღვრო შეცნობის საიდუმლო სიღრმეც. ვაჟას პროზაში განსაკუთრებულია უღრმობით არის გამოსახული ბუნების სილამაღე, ფრინველთა, ცხოველთა და მცენარეთა გააღრმავებული განცდათა ძალა. მწერალში საუკეთესოდ გამოვლინა თავისდროინდელი უკუღმართობა და სიბოროტე. ვაჟა-ფშაველას სწამს მაღალი სიყვარული, მაგრამ სიბრალულს უფრო მაღლა აყენებს. სიყვარული ყველას შეუძლია. სიბრალული კი არა. აი ეს სიბრალული, ჰუმანურობა ახასიათებს ვაჟას პროზას. მის გვერდით იგი ბრძოლას უცხადებს უსამართლობას, დაუღმარებლობას და ცხოვრების ყველა მანკიერ მხარეს, რომელსაც ასე მოქნილად ჰკიცხავდა ბუნებიდან აღებული მისალი. შეიძლება თავისთავად ბუნება არ იყოს დაკავშირებული იდამიანთან, მაგრამ იდამიანი რომ არა მარტო დაკავშირებულია ბუნებასთან, არამედ მისი მფლობელიც, ეს ვაჟას ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევა.

ვაჟა-ფშაველას არა მარტო პროზა არის შეუსწავლელი, არამედ მისი ბავშვებისათვის დაწერილი ლექსებიც არ არის სითანადლო შესწავლელი. ისიც უნდა ითქვას, ბევრი მისი ლექსი თავისი მაღალი პატრიოტული იდეით, მორალით არ გამოყოფილა ცალკე უმარტოებისათვის და საერთო თხზულებებში მათთვის თითქმის შეუმჩნეველი რჩება. ვაჟას უბრალოდ კი არ ითქვამს ერთ თავის ბრწყინვალე ლექსში:

რად ჰმალავს ვაჟაკის დარღსა,  
გვითხარა, რად სტარის, რაზედა?  
ვაჟაკის დარღის შატყობა  
სხვათა მთავრის კეთილად!

ჩვენ საქართველოში მიგვაჩნია ცალკე იყოს შესწავლელი ვაჟას ლექსები, რომლებიც უმარტოებისაში ზრდის გულმართობას, რაინდობას,

გმირობას, სამშობლოსა და მომშობთა სიყვარულს, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის უნარსა და ქვეყნის მტრის სიძულვილს.

•  
•

ვაჟა-ფშაველას საბავშვო პროზა დაშორებული არ არის მისი მშალავი შემოქმედების ძირითადი იდეებისგან, როგორც ეს ვიხილავთ ვაჟა-ფშაველის, ირ. ევდოშვილის, ლეო ქიანელის და მრ. სხვათა ნაწერებს, არამედ წარმოადგენს მისი კანონზომიერ თანდათან, მწერალი საბავშვო პროზაშიც ააშკარავებს უბედლო ოსტატობას, მაღალ მხატვრულ აღზოიანობას.

ვაჟა ბავშვებისათვის ლექსებსა და მოთხრობებს შემთხვევით არა წერდა, რადგან მას საბავშვო ლიტერატურაზე საკუთარი შეხედულება ჰქონდა. მწერალს არასოდეს დაუჯერავს მაღლა — ქვეყნიერებისათვის ეცქირნა ბავშვის გულუბრყვილო თვლებით, მისი ბუნების დიდი სიყვარულით, რომ ცხოვრება მისთვისაც, როგორც ბავშვებისათვის, ყოფილიყო რაღაც მომხატვრული და ზაბარო. გულუბრყვილობა და სიბრალე, იღუმალობა და სიზუსტე, წინაგრძობა და დაკვირვება, შესაძლებელი და დარწმუნება — ყველა ეს კონტრასტი ერთ მთლიანობით არის შეკრული ვაჟას საბავშვო პროზაში და მომდინარეობს მხოლოდ მწერლის ნათელი გონებიდან, ნაზი, დარბაისიერი, ლირიკული განწყობილებებიდან, სიხარულიდან და მწუხარების შეთანახმებულობის გრძობიდან. იგი ფაქტობრივად არჩევდა ისეთ თემას, რაც ბავშვის სულს ზეამაღლებდა, განასპეტაკებდა, მაღალ ჰუმანურობას განუფიქრებდა, სამშობლოს ცის და მიწის შეაყვარებდა.

ვაჟა-ფშაველა გარკვეულ შეფასებასა და იდეოლოგიას ანიჭებდა ერთს ცხოვრებაში საბავშვო მწერალს. ე.ე. ვაშაშვილის იმ წერილით აღფრთოვანებული, რომელიც მიმდევნა შოი მღვიმელის, „იმ უმარტოთა გულთა მშალავის“ მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ საღამოს, ვაჟა წერდა: „შოის ყველანი პატარა კაცად სთვლიან; ჩვენი შოი, ჩვენი შოი და არავინ ფიქრობს იმას, რომ ეს პატარა კაცი

იმევე დროს ძალიან დიდი კაცია; მისი დეაწლი დიღმინწუნკოვანია. ვინც ბალღებს კეთილ-გონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამა-ბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათვისილი კეთილი თესლი დიდობაში უზგად გამოიღებს ნაყოფს... ნერავის ჰგონია ადვლიი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწე-რა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არ ლუთიერი ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, რაღც ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს უახლოვებს 40 წლის ადამიანს (ე. ი. დიდსაც საამოვნებას ჰგვრის, ა. დ.) არ შეუძლიან გაზ-დეს საბავშვო მწერალი."

ვაგა-ფშაველა ამ მოვალეობის შეგნებით მიუ-დგა საბავშვო ლიტერატურას და ფასდაუდებე-ლი შემკვიდრებობა დაუტოვა თავის ქვეყნის მომავალ თაობებს. მსოფიანი საბავშვო მწე-რის ნინო ნაკაშიძის გადმოცემით, ვაგა დრო-დიდრო ჩამოდიოდა ჩარგალიდან და „ხურჯი-ნით ჩამოჰქონდა დასტა-დასტად დაწერილი სა-ბავშვო მოთხრობები და ლექსები და მათი დაბეჭდვისათვის თავგამოდებით იბრობდა“. ოღონდაც! მწერალს ამ უბრალო ხურჯინით ჩამოჰქონდა ლიტერატურული უძვირფასესი მარგალიტები, თითოეული მარჯვე მოქმადე-სათუთ რომ ჭარწავდა და, ცხადია, ცლილობდა მის დაბეჭდვასაც, იყოდა, რომ ქართული ბავ-შვის ფორმირებას ჰემანერ მიმართებას მის-ცემდა მისი ნაწერები.



ვაგა-ფშაველას უკვე ხუთი წლის ლიტერატუ-რული გამოცდილება ჰქონდა, როდესაც 1885 წელს პირველად დაბეჭდა მამინდელ ერთოდ-ერთ საბავშვო ჟურნალ „ნობათში“ თავისი ლირიკული შედევრი „შელის ნერკის ნა-ამბობი“, რომელმაც მამინ ქართული მკითხ-ველი მოხიზლა, ხოლო ბავშვებისათვის იმ დღიდან დღემდის ერთ უსაყვარლეს საკითხვე მოთხრობად იქცა. ამ თავის პირველს მწერა-ლა რატომღაც ოთხი წელიწადი ელოლივა და არ გამოაქვეყნა. ვაგა თავის წერილში „სტიტი-კა ბ. იმ. ვართავგასი“ წერს: „უველა ჩემი ნაწერები, გარდა „შელის ნერკის ნამბობისა“, „მოხუცის ნათქვამისა“ და „დარჯჯანისა“, იმ წელს არიან დაწერილი, რა წელსაც იბეჭდე-ბოდნენ, ხოლო პირველი ორი მეოთხე წელს დაიბეჭდა...“ ვაგამ თუ „შელის ნერკის ნამბო-ბი“ ოთხი წელიწადი უბოთ ატარა, ეს ხომ არ არის იმის მაჩვენებელი, რომ მას ბავშვებისათ-ვის ჰქონდა რა დაწერილი, არ უნდოდა სადი-დო ჟურნალ-გაზეთში დაებეჭდა და ადრესა-ტისათვის დაეკარგა. თავისი წინაგრძობით დი-მედებული თითქმის საბავშვო ჟურნალის დაბა-დებას უცდიდა, ამას ვარდა, როგორც ჩანს, ეს ბრწყინვალე მოთხრობა ვაგა-

ფშაველას სამწერლო ასპარეზზე უკმაყოფი-ლის პირველ წელსვე შეუქმნია უკმაყოფილე-ტი-წაფეობის პერიოდში. ეს ხომ უსტეტაკის პე-რიოდია, როცა ვამაწიელი ყველაფერს კითხუ-ლობს გულის თრთოლით და დიდად განიცდის. ვაგა საბავშვო ჟურნალების „ნობათში“, „ჯე-ჯილისა“ და „ნაკადელის“ მუდმივი და ერთ-გული თანამშრომელი იყო.

ვაგა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები, რო-გორც უემოთაც ვთქვით, არის კარბივე პატარა ზღაპრების ბუნების სამყაროში შესასველვად, რაც მათთვის დიადია, თვალწვედნი და საკვირ-ველი.

ვაეასათვის უცხოა ყოველგვარი რიტორიკა და ყალბი პათოსი, მისი მოთხრობების მაღალი ღირსება სწორედ ის არის, რომ მწერალი არა-სოდეს „აბავშვებდა“ ბავშვებისათვის დაწერილ-თავის მოთხრობებს, ჰქმნოდა მათ ხელოვნების მაღალი ნიმუშიად.

ვაგა-ფშაველა ფშავე-ხვესურეთის მობინად-რეა, მისი არწივი. ის მუდმივად ჩარგალში ცხოვრობდა და ქალაქის მხოლოდ რამდენიმე დღის სტუმარი იყო. ვისაც არ უნახავს ჩარგა-ლი, არ აუვლია მისი აღმა ამავალი ქვა-ღორ-ლიანი გზები, თვლი არ მოუტყავს გზას აყო-ლებულ ტაფობისათვის, კლდის შვე ნაპარლისა-თვის, ასე მგონია ვერ დაინახავს „ხნიყეთა ქორ-წილს“, ან „ხმელ წიფელს“, ან „კლდე სალი“ სურნელებას, სუნთქვას, სინამდვილეს. ვაგა ამის მტად ახლოს გრძობდა და ვისაც უნდა ეს იგრძნოს, ბუნებასთან ახლოს უნდა იდგეს.

ვაგას ჩიტები, ხეები, მწერები, შინაური და გა-რეული ცხოველები, ტყის მობინადრენი, აწვეა-ნებული და ხან დათოვლილი მინდორ-ველები, დაღუპებული მთები, დაბურული ტყეები თავის აზლობლებად, ცოცხალ არსებებად მიიჩნია, მათი დაბადების, ზრდის, სიყდილის, ვახშობის, დაქცობის ახლო მოწამეა და მათ მესილდუშ-ნედაც დასახა თავი პოეტმა: მათ ესიყვარულემა, ესაუბრება, შეჰმარის, შეჰხატრის, მათი მწუხა-რების გამზიარებული თანამგრძნობია: „ახ, რა-მოდუნა სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა დავინა-ხე მიდამო ჩემის სოფლისა. უუნოა ყვე-ლაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს ტყე გაბარდნილის თოვლითა“, — აღტაცებით იგონებს მწერალი თავის „სამოზაბო მოთხრობაში“. მსავსეი გრძნო-ბების გამოშხატელთა: „შელის ნერკის ნამ-ბობი“, „ბუნების მკონება“, „ხნიყეთა ქორწი-ლი“, „ქურდული“, „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „ტრედები“, „კლდე სალი“, „ჩვენი მომავალი“, „ამოღის ნათლება“, „ფესვები და სხე.

წებტა ვის შეესტირო, ვის შეეუხვეწო, ვინ არის ისეთი ძალეში, რომ დედაჩემის თვალბ-



შე ჩამახედოს, დამატებოს იმისის აღერისით... ვტარი და ეს არის ჩემი წუგეში; დაუდვიარ და შევტარი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტარი წყალსა და ბალახს, მაგრამ, ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ვეღარ ვხედავ; ვარ ობოლი..." — მოსოქვამს ახალდაბობულბული, ბავშვივით ატირებული შვილის ნუკრი. ნუკრი ადამიანივით მოგონებებით იმშვიდებს თავს, ის იმ ბედნიერ წუთებს იგონებს, როცა დედა ცოცხალი ჰყავდა, დედა, რომელიც ასე ეალურსებოდა, ასე ზრუნავდა მისთვის, რომელმაც შვილი გადაარჩინა „ბორბოტი ადამიანის თვისსავან“, თვითონ კი შვილის სიცოცხლეს ემსხვერპლა: სხბრალე პაწია ნუკრი, ის ხომ მეორე დედას ევლარ... ევლარ იპოვის!

ამ პატარა ნოველაში დედაშვილური გრძნობა, სედეა და გლოვა დაკარგულ მშობლებზე უსბეტრავს სიმულემდის არის ატანილი. პატარა მკითხველისათვის დაუეწყარი ხდება ეს შთაბეჭდილება.

მარტო შვილის ნუკრი როდია ადამიანებზე ვენლატენი! ავარ ლამაზი, პაწია იაც! მას ხომ მხოლ ხნის სიცოცხლე აქვს, მაგრამ ასხეისას ოცდაოთხი თვის სიცოცხლეს სჯობს, რადგანაც ყველას უნდა მასთან მივიდეს, აკოცოს, გაუცონოს, მოტალერსოს; იაც სიამოვნებას ავარძობინებს მათ. ვეყას ია შედარებით სხვა იებთან (ღეს არ უწერია ამ ნახ და ლამაზ ყვაეღბუე!) ჯანსაღი განწყობილებიანა; ის თანავგრძობობითაც კი უყურებს თავის თანამომებთ, ტყის მკენარეთ, რომელნიც მის თვალწინ იღებებიან, ხოლო ადამიანების თვალხარბობასა და სიბეეეს მწარედ ღსციენს: „რა შეუბრალეებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს! ალბათ ვერ აფასებს წვეწის სიღამაზეს!“ ასეთი განაჩენი გამოუტანა პაწია იამ დიდ ადამიანს.

უღიშლამო და მწარე დღეებთან ერთად ტყესა, ველ-მინდორს და მათ მრავალგვარ მობინადრეებს თითქოს უღგებათ დღეები თავდაუწყებული ერთმეღისა, მხიარულებიანა, საზეიმო განწყობილებიანა. ამ მზივ შესანიშნავია „ჩხიკთა ქორწილი“. ამ თვითუღი დეტალი დასყვილი, თვალნათლივი და უაღრესად დამაჯერებელია. თვითუღი ფრინველის მოქმედებას, მის იერ-გამოხედვას ისე ცოცხლად წარმოიდგენს მკითხველი, თითქოს თვითონაც ამ ქორწილის მონაწილეა და გულთანად ეციენება წრუწუნას გაბედულებასზე.

ევა-ფსაველას ნაწარმოებებში ფრინველცხოველნი მუტყველნი არიან, მათ გაანიათ გრძნობა, ცხოვრების წესი, ზვეულება. „ნუ სტანჯავთ, ნუ სჩავრავთ, ნუ უსპობთ სიცოცხლეს! — შესთბოეს ვევა თავის მკითხველებს და ეტებს თანამგრძობლებს. ავარ იპოვა კლდეაც ახალგაზრდა ვიარო, „ბუნების მგოსნებში“, ვანოს შინაგანათ გაანჩია მიგნების

უნარი: ბუნებიდან აღებული ეგერე ვეზულ-გასაოცარი განკვრეტით გაიგვეღეს ცხოველებს შესატყეის თვისებასთან. ვანოს ახრით, ბულბული ფრინველებსათვის ის არის, რაც აღმინანებისათვის ხელოვნების მსახტრნი. ფრინველები ბულბულს თითქოს ისევე უმართავენ იებოლეს როგორც ადამიანები დამსახურებულ მოღვაწეთ. ძნელია ეინემ თუნდაც რაძღენიმე ფტრცალზე, გადმოსცეს ხელოვნების მაღალი დანიშნულება ისე ოსტატურად, როგორ ვეყას აქვს გადმოცემული ამ მოთხრობაში. ვანომ ცოცხლად წარმოიდგინა ფრინველთა ეს დღესასწაული — ბულბულის იებოლე და თავდაუწყებით გადმოსცემს იქ წარმოტქმული სიტყვების შინაარსს და ახრს, ზოგიერთის მამებულრსასა და უხამს სიტყვას. ვინ არ ვსრება ამ დიდებულ ზეიმს: არწივები, სეაეები, შვარსდნები, ქედნები, ვნოლები, ჩხიკები, უორნები, კაებები, მეტყებები, — ე. ა. მტაცებლნი და უწყინარნი. ყველა ამითგანი საყუთარი ღირსების მიხედვით აფასებს ბულბულს. იანნი თავის თავზე უფრო ღამარაკობენ, ვიდრე ბულბულზე. არწივი, როგორც დიდი და ღონიერი ფრინველი, ბულბულს უღონობასა და სინახეს უწუნებს. მამაბულია და მლიქნელი სეავი ცელიობს ღამარაკში არწივს მიპაძოს, ცელიობს არაფერი წამოსცდეს არწივის საყუენი, უნდა აამოს, რადგან სეავის კება, უზრუნველი უოფნა, არწივზე დამოკიდებული. სეავი თავს იწონებს არწივის წინაშე, მას ეთანხმება ყველაფერში, თავიც ჭევიანად მოაქვს, მაგრამ ამის ნატამალიც არ გაანჩია, უფრო მეტიც, ის იმღენად უგონოა, ტლანქი და უხეში, ბულბულის გალობით გამოწვეული სიამოვნება ვერ შეუცენია: „მე შენი გალობა ბევრჯერ მესმის და კმაყოფილი ვარ, მხოლოდ ერთი რამა მწყინს: შენი გალობა ღესის მადან მკერავებს. თუ კარგად დაუგდო კაცმა ყური შენს გალობას, გულში ეწვეთება ისეთი მძივე, მწვავე ცვაჩები, არ ვიცი ეს ცვაჩები რისაა; მხოლოდ ვგრძნობ და ვიცი ის, რომ გულზე აღიბეჭდება და იწერება შემდღეი სიტყვები: „ნუ მოკლავ, სისხლს ნუ დაღვრი! მამ რა ვქნათ? ბლახი ემოკოთ?...“ რაოდენ სიბრძნეა ჩაქსოვილი ამ ამონაწერში; რა უღონოა და საბრალე ის ადამიანი, ეისეც ვერ შეუცენია ხელოვნების ზემოქმედების სიღამად! ვინც არ იცის, რომ ხელოვნება თაობებს აყავშირებს, რომ იგი შველს ადამიანს შეიციოს თავისთავი და მისი გარემო საწყარო, რომ იგი ადამიანს იტაცებს სრულყოფილობაძღის.

ბულბულის გალობის კემმარბიტი შემფასებელი თითქმის არავინ არის, მხოლოდ უხეში და ხებრე ფრინველები მანიც გრძნობენ ბულბულის გალობის დიდ მნიშვნელობას, თუმცა ვაგების უნარი არ გაანჩიათ. შვარსდენი გულახდილად ამბობს: „მე კარგად მესმის შენი გა-

ლობისა, თვით შენი მნიშვნელობა. შენ რომ არ გვყავდე, ფრინველები ერთმანეთს მესრს გავადლებდით. შენი მშვენიერი ხმა ჩვენ სასტიკ მოსისხლე მადს გვიწვდისა". გულწრფელი მადლიერი მხოლოდ ქედანია. იგი უსახლერო მადლობას უხდის ბებულს, მისი ზეგავლენით „შენაა მღერამ, დიდებულმა ქანგმა და ტბილიმა ხმებმა აღმზარდეს ასეთი მშვიდი და უწყებელი ფრინველი“.

ამ შესანიშნავ მოთხრობაში აღამიანთა უცილობა, თვალთმაქცობა, მღიქველობა, ამპარტუცობა, მიაგვრატობა მწერალს დიდი ტაქტიით და წინდახედულობით გადააქვს ფრინველებზე და მიუთითებს: უციკმა, ღრძო გულის პატარონმა არ უნდა შეაფასოს ის საგანი, რაც არ იცის, რაც არ ესმის. თვით ფრინველებზე მწერალი ისეთი დაწმენებით გვესაუბრება, თითქოს მართლაც არწივი, სეავი, შვებარდნი, ქედანი და სხვა წერილი ფრინველები სწორედ ასეთს და არა სხვანაირს სიტყვას იტყუოდნენ. ამიტომ ვენდობით მწერალს და ამიტომაც დიდია მისი ზემოქმედების ძალა დიდსა და პატარა მკითხველებზე.

ვაფასებ ფრინველებს სხვა თვისებებზე მიუწერება. მათაც შეუძლიანთ ცასავეთ შეკრან პირი, ამხედრდნენ ერთსულდენად და გალაშქრონ ბოროტებისა და თვალხარბობის მოსასპობად. ამ მხრივ მეტად საინტერესოა უბრალო მოთხრობა „ქედოვანი“, რომელშიაც ღრმა აზრია გატარებული.

სარდონი ამავე კაცია. დამბევობა მიიღო და უფრო გაამყდა. დღევანდრად ცხოვრობდა, უციკლმზრავ ძველი ზომად მოსდიოდა. ამ დოვლათით სასვე აღამიანს ერთ საფხელის დღეს საცოდამა კაქკაქმა (მის ბალში ბუდე რომ ჰქონდა) სულ პატარა ნაკერი ყველი მოსტაცა რათა თავის საყვარელი ბარტყუბისათვის წავლო. გაგვლისდა სარდონი ბატონი ბრძანებითა და შექარით გამოუძახა თავის ხელქვეითებს, რათა მათ კაქკაქი ცოცხალი დაეჭირათ. მისი ბარტყები კი დაეხცათ. სანამ ბიჭები მოვიდოდნენ, სარდონს გულმა ვერ მოუთმინა და თვითონ დაუწყო კენჭების სროლა, თან უტოფრად შეკეფდა: „პაო შე წყულო, ჩამოაგდე ყველი, გიბრძანებ, ჩამოაგდე“ რა თოფები არ დაიკლა ამ უწყო ბუდის ჩამოსანგვრად დაუხოვეს ბარტყები კაქკაქს. გამწარებული დედა დიდხანს დასტროდა თავის ბარტყებს და თან შურისძიებაზე ფიქრობდა. მართლაც კაქკაქმა უჩიოდა ფრინველთა მეფე არწივთან. მან ათაკლა თავის ქვეშევრდომის შეწუხება. შეუარა ფრინველი, ამათ მიუშველათ თავებო, მდინარე კი ყველა ამათ უნდა გაეცამტრეწნებინათ საჩლიონის დოვლათი. მართლაც შეუპოვრად დაესხნენ თავს ეზოში მოთიბულ შინაურ ფრინველებს; მდინარემ და თავებმა

ერთ წამს გაეცამტრეწნეს საჩლიონის საცხობი ბელი და, რაც მთავარია, გატრეწნეს [წმ] მცემის ქედები, ენც მათ ებრძოდა. სარდონი ქალაქში გაიქცა ქედის საყიდლად. გზაზე ერთ ალაგას ცუდი გასავალი იყო, ცხენები დაფრთხნენ, ღრანტეში ჩავარდნენ და დამბევი მვედარი მოასვენეს შინ.

ამ, თითქოს ფორმით სახუმარო, ამავე დროს მეტად სურათოვან მოთხრობაში, მართალია, პაწია სულის პატარონი, თვალხარბი აღამიანთა გამოყვანილი სარდონის — დამბევის სახით, რომელსაც თავისივე სიბოროტე ქუდავს; მაგრამ ამასთანვე უფრო მეტ რამეს გვეუბნება ავტორი: სადაც ერთსულდენებაა, გამაზრებლაც იქ მოიპოვება. თუ ეს უნარი ფრინველებს მოეპოვებათ, აღამიანებს ხომ უფრო უკეთ შეეძლებათო.

შეშარბიად კლასიკური ნაწარმოების ნიმუშად ქვედა მივსინით „როგორ განდნენ ბუეში ბეუენანზე“

ამ ზღაპრის ერთ-ერთი ვარიანტი ალ. ხახანაშვილს აქვს ჩაწერილი და 1886 წელს დაბეჭდილი. ალ. ხახანაშვილის ზღაპარში ძმები არიან, ხოლო დედინაცვალი უმნიშვნელო პიროვნება, მამა კი სრულიად არა ჩანს. ვაჟ-ფთაველს ხომ ზედმიწევნით იცოდა ჩვენი ხალხური ზღაპრები. შეიძლება ზევით დასახელებულ ზღაპარს იცნობდა ან სხვა მსგავსს, მაგრამ ვაჟს თავის მოთხრობა ისე აქვს ჩამოქნილი, ბუნება ისე აქვს ამოქმედებული, ხოლო შობილი; უკეთ მამის სიუჟარული შეიღებისადმი ისე შეამალლებულია — რომელი ზღაპარი შეედრება მას.

მოთხრობაში პირველ ყოვლისა გესლიანად დახასიათებულია დედინაცვალი, რომელიც იოთამა ტყიდან ნადირივით მოიტაცა. იგი „ქუ ვუხუხესა ჰგვანდა, გველ-ხოკრასავეთ სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უჯან, ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულმკარზე ელფი, პირისაზე მოსინელ სილენქს მიუგავდა. პატარა ბიჭს, იოთამან ნაყოლს, ბეჭებს აწოვებდა... ვუხუხის ლეკვი ვუხუხის ბეჭს შეიჭებდა...“

ახლა იოთამი ენახათ როგორია. იგი მშლავარი და მამაკი ვაჟაკია. თუმცა, მწერლის თქმით, იგი შეიძლება მოუხეშავიც იყო, ბრიყვიც, სასტიკიც, მაგრამ „ძალიან უყვარდა პირველ ცოლიდან დარჩენილი შვილები, ქალ-ვაჟი, შვიბა და ვუხუხია“. ამიტომ იყო, შემოდგამდა თუ არა ეფეს სახლში, წამს იკითხავდა: „ბაბლები სად არიანო“. და ერთხელ, რომ შეიტყო, დაკარგული ძროხების საძებნელად წასულიყვნენ, იოთამმა დვედლი გადამაყარა ცოლს და ვაჟმურა შეიღების საძებნელად და აქედან იწყება მისი ტანჯვა. მკითხველმა უთუოდ თვითონ უნდა გაიხსენოს ამ შესანიშნავი მოთხრობის ის გასაცარები ამტრეწვლება მთელი ტყისა.



კლდისა, ფრინველებისა, იოთამის მიერ მგლის და ღათის დახოცვა, რათა შეემოწმებინა მათ მიერ ზომ არ იყვნენ შექმენი მისი შეილება, მისი დამეგობრება ეფხებთან, რომლის ფეხსაც იოთამმა უქეჩა და ასე დაძრწის ტყე-კლდეში იოთამი და დეძებს თავის შეილებს. საყვარელი ის არის, რომ იოთამს თავის დახრწობა უნდოდა, ცხრაჯერ გადავარდა მდინარეში, მაგრამ წყალმა ვარცხათ. აერორო გვეუბნება „წყალი არ არიბდა, ჰყოფადა, ენანებოდა“ თითქოს თანაუგრძობდა იოთამს. მაგრამ ამით იოთამს შეება არ მიეცა. წყალს თუ ენანება, კლდეს არ ენანება, იმიტომ რომ ის კლდეა, ამიტომაც იოთამს ეუბნება: „ახლა ტირილით და ჩივილით ვერადგვარს უშველი... დავიწყებული ჰყავთ მამა, სიტყვა მამა აღარ არსებობს მაგათთვის“. არც მდინარემ დააკლო იოთამს გაკეცვა. ამიტომ იმ მდინარემ თუ არ დახარხო იოთამი, არა იმიტომ, რომ ჰყოფადა ან ენანებოდა იოთამი, არამედ დიდი დანაშაული მიუძღოდა ბავშვების მიმართ და ამ დანაშაულისათვის უნდა გაქვავებულიყო, კლდედ უნდა ქცეულიყო. ეს ფსიქოლოგიურად დამაჯერებელია. ადამიანი ზომ მართლაც ქვასავით უგრძნობი ხდება დიდი დანაშაულის, დიდი მწუხარებისა ან თუნდა სიყვარულის განცდის დროსაც. იოთამი გააკლდევა ბავშვების მიმართ დანაშაულმა, მათდამი დიდმა სიყვარულმა, იოთამი სულ სხვა მამაა, ვიდრე „წიქარას“ მამა, თუმცა იმ ზღაპრის სხვა მიზანდასახულმა აქვს.

„როგორ განზღწენ ბუბი ქვეყანაზე“ ერთ-ერთი ბრწყინვალე მოთხრობაა ვაჟა ფშაველას პროზაულ ნაწარმოებებში.

ვაჟა-ფშაველას გაგება, ტრფილი ბუნებისადმი ფეტიშისმამდის არ მიდის. იგი ადამიანის გონებას სრულიადაც არა ზღუდავს და ბუნების მონად არა ხდის, რათა მან ხელი აიღოს ბუნების დამორჩილებაზე. პირიქით, ვაჟა თუ ადამიანებს მოუწოდებს ფრინველთა და ცხოველთა მიმართ ძალ-მომრევობაზე ხელის აღებას, მათი სიცოცხლის დაზოგვაზე, — მისი რწმენით ადამიანში პატარაობიდანვე ბუნებრივად განვითარებული კემანტრობა, ბუნებისადმი სიყვარული, ფრთხილი, დამოკიდებულება, დაკვირვებებიდან განვითარებული ფანტაზია, მეცნიერული ცოდნა — საუკეთესო საშუალებაა ბუნების სრული დამორჩილებისათვის და მის გამოსაყენებლად მომავალი ცხოვრებისათვის.

ვაჟა-ფშაველა არა ნაკლებ არის დაინტერესებული ადამიანთა ფსიქოლოგიით, მათი ცხოვრებით. კერძოდ თავისი კუთხის სოფლის ყოფაცხოვრებით, მათი ზნე-ჩვეულებებით: ამ სახის მოთხრობებში ვაჟა ზოგჯერ მოაღებს, ზოგ-

ჯერ კეთილი დამცინავი, არსებობდა მათი თანამგრძობი და დამცველი. „შეხუდდით მოგორ არწივის ბუდესავით მიმალულა მთის გულზე ფშაველების პაწია სოფელი. იცით, რამდენი ვასპირი ადგია თავზე ამ ხალხს, ამ მთის შვილებს: უგზობა, მკაცრი ზამთარი, სასტიკი ქარ-ბუქი, შიმშილ-წყურველი. იტანჯება მთის ხალხი, მიანც ველს არ იტებს, მეზობელი მეზობელს ეხმარება, სტუმარი ღეთის მოციქულად მიიჩნია და მტერიც რომ მივიღეს მასთან სტუმრად, სიყვარულით გაუმასპინძლებს, თავის ღამის ქონში ღამეს გაათევინებს და არავის ნებას არ მისცემს, რომ ძვირფას სტუმარს თითო შეხონ“.

კეთხლობთ ამ სიყვარულითა და წესილით დაფურცლ სტრიქონებს და კარგად გესმით ვადასდროინდელი ფშაველის მწიბრი ცხოვრება. იმეოათი ლირიზმით, სიყვარულითა და სიბოროთი არის დაწერილი მოთხრობა „გასამართლებელი ჩიბუხი“. ამ პატარა ამბავში, მისი გმირის — ღეთისუნელას გაპოეტებაში, მის დახასიათებაში ვაჟამ თითქოს მთის მთელი ხალხის, კერძოდ ფშაველების, ზოგჯერ ბავშვური, ბუნება დახატა.

გულბურჯული და უდარდელი ღეთისუნელა „გულფოდა და პირიდან არ იშორება“ თავის სახელოვან ჩიბუხს. „მძინარეს გამოღვიძება უხაროდა, ადგომა ეხალისებოდა — ჩიბუხს მოეწეო. ისე საგანგებო ტკბილულლობა, სუნელიანი თაფლიანი — სასუტკა — როგორ დაატკბობდა, ასიპოვნებდა მწყემს ბაღს, როგორც ღეთისუნელს ჩიბუხი ანებარებდა... მსუტავდა ჩიბუხს და თან თვალებს ჰქუსავდა. ყრილობაში, სახლში, გარეთ საქმეში, ყველგან და ყოველთვის, საცა ჩიბუხი იყო, ღეთისუნელაც იქ იყო... და, სადაც ღეთისუნელი — იქვე ჩიბუხი თავის ავლადიდებით... ღეთისუნელას თეთრულ სიტყვასა და მოქმედებაში იგრძობა მხოლოდ ჩიბუხისადმი გატაცება, სიყვარული. ჩიბუხის ზეგავლენით იქმნებოდა მასში გუნების განწყობა. ბავშვები იმიტომ უყვარდა, რომ ჩიბუხისათვის ცეცხლს მიუტანდნენ, მუდლყ იმიტომ უხაროდა, დაკარგულ ჩიბუხს იგი მოუძებნიდა, მეზობელთან შეხვედრა იმიტომ ენატრებოდა, რომ ღობის ძირზე მისემთა მას და ჩიბუხის კეამში შეავტრებდა მასთან საუბარს, მინდორში წასვლა საშუაოდ იმიტომ მიუხაროდა, რომ იქ თავისუფლად სტკებოდა ჩიბუხის მოწეოთ. ერთი სიტყვით ღეთისუნელას მთავარი მაცოცხლებელი ძალა ჩიბუხი იყო, ამქვეყნად სიცოცხლე ჩიბუხისათვის უნდოდა. ბოლოს ამ ჩიბუხმა სამახსოვრო ორნი უყო. ახალწლის ღამეს მეზობელთან დაითხო, შინ ევლარ დაბარდა, აინჯა სამძქელი დაეწვინათ, რათა იქ ძილისპირს თავისუფლად გაემოლებინა ჩიბუხი. მთვარალმა ჩიბუხი ეგრ გამობურტყა, ისე დაე-

ძინა. ჩიბუხიდან გადმოვარდნილი ცეცხლი ჩილას მოედო, გადიწვა საბრძელი, ოჯახისა და საქონლის წლის საკვები. ღვთისუნელა ვადარჩა თოვლში გაგორებით...

ფშავლების ადათის მიხედვით დამნაშავე სახალხოვრ უნდა გაასამართლონ, მეზობელთა დაზარალებული. დარცხენილი ღვთისუნელა ხალხთან პირშებრუნებული ზის. დაიწყო გასამართლება. ხალხმა გაამართლა: მტრობით არ უქნიაო. მაგრამ დამნაშავე ზომ ვიღაცა არის! ერთმა მოხეტემა ღვთისუნელა მოახედა, — ამას როგორც ვამარჯვებულს, ჩიბუხი უცვლად გაებოღებინა — და უთხრა. ვისი და რისი ბრალია? რა უნდა გაეგოთ? ვისი ბრალია? მაგის ბრალია, პირში რო გჩრავ და, როგორც ძალი ვერ ვშევაბა ძვალს, რაც უნდა გამოხრული იყოს, ისე შენ ვერ შიამუშებიხარ — უთხრა და თან ჯობი დაუკრა ჩიბუხს ისე მარჯვედ, რომ ჩიბუხი ხალხში გადაეარდა, — აი ეგ არი ჩემი სამართალი!“. ხალხმა შევებით ამოისუნთქა, დამნაშავე აღმოაჩინა, „...აჩოქოლღ: ხალხი. ეცნენ საბრალო ღვთისუნელის ჩიბუხს და დაუწყეს წეწა, ზოგი მუშტსა სცემდა, სხვა ფეხქვეშ იგდებდა, სირა დაქვემაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს. გამტყნარებულმა ღვთისუნელამ, როდის, როდის წარმოსთქვა „ეაჰმე ჩემი უალიონი! ღმერთი იწამეთ, უალიონი არ გამიტეხოთ!“.

ხალხი კი როგორც იყო დაშოშვინდა. მაგრამ

დაზარალებულს რა მალამო დაედო! აქაც ისევ მოხეტე წამოეშველა ღვთისუნელას ვინაიდან მას უნდა ეზღო ზარალი, მანინ საშველუნა კი არა ქონდა, მათ შამაპის წესს არ გადაუხვიეს და გამოიღეს, ვისაც რამდენი ჭირნახული შეეძლო. დიდხანს ისმოდა ხალხის კმაყოფილება, არც დაძანებთათ შეწვევა და დაზარალებულს ერთიორად იუნაზღურდა ჭირნახული. მართალია ღვთისუნელა და დაზარალებული მეზობელი აქვე შეროგდნენ, მაგრამ ღვთისუნელა კი მეტად დამმარებული და უკმაყოფილო იყო მისი საუჯარული ჩიბუხის დასჯის გამო!

ამ მოთხრობაში გასაოცარი სისადავით არის წარმოდგენილი მთის ხალხის ადათი, მისი შინაგანი ბუნების კეთილშობილება, გულბრწყინლობა; შესანიშნავად არის ასახული მათი ურთიერთდახმარებით გამოწვეული მორალური კმაყოფილება...

ვაჟა ფშაველას საბავშვო მოთხრობები სააღმზრდელო და პოეტური აღმაფრენის განძია ჩვენი ბავშვებისათვის. ისინი შეიხველს ოპტიმისტურ განწყობას უქმნის, უნერგავს მშობლიური მხარის სიყვარულს, აჩვენებს ბუნებაზე დაკვირვებას, იცნობს შემეცნებითი ხასიათის მდიდარ მასალას, ფრინველთა და ცხოველთა რთულ ეკოლოგიას. ვაჟა ფშაველას საბავშვო მოთხრობები წარუბოცებლად შემოქმედებას ახდენს, განსაკუთრებით ფაბულისა და ენის სიმპლიფიკაციით, რაც ცალკე შესწავლის ინტერესს აცხველებს.

განო ღოგოჯინიძე

## ბუნების ესთეტიკური აღქმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

„რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, — წერდა ვაჟა, — მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლია იგი თავიდან ავიშოროთ, იმას ვავეუქნეთ, დავეშალეთ?! ცოცხალნიც მისი ვართ, მკვდარნიც“<sup>1</sup>.

გაგზომოცველი სინამდვილის ესთეტიკური აღქმის საფუძველს ვაჟა-ფშაველა ბუნებისა და ადამიანის ერთიანობაში — ბუნების ადამიანურობაში და ადამიანის ბუნებისმიერობაში ხედავს. დებულება — „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია“ შექმნილი გამოთქვა ისეთ პოეტსა და მოაზროვნეს, რომელსაც საესთეტიკო და მთლიანად ესმოდა ბუნების მშვენიერების ადამიანური, სოციალური შინაარსი. აქედან გამომდინარეობს ვაჟა-ფშაველას მართებული წარმოდგენა ბუნების მშვენიერების ობიექტურ სახელებსა და კრიტიკიულ-მწე-ჯადოსნური სარკე, რომელიც ვაჟას ხელთ უპყრია, რათა ბუნების მშვენიერების სულსა და გულში ჩაიხედოს — ეს ადამიანია. სხვათაგანად შეფიქრებულია გვესმოდეს ვაჟა-ფშაველას შემდეგი სიტყვები: „აჲ პატარა არსებას — ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ენათობაში მორთავებოდა... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუწამავს“<sup>2</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ვაჟა გოეთეს გულისხმობს. გოეთე, როგორც თვითონ აღიარებს, ცხოვრებისა და შემოქმედების ბოლო პერიოდში ძირითადად დამატურესებელი იყო თავისთავადი ბუნების ობიექტური კანონების მეცნიერული გამოკვლევით. ვაჟა-ფშაველას ინტერესს კი ბოლომდე შეაღგენდა ბუნების ესთეტიკური ხილვის საიდუმლოება და მისი პოეტური წარმოსახვა.

ბუნების უძლიერესმა ესთეტიკურმა შეგრძნებამ განაპირობა ის ვარაუდი, რომ ვაჟა-ფშაველა უდიდეს ჰუმანისტად და ჯადავ-მორალისტად გვევლინება მაშინაც კი, როდესაც იგი

ბუნების მკვლარი, უსულო ააგნების შესახებ გვესაუბრება. მთის ანკარა წყაროს მშვენიერება თუ იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია გახტრებული გული გააგრილოს და წუთრივ მოკლას, მაშინ ბუნებაში გახტრებული გულისა და წუთრივლის მქონე არსება უნდა იყოს, რათა მთის წყარომ მისი ჭეშმარიტი მშვენიერება გამოავლინოს და ამით თავმოწონებულეს კიდევ ბუნების მოვლენებისადმი ადამიანის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, ვაჟას თქმით, თვით ბუნების „სიბრძნეზეა დამოკიდებული“<sup>3</sup>. „ასე რომ არ იყოს, — განაგრძობს ვაჟა, — ყურძნის მაგივრად კრიკინას გვამდით, გულაბი მსხლის მაგივრად, — პანტას, ნაცვლად თურაშელისა — შაგალს“<sup>4</sup>.

ვაჟას ვაგებით, უოველი საგანი და მოვლენა, რომელიც მარგებელი და მშვენიერია, ან არამარგებელი და არამშვენიერია, ბუნებაში რეალურად არსებობს და რეალურად გააჩნია ის თვისებანი, რომლის გამოც ისინი სწორედ ასეთები არიან და არა სხვაგვარნი. მაგრამ ამ ნიშანთვისებათა გამოვლენა ხდება ადამიანთან მიმართებაში. ჭეშმარიტება, რომ წყალი ორი ატომი წყალბადისა და ერთი ატომი ეანგბადისაგან შედგება, ადამიანთან წყლის მიმართებაში რაღაც გამოვლინდება. თავისთავადი ბუნების ამგვარი ობიექტური კანონზომიერებანი ვაჟას თეორიული და მით უფრო პოეტური რეალისტ-სირებისა და წარმოსახვის საგანს არ წარმოადგენს. მთის ანკარა წყარო რომ გახტრებულ გულს გააგრილებს, გემრიელი და მშვენიერია — ეს ბუნების ამ მოვლენის ადამიანთან მიმართებაში გამოვლინდება და ბუნების მოვლენათა ობიექტური შეფასების ეს უტილიტარულ-ესთეტიკური თვალსაზრისი ბუნების ვაჟასეული აღქმის ძირითად თვალსაზრისს შეადგენს.

ადამიანი ბუნების ნაწილია და ამიტომ კაცთა ცხოვრების პარამონია და მშვენიერება საკუთრებაა თვით ბუნებისა. „არის უცვლელი კანონი ბუნებისა, — წერს ვაჟა, — არის მასში თავისებური პარამონია. ბუნებამ თავისივე კანონი

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. VII, 1956 წ. გვ. 373.

<sup>2</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. VII, გვ. 373—374.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 375.

აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხედასხვა პირობებზე, მიზეზზე; იგი ბუნებამ შექმნა<sup>1</sup>, ბუნება მშვენიერია იმით, რითაც იგი ადამიანის წარმოშობისა და მისი ადამიანური ყოფის მიზეზი და საფუძველია. ბუნების ესთეტიკურ-ემოციური შეგრძნობის ვაჟსეული გაგება შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს: ღრმად შეიშვენიერება მრავალფეროვანი ბუნების სულიერი და უსულო საგნები, მთელი სისრულითა და სიციხივლით იგრძენი პარმონია, წესი და კანონი ბუნებისა — თუ ვსურს იცნობდე ადამიანს, მის სულსა და ვულს, მის ფიქრსა და ოცნებას, კაცთა ცხოვრება ბუნების ნაწილია, ხოლო ბუნებაზე მალა მდგომი არსად არაფერი არ არსებობს. ამიტომ ამბობს ვეა, რომ „ბუნება არის თავის ძალით მმართველი კაცთა სიცოცხლისა“.

ვეა-ფშაველას კარგად ესმის, რომ ადამიანები თავისთავს შეიშვენიერებენ სინამდვილის საგნებსა და მოვლენებთან ურთიერთობაში. „ჩვენი ცხოვრება სრული გამოშხატელობა ბუნებისა, — წერს ვეა, — უველა ის, რაც ბუნებაშია, დამოკიდებულება ცხოველთა შორის, მცენარეთა, ცისა და დედამიწის შორის, წყალსა და ჰაერთან, უველა ის ჩვენ, კაცთა შორის ზღბება“<sup>2</sup>. ვეა-ფშაველას, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს (და არა ფილოსოფოსს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), წარმოუდგენელია უფრო ნათლად და გასაგებად გამოეთქვა ის (მეცნიერული) თედასწრისი, რომ ვარემოცუველი სინამდვილის საგანთა ურთიერთობის შეშვენიერება ნიშნავს თვით ადამიანის შეშვენიერებას, რამდენადაც ამ ურთიერთობაში თვით ადამიანია ჩართული. ადამიანურად გარდაქმნილი ბუნება ეს ისეთი ობიექტია, რომლის შეშვენიერებაც ადამიანი თავისთავს შეიშვენიერებს<sup>3</sup>.

მართებულია ვეა-ფშაველას დავიერება, რომ ბუნების სუეარული, ბუნების ესთეტიკური აღქმის სიძლიერე ადამიანის სულიერი განვითარების დონეზეა დამოკიდებული. „ბუნება, — ვეა-ფშაველა ვეა, — უველა ადამიანს ერთნაირად არ გვიყვარს, ხოლო მისი მოძულე ძვირად მოიპოვება ადამიანთა წრეში. თვით ბუნებასთან მეტრობლი მიწის მეშა, ბევრნაირად მისგან შეშინებული და დამაგრული, დამცულ-დალაული. სიამოვნებით გადაავლებს თვალს ახლად ამოსულს იას, გაბზინებულს ტყეს — უხარინ

რომ ზაფხული მოდის... ხოლო განვითარებულს, აზრინს კაცს იგი სხვა ბუნებს რამე მოეგონებს: იმის-და მიხედვით, რამდენადაც... სულიერად მდიდარია იგი“<sup>1</sup>.

სინამდვილის ესთეტიკურ აღქმას, საგანთა და მოვლენათა ესთეტიკურ განსჯას ადამიანის იდეალები, მისი სოციალური მისწრაფებანი განაპირობებენ. „ნუთუ ია, ბუნებით და ველბებით დარდილული, — წერს ვეა, — არ მოგვაგონებს დამაგრულს სიმართლეს? ეს მცენარე კაცთაგანს არავის დაურავს, არ მოურწყავს და ისე არ მოუყვანია; მას ბუნება ზრდის, იგია მხოლოდ მისი მშობელი დედა; მზე ათბობს — ეს ლია, მინც კი ლამაზია. ამ ბუნებრიობაშია დამალული მისი მშვენიერება“<sup>2</sup>. ია მისი ბუნებრიობით, უშეაღბობით ამის მშვენიერებას. ასევე ადამიანის მშვენიერებაც მის ბუნებრიობაშია. კითხვაზე, თუ როგორ უნდა გვესმოდეს თავისი ღირსებითა და ნაკლით ადამიანის მსგავსება ბუნებასთან — ვეა-ფშაველა მარტივად, მაგრამ სურათოვანად უპასუხებს: „ბუნებაში ვხვდეთ ძლიერების წარმომადგენელთ: ლომს, ვეფხვს, არწივს. ჩვენს საზოგადოებაშიც არინს ისინი, მხოლოდ აღმწიფა უნდა. ლომს სურათი ხომ გვიყვარს და არა ნაკლებ მასზე ლომკაცის მოგვეწონს...; იგრეთვე არწივის და ვეფხვის მსგავსი ადამიანი. მოგვეწონს ესენი, თუმც კეთილს ძალიან ცუტას წარმოადგენენ თავის ვინაობით და მხოლოდ იმით მოგვეწონს, რომ გამოშხატელობა პირადის ძლიერებისა. როგორც კაცთა საზოგადოება ვეაძლებს მარტოოდენ მავნებელს ადამიანს, — ვეერს, იგრეთვე ბუნება, — სხედასხვა გეხლიან ქვეწარმავალთ, რომელნიც ჩვენ გვიზიზღება“<sup>3</sup>.

მართლაც და რატომ უნდა მოსწონდეს ადამიანს მზეცთა მეფე — ლომი? ჩვენ მას ვერ მოვიწონებთ იმის გამო, რომ ნაღობთა მეფის შეუძლია წამის განმავლობაში ნადღებობად აქციოს ადამიანი. ლომის მოწონების დროს მის მზეცურ ნიშან-თვისებათაგან სრულ განყენებას ვახდენთ. ჩვენ ლომი მოგვეწონს მისი ძლიერების, შეუპოვრობისა და შეუდრეკლობის გამო. რატომ? იმიტომ, რომ თავად ადამიანი ძლიერი, შეუპოვარი და ქედღებური, კარგია, მოსაწონია. ამიტომ ადამიანს, რომლის მიმართაც ჩვენ გვესურს ანტიპათია გამოვხატოთ, იშვეათად, რომ ლომი უწოდოთ. პირაქით, სახელი ლომკაცისა სიმპათიისა და მოწონების გამოშხატელობა. ანტიპათიისა და ზიზღის გამოშხატელობად უველაზე მეტად გველის სახელი გამოდგება, იმიტომ რომ გველი შეიძლება ფიზიკურად ძალიანაც სუსტი იყოს, მაგრამ იგი არაპირდაპირ ბრძო-

<sup>1</sup> ვეა-ფშაველა, თხზ. ტ. VII, გვ. 371.


<sup>2</sup> ვეა-ფშაველა, თხზ. ტ. VII, გვ. 374.

<sup>3</sup> უწინარეს ყოვლისა ამ მიმართულებითაა საესებით მართებული ლ. ფიორბაბის ცნობილი დებულება, რომ „ობიექტის შეშვენიერება არის ადამიანის თვითშეშვენიერება“. კ. მარქსი კი წერდა, რომ ადამიანი „თავის თავს კვრეტს მის მიერვე შექმნილ საშეაროში“.

<sup>1</sup> ვეა-ფშაველა, თხზ. ტ. VII, გვ. 372.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 373.



ლას გაგიმართავს: მოგვეპარება, დაგვესლავს და სიუცხლეს გავმოვასაღმებს. ადამიანისათვის სულერთია, გველის შხამით იქნება დაგვესლიო, თუ ლომის ძლიერი კლანჭებისა და კბილებისაგან იქნება დაფეთლილი. მაგრამ ლომთან ან ვეფხვთან შებრძოლებას, და თუ გნებავთ ტრალიველ დაღუპვის, ხომ მაინც თავისი შინა და ღაზით აქვს. ლომი და ვეფხვი პირდაპირს, ვაგაკურს ბრძოლას გაგიმართავს, ძალას გაივენებს. თუ კარგი ვეყავი ხარ, ძალას ძალა შეაჭედრე და, თუ დამარცხდები, პირდაპირი და შეუპოვარი ბრძოლის მონაწილე მაინც იქნები.

ვაგა-ფშაველა კარგად გრძნობს, რომ ბუნების მოვლენებისადმი ადამიანების დამოკიდებულებაში პრაქტიკულ-ეტიოლოგიური და ესთეტიკური თვალსაზრისი ერთმანეთს ერწყმის. მეწყურის დროს, ამბობს ვაგა, მიდი და პატარა გერბივართ აღეარებულ და მოვარდნილი მდინარის სანახავად. მოვარდნილი მდინარე მოგვეწონს და გვიტაცებს ბობოქარი, ყოელისგადაშლაველი ძლიერების გამო. „ხოლო თუ ვაღას-ვლა გვიწდა ამისთანა მდინარეზე, მაშინ იგი ცუდნიუნება, ვწყველით მას, ვუჩივით“.

კავშირული მთების მშვენიერების განცდა ხომ ვაგამ ესთეტიკური ტემპობის უშვალეს მწვერვალზე აიყვანა. პოეტის ღრმა რწმენით, „მთა ყველაზე მაღალია, ყველაზე დიდებული, რასაც კი ღიბო უდგა დედაშიწის ზურგზე“. მთა მუდამ, წლის ყველა დროს დიდებული და მშვენიერია. პოეტი სადა, მაგრამ საოცარი სიძლიერის შედარებებს იყენებს მთის სიდიდის გამოსახატავად, მთასთან გატოლება, მთის მწვერვალზე დგომა უძლეველობისა და დიდების ნომინიტიბელია:

მთას ვიუხვ, მწვერვალზე ვიღებ,  
თვალ წინ მეფინა ქვეყანა,  
გულზე მესვენა მზე-მოთარე,  
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

ღმერთი მორწმუნის ჩვეულებრივი წარმოდგენით, სადაღ იქ — ცაში არსებული, ყველაზე ამაღლებული, სრულყოფილი და დიდებულია. მაგრამ ვაგას მიერ შექმნილ პოეტურ სახეში ამოვლ დაეჭებენ ღმერთის ანარქილს ვაგა გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად ყველაზე ამაღლებული და დიდებული მთა; და თუ კი მის მწვერვალზე დაღვები, მაშინ ვონების თვალწინ გადაგეშლება მთელი ქვეყანა, გულზე დაგვეცენება მზე-მოთარე, იქნები ისეთი ამაღლებული, ისეთი დიადი, როგორც ღმერთთან მოლაპარაკე ადამიანია მორწმუნეთა წარმოდგენით. ამიტომ არის, რომ „მთიდან თავქვე ჩამოვალა“ ვაგას სიამაყისა და სიდიდის დაკარგვად, დამდაბლებად და გატიალებად მიიჩნევა:

რად მივალ, თავქვე რად მივალ,  
ჩემს თავს რად ვიხდი ტალად?


იმ მთის თავს რისთვის ვანებებ,  
თუნდ ვიქვე ტანჯიეს დიდალად?

გაუგებრობაა, როდესაც ამ ლექსში ჰხედავენ პოეტის მიერ ბარად, ქალაქად ცხოვრების უარყოფასა და მთაში ყოფნისა და ცხოვრების გაიდგალებას. ასე გამართლებულად შეუძლებელია ვაგას გენიალური პოეტური სახეების წაითხვა. ვაგა-ფშაველა სიდიადისა და უკვდავების მომღერალი პოეტია და ამიტომ არის, რომ ქება დიდებული მთებისა არაის არ უთქვამს ისე ძლიერ, ისე ამაღლებულად როგორც ეს ვაგამ თქვა. ვკითხვლობთ ვაგას პოეტურ შედეგებს და ჩვენ თითქოს გვესმია მთათა გოდება და ცვენა, თითქოს ვგრძნობთ მთების ფიქრსა და ოცნებას. „ცაზე გამჭარლან ვარსკვლავნი, პირი ეშატვის მთვარესა, მთანი თავ-ბაჭნიანიები ფიქრს მისცემიან მწარესა“. მთები ფიქრობენ, მაგრამ ფიქრი საღ არის, ფიქრს ხომ გამოშატველი ესაჭიროება? პოეტის ჯანსაღი ფანტაზია ადვილად პოულობს ფიქრების გამოხატვის ამ საშუალებას — „ნისლი ფიქრისა მთებისა, იმათ კაცობის ვეირავინი“. აი პოეტური სახე — ადამიანის გულისა და სულის შემქერელი. საკვირველია, ვაგა-ფშაველას ამ და სხვა მსგავს მხატვრულ სახეებში კაცმა რატომ ან როგორ უნდა დაინახოს ანიმისტური თუ პანთეისტური მსოფლგაგების გადმონათობი.

ვაგამ შესანიშნავად იცის, რომ ერთადერთი არსება, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს და საამისო ორგანოც გააჩნია — ეს ადამიანია. ამასთანავე ფიქრი და ადამიანი ერთმანეთისაგან განუშორებელია. „აქლიანიც რომ არ ეწადოს, — ამბობს ვაგა, — ადამიანის ტვინს დაჩეხებული აქვს ფიქრი, ეს მისი თვისებაა. ფიქრია ტვინის სიუცხლე. იგი ძლის დროსაც არ ასვენებს ადამიანს და სხვადასხვა სურათებს უხატავს. ხოლო როცა ადამიანი კვდება, მისი წილი ფიქრიც კვდება. რამდენა კარგი თუ ავი ფიქრი განიცვენებს დედაშიწის გულ-მკერდში უბოვლ, უსიტყვოდ“<sup>1</sup>.

მრავალჯერს აღენიშნავთ და ათასჯერაც უნდა ითქვას, რომ, მხატვრული მეტყველების თვალსაზრისით, ფიქრის ნისლიან შედარება კუშმარხიტად დიდი პოეტური აღმოჩენაა. რასაკვირველია, ჩვენ უნდა გვესმოდეს თუ რის თქმა უნდა ვაგას, რამია ამ პოეტური სახის დედააზრი. ადამიანი ტვინით და მისი ფუნქციით: გრძნობებითა და გონებით ადამიანობა. ტვინის სიუცხლე, ვაგას თქმით, „მაღლიანი, ბარაქიანი ფიქრებია“. და ვისაც ცხოვრების ავ-კარგზე ერთხელ მაინც ბარაქიანად უფიქრია, მას შეუძლებელია არ განეცადოს და არ ვგრძნოს ტვინზე ფიქრების მოწილა და დამაშვარალი გონების ფიქრებით ისე ჩამობურთვა, როგორც ამას ჩვენ

<sup>1</sup> ვაგა-ფშაველა, თხზ. ტ. VII, გვ. 248.



თვალხილულად ვხედავთ ცათაზიდული მთების მწვერვლებზე ნისლის მოწოლისა და ჩაობურვის სახით. ვეას ერთი წამით არასოდეს არ უფიქრია, რომ ესეულ მთები ფიქრობენ და ოცნებობენ. ვეას პოეტური დამახტურება იმაშია, რომ მან „უენ-პირი ბუნებაში“ ამაღლებული და დიადი მოვლენები შეარჩია და ჰაინის უმღერა კაცის ნამდვილი კაცობის ნიშანსა და გვიჩვენებს — „ამღლიან და ბარაქან ფიქრებს“.

ვაეა-ფშაველა გარემომცველი ბუნების მოვლენათა განსუღიერება — გამაროვნებით, ესეულ საგნების ადამიანური ნიშანთვისებებით შემოკეთით თვით ადამიანს გვიხატავს, მის სიხარულსა და სიმძიმეს გვაყნობს. ბუნების მოვლენებს ეს, ე. წ. ანთროპომორფისტული წარმოსახვა ადამიანებისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი. მხატვრულ ლიტერატურაში კი, მებრწყალევი ზომით, ყველა მწერალი მიმართავს მოვლენათა განსუღიერება-გამაროვნებისა და ადამიანისდაგვირად დახატვის ხერხს. ცნობილია, რომ შ. გორკი ბუნებისადმი ადამიანის ესთეტიკურა და მოკიდებულების, მხატვრული წარმოსახვის ანთროპომორფისტულ საშუალებას მაღალ შეფასებას აძლევდა.

ანთროპომორფიზმს, როგორც სინამდვილისადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულების მხატვრული გამოსახვის საშუალებას, ვაეა-ფშაველა თეორიულად აღიარებს და მხატვრულ შემოქმედებაში მას მთელი შესაძლებლობით იყენებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ვეას შემოქმედებაში ბუნების მოვლენათა განსუღიერება-გამაროვნების, სინამდვილის ადამიანისდაგვირად წარმოსახვის გამო ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას წარსულში ძალიან უყვარდა გარდასულ ვაშთა ვითარების გამომხატველი „ოზნების“ შესახებ სჯა-ბაასი, რაც ზოგიერთ მკვლევარს ჯერაც არ მოსწყენია. რაკი ვაეა ესეულ საგნებს აცოცხლებს და ანსუღიერებს, ამიტომ იგი ანიმისტიია. თუ ანიმისტიია, როგორ შეიძლება წარმართი არ იყოს? ბუნების მოვლენებს ანთროპომორფისტულად გამოხატავს — ესეუ ვეას ანიმისტიბაასა, წარმართობასა და რაღაც პირველყოფილ სიმბოლისტიბაზე მიუთითებს; ვეას შეხედულებით, ღმერთი იგივე ბუნებაა, ბუნება იგივე ღმერთია და, მასხადავამე, იგი პანთეისტიია და სხვა და სხვა. ასე უმოწყალოდ, უოველგვარი საპიროების გარეშე, იფლანგებოდა ვაშთა სვლისაგან მტყარაწერილი „იზმები“ და ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა ქართული პოეზიის არწივის მიმართ დიდ ცოდვებდას იღებდა. რასაკვირველია, ვაეა-ფშაველას მდიდარი პოეტური შემკვიდრებების უშესანიშნავეს და ურთულეს არაბესკრებში სწორი გზის გაცვლევა ძნელი საქმეა. მაგრამ ძირითადი პრობლემების მართებულად გაშეშება და გადაწყვეტა გარანტირებულად იქნებოდა, თუკი ვაეა-ფშაველას თეორიული და

კრიტიკული ხასიათის მოსახრებანი სთამადაოდ იქნებოდა ვათელისწინებულ მტყარაწერულად. მაგრამ, სამწუხაროდ, მტყარაწერულ და კრიტიკული ხასიათის წერილებს სულ უკანასკნელ დრომდე თითქმის არავითარი ანგარიში არ ეწეოდა. ეს მით უფრო საწუენია, რადგან ვაეა-ფშაველა, როგორც პოეტი და მოსახრენე, არსებითად ემთხვევა ერთმანეთს.

ბულია შემეცნებით და აღმზრდელიობით ძალას.  
რევან ერისთავისაგან სათარგმნელად აღებული  
ახულება — კოზლოვის „შეშლილი“, არ იყო  
რუსული ეროვნული სულის მატარებელი, „ბევ-  
რად რომ წაიკეთებოთ, მაინც ქართული ვერ  
გაიციოთ ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფ-  
ლის გოგოსა, იმიტომ, რომ ეს შეშლილი გოგო,  
თუმცა კოზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ  
რუსის სარდანიც არ აცვია ზედა. ეგ ჩალიც  
ურუსო იყოი...“ იმიტომაც ეს ნაწარმოები  
უგარგისო იყო ხალხის გონების დაქვეითდუ-  
ბისათვის, იგი ვერ მისცემდა ქართულს რაიმე  
ენობას რუსი აღმამანის ეროვნულ რაობაზე,  
მას შემეცნებითი არსი არ გაანდა.

ილია ჭავჭავაძემ მოურიდებლად ამხილა რე-  
ვან ერისთავის უხეშად დამახინჯებული ქარ-  
თული, მან დასაბუთა, რომ ერისთავისეული  
თარგმანის ენა დამახინჯებაა იმ მაღლიანი და  
ძარღვიანი ქართულისა, „რომელზედაც დათ-  
ლილია ჩვენმა უცდავმა რუსთაველმა თავისი  
რედავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელ-  
ზედაც დაიგალობა თავისი ლეიფიტი სიმღერე-  
ბი თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა,  
რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილიმ. მგ  
უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, პარმო-  
ნიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის  
ბედი“ და თავისი მართლა-და ზეგარდმო შთა-  
კონებული წერილი ლექსები“ ილ. ჭავჭავაძემ  
ეს ქართული პოეტები გამოაცხადა სანამოქმოდ,  
მათი ენა ქართული პოეზიის უმაღლეს მიღწე-  
ვად, ხოლო ამ მიღწევის გამოყენებლობა —  
აღუდღერებდა.

საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ილია  
ჭავჭავაძის შეხედულებას ქართული ეტრნალის-  
ტიკის მდგომარეობაზე გასული საუკუნის საზო-  
ციან წლებში, როცა ერთადერთი ბეკდვითი  
ორგანო „ციცქარა“ იყო. ქართული ეტრნალის-  
ტიკის მდგომარეობა ილიას ავებლობად მიანი-  
და, რადგან ამ ეტრნალისტიკას, მის ბეკდვით  
ორგანოს, „საყოთარი საარსებო ფინანსიური  
ლონი არ შესწევს ისეთი გეზის ასახებად, რაც  
არ იქნებოდა დამოკიდებული რომელიმე ხე-

ლისმოწერის გინიანობაზე. „ციცქარა“ არ  
გაანდა ერთი გარკვეული მიმართულება, ერთი  
გარკვეული პარტიული ინტერესი. ზოგიერ  
ეტრნალში იბეჭდებოდა ისეთი რამ, რაც ხე-  
ლისმოწერთა და ეტრნალის ეკონომიურად  
დამხმარეთა შეგნების წინააღმდეგ იყო (მაგა-  
ლითად „სტრამის ციხე“), მაგრამ ასეთის გამო-  
ქვეყნება უოველთვის იწყვედა მრავალთა გუ-  
ლისწყრომის და მექიარასაც რედაქტორის მი-  
მართ, რომ ეტრნალზე ხელისმოწერას შეწყვეტ-  
დენ და ა. შ. „ციცქარის“ ერთერთ დამსახურე-  
ბად ილ. ჭავჭავაძემ მიანდა ის, რომ ასეთ  
დამოკიდებულ მდგომარეობაში მან მაინც მოა-  
ხერხა და გამოქვეყნა თითო-ორი ნაწარმოე-  
ბი ალ. ჭავჭავაძისა, ნ. ბარათაშვილისა და გრ.  
ორბელიანისა.

ილ. ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერი-  
ლის უდღესი ნაწილი რევან ერისთავის თარ-  
გმანის განქებებას მიეძღვნა. წერილის ავტორ-  
მა ფაქტობრივად, ცხოველი ნიმუშებით დაამტ-  
კიკა თარგმანის უსუსტრობა, დასაბუთა, რომ  
ასე უდიერად მოქცევა მშობლიური ენის მი-  
მართ არაა საპატივებილი — „სხვისა არ ვიციო  
და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდიო  
ჩვენ მშობლიურ ენის მიწმასან გასწორებას“, —  
დაასკვნა ილია ჭავჭავაძემ.

ილია ჭავჭავაძის წერილი რომ მხოლოდ  
რევან ერისთავის თარგმანს არ ეხებოდა და  
რომ მისში დაყენებული საკითხები მომწიფე-  
ბული იყო, იმით დადასტურდა, რომ „ორიოდე  
სიტყვამ...“ დღი გამოიმთურება ჰყო „ციცქ-  
არის“ მწერალ-პუბლიცისტების წრეში. რევან  
ერისთავისადმი მიმართულ კრიტიკულ წერილ-  
ში ძლიერ ბეგრამა დაინახა საკუთარი „მოღვა-  
წეობის“ შეფტება და სწორედ ეს იყო საბაბი  
რომ ილიას საპასუხოდ აღსდგა მთელი წვება  
მწერლებისა. 1861 წელს მაისს „ციცქარაში“  
დაიბეჭდა ბარბარე გორჯაძის „თ. ილია ჭავჭა-  
ვაძის კრიტიკაზედ“, გიორგი ბარათაშვილის  
„წერილი რედაქტორთან“ და რევან ერისთავის  
„პასუხი თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“. „ციც-  
ქარის“ რამდენიმე ავტორის ერთობლივმა პოზი-  
ციამ ილიას წინააღმდეგ (მათ დეიმატა „ციცქ-  
არის“ მეექვსე ნომერში სარდიონ ალექსი-მესხი-  
შვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“, მეცხრე  
ნომერში ბარბარე გორჯაძის „პასუხის პასუხი“  
და 1862 წლის თებერვლის ნომერში ექვთიმე  
წერეთლის „ზემოურთი იმერელი ვარიანტი  
წერეთელი ექვთიმე“ — ასე აწერდა ხელს იგი  
წერილს) „წერილი რედაქტორთან“, გამოიწვია  
მისი მეორე წერილი „პასუხი“ („ციცქარი“,  
1861 წ. ივნისი, № 6). შემდეგ კი ილია ჭავჭა-  
ვაძის პოზიცია განამტკიცეს ჯერ კიდევ ბებრე-  
ბურგში მყოფმა ახალგაზრდებმა — „თერგდ-  
ღულებმა“, რომელთაც მტკიცედ დაუპირეს  
მხარი ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ

ცხოვრებაში ნათქვამ ახალ სიტყვას და ბეჭდვით განაცხადეს, რომ „ჩვენ აქა ვართ სამნი შანი, სამნი თერგდალეულთაგანი“, რომლებიც მხარში ამოყუდგებით ილია ჭავჭავაძეს. ესენი იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, აქაი წერეთელი და სამსონ აბაშიძე. მათ სულ მალე შეემატნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

ამრიგად მოხდა დაჯგუფება ქართველ საზოგადოებაში და მოხდა, უკეთ დაგვირგვინდა, განხეთქილება ძველებსა და ახლებს შორის, მამებსა და შვილებს შორის, რომელნიც ერთ-ერთისაგან დაცილებული იყვნენ იდეოლოგიური სხვადასხვაობით, ზელოვნების გაგების სხვა

დასხვაგვარი პრინციპებით, ზელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტით.

ილია ჭავჭავაძის აპრილის სტატიით სამოციანი წლების ახალი თაობა გამოვიდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნებით.

სამოციანი წლების დიდი მოძრაობა, რამაც აღმოაცენა ბრწყინვალე შემოქმედება „თერგდალეულებისა“, ახალი ახალგაზრდობისა და მოწინავე დემოკრატიული თაობისა, დაიწყო ილია ჭავჭავაძის წერილით, რომლის გამოქვეყნებიდან 1961 წელს აპრილში შესრულდა ასი წელი.

## ოტია იოსელიანის ნოველები

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი ლიტერატურული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ახალგაზრდა პროზაიკოსის ოტია იოსელიანის ნაწარმოებები. ჩვენდა სასიხარულოდ მისი უოველი ახალი ნაწარმოები გვეგრძნობინებდა, რომ საქმე გვაქვს ნიჭიერ შემოქმედთან, რომელიც თანდათან იზრდება, ფართოვდება აგრეთვე მისი ნაწარმოებების თემატიკაც. ამის ნათელი დასტურებაა „საბუთთა საქართველოს“ მთავარი გამოცემული ო. იოსელიანის „ნოველები“.

ახალგაზრდა მწერალს კარგად აქვს შესწავლილი ადამიანის ფსიქოლოგია, მისი სტრუქტურა გაჩვენებული, ან გარემოსთან ურთიერთობაში ან თვით ადამიანებთან დამოკიდებულებაში. როელი და მრავალმხრივია ადამიანის სულიერი ცხოვრება. მრავალმხრივია ო. იოსელიანის ნოველების თემატიკაც. ადამიანის სხვადასხვა კუთხიდან შესწავლის ასპექტში, მწერლის მახვილი თვალი კარგად წედება გმირის სულიერ საქმარს და დამაჯერებელი მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს მას.

უეცარი შემთხვევის გამო ორი ეკვი მიწის მიაპარა ლევანამ, დარდისაგან მათ გაყვა ლევანას ცოლი ზედაეკვი. სახლში მარტოდ დარჩენილა ლევანა. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მხოლოდლა მოგონებებით ცოცხლობს. ლევანას ცხოვრება ერთი მთლიანი სიზმარია. ლანდების სამყაროში ტრაგედებს ლანდალქცეული. ეს ლანდები კი მისი შვილები და შეუღლეა, სხვა ყოველივე და ყველაფერი მისგან გამოთიშულია. ნასახლარს დაეშვავსა ლევანას კარმიდამო, სახურავი გადაძარცვულა სამზადს, ბალახა და ანწლმა დაფარა ენო, ხავსი მოეღო კიბეებს. უკუნეთი სიბნელე, სიცივლიაა გამეფებული აქ. მაგრამ სიცოცხლე თავისას ობოლობს, იგი მომავალს ეღს. ბალახი რაა, ბალახიც კი ვერ ძლებს ამ სიცივლითა და უმოქმედობის სავანეში, „ბალახი გაძვრა კი მთის რატიანეში და გზას გახედა“... ისიც კი თითქოს ვიღაცას ეღს.

ღმის კითხვა: რამ შეიძლება გამოიყენოს აღნიშნული მდგომარეობიდან ადამიანი? რას

შეუძლია დაუბრუნოს იგი ცხოვრებას? საესეებით სწორია მწერალი, როცა ის არ იყენებს შებლონად ქცეულ ხერხებს და ზედმეტად მიაჩნია სხვა პიროვნებების ჩარევა, მათი დიდაქტიური ნოტაციები. „ლანდებმა“ მიიყვანეს, უბრალო შემთხვევის შემდეგ, ლანდალქცეული ლევანა, სახლისთან. შრომა კი ისეთი მძლავრი ფაქტორია, რომელსაც თვით უღიფხუი სულიერი ტრავმისა და დაძაბუნებინაც შეუძლია გამოიყენოს ადამიანი, რეალობას დაუბრუნოს იგი. დაღლილ-დაქანცულ ლევანას ხარებთან ჩაეძინება: „ღღის სინათლემ გამოადიდა მძინარე. მიმედ შიოსრისა თვალები, წინ გაიხედა: ღია ჭიშკარი, ურემი, ლაღახა სახლის, ხარები. უკან მოტრიალდა და მოქედრული ოღა, შავფარდიანი ფანჯრები, სახურავგადაბდილი სამზადი და სამზადის წინ — კარებთან მიწოლილი ბებერი ნავაზი.“

— შეიღებო! — იკითხა ლევანამ, — შეიღებო! — გაიმეორა უფრო ხმამაღლა.

— შეიღებო! სადა ხარო, შეიღებო, შეიღებო! — უკვე მთელ სოფელს ესმის ხმა.

შვილები არ უნახავს წუხელ სიზმარში ლევანას“. (გვ. 70).

მწერალმა საესებით დამაჯერებლად დაგვიხატა თუ შრომამ როგორ დაუბრუნა ლევანა ცხოვრებას, სხვა გზა, ალბათ, ხელოვნური და არადამაჯერებელი იქნებოდა და მწერლის გამარჯვებაც ისაა, რომ მან ადამიანი შრომის გზას დაუბრუნა მინაგანი გარდატეხის შედეგად.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, იგი საზოგადოების ღვიძლი შეიღა და ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია. ზოგჯერ ამა თუ იმ ობიექტური ან სუბიექტური მიზეზის გამო ადამიანი მოწყდება ზოლმე საზოგადოებას და საკუთარ ნაქცეში ჩაიკეტება. საჭიროა მისი საზოგადოებაში დაბრუნება და ესაა ძირითადი აზრი ნოველა „ლევანისი“. ამ საკითხს მწერალი ისევ უბრუნდება ნოველა „თეთრ ქალიშვილში“, მაგრამ აქ საკითხი სულ სხვა კუთხითაა გაშუქებული. თუ „ლევანისი“ მწერალმა პიროვნების ჩარევა, დიდაქტიური ნოტაციები ლევანას საზოგადო-

უბამი დასაბრუნებლად, ზედმეტად მიიჩნია, „თეთრ ქალიშვილში“ ნათიას ცხოვრებისეულ ფერხულში ჩაბმისათვის მწერალმა სწორედ ვარჯიანი ჩარევა გახადა აუცილებელი.

ლევანას ცხოვრებასთან დაბრუნებაში სხვა პიროვნებების ჩაურევლობა მოტივირებულია იმით, რომ ლევანი უკვე ხანდაზმული, დიხტი და დავიკრებელი გლეხია, მისი ხასიათი უკვე ფორმირებულია და ჩამოყალიბებული. მხოლოდ იმ დიდ ტრაგედიას, რომელიც მას თავს დაატყდა, შეეძლო მოეწყვიტა იგი ცხოვრებისეულ სარბოლას. სულ სხვაგვარად ღვას საკითხი „თეთრ ქალიშვილში“. ნათიას მოწყვეტა ცხოვრებისაგან რაიმე დიდი სულიერი ტრამვის შედეგად კი არ მომხდარა, არამედ უმოთხრესად აღზრდის შედეგია. ბავშვობიდანვე ფიზიკურად სუსტი ნათია, ზოგიერთი ჩვენი ვაი-ეპიქონისა და მშობლის გადაჭარბებული „ყურადღების“ შედეგად, საზოგადოებას თანდათან მოწყდა. მისი მოქმედების არე საკუთარი ქობით და საწოლით შემოიფარგლა. ასეთ შემთხვევაში მწერალმა მიზანშეწონილად ჩათვალა სხვა პიროვნების ჩარევა, მაგრამ იგი ყოველგვარი ჩარევის მომხრე როდია. ნათიასთან ბავშვამდეც დადიოდნენ ახმაწავები, მაგრამ შემდეგ თანდათან ჩამოკლდნენ კიდევ. ნათია უკვე იმ ასაკშია, როცა აღამიანი ქვეყნობიერად იღვებებს ღბოლვა ადამიანის სწორისაკენ“ და ახალგაზრდა ბავშვის თუნდაც ერთზეც გამოიყენა ნათიას ეზოში, საკმარისი აღმოჩნდება, რომ მასში მთელი სიძლიერით იფეთქოს მოქმედების მოთხოვნილებამ, რომ იგი ცხოვრებისეულ სიტუაციას დაეწყაფოს.

ოცნება ოჯახზე, ოჯახის შექმნით გამოწვეული სიხარული გადმოცემულია ნოველაში „ოჯახის იმბაზე“. ნოველა იყოფა ცალკეულ ნაწილებად. თვითეთლი ნაწილი „კომპოზიციურად დასრულებულ ნაწარმოებს წარმოადგენს და ამავე დროს მშობლარ კავშირშია ერთმანეთთან.

ნოველის ახალგაზრდა გმირებს — სისოს და თეონას გულწრფელად, ვატაციებით უჯვართ ერთმანეთი, ოცნებობენ შექმნას ოჯახი, ოჯახი — სიუვარულია და სიკეთის კერა. ისინი ასე შეხმარაინ მუზობელი ივლიანეს ოჯახს: „ქოთანში რძის ჩხრალი არ იმისი, მაგრამ ჩვენ ვვსმის, ვვსმის როგორ მოიმღერის რძე ქოთანში ოჯახის სავალობელს... როგორ ფშინავს ტახტზე წამოწოლილი ოჯახის უფროსი — ივლიანე ვახშმის მილოდინში და მიბნედილ თვალებს არ აცილებს საქმით გართულ ცოლს“.

ეზო შემოირაგავი, ბუხრის მილიდან პარველი კვამლი ამოვიდა, შეიქმნა ოჯახი. ოჯახური სიტუაციის სიხარულს მისცემან სისოს და თეონა. ახალი ოჯახის შექმნის შემხარაინ მუზობლებიც; მაგრამ ოჯახს თითქოს რაღაც აქლია, თითქოს და გერ კიდევ არ არის ოჯახური პარზონია და აი, ჩნდება სიუვარული

პირველი ნაყოფი — ახალი სიციცხლე... აღტაცებული მამა ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, მას უნდა მოელ ქვეყანას გააქვინოს ეს იმბაზე, აეპიტი, ეპიტი ხაილხო, სოფელი, ქვეყანაც, სიციცხლე გაჩნდა აჟ, ამ ჩემს სახლში, ჩემს სახურავქვეშ, მოდით შეხედეთ, სიციცხლე სუნთქავს, სიციცხლე ფეთქავს აგერ, ჩემს პატარა პერქვეშ“. (გვ. 26)

ამ პატარა ნაწარმოებში მწერალი მხატვრული დამჯერებლობით ვერჩვენებს ოჯახის შექმნას და მასთან დაკავშირებულ ადამიანურ განცდებს.

მარტვი სიუვეტზეა იგებული ნოველა „ჩქარი მხატვრულიდან“. ორიტლშაველის მემანქანის თინაშეშვე მხატვრულიდან ზედანს ოდას, ოდას ოჯახზე გადმომდგარ გოგონას. ისინი ზელების ქნევიით ესალმებიან ერთმანეთს. ასე მეორდება ყოველდღიურად და მათ ერთმანეთი შეუვეარდებით კიდევ. ასე მარტივია ამ ნოველის სიუვეტი. ამას ემატება ისიც, რომ ნოველაში მწერალი ერთიდაიმავე სურათს რამდენჯერმე ხატავს თითქმის ერთიდაიმავე ზერხებით, ხშირად წინადადებას ეკრამდენჯერმე განმეორებული. მაგრამ ყველაფერ ამას მწერალი ისე უხამებს გმირის სულიერ განცდებს, რომ მკითხველი სიამოვნებით კითხულობს და განმეორებებს ვერც ვრძნობს. ნოველის წარმატებას ზელს უწყობს ისიც რომ მწერალი კარგად აღწერს ბუნების სურათებს. ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, ბუნების ცალკეული ნაწილებს უბრალო ჩამოთვლით პერიზის დახატვა:

„სოფელი, მდინარე, ყანები, ვენახები, აღვები, მუხები, გლეხები, ქალი, კაცი, ცა და დღეამიწა — ჩემია ქვეყანა“. ყველაფერი ამის ჩამოთვლით თითქმის საკმარისი არაა პერიზის შეაქმნელად. მაგრამ ეს ისეა დანახული მიმავალ მხატვრულიდან, რომ უკვე მშვენიერ სურათს ქნის.

ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ბუნებრივ მოთხოვნილებებს და ტრადიციებს შორის წინააღმდეგობა — ესაა თემა ნოველის „ქვრივის ცრემლები“. ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას ხშირ შემთხვევაში წინ ელობება ტრადიციები. ქვრივი დარბაც ამ ტრადიციებს ისე დაუბონებია, რომ მისაღმი ღალატი ვერც კი წარმოუდგენია. კრიტიკულ მომენტში კი, შინაგანი ბრძოლის შედეგად, დარბის ძილვს ბუნებრივი მოთხოვნილება, ოღონდაც ისე რომ ხალხმგეს სალაპარაკოდ და დანახებმ საგნად იქციოს. ქვრივი დარბის განცდები საესებით ბუნებრივადაა გადმოცემული.

სუსტი ნებისყოფის ადამიანის ფსიქოლოგიური სახე დაგვიხატა მწერალმა ნოველა „ხელი მოეპარული“. ნოველის გმირი ანტონა ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ესაა სწორედ მიზეზი იმისა, რომ იგი ხან ცეცვის მასწავლებელია და



ხან ქვის მთელი, ხან კალატონია და ხან საშლერის მასწავლებელი და ფეხს ვერსად ვერ იკიდებს. ანტონა მომენტის შესაფერისად ცულის მიზანს, რითაც შეექმნება უაღბო რწმენა, რომ ის მოქმედება, რომელიც მან განახორციელა საჭირო და აუცილებელი იყო (გავისხენოთ ანტონას მსჯელობები ქვის მთელად ყოფნის ან კალატონობის დროს). არწმუნებს რა თავის თავს იმაში, რომ მის მოქმედებას აწმყოს საჭიროება მოითხოვს, ანტონა კმაყოფილებას ვაძლევს, მაშინ როცა სხვა დროს მსგავსი მოქმედებისათვის იგი სხვას ვაპოკხავედა კიდევ. ანტონაში თვითრიტორის უნარის დაუძღვრება მომენტითაა გამოწვეული, რაც თავისთავად ნებისყოფის სისუსტეზე მიუთითებს და ესაა სწორედ მიზეზი იმისა, რომ იგი ბოლომდე ხელმოიკარული რჩება.

მწერალს რამდენიმე კარგი ნაწარმოები აქვს შექმნილი ბავშვების ცხოვრებაზე, მაგრამ ისინი ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ: მწერალს აქვს უნარი კარგად შეიქონოს და გადმოგვეცეს ბავშვის სულიერი სამყარო, რაც ერთდელ კიდევ დასტურდება სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ნოველა „თამაშით“.

მწერალი ლაკონურად გვიხატავს ჩვენს სოფელში მომხდარ დიდ სოციალურ გარდაქმნებს: „ჩვენში ასე კი არ იყო ძველად, სად იყო ეს ფართო ქუჩა, ახლა რომ ასე არსებინდა ამობრახანდებით მანქანით? ჩვენს ორღობეში აქაური ნოჩილა ურმები თუ ამობობდებოდა, ან ორი ცხენოსანი თუ გადებოდა ქვებიან და კორტოხებიან გზაზე. ამ ოცდაათიოდე წლის წინ დაიწყეთ ეს გზა... ვანკრიეთ კლდეები, ვასწორეთ

მთები... გავდეთ ხიდები და... მოვედა სოფელში დიდი ხნის ნინატრი გზა. განათლდა სოფელი, გაეხილეთ თვალი, გაეკრიეთ ქვეყანაში და ერთ დღეს გაჩნდა მანქანა“ (მასარა) ამ პატარა ამონაწერის გარდა აღნიშნულ ნოველაში ამ თემაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ აქედანაც ძალუმაღ მორანს ის პრაგმატი, რაც ჩვენმა სოფელმა განიცადა განვითარების, საზოგადოებრივი წინსვლის გზაზე.

ორთა იოსელიანი კარგად იცნობს ქართულს, კერძოდ იმერულს, სოფელს და შესანიშნავადაც ხატავს მის სურათებს: „სოფელში სინათლე იწებდა. ბოლავს საკვამურები. გადმოიბრუნებულ ტაშტს უტყაფუნებენ ბავშვები, ჰუკეტიჩებს სილორეში გამოიწყვედიელი დედა დორი და ძაღლები დაგვიანებულ მგზავრს უტყვენ ღობესთან“. კახელობით ამ სტრიქონებს და ოქვენს წინ იშლება საღამოს სურათი იმერულ სოფელში მთელი თავისი მომზიბველობით.

მწერალი ხშირად მიმართავს იუმორს, რაც ნაწარმოებებს უდავოდ მეტ ღირსებას აძლევს. ოსრობა მიმდინარეობს სადაღ, სხარტად, ლაკონურად. მართალია, ავტორი გმირთა მეტყველების დროს ზოგჯერ აყენებს იმერულ დიალექტს, მაგრამ ჩვენი აზრით აქაც მწერალს არ დაღატობს ზომიერების გრძნობა. რაც შეეხება ავტორის მეტყველებას, იგი წმინდა ლიტერატურულია.

ო. იოსელიანის ნოველების წიგნი უდავოდ საინტერესოა ჩვენს ლიტერატურაში, მკითხველმა იგი კარგად მიიღო, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წიგნი მალაზისის თაროებდღან გამოჩენისთანავე გაქრა.

**ა. მასიოვილი**

**ნაშრომი ხევისურულ დიალექტზე**

ახლა სოციალისტური ყოფის დამკვიდრებასთან ერთად, სწავლა განათლებისა და კულტურის გავრცელების შედეგად, ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს კუთხური (დიალექტური) მეტყველების სხვაობათა მოშლისა და მათი სალიტერატურო ენაში შერწყმის კანონზომიერი პროცესი. ამ პირობებში მეტად საშერია ქართული ენის ნაიროფან კუთხურ სამეტყველო თავსებებრებათა აღწერისებო-

აღ. ჰინკარაული, ხევისურულის თავისებურებანი ტექსტებითა და ინდექსით. საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა. 1960 წ. რედაქტორი ა. ჩიქობავა.

შესწავლა, რასაც წინ უნდა უსწრებდეს სანდო დიალექტოლოგიური მასალების შეკრება-ჩაწერა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უნათმეცნიერების ინსტიტუტში, ქართული ენისა და სიტყვიერების შემსწავლელმა სხვა სამეცნიერო კერებმა კარგა ხანია მოკიდეს ხელი ამ გააუღებელ საქმეს. ფართო შემკრებლობითი და კვლევითი მუშაობის შედეგად ამჟამად უკვე მოგვეპოვეს როგორც მონოგრაფიები ძირითად ქართულ კლდეებზე (ქართულზე, კახურზე, გურულზე, აჭარულზე და სხვ.), ისე ტექსტურალური მასალები, ლექსიკონები და ცალკეული შრომები ქართულ კილოთამყიდნეობის სხე-

ციალურ საკითხებზე. უკანასკნელ ხანებში გამოსულ ნაშრომთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ალ. კინჭარაძის წიგნი — „ხევსურელის თავისებურებანი“, რომელიც ქართულ კოლოთა შორის მკვეთრი გრამატიკულ-ლექსიკური სპეციფიკით გამოირჩეულ, არქაული სტრუქტურითა და ფორმათა ცვალებადობის მხრით მეტად საინტერესო დიალექტის — ხევსურელის მონოგრაფიული შესწავლის პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს.

ხევსურეთზე, საქართველოს შიდაეთის ამ საუბრადადებო კუთხეზე, მის მკაცრ ბუნებასა და არქაული ყოფის გადმოწამებზე, რწმუნასა და ადამიანებზე ბევრი რამ დაწერია როგორც ქართულ და რუსულ, ისე უცხოურ ენებზე. მაგრამ ხევსურთა მეტყველებაზე, როგორც ქართული ენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კლოზე, დღემდე ჰყენ არ მოგვეპოვებოდა სპეციალური ნაშრომი.

ხევსურულს მეცნიერული თვალსაზრისით პირველად ქართული დიალექტოლოგიის ფუძემდებელი აკად. ა. შანიძე შეეხო, როდესაც თავის სამედიცინო-საანგარიშო მოხსენებაში (1913 წ.), ხოლო შემდეგ, ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოსულ შრომების კრებულში (1915 წ.), მთის სტვა კოლოებთან ერთად მოკლედ დაახასიათა ამ კილოს თავისებურებანიც.

1935 წელს გერნალ აწილიძის „ქართული კართული საენათმეცნიერო ორგანოს წარმოადგენდა, ა. შანიძემ ხევსურული მეტყველების საწარმო ტექსტებიც გამოაქვეყნა, ჩაწერილი ნიშნები მოქმედის ბესარიონ გამბურის მიერ (ბესარიონი აქამდე სამგორის ველზე, სოფ. გამარჯვებაში საზღობს). ტექსტებს დართული აქვს მკვლევარის შენიშვნები და მის მიერვე შედგენილი სპეციალური ლექსიკონი. ა. შანიძის სახელზე უკავშირდება ხევსურული პოეზიის ვრცელი კრებულის გამოქვეყნება, რომელიც 1931 წ. გამოვიდა შემდგენლის ძვირფასი შენიშვნებითა და ვარიანტებით. ჩვენი სტვა ენათმეცნიერები თავიანთ შრომებში ვაკერით და სპიროებისადმიხედვით თუ ენობოდნენ ხევსურელის ენობრივ მოვლენებს.

ამგვარად, ახალგაზრდა ავტორის ალ. კინჭარაძის ხსენებული ნაშრომი გავრცელება კარგა ხნის წინათ დაწეებული სპირო საქმისა ენათმეცნიერული ცოდნის თანამედროვე ეტაპზე.

წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა. ფრაზოლოგიაში დამებნილ უხე საილესტრაციო მაგალითებზე დაყრდნობით ავტორს დადგენილი და აღწერილ-განაწარმოებული აქვს ხევსურელისათვის დამახასიათებელი ბევრი თი მოვლენები, რომელთა შორის შემჩნეული ფაქტების მრავალფეროვნებით, მათი კვალიფიკა-

ციის სიღრმითა და მეცნიერული ვაპირებით ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე ენათმეცნიერების (გვ. 3-9), კომპლექსით მონაცვლეობა (გვ. 17-23), ბგერათა განვითარება (გვ. 25-34); ფონეტიკურ მოვლენათა გათვალისწინების საფუძველზე ავტორს კარგად აქვს მიგნებული ბევრი სიტყვის ეტიმოლოგია, ან მათი ფუძეობის წარმომავლობა, თუ ცვალებადობა (ინ. სიტყვები: ლუდრია, თავარიკა, სიპინგია, მემარ, ონხარი, ტუმბო, გრავალი, გვირგვინი, რკალი, გრჯლა, კრეტ-საბმელი და მისთ.).

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი იყო ავტორს ფონეტიკურ საკითხთა შორის ცალკე გამოეყო მახელის საკითხიც. მახვილი ხევსურულში სპეციფიკურია და ენობრივი ცვალებადობის ძლიერი ფაქტორის წარმოადგენს. მისი სპეციალური განმარტვა დასაყრდენს მისცემდა მკვლევარს ფონეტიკურ საკითხთა რკვევაში.

ხევსურეთი შრომის ავტორის მშობლიური კუთხეა, ამიტომ მკვლევარი კარგად იცნობს ყოველ სოფელს, აზნევის მეტყველების ნიუანსებს ცალკეული გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით. მას ემარჯება გრამატიკული ფაქტების ხშირებისა და გავრცელებულობის ზუსტი ლოკალიზაცია და ამის საფუძველზე კოლოკაციებისა და ფემების ერთმანეთისაგან გამოიჯნა.

ბევრი საგულისხმო, სპეციალურ ლიტერატურაში უცნობი ენობრივი ფაქტი აქვს აღწერსული და შესწავლილი ალ. კინჭარაძის სახელთა ბრუნების, წარმოების, კომპოზიციის დარგში, განსაკუთრებით ფართოდ ნერდება იგი ზმანზე (გვ. 93-180), რომლის ფორმათა წარმოება ხევსურულში რაც თავისებურებას ამკვლავებს.

სინტაქსიდან წიგნში მშობლად რამდენიმე სპეციალური საკითხია აღებული განხილვის საგნად: მსახლერელ-სახლერელის ურთიერთობა, სიტყვათა რიგი წინადადებაში, კითხვითი ნაწილაკი ა და ზოგი შენიშვნა წარმოთქმა-ინტონაციის შესახებ.

საანალიზო ფაქტების ჩვენებისას ავტორი შესაძარბლად ხშირად იშველიებს ქართული ენის სტვა დიალექტებს (უმათერესად თუმურს) და ენებს (ზანური, სვანური, სომხური, რუსული), არა ერთხელ ავლებს პარალელს ძველ და თანამედროვე სამწერლო ქართულის ფორმებთან. უმეტეს შემთხვევაში ეს შედარება-პარალელები მიზნობრივი და სწორია.

მეორე ნაწილი შრომისა წარმოგვიდგენს დარგობრივ ლექსიკას (გვ. 193-311), რეზიუმეს რუსულ ენაზე, ტექსტებს, საძიებელს, პოზიტიველთა ნუსხას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

ფრიად საუბრადადებოა ავტორის ცდა მოსაწილებობის ყოფა-ცხოვრების და შრომა-საქმიანობის აღწერის პროცესში გამოავლინოს ყველა ტერმინი, სიტყვა და გამოთქმა, რაც დაკავში-

რებელია, კერძოდ, პეტრელის მოყვანისთან, თიბესთან, მესაქონლეობასთან, მშენებლობასა და იარაღ-საბურღლის ზმარებასთან. წიგნში შესაბამისი დარგის ლექსია ცალკე თავებადაა გამოყოფილი, რომლებიც ძვირფას ტერმინოლოგიურ მასალას შეიცავს ზვესურეთის სამეურნეო უოფა-ცხოვრების შესახებ. ეს თავებია: პეტრელის ლექსია, თიბის ლექსია, მესაქონლეობის ლექსია, მშენებლობის ლექსია და ახრის ლექსია.

სარეცენზიო წიგნში საკმაო ადგილი აქვს დამოძილი მეცნიერული სიზუსტით ჩაწერილ (პროზაულ და პოეტურ) ტექსტებს (გვ. 324—440), რომლებიც აქ პირველად ქვეყნდება. ხვესურული მებრუნელების ეს ნიმუშები უფრადლებას იხერხებს როგორც ვანობრები, ისე სიუვეტურ-შინაარსობრივი მრავალნაირობით, ამიტომ, გარდა წმინდა ენათმეცნიერებისა, მოე-

ლი ეს მასალა ძვირფასი და საინტერესო-ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

გამოკვლევაში წარმოდგენილ უამრავ გამართულ მოვლენათაგან ზოგის ინტერპრეტაცია ბუნდოვანია, არადამაჯერებლად გამოიყურება, სადალდა მისიანევი ანდა დაზუსტებას საჭიროებს (მაგალითად, გვ. 4, 8, 22, 46, 51, 70, და სხვ.). მაგრამ ამისა მიუხედავად, ალ. ჰინვარული სარეცენზიო ნაშრომი ძვირფასი წვლილია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში. მისი პირველი ნაწილი წიგნის რედაქტორის, ენათმეცნიერის არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ეთქვათ, „ჯეროვან მეცნიერულ დონეზე დგას“, ხოლო მეორე ნაწილი „გადაუპირებლად შეიძლება ითქვას, სანამუშოა“.

ილია მამისაძე.

### საყუარდებო ნაშრომი ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა პროფ. კ. ბაქრაძის წიგნი „Очерки по истории новейшей и современной буржуазной философии,“ რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ მოფიქრებული ვრცელი მონოგრაფიის პირველ ნაწილს. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში არა თუ ქართულ ენაზე არ მოიპოვება მებრუნელებად სერიოზული გამოკვლევები ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების ამ პერიოდის შესახებ, არამედ ასეთი შრომები თითზე ჩამოსათვლია რუსულ ენაზედაც კი. მარქსისტული ლიტერატურა აღნიშნულ საკითხებზე შემოიფარგლება თითქმის ერთადერთი, ჯერ კიდევ 1933 წელს ლუბოლის რედაქციით გამოცემული სტატიების კრებულთ: „Из истории философии XIX века,“ რომელშიაც განხილულია ბურჟუაზიული ფილოსოფიის მხოლოდ ზოგიერთი მიმართულება.

თვალს თუ გადავავლებთ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას გამოყარკვევთ, რომ აღნიშნულ საკითხზე ძალზე ცოტა ლიტერატურაა. ბურჟუაზიულ თვალსაზრისით გერმანელი ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების ახალი პერიოდი, გაშუქებულია უებერგევის, მიიერის, ბოზენსის, და სხვების შრომებში. ამ შრომების უმეტესობაში ეს მიმართულებანი დალაგებულია მებრუნე მოკლედ. ყოველგვარი კრიტიკისა და

შეფასების გარეშე. ასე მაგალითად მიიერის 1949 წელს გამოცემულ წიგნში „თანამედროვეობის მსოფლმხედველობა“, ემპირიოკრიტიციზმს დამოძილი აქვს მხოლოდ 2 გვერდი, ნოკან-დანიერ მიმართულებებს მთლიანად 12 გვერდამდე, პესერლს კი 4 გვერდი.

გერმანელი ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების ის მონაკვეთი, რომელსაც პროფ. ბაქრაძის მონოგრაფიის უკვე გამოქვეყნებული ნაწილი შეეხება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განვიდასხვა დროს გამოქვეყნებულ ცალკე სტატიებს, სისტემატური მონოგრაფიული კვლევის ობიექტი ჯერ არ გამხდარა.

მონოგრაფიის შესავალში კ. ბაქრაძე იძლევა იმ სოციალური ვითარების დახასიათებას, რომელსაც განაპირობა ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების საერთო ხასიათი. აქვე ავტორი განვიხილავს იმ იდეურ წინამძღვრებსაც, რომლებმაც ლოგიკურად განაზღვრა მე-19 საუკუნის შეახანების შემდგომი ბურჟუაზიული ფილოსოფია. შესავალშივე მოცემულია შეკუმშული მაგრამ არსებითი დახასიათება ბოლცანოს, შოპენჰაუერისა და ბრუნტანის ფილოსოფიური სისტემებისა. ყოველივე ამის შემდეგ კ. ბაქრაძე გადადის ცალკეულ ფილოსოფიურ მიმართულებათა ვრცელ ანალიზზე. ეს მიმართულებანი: ვულგარული მატერიალიზმი, ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი, იმანენტური ფილოსოფია, „იდეალისტური“ (კრიტიკული) პოზიტივიზმი,

ნეოკანტიანური მიმართულებანი (ფ. ა. ლანგე, შარბურგის სკოლა, ბადენის სკოლა), პესერლის ფილოსოფია (პირველა პერიოდი).

ფილოსოფიური მიმართულებების უმეტესობა, რომელთაც ავტორი განიხილავს, მიმართავს ერთობ რთულ ტერმინოლოგიას, ხშირ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად არ მოისმარს სიტყვებს, ვრთვეარ თვითნებობას იჩენს ფილოსოფიური ცნებების მიმართ, გულისხმობს რა მათში, საერთოდ აღიარებული მნიშვნელობისაგან განსხვავებულ შინაარსს. ყოველთავე ამის ვარდა ზოგჯერ აღგილი აქვს ისეთ მდგომარეობასაც, რომ ამა თუ იმ მოაზროვნის მიერ განვითარებული ფილოსოფიური თვალსაზრისის იმის საწინააღმდეგაა რისი დასაბუთებაც თითქოს და მას უნდოდო.

პროფ. კ. ბაქრაძის მონოგრაფიის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ მასში განხილული მე-17 საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიური აზრის ცალკეული მიმდინარეობანი ავტორის მიერ კადმოცემულია ობიექტურად, ამ საქმეში საერთოდ შესაძლებელი ვარკვეულობითა და სიციხადით, ავტორი აღწევს იმას რომ ნათლად და ვარკვევით დალაგოს და ვადმოსკეს ისეთი ბუნდოვანი და დახლართული მიმართულებანი, რომელთა გაგებაც ერთი შეხედვით შეიძლება შეუძლებელ რამედ მიიჩნიოთ. ამ მხრავ პროფ. კ. ბაქრაძის მონოგრაფია არსებობდალ განსხვავდება ჩვენში არსებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან, რომელთა ავტორებსაც კრიტიკა მანამდე აქვთ დაწკებული, სანამ ამა თუ იმ მოაზროვნის თვალსაზრისს ვაარკვევდნენ.

განსახილველი ფილოსოფიური მიმართულებების შინაარსის ობიექტური ვარკვევა ის აუცილებელი წინაპირობაა, რომლის შესრულების შემდგავც ავტორი იწყებს მათ ყოველმხრივ ანალიზს, ამ ანალიზის ერთ-ერთი მხარე არის ის, რასაც ავტორი „იმანენტურ კრიტიკას“ უწოდებს; იგი მას ესმის როგორც ისეთი ლოგიკური ანალიზი, რომელიც სწარმოებს განსახილველ ფილოსოფიური მიმართულებების შვიანდინაცე, მათ მიერ წამოყენებული პრინციპების მიღებიდან გამომდინარე. ასეთი ანალიზის გზით ავტორი ავლენს ამ მიმართულებათა შინაგან წინააღმდეგობრიობას, ულოგიკობას. ამ გზით იგი ცხადს ხდის, რომ წამოყენებული პრინციპები მოკლებული არიან ლოგიკურ ვამართლებას.

განიხილავს რა ემპირიოკრიტიციზმსა და მახიზმს პროფ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ მახი და ავენაროისი უარყოფნაც შეცნობიერებაში ახსნის პრინციპს; შეცნობიერებამ უნდა მოახდინოს მხოლოდ აღწერა იმისა, რაც მოცემულია ცდამო. ავტორი ასე აუცნებს საკითხს: არიან თუ არა თანმიმდევრულნი მახი და ავენაროისი ამ თავიანთი მტკიცებაში; თვითონ იმინი, ხომ არ არღვევენ თავიანთსავე მიერ წამოყენებულ მოთხოვნას? საკითხის შემდგომი ანა-

ლიზი ცხადს ხდის, რომ მახიზმს ავენაროისი წამოაყენებენ რა აზროვნებამს კრიტიკის პრინციპს და ცდილობენ რა ამ პრინციპით შეცნობიერების სტრუქტურის ახსნას, მიმართავენ სწორედ ახსნისა და არა აღწერის პრინციპს! (გვ. 112).

კიდევ ერთი მაგალითი. იმანენტური ფილოსოფია, ცდილობს რა დასძლიოს შეცნობის პროცესში ტრანსცენდენტურის მიღებისთან დაკავშირებული სიძნელე, წამოაყენებს დებულებას, რომ სინამდვილე ცნობიერების შინაარსის წარმოადგენს, რამ ტრანსცენდენტური არ არსებობს. მაგრამ შემდეგში იმანენტებს სრულიად ულოგიკოდ შემოაქვთ „პირველად მიცემული“, „უშუალოდ მოცემული“ ცნებები, რაც ვარკვებულია ისეთ რამედ, რომელიც თავს ეხვევა ცნობიერებას, როგორც ვუცებამო, როგორც რაღაც უცხო (გვ. 168).

ავტორი თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველგვარ ვარკვევან სამოსელს ამორებს ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა თვალსაზრისს, წარმოადგენს მას ყოველმხრივობაში და სისრულით. იგი მათ მიერ აღიარებული დებულებებიდან ყველა შესაძლო დასკვნას აკეთებს, მათ შორის ისეთებსაც, რომელნიც თვით მათ არ ვაუცეთებიათ, მაგრამ თუ მათ მიერ აღიარებულ ვამოსავალ დებულებებს მივლდებით, აუცილებლობით მივალთ მათთან, მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობრიობის ვამოვლელად არ არის საქმარისი იმანთისი, რათა არსებობდალ იქნან შევასებელი ეს მიმართულებანი და ავტორისეული „იმანენტური კრიტიკა“ ორგანულად ვადადის ვანხილული ფილოსოფიური მიმართულების არსებით შევასებაში. აქ კი უკვე თავს იჩენს ავტორის პოზიიცია, თვალსაზრისი, მისი პარტიკულაო ფილოსოფიაში.

მას შემდეგ რაც ვაარკვევია, ამ მიმართულებების ვამოსავალი პრინციპები, და უჩვენა ამ პრინციპების საფუძველზე ფილოსოფიის კონკრეტული პრობლემების ვადაწკებვის ხასიით, პროფ. კ. ბაქრაძე დაღაღტრებული მატერიალიზმის პოზიციებიდან თანმიმდევრულად ავლენს ამ ფილოსოფიური მიმართულებათა სიძნელარეს, და აღნიშნავს, რომ საბოლოო ანგარიშით მათი შეცნობები მცენიერული შეცნობების ობიექტივობის უარყოფაში — სუბიექტივიზმში — მდგომარეობს. ავტორი არ კმაყოფილდება ამ დროს მხოლოდ კრიტიკით, უფრო ზუსტად თვითონ ეს კრიტიკა იმ სიძნელეების დაღაღტრებარ — მატერიალისტურ ვადაწკებვარ გულისხმობს და ეწყარება, რომელთა დაუძლეველობა ვნოსეოლოგიურად ვანაპირობა ამ მიმართულებების სუბიექტივიზმში, იღვალაზმში, და მეტაფიზიკურობაში. ამ მხრივაც ვანსახილველ შრომა განსხვავდება ჩვენში არსებული ანალიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან, სადაც კრიტიკა არის, მაგრამ არ არის ნაჩვენები წამოყენებული კონკრეტული საკითხების პოზიტიური ვადაწკებვარ.

უჩვენა და დასაბუთა რა მე-19 საუკუნის ვე-



რმანელი ბერეუაზიული ფილოსოფიის განხილულ მიმართულებათა სიმცდარე, ავტორი შემდეგ უკვე იმის არკვევს, თუ რამ განაპირობა ამ პერიოდის გერმანული ბერეუაზიული ფილოსოფიის ანტიმატერიალისტური, ანტიდიალექტიკური ხასიათი — და იმ გნოსეოლოგიურ სიძნელებებზე მიუთითებს, რომლებიდანაც ნაწილი ფილოსოფიური აზროვნების განვითარების აღჩეულ პერიოდში იყო აღმოჩენილი, ხოლო ნაწილი კი თვით ამ მიმდინარეობათა წარმომადგენლების მიერ იქნა ვაცნობიერებული. ეს ის სიძნელებებია, რომელნიც განსაკუთრებულად სიმშვედით დაისვა ფილოსოფიური აზროვნების წინაშე ბერკლისა და იუმის შემდეგ, რომლებმაც გადაწყვეტაც სცადა გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა კანტისა და ჰეგელის სახით. რაც კი იყო ამ გადაწყვეტაში რაციონალიზმი, იგი ათეოცენტრიული და შემდგომ განვითარებული იქნა მარქსისტულ ფილოსოფიაში. ბერეუაზიული ფილოსოფიის იმ მრავალრიცხოვანმა მიმართულებებმა, რომელნიც ამ პერიოდში წარმოიშვნენ, არა თუ ვერ აითვისეს ეს რაციონალიზმის მხარე, არამედ ვერც კი შეამჩნიეს იგი და ამრიგად ასეცნენ რა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მეგისტრალურ ხაზს ჩიხში მოემწყვდნენ. მაგრამ არა მხოლოდ ასეთმა გნოსეოლოგიურმა სიძნელებებმა განაპირობა ამ პერიოდის ბერეუაზიული ფილოსოფიის ანტიმატერიალისტური ტენდენცია. ვადაწყვეტი რალი ამ მხრივ თამამა სოციალურმა ფაქტორმა. მატერიალიზმისა და დიალექტიკის წინააღმდეგ ბრძოლა ბერეუაზიის ეპოქალურ მოთხოვნას წარმოადგენდა ამ ვითარებაში, იმ კლასისა რომელიც იმ დროს გაბატონებული იყო ეკონომიკისა და პოლიტიკის და რომელიც სწორედ ამის გამო ცდილობდა თავისი ასეთი მდგომარეობის იდეოლოგიურ განმტკიცებასაც. ასეთ ვითარებაში ბერეუაზიული ფილოსოფია არ შეიძლება არ უთვლიყო ანტიმატერიალისტური, რადგან იგი უპირობად იმედობდა მეშათა კლასის იდეოლოგიას. (გვ. 9).

ჩვენ ვცადეთ დავეხსიანთ იგი ფილოსოფიურ-ისტორიული კვლევის ავტორისგული მეთოდი, რომელიც, ჩვენი აზრით, მარქსისტულ-ისტორიის მეთოდოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის კვლევის მეცნიერული მეთოდის კონკრეტული გამოყენების კარგ ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ ამა მისცა ავტორს საშუალება ვაკვთულიყო ბერეუაზიული ფილოსოფიის განვითარების ამ ერთ-ერთ რთულ პერიოდში, მოეცა ამ დროის ბერეუაზიული ფილოსოფიური აზრის განვითარების სისტემატური სურათი და ცხადი გაეხადა ამ მიმართულებას მიერ ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტის სიმცირე და უნიადაგობა.

ფილოსოფიის განხილულ მიმართულებათა სიმცდარე, ავტორი შემდეგ უკვე იმის არკვევს, თუ რამ განაპირობა ამ პერიოდის გერმანული ბერეუაზიული ფილოსოფიის ანტიმატერიალისტური, ანტიდიალექტიკური ხასიათი — და იმ გნოსეოლოგიურ სიძნელებებზე მიუთითებს, რომლებიდანაც ნაწილი ფილოსოფიური აზროვნების განვითარების აღჩეულ პერიოდში იყო აღმოჩენილი, ხოლო ნაწილი კი თვით ამ მიმდინარეობათა წარმომადგენლების მიერ იქნა ვაცნობიერებული. ეს ის სიძნელებებია, რომელნიც განსაკუთრებულად სიმშვედით დაისვა ფილოსოფიური აზროვნების წინაშე ბერკლისა და იუმის შემდეგ, რომლებმაც გადაწყვეტაც სცადა გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა კანტისა და ჰეგელის სახით. რაც კი იყო ამ გადაწყვეტაში რაციონალიზმი, იგი ათეოცენტრიული და შემდგომ განვითარებული იქნა მარქსისტულ ფილოსოფიაში. ბერეუაზიული ფილოსოფიის იმ მრავალრიცხოვანმა მიმართულებებმა, რომელნიც ამ პერიოდში წარმოიშვნენ, არა თუ ვერ აითვისეს ეს რაციონალიზმის მხარე, არამედ ვერც კი შეამჩნიეს იგი და ამრიგად ასეცნენ რა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მეგისტრალურ ხაზს ჩიხში მოემწყვდნენ. მაგრამ არა მხოლოდ ასეთმა გნოსეოლოგიურმა სიძნელებებმა განაპირობა ამ პერიოდის ბერეუაზიული ფილოსოფიის ანტიმატერიალისტური ტენდენცია. ვადაწყვეტი რალი ამ მხრივ თამამა სოციალურმა ფაქტორმა. მატერიალიზმისა და დიალექტიკის წინააღმდეგ ბრძოლა ბერეუაზიის ეპოქალურ მოთხოვნას წარმოადგენდა ამ ვითარებაში, იმ კლასისა რომელიც იმ დროს გაბატონებული იყო ეკონომიკისა და პოლიტიკის და რომელიც სწორედ ამის გამო ცდილობდა თავისი ასეთი მდგომარეობის იდეოლოგიურ განმტკიცებასაც. ასეთ ვითარებაში ბერეუაზიული ფილოსოფია არ შეიძლება არ უთვლიყო ანტიმატერიალისტური, რადგან იგი უპირობად იმედობდა მეშათა კლასის იდეოლოგიას. (გვ. 9).

ჩვენ ვცადეთ დავეხსიანთ იგი ფილოსოფიურ-ისტორიული კვლევის ავტორისგული მეთოდი, რომელიც, ჩვენი აზრით, მარქსისტულ-ისტორიის მეთოდოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის კვლევის მეცნიერული მეთოდის კონკრეტული გამოყენების კარგ ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ ამა მისცა ავტორს საშუალება ვაკვთულიყო ბერეუაზიული ფილოსოფიის განვითარების ამ ერთ-ერთ რთულ პერიოდში, მოეცა ამ დროის ბერეუაზიული ფილოსოფიური აზრის განვითარების სისტემატური სურათი და ცხადი გაეხადა ამ მიმართულებას მიერ ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტის სიმცირე და უნიადაგობა.

პროფ. კ. ბაქრაძის მონოგრაფიის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება იმით, რომ იგი სწორი პოზიციებიდან არკვევს ბერეუაზიული ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

როგორც უკვე ითქვა, ავტორი ფილოსოფიურ კვლევის სწორი გზით მიდის და წარმატებით სძლევს მის წინაშე დასმულ ამოცანებს. ამასთან ერთად საჭიროდ მივიჩნია ავტორის ყურადღება მივაქციოთ შემდეგ მომენტებზე. როგორც აღვნიშნეთ კ. ბაქრაძე განიხილავს მე-19 საუკუნის ბერეუაზიული ფილოსოფიის იდეურ წინამძღვრებს. მაგრამ ეს განხილვა არ არის მოცემული მის მიერ სრული სახით და, რაც არააყლებ სასურველია, იგი არ იძლევა ამ წინამძღვრების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოგიკურ გაერთმინებულეოვანებას. ფორმულა, რომელსაც იგი იძლევა ამ მხრივ „წინააღმდეგობანი ჰეგელის ფილოსოფიის შევნიშ“ ზოგადია და დაკონკრეტებას მოითხოვს. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, იგი არ ახასიათებს სრულად მე-19 საუკუნის ბერეუაზიული ფილოსოფიის იდეურ წინამძღვრებს. შემდეგ, შესავალში, განიხილავს რა ბოლცანოს, შოპენჰაუერისა და ბრენტანოს ფილოსოფიურ თვალსაზრისებს, ავტორი ბრენტანოს ფილოსოფიური შეხედულებების მხოლოდ გადმოცემით გამოყოფილება და კრიტიკული განხილვის ვარაუდ ტრევებს მას. პროფ. კ. ბაქრაძე უფოლდ ამას იმ მოსაზრებით აყუთებს რომ ბრენტანოს თვალსაზრისის ბერეუაზიული ფილოსოფიის შემდგომ პერიოდში განვითარდება და მასში მიიღებს დასრულებულ ხასიათს. ამდენად კრიტიკაც სწორედ მაშინ იქნება მოცემული. ჩვენი აზრით, აქაც საჭიროა მოცემული იქნას კრიტიკული შენიშვნები, მით უმეტეს, რომ ასეთი კრიტიკული გაშუქების ვარაუდ ავტორი არ სტოვებს ბოლცანოსა და შოპენჰაუერის შეხედულებებს.

რ. კვიციანიძე

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

### პეროდოტეს ცნობები საქართველოზე

პეროდოტეს სახელი ყველასათვის ცნობილია, იგი ძველთაგანვე აღიარებულია „ისტორიის მამამთვარად“ და ამიტომ წიგნი, რომელშიც თავმოყრილია პეროდოტეს თხზულებაში დაცული ყველა ცნობა საქართველოს შესახებ, ბუნებრივია, მთხვეულში დიდ-ინტერესს აღძრავს.

პეროდოტე (ძვ. წელთაღრიცხვის V საუკ. მწერალი) ერთ-ერთი პირველი ბერძენი ავტორია, რომელიც გარკვეულ, სისტემატურ ცნობებს იძლევა ქართველი ტომების შესახებ. მართალია, პეროდოტემდეც ბერძნულ წყაროებში ვხვდებით ზოგი ცნობა ქართველ ტომთა შესახებ (პომპროსი, მიმნერმე, პინდარე, ლოგოგრაფოსები...), მაგრამ ყველა ეს ცნობა ფრაგმენტული ხასიათისაა და მხოლოდ პეროდოტეა პირველი, რომელიც გაბმულ ამავე მოვეითხრობს ქართველურ ტომებზე (კოლხებზე, მისხებზე, მისინიკებზე, სასპეირებზე).

პეროდოტეს ცნობები დიდი ხანია უკვე გამოყენებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში; მაგრამ მათი ქართულად თარგმანა და გამოცემა დღემდე არაის უცდია. ამდენად თ. ყუბნიშვილი წიგნის გამოცემა სასარგებლო და მისასალმებელია.

სარეცენზიო წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანი) და სახელთა საძიებლები.

შესავალ წიგნში თ. ყუბნიშვილს მოცემული აქვს: 1. პეროდოტეს ბიოგრაფია. 2. პეროდოტეს „ისტორია“. 3. ლიტერატურის მიმოხილვა. 4. ცნობები საქართველოს შესახებ.

პირველ ნაწილში (პეროდოტეს ბიოგრაფია) ავტორს მოჰყავს ყველა ის მოსაზრება, რომელიც კი ადასტურებს პეროდოტეს ყოფნას საკუთრივ კოლხეთში, ეს კი დამაჯერებლობას და მეცნიერულ ღირებულებას ჰპატებს ამ ისტორიკოსის ცნობებს ქართველურ ტომების შესახებ. შესავალი წიგნის მეორე ნაწილში დახასიათებულია პეროდოტეს თხზულების ბუნებრივ მოღწეული ხელნაწერები, მისი ძირითადი კრიტიკული გამოცემები და ამასთან ერთად შესწავლილია ის არსებითი ხასიათის განსხვავებებიც, რომლებიც პეროდოტეს ტექსტის სხვადასხვა გამოცემებს შორის არსებობს. აქვეა პეროდოტეს ტექსტის სხვადასხვა ენაზე თარგმანების მოკლე დახასიათება და განხილულია პეროდოტეს ზოგიერთი თარგმანი, შესრულებული რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

თ. ყუბნიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960.

სასტრეცილი იყო შრომის ამ ნაწილში გამოიღულ ყოფილიყო ავრთველ ლატიშვიის Scythia et Caucasia. საერთოდ, სარეცენზიო წიგნი არსად შეფასებული არ არის ლატიშვიის, რომელმაც პირველად შეაგროვა და გამოისცა ბერძენი ავტორების საქართველო: შესახებ ცნობები. არაა ნახსენები არც განა.

შესავლის შესაშე ნაწილი — „ლიტერატურის მიმოხილვა“ შეიცავს პეროდოტეს შესახებ არსებული ძირითადი გამოკვლევების მოკლე მიმოხილვას, კერძოდ, აქ განხილულია ფ. იაკობის, ვოლფ ალის, მაქს პოლენციის, პაუტელის, მიშენკოს, ვებელიოვის, ლუროვის გამოკვლევები.

შესავლის უკანასკნელ ნაწილში — „ცნობები საქართველოს შესახებ“—ავტორი მიმოხილავს საქართველოს ისტორიის შეკვლევართა ამ შრომებს, სადაც პეროდოტეს ცნობებია შესწავლილი. ლიტერატურის ამ მიმოხილვას თ. ყუბნიშვილი ქრონოლოგიურად ალაგებს, იწყებს ალ. ჭყონიას შრომით („ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროდამ ბაგრატიონთა გამეფებამდე“, თბილისი, 1890 წ.) და ამთავრებს ჩვენი დროის უახლოეს გამოკვლევით. მაგრამ ლიტერატურის ამ მიმოხილვაში ავტორი გამოირჩევა ი. ვაჯახიშვილის „Государственный строй древней Грузии и древней Армении“, გამოცემული 1905 წელს.

ლიტერატურული მიმოხილვის შემდეგ, ავტორი ამხვილებს ყურადღებას პეროდოტეს ზოგ ცნობაზე, აქ საინტერესოა ავტორის მიერ მოტანილი მსჯელობა ხალიძების შესახებ. საქმე ისაა, რომ პეროდოტეს ისტორიის VII წიგნის 61-80 პარაგრაფები შეიცავენ ქსერქსეს ჯარების აღწერილობას. ამაში ერთი პარაგრაფი (76) ხელნაწერებში ნაკლები სახით არის დაცული. იგი შეიცავს ერთ-ერთი ტომის აღწერილობის აღწერას და აკლია სწორედ ის აღგოლი, სადაც იქნებოდა სწორედ ამ ტომის სახელწოდება, ვისი შეიარაღებაც არის აღწერილი. ამ ნაკლებ აღვილს სხვადასხვა გამოცემებში სხვადასხვაანაირად ავსებენ. მაგ., შტაინი მას ავსებს სიტყვით „პისიდი“ — პისიდიელები, მიშენკო — სახელწოდებით ხალიძები. ჩვენი ავტორიც იმ აზრისაა, რომ ამ ნაკლებ სიტყვაში სწორედ ხალიძები უნდა იგულისხმებოდნენ და, უნდა ითქვას, ლიტერატურაში პირველად მას შემოაქვს პეროდოტეს ეს ცნობა ხალიძების შესახებ. ეს პარაგრაფი თ. ყუბნიშვილისეულ თარგმანში შემდეგნაირად იკითხება: (ხალიძებს) „პატარა დარები ჰქონდათ გამოტყენილი ხარის ტყავისა და თითოეულს ჰქონდა ორი შუბი ლიკურთა ხელობისა, ხოლო თავებზე — სპილენძის მუხარადები. მუხარადები-

ზე იყო ხარის ყურები და რქები სპილენძისაგან (ნაყეთები). აქვე იყო ბიბლიოც. მუხლები ძოწეული ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული. ამ ხალხს აქვს არსის სამიწისა.

ლათინურად ეს პარაგრაფი საერთოდ არ შეაქვს თავის Scythica et Caucasia-ში, ხოლო მიშინჯიკოს თარგმანში კათხვის ნიშნის ქვეშ დასმული სახელწოდება „ხალიბები“ ჩვენი მკვლევარების ყურადღების გააქვე დაჩენილია. თ. ყუბნიშვილის მიერ ამ პარაგრაფის ხალიბებზე მიწერა უდაოდ სწორი უნდა იყოს. ამასი მას მხარს ისიც დაუჭერს, რომ პეროლოტეს მიერ აღწერილ ტომებში სპილენძისაგან ნაყეთები აღკურვლობა მხოლოდ ამ ტომსა აქვს (თუ არ ჩავთვლით ასირიელებს, რომელთაც, აგრეთვე, აქვთ სპილენძის მუხარადები, VII, 63). ხალიბები კი ტრადიციით სპილენძის პირველი ოსტატები იყვნენ. ამდენად სპილენძეულობა მათ აღკურვლობაში სრულიად ბუნებრივი ჩანს.

მაგრამ ამ ადგილის თარგმანში ერთგვარი უხერხულობაა „ლოფოს“ ნათარგმნია როგორც ბიბლიო. უმჯობესი კი იყო მუხარადის ერთდაგვარი შესაქობის აღმნიშვნელი ეს სიტყვა თარგმნილიყო ტრადიციული ჯდით. აქვე არის კიდევ ერთი უზუსტობა: „ქე ცნემე“ თარგმნილია როგორც „მუხლი“. უნდა კი ყოფილიყო „წივი“.

შრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს პეროლოტეს ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით. პეროლოტეს ტექსტი სარეკენიო წიგნში ამოღებულია კ. პუდეს გამოცემიდან და შედარებულია ფ. ლეგრანის გამოცემასთან. აქ პეროლოტეს შრომის ცხარავე წიგნიდან ამოკრებილია არა მარტო ის ადგილები, რომლებიც საკუთრივ ქართველურ ტომებს (კოლხებს, მოსხებს, მოსინიკებს, სასპეირებს...) ეხება. არამედ ისიც, რაც დღევანდელი საქართველოს მეზობელ ხალხებს ეხება. აქ თავმოყრილია ცნობები სამსრეთ კავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, შვეიცარიის სამსრეთ სანაპიროს მკვიდრთა შესახებაც. ამ მხრივ თ. ყუბნიშვილის შრომა ლათინურად შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. ამასთან ტექსტი და თარგმანი ისეა დალაგებული, რომ იგი მთლიანად შთაბეჭდილებას სტოვებს და ამის გაბმულ თხრობას

წარმოადგენს. თარგმანი შესრულებულია დაკვირვებით და კეთილსინდისიერებით: თარგმანის სიზუსტესთან ერთად თარგმანში დატულია ქართული ენის ბუნებაც. ასე რომ თ. ყუბნიშვილის თარგმანის სახით ჩვენ გვაქვს გამართული ქართული შესრულებული ზუსტი ავთენტიკური პეროლოტესული ტექსტისა.

მაგრამ თარგმანში მაინც აქა-იქ სიზუსტე დარღვეულია. მაგ., იმ პარაგრაფში, სადაც ლაპარაკია კოლხებისაგან სპარსეთისადმი ნებაყოფლობით 5 წელიწადში ერთხელ ას-ასი ქალ-ყავის მიცემის შესახებ, გვხვდება ასეთი გამოთქვა: „კოლხებმაც დაიწესეს საჩქარები“ (III, 97; გამოც. გვ. 76). აქ ბერძნული „ტენ დორენ“ ნათარგმნია საჩქარად. ბერძნული სიტყვა „ჰე დორენა“ მართალია კი ნიშნავს საჩქარს, მაგრამ მას აქვს სხვა მნიშვნელობაც (ძღვენი, შესაწირავი). ამ შემთხვევაში რაკი ამ სიტყვას ტექსტში თან ახლავს პოლიტიკური მომენტაც, უმჯობესი იქნებოდა იგი თარგმნილიყო როგორც ძღვენი და არა საჩქარი. მიშინჯიკოცა და ლათინურად ამ სიტყვას რუსულად თარგმნაან приношение და არა подарок.

ასევე უმჯობესი იქნებოდა კოლხების შეიარაღების თარგმნისას ბერძნული „მახაირა“ თარგმნილიყო სატევრად და არა ღანად. „კოლხებს თავებზე ხის მუხარადები ჰქონდათ, გამოტყენელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები. ამას გარდა — დანები“ — (VII, 79, გვ. 113) — ეკითხულობთ თარგმანში. შეუსაბამოდ ჩანს, რომ ისეთი მეომარი, რომელსაც სხეებისაგან დასხვავებით მოწონული ფარის მიგერა უკვე ტყავის ფარი აქვს, შეიარაღებული ყოფილიყო მარტვი იარაღით — დანით და არა სატევრით, ხანჯლით. „მახაირა“-ს სატევრად გადმოქართულდება მით. უფრო მიხანსწილია, რომ ამ სიტყვას ზოგჯერ აქვს ხოლმე ხანჯლის და მხვილის მნიშვნელობაც.

საერთოდ კი თ. ყუბნიშვილის ამ ახალი წიგნის სახით ჩვენ მივიღეთ მეტად ფაქიზად, საქმის ცოდნითა და გულისყურით შესრულებული თარგმანი პეროლოტეს ტექსტისა. მკითხველის სურვილი იქნებოდა პეროლოტეს მთლიანი ტექსტის ქართული თარგმანიც ენახა ახლო მომავალში.

# ახალი წიგნები

სახვრთა მწერალი



- ვაჟა-ფშაველა — ასე ლექსი. რედ. ა. გომიაშვილი. გვ. 223, ფასი 52 კაბ.  
ვახტანგ რაჭვიკაშვილი — შამანგში ვაჟა-ფშაველა. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 202, ფასი 82 კაბ.  
გორტრიდ კელერი — ზედღვიღელნი. რედ. ი. ჯინორია. გვ. 293, ფასი 1 იან, 10 კაბ.  
ნოდარ ნარსია — მზეს გამოჰყვეთი. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 45, ფასი 7 კაბ.  
სოლომონ დეშურხანაშვილი — გაზაფხული და უცხო ქალიშვილი. რედ. გრ. ნიქოვანი. გვ. 102, ფასი 12 კაბ.  
დავით ნოზაძე — შრობელი მზარევი. რედ. ნ. გურგენიძე. გვ. 86, ფასი 11 კაბ.  
შალვა მჭედლიშვილი — სიმღერა ზენზე. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 57, ფასი 8 კაბ.

## „ნაბადული“

- ვაჟა-ფშაველა — აღუდა ჭეთელაური. რედ. ჯ. ჰანტურია. გვ. 31, ფასი 30 კაბ.  
ჩვენი საუნჯე — ტომი 13. რედ. ბ. ქლენტი. გვ. 402, ფასი 1 მან, 70 კაბ.  
შოი მღვანელი — ვაჟა ფშაველა. რედ. რ. ინანიშვილი. გვ. 26, ფასი 4 კაბ.  
ა. ტოლსტოი — ნიკიტას ბავშვობა. თარგ. ეთერ როსტომოშვილისა. რედ. ნ. ჩირაძე. გვ. 120, ფასი 18 კაბ.  
აღიქსანდრე გომიაშვილი — ადგილის დედა. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 107, ფასი 40 კაბ.  
ლიდია მერგელიძე — ქეთოს შერცხალი. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 18, ფასი 23 კაბ.  
ზონდო კეშელავა — ეარდის სტუმარი. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 58, ფასი 10 კაბ.  
როსტომ ელანაძე — ტყის ზღაპრები. რედ. ნ. ჩირაძე. გვ. 58, ფასი 7 კაბ.  
გიორგი ველაშვილი — როდესაც თენდება. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 109, ფასი 10 კაბ.  
ნაწი თარგამაძე, ლიდა სტეფანია, გიორგი წერეთელი, ვივი ჭიჭინაძე — მეგობრები მოლიან (კრებული) — რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 53, ფასი 7 კაბ.  
ვ. იანი — ბათო-ხანი, თარგ. ქეთევან ნადირაძისა. რედ. რ. კვიციანი. გვ. 461, ფასი 85 კაბ.  
ელ. ანთაძე — სასკოლო აკვარიუმი. რედ. ა. ჯინაშვილი. გვ. 36, ფასი 5 კაბ.  
გ. ურჯულმელაშვილი — შწარე გაკვეთილი. რედ. რ. ინანიშვილი. გვ. 32, ფასი 17 კაბ.  
ჩვენი მასწავლებელი — რედ. თ. ლაშქარაშვილი. გვ. 250, ფასი 57 კაბ.

ՅՆՆՈ 80 ՎՅՅ.

6 62/251



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛ»,